

ტომი №31 ნუგზარ უბანიძე

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შედეგად ტომი

უიარაღო



**რატომ არ
სწყალობს ვანოს
მალვა ნათელაშვილი**

1168
2010

**ინგა გრიგოლიას
ფსიქოპრობრები**

**„ჩემი გულწრფელობა
ბევრჯერ მინანი“**


და

**არაყიუვილის
„მძიმე ხვედრი“**

„ისევ მარტო ვარ...“

თემა

**მოდურ ტენდენციად
ქსეული მავნე ჩვევა**



**ვინ აგებს პასუხს
მოზარდების საქციელზე**



**„სოჭის ქართული რესპუბლიკის“
შექმნის გასაიდუმლოებული ფაქტები**

**რატომ არ უშვებდნენ რუსები
სოჭი ქართველ სასულიერო პირებს**

**„ხვსურათში
დაბრინალებზე
ტრაგედია უფაღთან
დაბრინალებზე“**



**საიქიოდან მოგზავნებული გოგონა
„ჩემს სხულს ზემოდან დავხეიროდი“ ...**



ღვთისმშობლის ხატების მიერ აღსრულებული სასწაულები





BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მეონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები“.



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგლაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა“.



რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
პაპიანის 9; ტელ: 332 557; 514 143



განახლებული რესტორანი **თეთრი სახლი**

გეპატიყებათ ღირსშესანიშნავი თარიღისა და სადღესასწაულო ღონისძიებების აღსანიშნავად.

- გამორჩეული ქართულ - ევროპული საზარეულო
- სასიამოვნო და ჰომოგრაბული გარემო
- მაღალი ხარისხის მომსახურება – დაბალი ფასები
- ცოცხალი მუსიკა

გაყვანილი ყოველი სწავლი

სეზონი იწყება

ღია ყოველდღე 11:00 – სთ-დან.

მ ა ლ ე

რესტორნის მეორე სართულზე გაიხსნება საბავშვო და თინეიჯარული სადღესასწაულო ცენტრი





გეოგრაფიით გაბასჯული მათემატიკოსი ვანო

„თუ გადახედავ ჩემს ბოლო გადაცემებს, საკმაოდ ბევრი ხუმრობა მაქვს მიხეილ სააკაშვილზე და საკმაოდ ცოტა — ოპოზიციაზე. თუ გინდა, ერთად დავითვალოთ. ბევრი ამბობს, თითქოს ხელისუფლების მხარეს უფრო ვიხრები...“

7



რა ადგილი უკავია სასმელსა და თამბაქოს „ჩვენს სსოვრებაში“

სიგარეტის მონევა რომ „კლავს“ და არც ალკოჰოლური სასმელებია ჯანმრთელობისთვის კარგი, ცნობილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანები ხშირად თამბაქოსაც ეტანებიან და ალკოჰოლსაც.

18



ცხოვრება

საიქიოდან მოგზაუნებული გოგონას ნაამბობი



„შენ საიქიოსთვის მზად არ ყოფილხარ, უფალს ჰყვარებიხარ და რალაციისთვის გამზადებს“, — ეს სიტყვები უწმინდესმა 21 წლის გოგონას უთხრა, გულში ჩაიკრა და დალოცა...

26



- **მინიატიურები** 5
 - „კაკაია მალენკაია ი უყუ ნატაშა“
 - ანუ პუტინიანი ძუძუები
- **ქრელი მსოფლიო** 6
- **ფაქტი და კომენტარი** 7
- **საზრდო** 10
- **თემა** 12
- **ადგილი სსოვრებაში** 14
- **მანე ჩვენები** 18
 - რა ადგილი უკავია სასმელსა და თამბაქოს „ჩვენს ცხოვრებაში“
- **ფსიქოპორტრეტი** 20
 - „კარგი გოგო არა ვარ — თუ კაცი მიყვარს, მის ტელეფონშიც ვძვრები...“
- **ნარკოზა** 22
 - „მის საქართველოს“ მთავარი მოთხოვნა ბიჭების მიმართ
- **პარსკვლავები** 24
- **თემა** 26
 - თამბაქოსა და ალკოჰოლის მოყვარული მოზარდები ანუ მოდურ ტენდენციად ქცეული მანე ჩვენები
- **კრიმინალი** 29
 - 36 წლის მამაკაცმა ნათესავები სადისტურად დახოცა
- **გაივილი** 30
- **გაბასჯა** 32
 - წყვილი, რომელიც კლდის სიყვარულმა დააახლოვა
- **ბედისწერა** 33
 - საიქიოდან მოგზაუნებული გოგონას ნაამბობი
- **ანტიდეპრესანტი** 38

გზაგნილები

ინტერნეტსიყვარული



„ერთ დღეს რადიოში მოვინდომე სურვილის ასრულება და რატომღაც „აჭარული“ გამახსენდა. სასწრაფოდ ავკრიბე ნომერი, კაცის ხმა გაისმა. მივესალმე და პირდაპირ ვაჯახე სურვილი — „აჭარული“ მინდამეთქი. ხმა შეწყდა და ყვირილი გაისმა; — „შალახო“ არ გინდააა?! დავიბენი, ვერ მივხვდი უცებ. თურმე ნომერი შემშლია“.

74

■ ავტომ	38
■ ბაკარი	40
ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატები	
■ ეს სახეაროა	42
■ საკითხავი ქალაქისათვის	44
■ ისტორიის ლაბირინთები	46
1905 წლის „სოჭის ქართული რესპუბლიკა“	
■ ჯანმრთელობა	49
■ კვალი	54
საოცარი ქანდაკებების საოცარი ავტორი	
■ სულის სიგჟიუსა	56
ვინ ჩაუშვა ოსეთში დატყვევებული მოზარდები	
■ თინეიჯერული პონტები	59
გიგო პაპის ცულღუტური მოგონებები ანუ „გული არა ბერდებაა...“	
■ წვეთი პოეზია	62
■ სასწრაფო	63
■ პროზა	64
ნუგზარ შატაიძე. თეთრი ცხენი	
■ ფანტასტიკური დეტაქტივი	66
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალბულთან (გაგრძელება)	
■ რომანი	70
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)	
■ მინირომანი	74
ყველაფერს თავიდან დავიწყებთ	
■ გზავნილები	76
ინტერნეტსიყვარული	
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოზაიკა	88
■ ფესტივალი	90
■ ეკუდიტი	92
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანოკრი	97
■ საფირმო კოსმოკრი	98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათოვლით
გაზეთ „კვირის პალიტიკის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

საყარო



ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატები

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ქრისტიანთა განსაკუთრებული შემწე და მეოხია. კაცთა თვალათვის სახილველად ამას მისი სასწაულმოქმედი ხატების მიერ აღსრულებული აურაცხელი სასწაულიც მოწმობს. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატების რიცხვი მხოლოდ ზეციურმა დედოფალმა უწყის...

36

ადამიანი



ვინ ჩაუშვა ოსეთში დატყვევებული მოზარდები

2009 წლის 4 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ცნობა ოთხი ქართველი მოზარდის დაკავების შესახებ, რომელთაც საზღვრის უკანონო დარღვევასა და ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობაში ედებოდათ ბრალი.

54

ბიბლუსი




ინტერვიუ მიცვალბულთან

— ნეტავ, ხომ არ შემომაკვდა? —
კიდევ ერთხელ ამოისლუკუნა ნათიამ.
ლაშამ მამაკაცს პულსი მოუსინჯა:
— ცოცხალია ახვარი... ჩვენ კი აქედან სასწრაფოდ უნდა მოვუსვათ.
— მერე ეს? — მამაკაცს შიშით დახედა ნათიამ.

62

ბაიმ-აუბი



წარმატებული ბამოცდა ეკუდიტიაუი

— ამჯერად მედიცინაში უნდა გამოგცადოთ.
— რას მერჩი?
— არაფერს, ბატონო მამუკა. ნუთუ რამდენჯერ იკუმშება ჯანმრთელი ადამიანის გული?
— 60-80-ჯერ.
— თითქმის გამოიცანით, 70-80-ჯერ.

86

„ჩაჩაია მატენჩაია ი უფე ნაქაშა“ ანუ ჰუჭინიანი ძუძუენი



შესავლის ნაცვლად კარგა ხანია, ჩვენს მიშვიკოს ამდენი ინტერვიუ არ მიუცია (ისე, რა გამოთქმაა ეს — „ინტერვიუს მიცემა“? არ შეიძლება, რომ რამენაირად შევცვალოთ?!). ყოველ შემთხვევაში, რეზონანსი მაინც თითქმის ისეთი იყო, როგორც „ვარდყვავილობის“ პირველ დღეებში — ამერიკული „ფოქს ნიუსი“, არაბული „ალ-ჯაზირა“, ესპანური „ტე-ვე-ე“ და რაც მთავარია, მთელი „გელიკორუსული“ პრესა — ლუჟკოვის გადადგომაც კი გადაფარა მოსკოვური ჟურნალის — „GQ“-ს მიერ გამოქვეყნებულმა ექსკლუზიურმა მასალამ (ინტერვიუთურთ), რომელიც მთელმა რუსულმა მასმედიაში გადაამღერა, სადაც ავტორები ცუდად შენიღბული აღფრთოვანებით საუბრობენ ჩვენს პრეზიდენტზე...

ყველაფერი კი თბილისში ორი ქსენიას — სობჩაკისა და სოკოლოვას ჩამოსვლით დაიწყო, დაახლოებით ისე, „37 მანეთად რომ მოსკოვში გადაფრინდებოდი“ და იქ რომ „მთელი ამბავი“ და მერე აქ „ცეხის საქმეებზე“ რომ უეჭველი ჩამოსასვლელი იყავი და იქ ველად დარჩებოდი, მაგრამ „იმ ნაშებს“ რომ ფულს დაუტოვებდი და აქეთ დაიბარებდი და ისინიც აუცილებლად ჩამოვიდოდნენ — „გადაგდების“ შანსი არ იყო!

ცხადია, განსხვავება არის — მაშინ ყველას „ნატაშა“ ერქვა, ამათ კი, ორივეს, ქსენია ჰქვია... არადა, პირადად ჩემში, ეს სახელი მხოლოდ წელში მოხრილი და შავებში ჩაცმული ბუნების ასოციაციას იწვევს და არა — „ნატაშებისას“, მაგრამ რას იზამ, დრო იცვლება, ახლა რეტროა მოდამი — აგერ, ჩემმა მეზობელმა ნანატრ ბიჭს დომენტი დაარქვა და რა უჭირს, ქსენია თუ „ნატაშა“ იქნება?..

ჰო, ამ ორიდან ერთ-ერთი ქსენია ჩემზე უარესი პროვოკატორი აღმოჩნდა — პრეზიდენტთან შეხვედრაზე ძუძუებზე პუტინისხატული მაისურით მივიდა და მერე ტრაბახობდა, — სააკაშვილს ჩემი მკერდისთვის თვალი არ მოუცილებიაო! არადა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ მიშას ეგეთებით ვერ გააკვირვებ, უბრალოდ, პუტინის სიფათს ვერ მოსწყვიტა თვალი. ალბათ ფიქრობდა, — ეჰ, ახლა ეს რომ ნამდვილი იყოს და აქ მყავდეს, ჩემს რეზიდენციაში, ბიჭებიც აქ არიანო...

მოკლედ, მიშამ ჯერ თავისი რეზიდენცია დაათვალიერებინა, მერე ბათუმში გადააფრინა საპრეზიდენტო თვითმფრინავით (ეს ლამე ხდება, 3 საათზე), სადაც ქალაქის ახალი ლირსმესანიშნაობები დაათვალიერეს — ეს დილის ხუთის ნახევრამდე გაგრძელდა, ხოლო 10 საათზე, „ნატაშები“ კი არა და, ქსენიები გაემგზავრნენ... აი, 5-ის ნახევრიდან 10 საათამდე რა ხდებოდა, ნამდვილად არ ვიცი... რაც არ ვიცი — არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ როდესაც „სამშობლოს“ დასჭირდა, ამ ასი წლის წინ, სიმონ არშაკოვიჩ ტერ-პეტროსიანმა, იმავე

კამომ, საკუთარი, უკაცრავად პასუხია და, ექსკრემენტები მიერთვა დიდი კოვზით და 4 საათსა და 30 წუთიდან 10 საათსა და 00 წუთამდე „ნატაშებთან“... უჰ, ქსენიებთან „ჭადრაკის თამაშს“ რა უჭირს?! ვიმეორებ — თუკი სამშობლოს სჭირდება!!! ეჰ, არადა, მიმოიხედეთ ირგვლივ — რამდენი ნატაშა და ქსენია სჭირდება სამშობლოს, შეიხედეთ პარლამენტსა და სამთავრობო კაბინეტებში — რა დღეში არიან ბავშვები...

ახლა თვითონ ინტერვიუს არ იკითხავთ? მეო, — ეს ამბობს, — ყოველთვის ხუთოსანი ბიჭი ვიყავი და ყოველთვის პრობლემები მქონდა „ქუჩის ავტორიტეტებთან“, ყოველთვის ჩხუბი მომდიოდა „ქუჩის ბიჭებთან“ (ამას მოსდიოდა ჩხუბი ანუ იმათ არ უნდოდათ, ეს ეჩხუბებოდა, ვერ იტანდა და არც ეშინოდა მათი), ჰოდა, ეგ თქვენი პუტინი იმ „ქუჩის ბიჭებს“ ჰგავსო! სხვათა შორის, ეს ქსენიები ამ „ბაზარმა დაკერა“ (თუ ძმა ხარ, რა უნდა „ნატაშების“ „დაკერვას“?), ყოველ შემთხვევაში, რუსეთში დაბრუნებულმა ერთ-ერთმა ქსენიამ საქვეყნოდ, ტელეინტერვიუში განაცხადა: ჩვენი პუტინისგან განსხვავებით, ის მაინც გავიგე, სააკაშვილს რა უნდა და თანაც, პუტინზე ორჯერ მალაღიაო!!!

მოკლედ და კონკრეტულად: მიშამ იცის თავისი საქმე!

ოღონდ, ერთი პაპატარა შეკითხვა: ბატონო მიხეილ პრეზიდენტო, კარგია „ალ-ჯაზირა“, „ფოქს-ნიუსი“ და „რაი-უნო“, ქსენიები ხომ მთლად უკეთესი, მაგრამ ხანდახან საქართველოშიც ხომ ჩამოდიხართ?! არც ქალაქის დათვალიერებას მოგთხოვთ და არც თვითმფრინავით სეირნობას და, იქნებ ერთი ინტერვიუ ჩვენ, ქართველ ჟურნალისტებსაც გვადიროსოთ? ისეთი კი არა — მაკრატლით ხელში ლენტის გაჭრაზე რომ გაგვიანდებათ ან ზღვის პირას რომ ჩუსტებზე საუბრობთ; არა, დაესხდეთ ერთი-ორი საათი და მოგიყვებით, რა ხდება ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია (აქამდე ასე ერქვა). დარწმუნებული იყავით, ბევრ საინტერესოს და ახალს გაიგებთ... „პროვოკაციები“ მაინც წაიკითხე, შე კაი კაცო, თორემ აშკარად, „სხვაგან“ ხარ ამ ბოლო დროს...



P.S. შესავალში რომ „ინტერვიუს მიცემაზე“ ვთქვი, მართლაც უნდა შევცვალოთ, თორემ სულ ის „ფინთი“ კახური ანეკდოტი მასხენდება, თავგადომარე რომ ეუბნება მონინავე კოლმეურნე ქალს: — მარო, დღეს ვენახში მუშაობაი რო მორჩები, კანტორაში ამოდი, გაზეთიდან დარეკეს, — ჟურნალისტს გამოვუშვებო, ინტერვიუ უნდა მისცესო. — ინტერვიუ რა არი, ქა? — არც მე ვიცი და ყოველი შემთხვევისთვის, დაბანილი მოდი!

პროვოკატორი



კანდელაკა და სოხიაკა უზინის მოთხოვნის გამო იჩნუას

ყოველთვის, როცა მოსკოვში თინა კანდელაკი და ქსენია სოხიაკი საზოგადოებაში ერთად ჩნდებიან, ამას აუცილებლად ხმაური მოსდევს. ამჯერადაც ასე მოხდა: „რუსკი პიონერის“ მიერ მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე ორმა ქალბატონმა, რომელიც ერთმანეთს პირველობისთვის გამუდმებით ექიშპება, ვლადიმირ პუტინის მიერ დანერგილი მოთხოვნის გამო იჩნუა. „დუეტი“ ვერაფრით შეთანხმდა მოთხოვნის ბოლო ხუთი სტრიქონის წაკითხვასთან დაკავშირებით. აყალმაყალი ლიტერატურულ საღამოზე მათი გამოჩენისთანავე დაიწყო და რომ არა „რუსკი პიონერის“ მთავარი რედაქტორი ანდრეი კოლესნიკოვი, საქმე ხელით შეხებამდეც კი მივიდოდა. რედაქტორმა პრობლემა მალევე გადაჭრა და მოთხოვნა საბოლოოდ კანდელას შერჩა ხელში, მაგრამ მან დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა და მისთვის განკუთვნილი როლი პირველივე შემხვედრ სიმპათიურ მამაკაცს გადასცა.

შეგახსენებთ, რომ ნანარმოები პრემიერ-მინისტრმა პუტინმა ვეშაპებზე ნადირობის შესახებ დანერა და გაზეთის მთავარ რედაქტორს შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობისას ხელნაწერის სახით გადასცა.

დონალდ რამსფელდი მემუარებს წერს

„ნაცნობი და უცნობი“ — ასეთი სახელწოდება წინასწარვე შეუჩრია თავის მომავალ წიგნს აშშ-ის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დონალდ რამსფელდმა, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში, გამომცემლობაში — Penguin Group მოგონებების წიგნს გამოსცემს. გამომცემელთა ცნობით, წიგნი მკითხველს, სხვა, ნაკლებად ცნობილ ამბებთან ერთად, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის შიდა სამზარეულოს, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებს, ერაყსა და ავღანეთში საომარ მოქმედებებს განსხვავებულად წარმოუდგენს. წიგნში ასევე ასახული იქნება რამსფელდის ვაშინგტონური ბიოგრაფიის ადრეული პერიოდი, მათ შორის — ვიეტნამის ომი და „უოტერგეიტის სკანდალი“. დონალდ რამსფელდი თავდაცვის მინისტრის პოსტზე 1975-1977 და 2001-2006 წლებში მუშაობდა. ის ამერიკის ისტორიაში პენტაგონის ყველაზე ახალგაზრდა (43 წლის) და ყველაზე ხანდაზმული (74) ხელმძღვანელი გახლდათ. რამსფელდი სხვადასხვა დროს თეთრი სახლის აპარატსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც მუშაობდა. ამასთანავე, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში ოთხჯერ იყო არჩეული.

რამსფელდის მემუარების გამოსვლამდე მკითხველებს აშშ-ის ექსპრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წიგნის — „საკვანძო გადაწყვეტილებებისა“ და ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის წიგნის — „არაჩვეულებრივი ჩვეულებრივი ადამიანების“ გაცნობის საშუალება მიეცემა, რომლებიც წიგნის მალაზიებში უკვე ამ შემოდგომაზე გამოჩნდება.

„ტიტანიკის“ უსუსანი „პარსკვლავი“ გარდაიცვალა

ლოს-ანჯელესში 101 წლის ასაკში მსახიობი გლორია სტიუარტი გარდაიცვალა. კარიერის მანძილზე გლორიას 70-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული. მათ შორის ყველაზე ცნობილია ჯეიმს კემერონის „ტიტანიკში“ განსახიერებული ხანდაზმული როუზ კალვერტი, რისთვისაც მსახიობი „ოსკარის“ პრემიაზე იყო ნომინირებული. გლორია სტიუარტი ორჯერ იყო დაქორწინებული. მას ქალიშვილი, 4 შვილიშვილი და 12 შვილთაშვილი დარჩა.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალი ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

გაითხვალთა თხოვნით!

ხალხური მედიცინის მოყვარულებს!

აბჯანაე გაბარყიანი და ილუსტრირაბული!

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში! ფასი: 15.99



ქვეყანა

„...თითქოს ჟანდარმების გარემოსვაში ვსსოვრობთ“

„...რა მოხდა მერაქ?! წესრიგს იცავს ეს ხალხი“

სათუნა გახტურია

ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანი ამჯერად პოლიციის შესახებ კანონპროექტი გახდა. ქართულ ინტერნეტ-საიტებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განსაკუთრებული მითქმა-მოთქმა იმ ფაქტზე გამოიწვია, რომ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პოლიციელის უფლებამოსილება კიდევ უფრო მეტად იზრდება.

კოდექსის მე-9 მუხლში პირდაპირ არის მითითებული:

„1. პოლიციელი უფლებამოსილია, შეაჩეროს პირი, თუ არსებობს გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ.

2. შეჩერების ვადა არის გონივრული ეჭვის დადასტურების ან გამორიცხვისთვის აუცილებელი გონივრული ვადა.

3. პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, შეჩერებულ პირს გააცნოს თავისი ვინაობა და წარუდგინოს თავისი უფლებამოსილების დადასტურებელი დოკუმენტი და განუმარტოს მას შეჩერების კანონიერებისა და დასაბუთებულობის უფლება.

4. პოლიციელი უფლებამოსილია, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შეჩერებული პირის ტანსაცმელზე აწარმოოს ზედაპირული შემოწმება. თუ ზედაპირული შემოწმებისას წარმოიშვა ჩხრეკის საფუძველი, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ატარებს ჩხრეკას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. შეჩერებული პირი უფლებამოსილია, შეჩერებიდან ხუთი დღის ვადაში ერთჯერადად შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების ადგილის მიხედვით სასამართლოში გაასაჩივროს შეჩერების კანონიერება და დასაბუთებულობა და მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია უკანონო ანდა დაუსაბუთებელი შეჩერებისთვის“.

საზოგადოების აზრი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არაერთგვაროვანია. ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლება ამ მეთოდით პოლიციელთა უსაფრთხოებაზე ზრუნავს და რიგითი მოქალაქეებისთვის მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფის განმტკიცებას ცდილობს, ნაწილის აზრით კი პოლიციას ისედაც ზედმეტი უფლებები ჰქონდა, ქვეყანაში ისედაც „პოლიციური რეჟიმი“ დამკვიდრებული...
გურამ მამანიშვილი, იურისტი, 52 წლის:

— ამ კანონპროექტის მიხედვით, პოლიციას შეუძლია, ნებისმიერ მოქალაქესთან მივიდეს და გაჩხრიკოს, — ამისთვის ალარც ჩხრეკის ორდერი სჭირდება და ალარც მოწმეები. რა გარანტია გვაქვს, რომ პოლიციელი ეჭვიმტანილს არაფერს „ჩაუდებს“?!

— როგორ „ჩაუდებს“? პოლიციელს ეჭვის საფუძველზე მხოლოდ ზედაპირული ჩხრეკის უფლება აქვს.

— ზოგიერთ პოლიციელს ისეთი მარჯვე ხელი აქვს, ჯამბაზსაც კი შეშურდება. ისე, იქნებ ვინმემ აცხისნას, რა უბედურებაა ეს „გონივრული ეჭვი“? „არაგონივრული ეჭვიც“ არსებობს? 30 წელია, რაც იურისტი ვარ და ასეთი ტერმინი ჯერ არ გამიგონია. რატომ იგონებს ყველაფერს უცნაურსა და არანორმალურს ეს ჩვენი ხელისუფლება?!

ნათია კვარაცხელია, ფილოლოგი, 29 წლის:

— ეს ხომ ძალადობაა! როგორ შეიძლება, პოლიციელმა უბრალოდ, ეჭვის საფუძველზე გამჩხრიკოს?! იქნებ ჩანთაში რაიმე „უხერხული“ ნივთი მიდევს?.. გამოდის, რომ პოლიციის უფლებების გაზრდის ხარჯზე, ჩვენი

განსაზღვრული სავარძლები	განსაზღვრული დივნები
 <p>350 ლარი</p>	 <p>590 ლარი</p>
<p>ავეჯის სალონი „კლასიკა“ იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი</p>	
 <p>1790 ლარი</p>	 <p>1490 ლარი</p>
<p>კუთხის დივნები</p>	
<p>აღ. ყაზაგის გამზ.14^ბ ☎ 38 88 11 ვაჟა ფშაველას გამზ.25 ☎ 37 11 11</p>	





— რიგითი მოქალაქეების უფლებებს ზღუდავენ.

— მთლად ასეც არ არის საქმე — პოლიციელი ვალდებულია, შეჩერებულ პირს განუმარტოს, თუ რის საფუძველზე გაუჩნდა ეჭვი.

— კარგი, რა! რომ მითხრას, კრიმინალისთვის დამახასიათებელი გამოხედვა გაქვსო, სანინალმდეგო როგორ დაფუძვნიცო?!

— ფიქრობთ, რომ პოლიციელები ასეთი უსაფუძვლო მიზეზით დაინწყებენ მოქალაქეების ჩხრეკას?

— ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი.



თამარ მაძვარია, პოლიციელი, 37 წლის:

— ძალიან ხშირად ხდება — ეჭვით კი არა, დაზუსტებით ვიცით, ადამიანი — კრიმინალია, მაგრამ ჭკვიანია, სამხილების გაქრობა კარგად ხერხდება და ვერ ვიჭერთ. ფიქრობ, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილებები ჩვენი საქმის კარგად კეთების საშუალებას მოგვცემს. იქნებ მე დავინახე, რომ მოქალაქემ ჯიბეში ცეცხლსასროლი იარაღი ჩაიდო; ვიდრე ჩხრეკის უფლებას მოვიპოვებ, ის ჯიბეში ხელებჩანყობილი დაშელოდება?..

— **მოქალაქეს რა გარანტია აქვს, რომ რაიმეს არ ჩაუდებთ?**

— ადამიანს, რომელსაც გავჩხრეკთ, უფლება ექნება, ჩვენი ქმედება გაასაჩივროს. მგონია, რომ მოქალაქის უფლება საკმარისად დაცულია. ჩხრეკის ობიექტს შეუძლია, სასამართლოში გვიჩივლოს და შეჩერების კანონიერება და დასაბუთებულობა მოითხოვოს. თუ საკუთარ სიმართლეს დაამტკიცებს, ფულადი კომპენსაციის მიღებაც კი შეუძლია. მეტი რაღა გინდათ?!

— **ისე, თქვენ თუ იცით, „გონივრული ეჭვის“ საფუძველი რას ნიშნავს?**

— ალბათ, საფუძვლიანი ეჭვი.

— **დარწმუნებული ხართ?**

— არა, მაგრამ აბა, სხვა რა უნდა იყოს?!

— **თქვენ რა შემთხვევაში მისცემთ საკუთარ თავს მოქალაქის გაჩხრეკის უფლებას? ორივემ ვიცით, რომ ცეცხლსასროლი იარაღს პოლიციელის თვალწინ ჯიბეში არავინ ჩაიდებს.**

— თუ ვიცი, რომ ის ადამიანი კრიმინალია ან სულიგნობაშია შემჩნეული და საეჭვოდ მოქმედებს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გავჩხრეკ.

— **საეჭვოდ მოქმედება რას ნიშნავს? ან თუ თქვენი „გონივრული ეჭვი“ არ გამართლდა, მერე რას იზამთ?**

— ასლა უკვე თქვენი კითხვები მეჩვენება საეჭვოდ და ჯობია, თავი დამანებოთ...

აბბა ცხოვრებაში, ეკონომისტი, 29 წლის:

— მე ყველა იმ ზომის განხორციელებას მივესალმები, რომლის საშუალებითაც ქვეყანაში სიმშვიდე იქნება. რატომაც არა — გაუზარდონ პოლიციას უფლებები! გარწმუნებთ — თქვენთან არავინ მოვა გასაჩხრეკად, არც ჩემთან. პოლიციამ მშვენივრად იცის, ვინ რისი ჩამდენია.

მანანა ოძროშიძე, გარე მოვაჭრე, 43 წლის:

— ხელისუფლება პოლიციას უფლებას იმითომ უზრდის, რომ მოსალოდნელი საპროტესტო აქციების ეშინია. თავად ხელისუფლების წარმომადგენლებზე უკეთ ვინ იცის, რომ უკანონობას სჩადიან და მალე ამ ყველაფერს ხალხი ვეღარ აიტანს?! დარწმუნებული ვარ, ქუჩაში გამოვალთ თუ არა, მაშინვე გაუჩნდებათ ჩვენ მიმართ „გონივრული ეჭვი“, რომელსაც ალბათ, დაპატიმრების საბაბადაც გამოიყენებენ.

— **აქციების მოწყობას აპირებთ?**

— თუ ვინმე ხმას ამოიღებს და ქუჩაში გამოსვლისკენ მოგვინოდებს, აუცილებლად გამოვალ, იმიტომ, რომ ძალიან გამამწარეს. ჩემიანი კი ძალიან ბევრია. არსებობის საშუალებას არ გვაძლევენ. გარე ვაჭრობასაც გვიკრძალავენ და არც სამუშაო ადგილებს ქმნიან. ხალხს უკან დასახე გზას აღარ გვიტოვებენ. უფლებგაზრდილი პოლიციელები კი არა, ეშმაკები რომ გამოიყვანონ თავიანთი სავარძლების დასაცავად, მაინც გამოვალ ქუჩაში.

ხათუნა პაიჭაძე, ჟურნალისტი, 32 წლის:

— პოლიციის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებით ხელისუფლება კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს უკან. „ვარდების რევოლუციიდან“ სულ ცოტა ხანში ქუჩაში ჩხრეკის აკრძალვა მოხერხდა. იმ პერიოდში ყალბი მონმევიც კი დააკავეს. ცვლილებები პოლიციის შესახებ კანონში იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლება მიზნად ისახავს,

რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩამოაცილოს პოლიტიკას. „გონივრული ეჭვის“ კატეგორია ამერიკის კანონმდებლობაში ნამდვილად არსებობს, მაგრამ ქართველები და ამერიკელები მენტალურად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საქართველოსგან განსხვავებით, ამერიკაში დემოკრატიაა, იქაური პოლიციელი მხოლოდ კანონს ემორჩილება და გამწვავებულ პოლიტიკურ სიტუაციაში არ ყვირის, რომ მისი პრეზიდენტი მაგარია. საქართველოში პოლიციელის მდგომარეობა ძირითადად მის პოლიტიკურ შეხედულებებზეა დამოკიდებული. ამიტომ პირდაპირ ვამბობ, რომ ეს კანონიც ძალიან საშიშია. სხვათა შორის, არც თავად პოლიციელები არიან კარგ დღეში. მე-9 პრიმა მუხლში მითითებულია, რომ თუ პოლიციელის „გონივრული ეჭვი“ არ აღმოჩნდა გონივრული, პოლიციელი დაისჯება. აღსანიშნავია ისიც, რომ „გონივრული ეჭვის“ აღქმა სუბიექტურია. ის, რაც ზოგიერთისთვის გონივრულია, შეიძლება, ჩემთვის სისულელე იყოს. ასეთი არაკონკრეტული კატეგორიების კანონში შეტანა მართლაც არაგონივრულია.

ნათელა ნიჭური, ექიმი, 40 წლის:

— სულაც არ მიკვირს და არც განაწყენებული ვარ იმის გამო, რომ ხელისუფლებამ პოლიციას უფლებამოსილება გაუზარდა. ძალიან ხშირად მინახავს კრიმინალის მიერ დაჭრილი პოლიციელი. ბანდიტები საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ. რატომ არ უნდა შეეძლოს სამართალდამცველს მათი უგუნველყოფა?! ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა დანაშაულის წინასწარ აღკვეთას შეუწყობს ხელს.

რუსუდან სავინაძე, დიასახლისი, 57 წლის:

— მთელი დღე ტელევიზორს ვუყურებ ან ვუსმენ და კარგად მახსოვს, რომ ხელისუფლებამ ადრეც გაუზარდა პოლიციელებს უფლებები. სადამდე უნდა გაგრძელდეს ეს?! ვიდრე ყველა იმ ადამიანის დაპატიმრების უფლებას არ მისცემენ, ვინც გარეგნულად არ მოეწონებათ?.. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჟანდარმების გარემოცვაში ვცხოვრობთ.

ვამუკა პირაქიტაძე, კერძო მენარმე, 33 წლის:

— მე სულაც არ მანუხებს ის ფაქტი, რომ პოლიციას უფლებებს უზრდის. რა მოხდა მერე?! წესრიგს იცავს ეს ხალხი. აბა, ის სჯობდა, დღისით-მზისით სახლებს რომ გვიყაჩაღებდნენ ან კიდევ, მანქანებს რომ გვპარავდნენ?! ვერავინ უარყოფს, რომ ასეთი რამეები თითქმის აღარ ხდება. ვაცადოთ ამ ხალხს მუშაობა. უბრალოდ, ერთი რამ ვერ გამიგია: ეს „გონივრული ეჭვი“ რაღაა?..

„პოლისი მედი“ „ჯი პი აისგან“ — ყველას, ვისთვისაც ჯანმრთელობა ძვირფასია!

**ინდივიდუალური მოხმარებაზე მორგებული
სადაზღვეო პაკეტი – ყველა ასაკის ადამიანისთვის!**

თანამედროვე მსოფლიოში სამედიცინო დაზღვევა ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მოიაზრება. ჯანმრთელობა არის ის, რასაც ყველაზე მეტად სჭირდება გაფრთხილება და ამისათვის სრულფასოვანი და მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებაა საჭირო. ადამიანის ჯანმრთელობას არასასიამოვნო მოულოდნელობების მოწყობაც სწევია და ასეთ დროსაც სამედიცინო დაზღვევის პოლისი ყველაზე დროული და ერთგული მეგობარია. გარდა იმისა, რომ ხარისხიანი სამედიცინო დაზღვევა უფრო ეფექტურია, გაცილებით ეკონომიურაც არის, ვიდრე გაუთავებელი კერძო ვიზიტები სხვადასხვა ექიმთან. ამიტომ, თუ ჯერ კიდევ არ დაგიზღვევიათ თქვენი ჯანმრთელობა, საჩქაროდ უნდა შეარჩიოთ ყველაზე სანდო პარტნიორი და თქვენს მოთხოვნებზე მორგებული სამედიცინო პოლისი.

საქართველოში მოქმედ სადაზღვეო კომპანიებს შორის, ჯანმრთელობის დაზღვევის სეგმენტში კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგს“ წამყვანი პოზიცია უჭირავს. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ადამიანი ირჩევს „ჯი პი აის“ ჯანმრთელობის დაზღვევის ამა თუ იმ პაკეტს, რადგან კომპანია მომხმარებელს მომსახურების მაღალ დონეს, ანაზღაურების მარტივ და მოქნილ სისტემას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და კლინიკების ქსელს, მარტივ და ხელმისაწვდომ პირობებს სთავაზობს. „ჯი პი აი ჰოლდინგს“ ჯანმრთელობის დაზღვევა გარანტირებულ, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებასთან

ასოცირდება. რაც მთავარია, „ჯი პი აი“ ყოველთვის და ყველგან თავისი მომხმარებლის გვერდით დგას, დღისა და ღამის ნებისმიერ დროს.

მაშინ, როდესაც სხვა სადაზღვეო კომპანიები ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის მაღალი რისკის მქონედ აფასებენ, „ჯი პი აი ჰოლდინგს“ უკვე ოთხი წელია ყველა მსურველს უნივერსალური დაზღვევის პოლისის — „პოლისი მედის“ სთავაზობს. ეს კი ნიშნავს, რომ დაზღვეულს დაზღვევის მომენტიდან პირადი ექიმი, ბავშვის დაზღვევის შემთხვევაში კი პირადი პედიატრი ეყოლება. „ჯი პი აი ჰოლდინგს“ პირადი ექიმებისა და პედიატრების გუნდი მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული. პირადი ექიმი ან პედიატრი არა მხოლოდ კონსულტაციას უწევს დაზღვეულს, არამედ ესმარება სწორად შეარჩიოს ვინაირ პროფილის სპეციალისტი, კლინიკა თუ სამედიცინო დაწესებულება, დროულად და მიზანმიმართულად დაგეგმოს დიაგნოსტიკა. „ჯი პი აის“ პირადი ექიმი თვალყურს ადევნებს დაზღვეულის მკურნალობის ყველა ეტაპს სტაციონარის ჩათვლით.

პირადი ექიმისა თუ პედიატრის მომსახურებასთან ერთად, „პოლისი მედი“ დაზღვეულს აუნაზღაურდება როგორც ამბულატორიული მომსახურების (ვიზიტები სპეციალისტებთან, გამოკვლევები, ანალიზები), ასევე უეცარ ავადმყოფობასთან დაკავშირებული ხარჯების დიდი

ნაწილი. ამრიგად, „პოლისი მედის“ მფლობელი თავს ყველაზე დაცულად გრძნობს.

სამედიცინო მომსახურებით დაზღვეულს შეუძლია ისარგებლოს „პოლისი მედის“ ძალაში შესვლისთანავე. „პოლისი მედი“ დაზღვეული შეიძლება გახდეს საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი, ერთი წლის ასაკიდან. ასაკის ზედა ზღვარი კი შეზღუდული არ არის. რაც ასევე მნიშვნელოვანია, პოლისის გასაფორმებლად არ არის საჭირო ანკეტის შევსება და ხანგრძლივი, დამლული პროცედურების გავლა. ამისათვის მხოლოდ 15-20 წუთია საჭირო.

„პოლისი მედი“ ყველა სოციალური ფენის მომხმარებელზე გათვლილი. პაკეტის ღირებულება 5 ლარიდან იწყება და 30 ლარს აღწევს. „პოლისი მედი“ მსურველს 10 და 20-ლარიან ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებსაც სთავაზობს.

მნიშვნელოვანი შედეგათვით მათთვის, ვისაც 2009 წელს „ჯი პი აი ჰოლდინგს“ ენ. იაფი დაზღვევის პოლისი ჰქონდა ნაყიდი: თუ წელს დაზღვევას განაახლებთ და „პოლისი მედის“ შეიძენთ, გეგმური ოპერაციის დაფარვაც შევა თქვენს დაზღვევაში. ეს შედეგითი მომავალში გაგრძელდება ყველა დაზღვეულზე, რომელიც მეორე წელსაც განაახლებს პოლისს.

„პოლისი მედი“ იმიტაც არის საინტერესო, რომ სტომატოლოგიურ მომსახურებასაც ფარავს — კერძოდ, მედი-30-ის მფლობელს სტომატოლოგიური მომსახურება 50%-ით დაუფინანსდება.

„როცა მის ნოვალს ვკითხულობ, ტანში ჟრუანტაღი მივლის“

„ქართული პროზის საგანძური“ მკითხველს 31-ე ტომად ნუგზარ შატაიძის ნაწარმოებებს სთავაზობს. მწერალზე სასაუბროდ რეჟისორ გიორგი ოვაშვილს ვენწევთ. „ეს იყო არაჩვეულებრივი მწერალი, რომელთან საუბრის დროსაც უდიდეს სულიერ კომფორტს ვგრძნობდი. სიკეთით, სინათლით სავსე ადამიანი გახლდათ. სამწუხაროდ, ასეთი პიროვნებები იშვიათად გვხვდებიან. გულდასაწყვეტია, რომ ბატონი ნუგზარი დღეს ცოცხალი აღარ არის — მას კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო“, — სინანულით აღნიშნავს რეჟისორი.

იყო ყორღანაშვილი


ნუგზარ შატაიძის ერთ-ერთი მოთხრობის — „მოგზაურობა აფრიკაში“ მიხედვით, გიორგი ოვაშვილის რეჟისორობით გადაღებული ფილმი — „გალმა ნაპირი“ ბევრ საერთაშორისო კინოფესტივალზე აღინიშნა პრიზით, მაგრამ ვიდრე ფილმი „ფეხზე დადგებოდა“, ბევრი ცდილობდა, მისთვის „ანტირუსულობის“, „ანტიფეხაზურობის“ და „ანტიქართულობის“ იარაღიყიცი კი მიეწებებინა. დღეს „გალმა ნაპირზე“ ცუდის თქმას ვერავინ შეძლავს. ახლახან ფილმის ავტორებს ბუნენს-აირეს-ში, კინოფესტივალზე — „ნუევა მირადა“ რიგით 45-ე პრიზი მიენიჭათ, რამდენიმე დღის წინ კი თეირანში, საუკეთესო სცენარისტების — მთავარი პრიზი.

— ბატონი ნუგზარ შატაიძე ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი მწერალია. ვფიქრობ, რომ თანამედროვე მწერლებიდან ქართველი გლეხი კაცის სულის სიღრმეში შეღწევა მან ყველაზე მეტად შეძლო. მკითხველამდე მიიტანა ბავშვობის „სული“, რომელიც ჩვენში, მოგონებების სახით, ყოველთვის არსებობს. როცა მის ნოველებს ვკითხულობ, ტანში ყრუანტელი მივლის. ბატონი ნუგზარის ნაწარმოებების გულგრილად ნაკითხვა შეუძლებელია. ვინც ქართველი გლეხი კაცის ბუნებას დაახლოებით მაინც იცნობს, მიხვდება, თუ რას ნიშნავს ამ მწერლის შემოქმედება. მაგალითად, „პურის მოთხრობაში“ ქართველი კაცის სული მთელი სისრულითაა ჩადებული...

— თქვენი ფილმი — „გალმა ნაპირი“, რომელიც ბევრ კინოფესტივალზე პრიზით აღინიშნა, სწორედ ნუგზარ შატაიძის მოთხრობის — „მოგზაურობა აფრიკაში“ — მიხედვითაა გადაღებული. თქვენი თანამშრომლობა როგორ დაიწყო?

— ბატონ ნუგზარს მანამდე ვიცნობდი. სტუდენტობისას ერთ-ერთ დოკუმენტურ ფილმზე ვუშაობდი, რომელსაც ჩემი პედაგოგი — არმაზ ბურნაძე იღებდა. მან ასისტენტად ამიყვანა, რაც ჩემთვის დიდი პატივი იყო. ფილმი ქართული ანბანის შესახებაა. მისი სცენარის ავტორი ნუგზარ შატაიძე გახლდათ. ერთმანეთი სწორედ მაშინ გავიცანით. ბატონმა ნუგზარმა თითოეულ ქართულ ასო-ბგერაზე პატარა ნოველა შე-

ქმნა — არაჩვეულებრივი კინონოველები იყო! ის პერიოდი ძალიან საინტერესოდ და ლამაზად მახსენდება: მახსოვს, ერთხელ ამ არაჩვეულებრივი მწერლის მამაპაპისეულ სახლშიც (სოფელში, ახალქალაქის ქვემოთ) წავდიოდი... შემდეგ, როცა ჩემი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის თემა ვერ შევარჩიე, ბატონ ნუგზარს მივაკითხე. ვიცოდი, სწორ მისამართზე მივედი. იმ პერიოდში, მის შემოქმედებას მეტ-ნაკლებად ვიცნობდი, მაგრამ „მოგზაურობა აფრიკაში“ ნაკითხული არ მქონდა. როცა ვკითხე — ისეთი თემა ხომ არ ჰქონდა, რომელზეც ჩემთვის საინტერესო ფილმის გაკეთება შეიძლებოდა, უპირველეს ყოვლისა, მან თავისი მოთხრობების უფრო გულდასმით ნაკითხვა შემომთავაზა. რამდენიმე წიგნი სახლში გამატანა. ყველაფერი ნაკითხით, მისი არაჩვეულებრივი მოთხრობები „ძალიან ვიგრძენი“, მაგრამ თავდაპირველად ჩემი ფილმისთვის საინტერესო ვერაფერი ვნახე. ბატონმა ნუგზარმა დამამშვიდა და მკითხა: „მოგზაურობა აფრიკაში“ ნაკითხეო? ვუპასუხე: კი, ძალიან კარგია, მაგრამ აფხაზეთი „ჩემი კინოს“ თემა არ არის-მეთქი: რო-



ცა ჯერ კიდევ კონფლიქტის პროცესში ვართ, მოვლენები არ დალაგებულა, ამაზე ფილმის გადაღება რთულია... „მოგზაურობა აფრიკაში“ მეორედ რომ წავიკითხე, მასში მოთხრობილ ამბავს სხვაგვარად შევხედე: მივხვდი — მთავარი ის კი არ იყო, თუ სად და რა ატმოსფეროში ხდებოდა მოქმედება, არამედ თავად ნაწარმოების პერსონაჟი ბიჭის (რომელიც კონფლიქტის ფონზე მოქმედებდა) ბედი იყო საინტერესო. ბატონ ნუგზარს ვუთხარი: მაგონი, ჩემთვის საინტერესო კუთხე ვიპოვე და თუ შეეძლებოდა, ამ მიმართულებით სცენარი გავაკეთოთ-მეთქი. დამთანხმდა. ჩვენი თანამშრომლობა ასე დაიწყო. სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის სცენარი ძალიან მცირე დროში — დაახლოებით ერთ თვეში დავწერეთ. ჩვენთვის სასურველი დრამატურგია რომ აგვეყო, რალაცები შევცვალეთ, ახალი ეპიზოდები შემოვიტანეთ. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, რალაცის თქმა შეეძლებოდა. რამდენად ეფექტური იყო, ეს უკვე მაყურებელმა განსაჯოს, მაგრამ მინდა აღვნიშნო: მთელი ჩემი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში ბატონი ნუგზარი ერთადერთი სცენარისტი იყო, რომელმაც ზუსტად გაიგო, რა მსურდა.

— როგორც ვიცი, ფილმისთვის — „გალმა ნაპირი“ მთავარი რო-

იურიდიული კომპანია
სამართალი ხალხისთვის

ძლიერი, გამოცდილი და მკაცრკვალი იურიდიული სერვისების შემთავრებით ვთავაზობთ

უფასო კონსულტაციებს სამართლის სხვადასხვა დარგებში, დაგეხმარებათ ნებისმიერი იურიდიული პრობლემის მოგვარებაში

იურისტებს ვთავაზობთ ერთწლიან სტაჟირებას და სააღდგოკატ გამოცდებისთვის მომზადებას

ამასთან, კომპანიაში ფუნქციონირებს სერვისციონირებულ მარკეტინგული კურსები: საბანკო საქმე, ბიზნესის მართვა და ადამიანური რესურსების მართვა და PR მენეჯმენტის ბუღალტერია, ინგლისური ენა

მიღება დაიწყება 1 ოქტომბრიდან

თბილისი.ი. იაშვილის 7 ბაღ: (995 32) 98 26 91 97 მობ: (995) 93 30 6171
 რუსთავი.ი. კოსტავას 14-7 ბაღ: (995 24) 15 80 92 მობ: (995) 74 04 7070
 ელ. ფოსტა: samartali_khalkhistvis@rambler.ru
 Skype: samartali_khalkhistvis



ლის შემსრულებელ ბიჭს დიდხანს ეძებდით. შემდეგ თედო ბექაურის კანდიდატურას ბევრი ეწინააღმდეგებოდა. თქვენს არჩევანს ბატონ ნუგზარი როგორ შეხვდა?

— რასაკვირველია, მწერალს თავისებური ხედვა აქვს. როცა საქმეში რეჟისორი ერთვება, მისი წარმოსახვა ზედმინევით ვიზუალურია და ხშირად ლიტერატურულ სახეს სცდება. შეიძლება, მოულოდნელად რეჟისორმა მწერალს აბსოლუტურად სანინააღმდეგო „პერსონაჟები“ მიუყვანოს. გამორიცხული არ არის, ასეთ დროს მწერალს გულიც კი შეუწუხდეს (ილიმის). რეჟისორსა და სცენარისტს ასეთი შეუთანხმებლობა ხშირად მოსვლიათ — ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენს შემთხვევაში, თედოს საკითხი თავიდანვე რთულად იდგა: პროექტში ჩაბმული ყველა ადამიანი მის კანდიდატურას ეწინააღმდეგებოდა; მიაჩნდათ — როლზე მისი დამტკიცება ფილმისთვის კატასტროფა იქნებოდა! ერთადერთი გახლდათ, ვინც ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა. ვცდილობდი, ერთი მხარდამჭერი მაინც მეპოვა, თუნდაც საკუთარ თავში დასარწმუნებლად! ასეთი ადამიანი არა და არ ჩანდა! ერთხელ ბატონი ნუგზარი ჩემთან, სახლში სპეციალურად მივიყვანე: ვიფიქრე, იქნებ მან მაინც დამიჭიროს მხარი-მეთქი. რამდენიმე ბიჭის (მათ შორის — თედოს) სურათი ვუჩვენე და ვკითხე: მთავარი როლისთვის ვისზე ფიქრობთ-მეთქი? ამასთან დაკავშირებით ჯერ ჩემი აზრი გაიგო და მერე მითხრა, რომ არჩევანს მიწონებდა და თავდაც ასე ფიქრობდა. სიხარულისგან გადარეული ვიყავი!.. ამ ამბის შემდეგ საკმაოდ ბევრი დრო გავიდა. ფილმის მასალა „შავად“ რომ ავანყვე, ბატონ ნუგზარს ვუჩვენე. რა მაგარი ბიჭია, რა კარგად თამაშობსო! — თქვა. — არჩევანი თქვენ რომ მომიწონეთ, ხომ გახსოვთ-მეთქი? — შევასხენე. მიპასუხა, — ბიჭო, მაშინ თედოს ფოტოს რომ შევხედე, ლამის გული გამისკდა, მაგრამ არ მიჩნდოდა, შენთვის გული გამეტყუა და ამიტომ გითხარი, რომ მთავარი როლისთვის მეც ეს ბიჭი მომიწონდა, თორემ შენზე ვიფიქრე, — ხომ არ გაგიჟდა-მეთქი (იცინის)?!. ასეთი ტყუილისთვის მადლობა გადავუხადე: მისი ნათქვამი რომ არა, სრულიად მარტო ვრჩებოდი (ილიმის)...

— ფილმს რეალური ამბავი უნდა საფუძვლად, არა?

— დიახ, ნუგზარ შატაიძემ მითხრა, რომ ეს ამბავი რეალურად მოხდა: გვიანი შემოდგომის ერთ დღეს ბატონი ნუგზარი სახლში (სოლოლაკში) ბრუნდებოდა; სკვერი გადაჭრა და დანახა, რომ ყინვაში, ბუჩქის ძირას პატარა ბიჭს ეძინა. იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცუდი სიტუაცია იყო — ქუჩაში ბევრს ეძინა, მაგრამ ბიჭი პატარა — 12 წლის იყო. ბატონმა ნუგზარმა ბიჭი გააღვიძა და ამბავი გამოჰკითხა. გაირკვა, რომ ლტოლვილი, ტყვარჩელელი, ობოლი ბიჭი იყო. მწერალს მოუყვა, ტყვარჩელეში მამის მოსაძებნად როგორ წავიდა...

— მას შემდეგ ის ბიჭი აღარ უნახავს?

— ბატონმა ნუგზარმა შესთავაზა, — ჩემთან წამოდი, ჩემს შვილებთან ერთად იცხოვრე — შენც ჩემი შვილი იქნებიო. ბიჭი ჯერ გაჰყვა, სახლის ეზოში შესვლისთანავე კი შეტრიალდა, ჭიშკარი გაალო და გაიქცა. ამის შემდეგ აღარ უნახავს — რა თქმა უნდა, ვეღარ იპოვა.


— მწერალმა ფილმის დასრულებული სახით ნახვა თუ მოასწრო?

— „გაღმა ნაპირის“ პრემიერა 2009 წელს, ბერლინის კინოფესტივალზე გაიმართა. ფილმზე მუშაობა პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე დასრულდა და „გაღმა ნაპირი“ ლაბორატორიიდან პირდაპირ ბერლინში წავიდა. გამგზავრების წინ, ბატონ ნუგზარს ვუთხარი: როგორც კი ჩამოვალ, ფილმი უნდა გჩვენოთ-მეთქი. მაშინ რაღაც, ხალისიანად ვერ გახლდათ — მოტყეხილი იყო. — გიო, კარგად ვერ ვარ, ამ განაფულს ვეღარ გადავიტანო, — მეუბნებოდა... საქართველოში დავბრუნდი თუ არა, მობილურ ტელეფონზე დაეკავშირე. გამორთული იყო. ცოტა ხანში ერთმა ნაცნობმა დამირეკა და ჩვეულებრივად მითხრა: ერთ საათში დიდუბის ეკლესიაში ბატონი ნუგზარ შატაიძის დაკრძალვა და მოდიო. მოკვირვებით ჩავვარდი!.. დღემდე ვერ მომიწონებია, რომ ეს ადამიანი იმ ქვეყანად ისე წავიდა, ფილმი ვერ ნახა! ალბათ ამახად რაღაც სიმბოლური დატვირთვა აქვს... „გაღმა ნაპირი“

დასრულდა თუ არა, თითქმის მამინეგ მეორე სცენარზე მუშაობა დაიწყო, მაგრამ საუბედუროდ, ეს სამუშაო ვერ დავასრულეთ — ბატონ ნუგზარს ამ ცხოვრებაში აღარ დარჩა დრო... ჩვენ მის დაწყებულ საქმეს ვაგრძელებთ. ორიგინალური სცენარის საფუძველი ბატონი ნუგზარის მიერ მოთხრობილი ამბავი გახდა. ის ინტენსიურად წერდა. ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით, ვსაუბრობდით, ვმჯღელობდით — როგორ უნდა აგვეგო ეპიზოდები, მაგრამ როგორც გითხარი, ვერ მოასწრო.

— ახლა სცენარზე ვინ მუშაობს?

— სცენარზე მუშაობა თავად განაგრძე. ამ საქმეში კიდევ რამდენიმე ადამიანია ჩაბმული, ერთ-ერთი — ჰოლანდიელი სცენარისტი რულოვს იან მინებო გახლავთ. რა თქმა უნდა, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პირველ ავტორად ბატონ ნუგზარ შატაიძეს მოვისხენიებთ...



ინგლისური და რუსული ენების უმსხავლელი სენტრი FutureWorld პოპაზოტ:

- ▶ ენების სწავლა ჯგუფში და ინდივიდუალურად!
- ▶ საერთაშორისო და ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება!
- ▶ საბავშვო საერთაშორისო ინგლისური ენის დრამწერ!
- ▶ სტუდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის!
- ▶ საერთაშორისო სერტიფიკატები!
- ▶ საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ევროპაში!
- ▶ გაცვლითი პროგრამები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში!



FutureWorld
 ჩვენი მისამართი:
 თბილისი, საპარტალო,
 შიშკაპილის ქ. 17, ბ. 10
 ☎ 38-22-96, 899-53-61-96
 www.futureworld.ge



ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ საქმე 7 მუხლით აღიძრა

ექსპერტიზის შვილს ახალი ბრალდებით გალე გაასამართლავნ

გასულ კვირას თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას საქმის განხილვა დაასრულა. შეგახსენებთ: მას მეზობლის, დავით ბაჯელიძის დაჭრა და იარაღის უკანონოდ ტარება-შენახვა ედება ბრალად. საქალაქო სასამართლომ გამსახურდიას 9 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება. ეს განაჩენი აპელაციამაც ძალაში დატოვა. სასამართლო სხდომებს თავად ბრალდებული არ დასწრებია, პროცესზე ბოლო დღეს, მხოლოდ განაჩენის გამოცხადების დროს მიიყვანეს.

თავ სურსილავა

მოსამართლე მანანა ოთარაშვილმა ცოტნე გამსახურდია პირველივე სასამართლო სხდომიდან გააძევა. იმ დღეს იგი განცხადების გაკეთებას ცდილობდა. განმარტა, რომ ციხეში ყველანაირი უფლება შეზღუდული აქვს, კორესპონდენციის გაგზავნის საშუალებას არ აძლევენ... განცხადებას, რომელიც გამსახურდიას უნდა წაეკითხა, რამდენიმე ადრესატი ჰყავდა, მათ შორის — სასამართლო. სულ რაღაც ორი აბზაცი ჰქონდა წაკითხული, როცა სხდომის თავმჯდომარემ, ოთარაშვილმა მკაცრი ტონით უთხრა, რომ პოლიტიკური განცხადების გაკეთების უფლებას არ მისცემდა. გამსახურდიამ განმარტა, რომ განცხადება ციხეში პატიმრების გაუსაძლის პირობებს, ცემა-ნაემებს ეხებოდა და იმაზეც ისაუბრებდა, თუ როგორ ირღვევა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება. ამ განმარტების შემდეგ სცადა, თავისი სათქმელი გაეგრძელებინა და ტექსტის კითხვა განაგრძო, მაგრამ ამას პროცესიდან მისი გაძევება მოჰყვა. ეს ფაქტი მაშინ დაზარალებულმა დავით ბაჯელიძემაც გააპროტესტა: „მეც ვტოვებ დარბაზს. სასამართლოს ამ შემადგენლობით საქმის განხილვაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, აზრი არა აქვს — აქ არ გაირკვევა სიმართლე. რატომ გააძევეთ ცოტნე? გაიგეთ — ის უდანაშაულოა, დანაშაული არ ჩაუდენია“; — განაცხადა დაზარალებულმა. მოსამართლე ოთარაშვილი შეეცადა, ბაჯელიძისთვის სიტყვა შეეწყვეტინებინა, მაგრამ დაზარალებულმა მიაძახა, რომ მათ აღარ ენდობოდა, და პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. ამ ურჩობისთვის მოსამართლემ დაზარალებული ბაჯელიძე დააჯარიმა. პირველივე სხდომაზე მოსამართლემ კიდევ არაერთი პიროვნე-

ბა დააჯარიმა, რადგან მათ პროტესტის ნიშნად, ასევე დატოვეს დარბაზი.

ბრალდებულ გამსახურდიას ადვოკატებმა საქმის განხილვის დროს რამდენჯერმე ითხოვეს დარბაზში მისი დაბრუნება, მაგრამ სასამართლომ ეს შუამდგომლობა არც ერთხელ არ დააკმაყოფილა. „უკანონო გაძევების შემდეგ თავად ცოტნე გამსახურდიამაც მიმართა განცხადებით სასამართლოს, რომ სურდა, დასწრებოდა სხდომებს და, რაც მნიშვნელოვანია, სურდა ჩვენების მიცემა. ამ შემთხვევაში მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა, მაგრამ მაინც არ დაუშვა და გამოგვიცხადა, რომ არ მიაჩნდა მიზანშეწონილად მისი პროცესზე დაბრუნება“, — ამბობს ადვოკატი ქეთი ბექაური და გამოტანილ განაჩენს აპროტესტებს:

— ეს არის უსაფუძვლო და უკანონო განაჩენი; ფაქტობრივად, უცვლელად გაიმორღეს იგივე ფორმულირება, რაც პირველ ინსტანციაში. არაფერზე იმსჯელა სასამართლომ. იმის მიუხედავად, რომ 22-გვერდიანი, დასაბუთებული დაცვითი სიტყვა მივანოდეთ, მაინც ცრუვარაუდებზე დაყრდნობილი მოსაზრებები გაიზიარა და განაჩენი ძალაში დატოვა. ეს არის კიდევ ერთი უკანონოა. ჩვენ დიდი ხნის წინ მივმართეთ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს. უკვე კორესპონდენციების გაცვლის სტადიაზე ვართ; საქმეს მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი. ეს ყველაფერი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხდება, მაგრამ არაფერი პოზიტიური არ მომხდარა საქართველოში. არადა, სააპელაციო სასამართლოში წარმოვადგინეთ ექსპერ-



ტიზის დასკვნაც, რომ დოკუმენტი გაყალბებული იყო.

— **ექსპერტმა რა ჩვენება მისცა სასამართლოს?**

— დაიკითხა ექსპერტი მიხეილ ტაგლანოვი. მის მიერ ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ სისხლის სამართლის საქმეში პატრულ-ინსპექტორ პატაშურის შედგენილი შეტყობინება და მისთვის თანდართული ოქმი არის გაყალბებული. შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანდა გადასწორების კვალი — ბეჭდების ლოკალიზაცია ერთმანეთს არ ემთხვევა, ხელმოწერები გაყალბებულია... ექსპერტმა დაადასტურა, რომ ეს არ იყო ნამდვილი დოკუმენტი. მაგრამ სასამართლომ ამაზეც დასუჭა თვალი, რადგან ამას მოჰყვებოდა პატრულ-ინსპექტორების სამსახურიდან დათხოვნა, მათი ხელმძღვანელის, გიორგი გეგეჭკორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება: როცა სიყალბეს შენი თანამშრომელი სჩადის, ამისთვის შენც ხარ პასუხისმგებელი... მეტსაც გეტყვი — როცა ექსპერტიზისთვის ეს დოკუმენტი გამოვითხოვეთ, აღმოჩნდა, რომ საქმეში არც იყო, საქმის მასალებში ნახევარი საათი ექვდნენ მოსამართლეები და ვერ იპოვეს, მერე გვითხრეს, — არ ინერვიულოთ, საპატრულო დეპარტამენტიდან გამოვითხოვეთ. რატომ წაიღეს დოკუმენტი?! ფაქტია, დამატებითი მანიპულაციების ჩატარება სურდათ. ალტერნატიული ექსპერტიზა სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროში



ჩატარდა, მაგრამ გამოტანილი დასკვნის მიუხედავად, ეს არ გაითვალისწინეს. როდესაც არ არის სურვილი და ნება, რომ იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, მართლმსაჯულებაში გარედან ერევინ, იქ რაიმეს მიღწევა შეუძლებელია. ეს არის უხეში ჩარევა. ცოტნე გამსახურდიას არ მიეცა უფლება თავისი უდანაშაულობა ემტკიცებინა. 2 წუთით განაჩენის გამოტანის დროს შემოიყვანეს მხოლოდ, ჩვენს დაცვით სიტყვასაც არ დაასწრეს იმის მიუხედავად, რომ დიდიდან მოყვანილი ჰყავდათ და შენობაში იყო. რაც გამსახურდიას პროცესზე გაკეთდა, მსგავსი რამ ალბათ სასამართლოს არ ახსოვს.

რას გულისხმობთ?

— პირველ სასამართლო სხდომას: ცოტნეს გაქვევებას დარბაზის დაცლა მოჰყვა — პროტესტის ნიშნად. თქვენც ენსრებოდით და ნახეთ — მოსამართლემ 41 კაცი დააჯარიმა. ალბათ ხელისუფლება გადაუხდის მადლობას ამისთვის: ერთ დღეში გაზარდა ქვეყნის ბიუჯეტი!.. მოსამართლემ არც ის გაითვალისწინა, რომ დაზარალებულის ადვოკატმა, ზურაბ როსტიანივილმაც მოითხოვა გამსახურდიას გამართლება. ისმის კითხვა: რა უფრო იყო გასაზიარებელი — კანონის დარღვევით მიღებული ე.წ. ოპერატიული მასალა, ფარული ჩანაწერები თუ დაზარალებულის, მისი ძმისა და სხვა მონუმენტების მიერ ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენებები?! ქვეგანყოფილების უფროსი ნიკოლოზ გოგიაშვილი, რომელმაც ეს სიყალბე ჩაიდინა, ცოტნეს განაჩენის შემდეგ დაანაურეს და ჩინიც მოემატა. ეს ამ ხელისუფლების აპრობირებული მეთოდებია. მათმა „ოქროს მონუმემ“, რაისა საიადოვამაც კი არ დადასტურა სასამართლოზე მის მიერ ძიებისას მიცემული ჩვენება. სწორედ ამიტომ შექმნეს ცრუმონუმები — პატრულ-ინსპექტორები. ეს არის იმ ჯაჭვის რგოლი, რომელსაც ცოტნე გამსახურდიას დევნა ჰქვია.

— ცოტა ხნის წინ გამსახურდიას ქრთამის მიცემაშიც დასდეს ბრალი. ამ საქმესთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

— ამ ახალი ბრალდების ძიება დამთავრდა და საქმე განსახილველად მოსამართლე ზვიად ესებუას გადაეცა. ახლა ველოდებით, როდის დაინიშნება პროცესი. ცოტნე თავის განცხადებაშიც წერს, — უკვე 7 ბრალდება მაქვს წამოყენებული, კიდევ თუ არ დამიმატესო... იცით, ე.წ. ჯაშუშობის საქმეც ჯერჯერობით არ განხილულა; ეს საქმე კარგა ხანია, აწერია მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილს და თარიღზეა შემოდებული.

— განაჩენს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებთ?

— გავასაჩივრებთ. თუმცა სამართლის პოვნის იმედი არ გვაქვს, ვალდებულები ვართ, შიდა სახელმწიფოებრივი რესურსი ამოვწუროთ და ამის შემდეგ ვიდაოთ სტრასბურგში.

— როგორია ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— სტაბილურია, თუმცა ისევე ირღვევა მის მიმართ პატიმრობის შესახებ კანონი: ცოტნე არ გაჰყავთ სასაქონლო, არ აწვდიან პრესას, ისევე აკრძალული აქვს კორესპონდენციების გაგზავნა — მის არც ერთ განცხადებას ადმინისტრაცია არ იღებს. როგორც ჩანს, ეშინიათ, საზოგადოებისთვის ცნობილი არ გახდეს იმ ცემა-ნაშევის ფაქტები, რომელიც ციხის სამკურნალო დანესებულებაში ხდება. გვარებისა და ფაქტების რიცხვი ყოველდღე იზრდება. ბოლო ფაქტიც შემზარავია: როგორც ცოტნემ მიიხრა, 4 სექტემბერს ინვალ-

დი, სავარძელში მყოფი მსჯავრდადებული უტყვიათ... აუცილებელია ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ მუშაობა. გახსოვთ — ცოტნე პირველი შიმშილობის გამოცხადების დღიდან ითხოვს, რომ საქართველოში შეიქმნას მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი კომისია, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს. ქალაქზე კი დაინერა, მაგრამ ამ ხელისუფლების პირობებში ისინი ალბათ ლეგიტიმაციას ვეღარ მიაღწევენ... ცოტნე ფარ-ხმალს არ ყრის, საბრძოლველადაა განწყობილი. ჩვენ არ შეეგუებით ამ უსამართლობას და ალბათ, ევროსასამართლო იტყვის თავის სიტყვას. ამას დრო სჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ მაინც დავედებთ დასკვნას და საქართველოს ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს პასუხისგება იმ ქმედებისთვის, რომელიც ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ ხორციელდება.



გროუპიზი პრობლემატიკური ღირებულებების მართვა
GROUP OF PROBLEMATIC LOANS MANAGEMENT




თქვენ
განსახილველად უფლი?
მალს არ გიპრუნებენ?

მოგვპართათ!
ჩვენ დაგახსარავით
სახის უკან ამოღებავით

პროფესიონალები
თქვენს სასახურში

თქვენი დაცვა ჩვენი ლიბეობაა!

მის. ალ. მათათაძის №2, ოფისი 1 (თ. თაბაღისის ვაკის ობი)
ტელ.: 14 35 35; 877 90-90-74; 877 717 444



ნათია შივიძა

— ვანო, თავდაპირველად მინდა გკითხო — როგორი ბავშვი იყავი?

— ასე მგონია, რომ საკმაოდ ჭკვიანი ბავშვი ვიყავი. ჩემმა ბავშვობამ ისეთ პერიოდში ჩაიარა, ცოტა ჭკუა რომ არ მეხმარა, შესაძლოა, ამ ტელევიზიაშიც არ მემუშავა. ვიდგებოდი ქუჩაში, სიგარეტს მოვწევდი და ა.შ.

— ახლა არ ეწევი?

— როგორ არა, მაგრამ ქუჩაში არ ვწევი. მოწევა კლავს, მაგრამ რა ვქნა?!

— ბავშვობაში რა გაინტერესებდა ყველაზე მეტად? რა იყო შენი ჰობი?

— ჩემი ჰობი ბავშვობაშიც იყო და ახლაც არის გეოგრაფია. არ არსებობს დღე, რომ ატლასი არ ავიღო და არ წავიკითხო. შეგიძლია, ეს ჩემი ოჯახის წევრებთან გადაამოწმო. მინდოდა, კარგი გეოგრაფი გამოვსულიყავი. სახლში დიდი რუკა მქონდა გაკრული კედელზე, სულ იქ ვიდექი და ქალაქებისა და ქვეყნების სახელებს ვსწავლობდი. არაერთხელ შემხედდრია ადამიანი, რომელმაც არ იცის, სად არის საფრანგეთი. ასეთი რამ შოკში მაგდებს. როგორც ჩანს, თანამედროვე თაობა არ მიიჩნევს საჭიროდ, ასეთი რაღაცები იცოდეს. მგონი, ჩვენი ბავშვობის დროს უფრო კარგი სწავლა იყო, ვიდრე — ახლა.

— ეს არც ისე გასაკვირია; მიმაჩნია, რომ ჩვენი თაობის ადამიანმა რუსული ენა რომ არ იცის, ესეც სირცხვილია...

— რუსული მეც არ ვიცი კარგად.

— სწორედ შენზე ვლაპარაკობ...

— ეს „საგანი“ 90-იან წლებში შემოვიდა ჩემს კლასში და იმ დროს ისეთი ანტირუსული განწყობილება იყო,

გეობრაფიით გატაცებული მათემატიკოსი ვანო და მისი „პარადოქსი“

„...მეშინოდა, რომ „სხვაგან მოხვდით“

„დიდთან დიდი ვარ, პატარასთან — პატარა და საშუალოსთან — საშუალო“, — ასე წარმოგიდგა ახალ სატელევიზო სეზონზე „ვანოს შოუს“ წამყვანი ვანო ჯაპახიშვილი. მას ინტერვიუს ჩასაწერად „რუსთავი 2“-ის ახალ სტუდიაში ვენევი, სადაც დაახლოებით 10 წუთი მალოდინა. ის იყო, ვიფიქრე, გადიდგაცეხულა ჩვენი ვანო-მეთქი, რომ ოთახში შემოვიდა და დაგვიანებისთვის ბოდიში მომიხადა, — თათბირი მქონდა და სხვაგვარად არ გამოდიოდაო. სამაგიეროდ, ინტერვიუ გამოგივიდა საკმაოდ საინტერესო.

რომ მას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, თორემ ამ გადასახედიდან მიმაჩნია, რომ ამ ენის უცოდინარობა ჩემი დიდი ნაკლია. ინგლისურზე მეტად მინდა, რუსული ვიცოდე კარგად.

— ბავშვობაში იუმორის გრძობა გქონდა?

— საზოგადოებაში არ ვხუმრობდი, მაგრამ მგონია, რომ იუმორის გრძობა ნამდვილად მქონდა, რადგან ძალიან მიყვარდა „კავენების“ ყურება. ვიყოდებოდი უნივერსიტეტის გუნდზე — „თსუ“-ზე. თითქოს ტვინში მქონდა ჩამჯდარი, რომ ეს განსრა ძალიან მომწონდა. ვსწავლობდი კიდევ მათ ხუმრობებს და ვიმასხოვრებდი, როგორ ინერებოდა ხუმრობა და ა.შ. მერე მეც დავიწყე ამ სფეროში მოღვაწეობა და ეს ყველაფერი ძალიან გამომადგა. მგონი, კარგად მოვიქეცი, ამ სფეროში რომ მოვედი...

— თუმცა, მიუხედავად ასეთი ინტერესისა და ჰობისა, არც გეოგრაფი გამობნევი, არც — მსახიობი, მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარე.

— ჰო, ალბათ, რაღაც ბუნების ძალამ მიმიყვანა ამ ფაკულტეტის მოსამზადებელზე... მაშინ გეოგრაფიულზე საკმაოდ დიდი კონკურსი იყო. ასევე იყო თეატრალურშიც. თან, ხომ გახსოვს ის პერიოდი — ყველა მისაღებ გამოცდას რომ ჩანყობა სჭირდებოდა.

— როდის და როგორ მიხვედი

იმ დასკვნამდე, რომ შენი კარიერული წინსვლა აბსოლუტურად სხვა სფეროში მოხდებოდა და არა — მათემატიკაში?

— ამ დასკვნამდე მაშინვე მივედი, როგორც კი მათემატიკურზე ჩავაბარე. პირველივე ლექცია რომ დაიწყო და ლექტორმა დაფაზე ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი ასოები დაწერა, მაშინ მივხვედი, რომ „სხვაგან მოვხვდი“. გაუგებარი იცი, რატომ იყო? ჩემი ჯგუფელები ან ვეკუას, ან კომპროვის სკოლის კურსდამთავრებულები იყვნენ, მათ უმაღლესი მათემატიკა უკვე გავლილი ჰქონდათ და შესაბამისად, ლექტორმა იმ გავლილი მასალის გაგრძელება დაიწყო. მე კი უმაღლეს მათემატიკაში არაფერი გამეგებოდა, რადგან ჩვეულებრივი სკოლა დავამთავრე. აი, მაშინ მივხვედი, რომ ცუდად იყო ჩემი საქმე. ინსტიტუტი დიდი წვალებით დავამთავრეთ მეც და ნიკა გრიგოლიამაც.

— ნიკა ამ ფაკულტეტზე სწავლობდა?

— ჰო, ოღონდ ჩემზე ერთი წლით უფროსია. სწორედ გრიგოლიას ჰქონდა „კავენის“ გუნდი. მან ერთ-ერთი თაობა გადაიბარა. მერე მეც მასთან მივედი. თავიდან გუნდში 20 კაცი ვიყავით, მაგრამ ბოლოს ოთხნი დავრჩით. დაახლოებით სამჯერ გავხდით უნივერსიტეტის ჩემპიონები.

— რა ერქვა თქვენს გუნდს?

ფეხსაცმლის მაღაზია „ტორალი“ გთავაზობთ

100%-იანი მასალა

საზაფხული ფეხსაცმელი

ბრანდიოვანი ფანდაკლეები

■ ბალი, ■ ბაგაჰის და ■ ბავშვის

ფეხსაცმლის ფაქტორი არქივას, ხალხისათვის ფასები 30 ლარიდან.

მის ქიტივან ნამივულის გამზ.№92 (მინანთიან) ტელ 77 65 82; 858 68 55 48



— „პარადოქსი“. მიშა ანდლულადის გუნდს — „ვანდერა“, ხოლო ოთო ლომთაძის გუნდს — „ნ თეთრი“. ასე, მონინალმდევე გუნდებში ვთამაშობდით ყველა.

— როგორ მოხვედი „რუსთავი 2“-ში?

— პირველად ამ ტელევიზიაში გია ქანტურიამ მომიყვანა. მაშინ სერი-ალზე — „ჩვენი ეზო“ ვმუშაობდით. მერე ისევ წავედი აქედან. მაგრამ მალევე დაიბადა პროექტი „შაბათის შოუ“, სადაც ჩემი ინიციატივით მოვედი და დავრჩი კიდევ.

— „შაბათის შოუში“ შენ პირველი როლი თუ გახსოვს?

— პირველად იელხოველის როლი შევასრულე. მერე ჰიტლერი ვიყავი.

— რამდენად რთული იყო შენთვის, თან სცენარი დაგენერა და თან მსახიობობა შეგეთავსებინა?

— ჩვენს თავს მსახიობებს ვერ ვუნოდებ. ჩვენ სატელევიზიო იუმორისტული დადგმების მსახიობები ვართ. არტისტობაზე პრეტენზია ნამდვილად არც ერთს არ გვაქვს. არაპროფესიონალი მსახიობები ვართ. რაც შეეხება სცენარზე მუშაობას, თუ სცენარს ვერ

ოდ, პოპულარული ადამიანები ვართ. ეს პოპულარობა კი მაშინ ვიგრძენი, როცა ქუჩაში პირველად მომადახეს, — „რათა, რათა, რათა“? აი, მაშინ მივხვდი, რომ დიდ შარში გავხვებ... — და მიინც, დიდთან დიდი ხარ...

— პატარასთან — პატარა... ჩემი პატარა სტუდია მაქვს და ჩემთვის დავკუსკუსებ.

— რაც გურამი აღარ ხარ, აღარ ნერვიულობ სოლომე?

— როგორ არა, ძალიან ხშირად ვნერვიულობ. მაგალითად, ახლაც საკმაოდ ვვლავ.

— რატომ?

— ინტერვიუს მიცემისას ცოტა შეშოქილი ვარ.

— როცა შენ გაძლევინ ინტერვიუს, მაშინ როგორ გრძნობ თავს?

— მაშინაც ვნერვიულობ. როცა სცენაზე გავდივარ, ყოველთვის ვნერვიულობ. ეს ბარიერი ვერ გადავლახე, რადგან არ ილახება. ნებისმიერი პროფესიონალი, რომელიც ან ევრანზე ჩნდება, ან — სცენაზე, აუცილებლად ნერვიულობს. რამდენჯერაც არ მინერვიულია, იმდენჯერ ცუდი გადაცემა გამოშვდება.

— ე.ი. ახლა კარგი ინტერვიუ გამოგვივა... დათო გოგინაიშვილიმა რატომ გადამწყობტა, რომ მისი გადაცემის წამყვანი შენ უნდა ყოფილიყავი?

— არ ვიცი. მან თქვა, რომ წამყვანი თვითონ აღარ უნდა ყოფილიყო. მაშინ მთელმა „სასტავმა“ იმჯვლა და გადამწყობტა, რომ ამ გადაცემის წამყვანი მე უნდა ვყოფილიყავი. სიმართლე გითხრა, ამის დიდი სურვილი ნამდვილად არ მქონდა. პირველი წელი ძალიან გამიჭირდა წამყვანის სავარძელთან შეგუება. მერე უკვე მოვიფიქრე, თუ როგორ შეიძლებოდა, ნებისმიერ მაყურებელთან პირადი კონტაქტი დამემყარებინა. როცა ეს ხერხები ვისწავლე, მერე უკვე ჩვენი რეიტ-

ინგიც მალა ნავიდა.

— ახალი სტუდიის გარდა, მთელი წლის განმავლობაში „ვანის შოუ“ კიდევ რა სახსლევს შემოგვთავაზებს?

— ახალი სტუდია იმას ჰქვია, როცა ინტერვიერია გამოცვლილი; ჩემს შემთხვევაში ასე არ არის. უბრალოდ, ახალ შენობაში გადავვდი, თორემ სტუდია იგივე გვაქვს. მოგესტენება, „რუსთავი 2“ ახალ ოფისში გადავიდა. ახლა „კურიერისა“ და „დილა მშვიდობისა, საქართველოს“ გადმოსვლას ველოდებით და მერე ყველა ერთად ვიქნებით, ერთ ოჯახად, ერთად გამოვიკვებებით და საკვებს ერთმანეთს გავუყოფთ.

— ამ სეზონზე გადაცემაში ახალი რუბრიკები არ გექნებათ?

— მაყურებელს ახალ რუბრიკებს ეტაპობრივად შევთავაზებთ. პირველ ეტაპზე, ახალი სეზონის დაწყება ძველი რუბრიკებით გადავწყობტეთ, რადგან ეს ყველაფერი უკვე გამოცდილი გვექონდა. ახლა ახალ რუბრიკებს ვხვდებით, რომლებიც შესაძლოა, იყოს წარმატებული და შესაძლოა — არა. ვნახოთ, რა გამოვა.

— როგორც ჟურნალისტს, შენ მშურს, რადგან ბევრი ისეთი ადამიანი გყოლია სტუმრად, რომლის ინტერვიუზე დათანხმებაც პრესის ჟურნალისტებს გვიჭირს. შენთან მარტყვად მოდიან?

— ყველა სტუმარი ინდივიდუალურია. ზოგიერთის მოწვევა მართლაც გვიჭირს. მაგალითად, ოპოზიციის წევრების გადაცემაში მოწვევა დიდი პრობლემაა, რადგან იმ დონეზე პოლიტიკებულები არიან, გასართობ გადაცემაში მისვლა მათთვის მიუღებელია.

— ეს იმის გამო ხომ არ ხდება, რომ ხანდახან ხელისუფლების სასარგებლოდ ტენდენციურობას ამჟღავნებს?

— მე ვარ ტენდენციური?! ამას რატომ მეუბნები?! თუ გადახედავ ჩემს ბოლო გადაცემებს, საკმაოდ ბევრი ხუმრობა მაქვს მიხეილ სააკაშვილზე და საკმაოდ ცოტა — ოპოზიციანზე. თუ გინდა, ერთად დავითვალოთ. ბევრი ამბობს, თითქოს ხელისუფლების მხარეს უფრო ვისრებო... — იქნებ იმიტომ, რომ უმეტესად ხელისუფლების წარმომადგენლები გყავს სტუმრად?

— არა. თუ ხელისუფლების წარმომადგენელი მყავს სტუმრად, რასაც



დანერ, ისე ვერც ითამაშებ. ამიტომ, ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტული სცენარის დაწერაა. თუ კარგი სცენარი იქნება, მაშინ უფრო ადვილია თამაში. ჩვენთან ახალი წევრი რომ მოდის, მას ჯერ სცენარის წერაზე ვამუშავებთ და მერე გამოგვყავს ტელევიკრანზე.

— როდის იგრძენი, რომ ვარსკვლავი ხარ?

— არ მიმაჩნია, რომ ვარსკვლავი ვარ. ეს ცოტა ამბიციური გამოწათქვამია. ჰოლივუდის ვარსკვლავებს ვარსკვლავები იმიტომ ჰქვიათ, რომ ბევრად ცნობადი ადამიანები არიან და თან, უამრავი ფული აქვთ. საქართველო პატარა ქვეყანაა და შესაბამისად, ჩვენი ცნობადობა მაღალია, თუმცა ფული ცოტა გვაქვს. ამიტომ ვარსკვლავები ვერ ვიქნებით. ჩვენ უბრა-

ვანი მე უნდა ვყოფილიყავი. სიმართლე გითხრა, ამის დიდი სურვილი ნამდვილად არ მქონდა. პირველი წელი ძალიან გამიჭირდა წამყვანის სავარძელთან შეგუება. მერე უკვე მოვიფიქრე, თუ როგორ შეიძლებოდა, ნებისმიერ მაყურებელთან პირადი კონტაქტი დამემყარებინა. როცა ეს ხერხები ვისწავლე, მერე უკვე ჩვენი რეიტ-

ვანარმოვბი ქვარხსუჯრადისა და სუარმის დონორობის, ასევე სუაროვბაჟი დედობის მსუარველთა რეგისტრაციას
დაინტერესებული პირები
ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
გელუფონი: 855 41-10-06
ორგანბათი-პარასკევი (10:00-დას 17:00-მდე)



მინდა, იმას ვეუბნები, არაფერი მზლუ-დავს და არც წინასწარ ვუთანხმდები. უბრალოდ, ზოგიერთი სტუმარი შე-ბოჭილია და წინასწარ აინტერესებს, რა თემებზე ვისაუბრებთ; ჰოდა, თე-მებს ვუთანხმებ, მაგრამ არა — ხუმ-რობებს.

— **შენ ხუმრობით რომელიმე სტუმარი უკმაყოფილო დარჩენილა?**

— გადაცემაში მონაწილე სტუმარი არასოდეს განაწყენებულა. შესაძლოა, რაიმე საკუთარი ნათქვამი არ მოს-წონებოდა და ეთქვა, ეს ამოჭერთო, რასაც ხშირ შემთხვევაში ვითვალ-ისწინებ კიდევ, მაგრამ მონტაჟში ხელს არაფერს მიშლის.

— **მონოლოგში რომელიმე კონ-კრეტულ ადამიანზე რომ ხუმრობ,**



არც ის განაწყენებულა შენზე?

— როგორ არა, დაურეკავთ კიდევ და საყვედურიც უთქვამთ. მაგრამ მე ყველა ჩემს ხუმრობაზე ჩემივე პასუხი მაქვს. ამ თემაზე პრესაში საუბარი სასურველი არ არის. მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ჩემზე განაწყენებული ადამიანი ხელისუფლების წარმომად-გენელი ნამდვილად არ ყოფილა.

— **ვინ არის შენთვის სანატრე-ლი სტუმარი?**

— შალვა ნათელაშვილი. უამ-რავჯერ ვცადე მასთან მოლაპარაკე-ბა, მაგრამ ვერანაირად ვერ დავი-თანხმე. მას არაჩვეულებრივი იუმორის გრძობა აქვს, მაგრამ ჩვენს გადაცე-მაში სტუმრობა არ სურს.

— **აღბათ მიაჩნია, რომ ახლა ჩვენს ქვეყანაში იუმორის დრო არ არის.**

— აბსოლუტურად სწორად გამ-ოიცანი.

— **შენ გადაცემა ყველაზე პოპ-ულარული იყო, როცა სტუდიაში ვანო მერაბიშვილი გყავდა, ერთხელ — სტუმრის ამპლუაში, მეორედ კი — წამყვანს. რამდენად ადვილია მასთან ურთიერთობა და როგორ იუმორი აქვს?**

— მართლა ძალიან კარგი იუმორის

გრძნობა აქვს, რადგან გადაცემამდე რამდენჯერმე შევხვდი მას, რათა ხუმ-რობები შეგვეთანხმებინა. ზოგიერთ ხუმრობაზე თქვა, ეს არ მინდაო, და ისეთები დატოვა, რომლებიც მართლა კარგი გამოვიდა. გადაცემაში მონაწილე მისი დათანხმება რთული არ აღმოჩნ-და. ჩვენ ასეთი იდეა გავგინდა, ვცა-დეთ, შევთავაზეთ და დაგვთანხმდა.

— **გადაცემის შემდეგ მასთან ურთიერთობა აღარ გქონია?**

— არანაირი. შემიძლია, ბავშვიც კი დავიფიცო... თუ სადმე წვეულებაზე შევხვდებით, მივესალმები და ერთმა-ნეთს კარგ ხუმრობებსაც ვეტყვით, მაგრამ მეგობრობა ნამდვილად არ გვაკავშირებს.

— **მასზე საკმაოდ ხშირად ხუმრობ ამაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონია?**

— არა, მსგავსი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა.

— **მოკლედ, ვიდრე შინაგან საქმე-თა სამინისტროს ვანო მერაბიშვილი უდგას სათავეში, შენ პოლიციათან პრობლემები არ შეგექმნება?**

— არა, ეგ რა შუაშია?! მე მთავრო-ბასთან არანაირი კავშირი არ მაქვს...

— **ცოტა „კომედი შოუზე“ ვი-საუბროთ. ამ ბოლო დროს, ხშირად ხდება, რომ ზოგიერთი სკეტჩი გი-ვარდებათ, არც ისე სასაცილო გა-მოგდით. ეს იმის ბრალი ხომ არ არის, რომ უკვე 6 წელია, ხუმრობით და ახალი ხუმრობების მოფიქრება ისე ხარისხიანად აღარ გამოგდით?**

— ეს ჩვენს ქვეყანაში აგორებული ფრაზებია. მომიტანე ნებისმიერი პროექტის ხუმრობები და შევადაროთ ჩვენს ხუმრობებს; მაშინ გამოჩნდება, რამდენად ხარისხიანია ჩვენი ხუმრობე-ბი... რეალურად, ყველა პროექტს აქვს ჩავარდნა. შესაძლოა, ერთი გადაცე-მა ძალიან კარგი იყოს, მეორე — არა. მაგალითად, დღეს „კომედი შოუს“ ძალიან მაღალი რეიტინგის მონაცე-მები მოგვივიდა. უკვე 6 წელია, ეკრან-ზე ვართ. ქართულ ტელეზარზე კი იშვიათად ხდება, რომ პროექტმა ამ-დენ ხანს იარსებოს. არა მაქვს იმის ამბიციია, რომ სულ წარმატებულები ვიქნებით. ხან ასე იქნება და ხან — ისე. შესაძლოა, შენც ზოგჯერ კარგი ინტერვიუ გამოგივიდეს, ზოგჯერ — ცუდი...

— **ეგ რესპონდენტზე დამოკ-იდებული... სასიამოვნო თემაზე გა-დავიდეთ. რომ არ ყოფილიყავი „ვანოს შოუს“ წამყვანი, ცნობილი პაროფენ-ბა, შენი მეუღლე თამარი მინც შენი მეუღლე იქნებოდა?**

— ვერ გეტყვი. თამარი იმის გამო ნამდვილად არ გამოყოფილია ცოლად, რომ პოპულარული ადამიანი ვიყავი. უბრალოდ, ჩვენს გაცნობამდე მას ჩემი პერსონაჟი ძალიან მოსწონდა. ქობულეთში, ერთ-ერთ რესტორანში გვერდიგვერდ სუფრასთან აღმოვჩნ-დით და ჩვენი ურთიერთობა მეგო-ბრობით დაიწყო; როცა ერთმანეთი კარგად გავიცანით, მერე გადაიზარ-და სიყვარულში. პოპულარული ვანო რომ არ ვყოფილიყავი, დიდი შან-სია, რომ იმ სუფრასთან საერთოდ ვერ მოხვედრილიყავი და ვერც თამარი გამეცნო.

— **როგორც ვიცი, ერთი შვილი გყავთ.**

— კი, ერთი ვაჟიკი გყავს — 2 წლის ნიკოლოზი. მეორე შვილის გაჩენისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, რადგან ნიკოლოზი ძალიან ცელქია. ჰოდა, ვცდილობთ, ჯერ ეს დავანყარ-ოთ და მერე ვიფიქრებთ მეორეზე.

— **ნიკოლოზს იუმორის გრძობა აქვს?**

— ძალიან მაგარი. არ მიყვარს, მშობლები შვილებს რომ აქებენ, მაგრამ ნიკოლოზი ისეთი ეშმაკი ბავშვია, ისეთი გამოხედვა აქვს, რომ თავისი მიმიკით მაცინებს. აქედან გამომდინარე, ვგრძნობ, რომ კარგი იუმორის გრძობა ექნება.

— **ბოლოს ისიც მითხარი — დაახლოებით 10 წლის შემდეგ სად და როგორ წარმოგიდგენია შენი თავი?**

— „ვანოს შოუს“ ფორმატის გადა-ცემის წამყვანი რაც უფრო ხანში შე-სულია, მით უფრო საინტერესო ხდება გადაცემა... 10 წლის შემდეგ 39 წლის ვიქნები და არ არის გამორიცხული, ისევე „ვანოს შოუს“ ეთერში ვიჯდე. ცოტა „ჟილიანი“ ადამიანი ვარ, ფრთე-ბის ჩამოყრა არ მიყვარს და როცა ჩავარდნა მაქვს, ვცდილობ, გადავლახო. შესაბამისად, ყველანაირად ვეცდები, რომ ამ გადაცემამ 10 წლის შემდეგაც იარსებოს. მთავარია, მშვიდობა იყოს ჩვენს ქვეყანაში...

სიახლე! ავეჯის მაღაზია „ლუი XV“ გთავაზობთ: ცუავის და ხავერდის ბელგიურ საბეულებს დაბალ ფასებში 200-დან 2000- ლარამდე

მისამართი: თბილისი რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 1492 IM BANGIN 836 77 65 82; 858 68 55 48

„ლიკანი“ — მიწის წიაღში დაბადებული უნიკალური წყალი

„ლიკანი“ მიწის წიაღში ფორმირებული უნიკალური ქიმიური შემადგენლობის მინერალური წყალია. გარდა ამ ღირებულებისა, მას განსხვავებული გემოვნებითი თვისებებიც ახასიათებს. კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ მიერ ჩატარდა ლიკანის ქაბურღილის კომპლექსური შესწავლა და მასზე დაყრდნობით დაიწყო მინერალური წყლის წარმოება. „ლიკანის“ საბადო განახლებადი რესურსების ტიპის საბადოა და ქაბურღილის სიღრმის წყალობით დაცულია გარეშე ეკოლოგიური ზემოქმედებისაგან.

გთავაზობთ ინტერვიუს კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ წყლის რესურსების მენეჯერთან, ბატონ **თიმურ კოროშინასთან**.

— ბატონო თიმურ, სად მდებარეობს „ბორჯომის“ საბადო და როგორი რელიეფია ამ მიდამოებში?

— ბორჯომის მინერალური წყლის საბადო მდებარეობს ქალაქ ბორჯომის და მისი მიმდებარე სოფლების — ვაშლოვანის, ყვიზისის და ლიკანის ტერიტორიაზე.

საბადოს ტერიტორია ხასიათდება მთაგორიანი რელიეფით და მდ. მტკვრის ვიწრო ხეობაში გადაჭიმულია 10 კმ-ის მანძილზე, სოფლებს — ლიკანსა და რველს შორის. ჩრდილო-დასავლეთიდან ის შემოსაზღვრულია აჭარა-თრიალეთის ქედით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — თრიალეთის ქედის სამხრეთი განშტოებებით.

ბორჯომის საბადოს ტერიტორია შეადგენს 20 კვ.კმ-ს და მოიცავს სამ საექსპლუატაციო უბანს: ცენტრალურს, ვაშლოვან-ყვიზისისას და ლიკანისას. ცენტრალური უბანი მდებარეობს ქ. ბორჯომის ფარგლებში. მის დასავლეთ გაგრძელებას სოფელ ლიკანის ტერიტორიაზე კი წარმოადგენს ლიკანის უბანი.

— რა უძლოდა წინ „ლიკანის“ ქარხნული წესით გამოშვებას? რა ტიპის სამუშაოები ჩატარდა ქაბურღილის კვლევის მიზნით?

— ლიკანის საბადო ცნობილი იყო ძალიან დიდი ხნის წინ. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც აქ იყო იმპერატორის სასახლე. თუმცა მისი ჩამოსხმა, „ბორჯომისაგან“ განსხვავებით, არ ხდებოდა.

როდესაც ჩვენმა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი ბრენდის გამოშვების შესახებ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ამ მინერალური წყლის ხელახალი, საფუძვლიანი კვლევის ჩატარების აუცილებლობა. მოხდა 1500 მეტრის სიღრმის ქაბურღილის ხელახლა შესწავლა და წყლის ქიმიური შემადგენლობის ანალიზი, რომელმაც გვაჩვენა, რომ წყალი უნიკალური შემცველობისაა და განსხვავდება ბორჯომის საბადოს სხვა ქაბურღილებისაგან.

იგი მიეკუთვნება ნახშირორჟანგიანი, პიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყლების ტიპს, მისი ტემპერატურა მიწის ზედაპირზე ამოსვლისას შეადგენს 37 გრადუსს. ლიკანის მინერალური წყლის თანმხვედრი და მასში გაჯერებული გაზი მთლიანად ნახშირორჟანგისაგან შედგება, რაც განაპირობებს ამ წყლის უნიკალურ გემოვნებით ღირებულებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ლიკანის მინერალურ წყალში დაბალია ნატრიუმისა და ქლორის შემცველობა და გაზრდილია კალციუმის და მაგნიუმის მაჩვენებლები, ხასიათდება დაბალი მინერალიზაციით და რბილი გემოთი.

შესაბამისი კვლევების ჩატარების შემდეგ კომპანიამ მიიღო აღნიშნული მინერალური წყლის ქარხნული წესით ცალკე ჩამოსხმის გადაწყვეტილება. კვლევა ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ჩამოსხმა ნიმუშები. საქართველოს სამ ქალაქში — თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში — ჩატარდა ტესტირება, რომელშიც მონაწილეობდა 16 ფოკუს-ჯგუფი. გამოიკითხა 4600 ადამიანი. კვლევამ დადებითი შედეგი მოგვცა და ამის შემდეგ გადაწყდა მისი ბაზარზე გაშვება.

— როგორ ხორციელდება მინერალური წყლის ხარისხის კონტროლი?

— კომპანიას 2006 წელს მიენიჭა

ხარისხის ევროპული სერტიფიკატი — ISO-22000.

აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ ყოველდღიურად ხდება „ლიკანის“ ქაბურღილიდან მოპოვებული და ჩამოსხმულ ქარხანაში შესული მინერალური წყლის შემოწმება, გარდა ამისა, კომპანიის ხარისხის სამსახურის მიერ წარმოების პროცესში ყოველ საათში ერთხელ ხდება წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი.

ლიკანის ქაბურღილის სიღრმე 1500 მეტრია. აქედან გამომდინარე, იგი დაცულია ნებისმიერი არასასურველი ეკოლოგიური ზემოქმედებისაგან.

— როგორია „ლიკანის“ საბადოს რეზერვი?

— „ლიკანის“ საბადო მიეკუთვნება განახლებადი რესურსების ტიპს. მოვიპოვებთ იმდენს, რამდენსაც გვაძლევს ბუნება. წყალი თვითდენით მოედინება და მისი რესურსი გეოლოგიურ დროში არ შეიცვლება, თუ დაცული იქნება ექსპლუატაციის არსებული პირობები.

— ხომ არ ახდენს წყლის რაოდენობაზე გავლენას წელიწადის დროები?

— ქაბურღილი ძალიან ღრმაა, ამიტომ წყლის რაოდენობა წელიწადის დროებზე არაა დამოკიდებული. საბადოს ერთ-ერთი კვების არე 40 კმ-ზე მდებარე ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში, ლომის მთის ტერიტორიაზეა განლაგებული.

მინერალური წყლის თვითდენით მოედინება განპირობებულია წყლის მაღალი ტემპერატურით (37 გრადუსი) და გაჯერებული CO₂-ით. ეს ამიდიანების ეფექტს იძლევა. წყალი თბილია და მსუბუქი, რაც მას ზედაპირზე ამოსვლის შესაძლებლობას აძლევს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ „ლიკანი“ — ნატურალური პროდუქტია.



„ლიკანის“ მინერალური შემადგენლობა	მგ/ლ
კალციუმი	100-150
მაგნიუმი	80-150
კალიუმი	25-45
ნატრიუმი	1000-1200
ჰიდროკარბონატები	3500-4500



სახე

რა ადგილი უკავია სასმელსა და თამბაქოს „ჩვენს ცხოვრებაში“

„ვინც ეწევა, მათთვის „არ მოსწიო“-ს თქვას აზრი არა აქვს“...

სიგარეტის მოწევა რომ „კლავს“ და არც ალკოჰოლური სასმელებია ჯანმრთელობისთვის კარგი, ცნობილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანები სწორად თამბაქოსაც ეტანებიან და ალკოჰოლსაც. ჩვენ რამდენიმე ცნობილ ადამიანს დავუკავშირდით და გავარკვიეთ, რა ადგილი უკავია მათ ცხოვრებაში თამბაქოსა და ალკოჰოლს.

თუო ყორღანაშვილი

ქათი ორჯონიძე:

— სიგარეტს არ ვწევ.

— მოწევის სურვილი არასოდეს გაგჩენია?

— ადამიანს ბევრი რამის სურვილი უჩნდება, მაგრამ ყველა სურვილი ხომ არ უნდა დაიკმაყოფილოს?!

— რატომ არ ეწევი? აცნობიერებ, რომ ჯანმრთელობისთვის მავნეა თუ უბრალოდ არ გსიამოვნებს?

— რომ გითხრა, სიგარეტი გასინჯული არ მაქვს-მეთქი, მოგატყუებ. მოწევისგან სიმღერის გამო ვიკავებ თავს. შეიძლება, ახლა არა, მაგრამ ასაკში რომ შედიხარ, მოწევა ყელთან დაკავშირებულ პრობ-

ლემებს იწვევს, — მე ასე ვიცი.

— ალკოჰოლურ სასმელთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— ალკოჰოლი ჯანმრთელობაზე ნებისმიერ ასაკში უარყოფითად მოქმედებს. მაგრამ ადამიანი მაგნე ჩვევების გარეშე არ არსებობს, ხომ (იციინის)?! ალკოჰოლური სასმელები მიყვარს — მაგას ვერ „წამარბივ“!..

— სწორად სვამ?

— ყოველდღე 100 გრამს არ „ვურახუნებ“, მაგრამ ძირითადად არც ერთ დღესასწაულს არ ვტოვებ.

— რომელ ალკოჰოლურ სასმელს ეტანები?

— ლუდი და ღვინო უფრო მიყვარს, ოღონდ ღვინო — ნითელი (ნახევრად ტკბილი) ან შავი.

— ოდესმე გონდაკარგვამდე თუ დამთვრალხარ?

— იმდენს კი არ ვსვამ, რომ მეორე დღეს რაღაცები არ მახსოვდეს. ნორმალურად, კარგად გეახლებით. რამდენჯერმე დავმთვრალვარ, მაგრამ ასეთ დროს გონება არ მეკარგება, ნაბიჯი არ მეშლება და ენა არ მეშებება. კარგი სიმთვრალე მაქვს — თავს ვაკონტროლებ.

— მწველებს, მსმელებს რას ურჩევ?

— ვურჩევ, რომ ყველაფერში ზომიერება დაიცვან — ძალიან ბევრი არაფერი ვარგა!

გიორგი ძორაძე:

— რა თქმა უნდა, დავმთვრალვარ, მაგრამ ბოლო თვეა, რაც ალკოჰოლური სასმლის წვეთიც კი არ დამილევი.

— ამის მიზეზი რა არის?

— შესაბამის სიტუაციაში არ აღმოვჩენილვარ (იციინის).



— საერთოდ, დალევა გიყვარს?

— კი, მაგრამ ისეც არა, რომ მარტო ვსვამდე ხოლმე. მეგობრებთან ერთად — სიამოვნებით.

— განმარტოებით, დარდის გასაქარვებლადაც არ დაგილევი?

— 20 წლის რომ ვიყავი — კი, მაგრამ ახლა 36 წლის ვარ (იციინის)...

— სიმთვრალის გამო უხერხულ სიტუაციაში თუ აღმოჩენილხარ?

— მსგავსი შემთხვევები ყოფილა, მაგრამ ისეთი — არა, რომ ჩემი საქციელის შემრცხვნიოდა.

— გიორგი, სიგარეტს თუ ეწევი?

— კი, თან — ბევრს.

— დიდი ხანა?


— სკოლის ასაკიდან.

— მშობლებისგან მალულად ეწეოდი?

— თავდაპირველად ჩუმად ვწნოდი, მაგრამ 16 წლიდან მშობლებთან ჩვეულებრივად ვწნევი.

— 16 წელი, ცოტა არ იყოს, ადრეული ასაკია. შენს მშობლებს





როგორი რეაქცია ჰქონდათ, როცა შეიტყვეს, რომ სიგარეტს ეწოდით?

— რას იზამდნენ?.. ამ შემთხვევაში, შეიძლება, რჩევა მოგცენ; ხომ ვერ ამიკრძალავდნენ?! ვცადე, სიგარეტისთვის თავი დამენებებინა.

— სიგარეტის გარეშე რამდენ ხანს გაქელი?

— 3 თვე.

— ეს მცირე დრო არ არის. მონევა ისევე რატომ გადაწყვიტეთ?

— მოწევა მომიწდა (იციინის).

— ვერ აცნობიერებ, რომ ჯანმრთელობისთვის მავნეა?

— საშინელებაა და ყველას ვურჩევ, არ მოსწიოს, მაგრამ მე...

ნია ბრიგოლია:

— ღვინოს — არა, ლუდსა და სხვა სპირტიან სასმელებს ვსვამ.

— უგონოდ თუ დამთვრალხარ?

— კი. ერთხელ კლუბში უგონოდ დავთვერი. დილით როცა გავიღვიძე, აღმოვაჩინე, რომ ჩემი ცოლის ნაცვლად გვერდით კოტიკო თოლორაია მენევა!

— ასეთ სიტუაციაში ხშირად ვარდები?

— არა, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო.

— „კომედი შოუს“ ბიჭებიდან ყველაზე ცუდი სიმთვრალე ვის აქვს?

— კობა ბარათელს! კობა კაბას იცვამს და მეგობრულად გვაცინებს: ქალი ვარ, ქალი ვარო! აი, ასეთი პათოლოგიური სიმთვრალე აქვს.

— ალბათ ხუმრობ, მაგრამ მაინც გკითხავ: საინტერესოა, თავისი ზომის კაბას სად შოულობს?

— ეს მისი „ტრადიციაა“: ერთი დიდი ზომის კაბა აქვს და როცა ქორწილში, საქეიფოდ მიდის, კაბაც თან მიაქვს. იუმორისტია და მისგან ასეთი საქციელი გასაგებია. ერთ „ნომერს“ ასრულებს ხოლმე. მერილინ მონროს სიმღერის ფონოგრაფას ჩართავს და მონროს იმიტაციას აკეთებს!..

— კარგი. ახლა თამბაქოს თემა შევეხოთ — სიგარეტს ეწევი?

— არც ვწეოდი, არც ახლა ვწევი და არც მოვწევი!

— შენს სამეგობრო წრეში ბევრი ეწევა?

— სამსახურში დაახლოებით 4 კაცი ვართ, ვინც არ ვწეოდა, დანარჩენი — ეწევა, მაგრამ მის გამო, რომ სამსახურში მოწევა არ შეიძლება, გარეთ გადიან ხოლმე. ეს ჩემთვის ძალიან კომფორტულია. ძირითადად სათევზაოდ ვიკრიბებით. ასეთ დროს თუ მოსწევინ, არ მანუხებენ.

— მწველ მეგობრებს რჩევას არ აძლევ?

— ვინც ეწევა, მათთვის „არ მოსწიო“-ს თქმას აზრი არა აქვს.

ნანიკო ხაზარაძე:

— სიგარეტს ვწევი, ალკოჰოლი არ მიყვარს!

— დღის განმავლობაში რამდენ ღერს ეწევი?

— ზოგჯერ მთელი დღე ისე გადის, რომ ერთ ღერსაც არ მოვწევი.

— სიგარეტისთვის თავის დანებება არ გიცდია?

— მიცდია და დამინებებია კიდევ. უბრალოდ, როცა დრო მოვა, რომ მივხვდები, თავი აუცილებლად უნდა დავანებო — დავანებებ!

— ამჟამად შენს ცხოვრებაში სიგარეტის აუცილებლობას რა განაპირობებს?

— არ ვიცი...

— ალკოჰოლურ სასმელს საერთოდ არ სვამ?

— საერთოდ, არ მიყვარს! მის სუნზეც კი ცუდი რეაქცია მაქვს.

ბია ცინაძე (მეზღერო):

— „ალკოჰოლიკი“ არა ვარ. როცა დაღვევის აუცილებლობაა, კონიაკს, ვისკის, არაყს გეახლებით. ღვინოც მიყვარს, ოღონდ „ქართულად“ რომ სვა-მენ, ისე — არა: ვწრუპავ ხოლმე...

— სადღეგრძელოების თქმა გიყვარს?

— რაც იმ დროს თავში მომივა, იმის თქმის სურვილი მიჩნდება, „ტრაფარეტული“ სადღეგრძელოები (ამის შემდეგ ეს უნდა თქვაო და ა.შ.) არ „მეგასება“.

— მარტოს თუ დაგიღვევია?



— დასათრობად — არა, სიამოვნებისთვის ლუდი დამიღვევია, კონიაკიც მომიწრუპავს.

— რამდენი ჭიქს დაღვეის შემდეგ თვრები?

— სასმელს გააჩნია: ზოგჯერ დიდხანს არ თვრები, ზოგჯერ კი 2-3 ჭიქაც მეტყობა. საერთოდ, სიმთვრალეს კარგად ვიტან: შემიძლია დავთვრე და არ „შევიმინო“. ისე არ დავმთვრალვარ, რომ მეორე დღეს არაფერი მსსომებოდა... ერთადერთხელ მქონდა შემთხვევა, როცა მეორე დღეს რაღაცებს ვიხსენებდი.

— სიგარეტს ეწევი?

— ძალიან იშვიათად. შეიძლება, ხანდახან რამდენიმე კვირა ისე გავიდეს, რომ სიგარეტი საერთოდ არ გამახსენდეს.



— აქტიური მწველი არასოდეს ყოფილხარ?

— არა. სიგარეტს არც ვყიდულობ.

— საერთოდ, მონევის სურვილი რატომ გაგიჩნდა? მით უმეტეს, რომ აქტიური მწველი არ ყოფილხარ...

— როცა სიგარეტის აქტიური მომხმარებელი არა ხარ, თავს უფლებას აძლევ, რომ ხანდახან გასართობად, დროის გასაყვანად მოსწიო.

— შენ გარშემო სხვები რომ ეწევიან, ეს დისკომფორტს არ გიქმნის?

— თუ ძალიან პატარა ოთახში ან მანქანაში ვართ, არ მსიამოვნებს, მაგრამ პრეტენზიებს არ გამოვთქვამ.

— ზოგ ქართველ მამაკაცს გართულება აქვს იმაზე, რომ ქალი სიგარეტს ეწევა. ამაზე რას ფიქრობ?

— გართულება არ მაქვს. ქალიც, კაციც — ადამიანია: თუკი კაცი ეწევა, ქალმა რატომ არ უნდა მოსწიოს?! უბრალოდ, ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

— ბოლო დროს მოზარდები ალკოჰოლურ სასმელებს, თამბაქოს ეტანებიან. მათ რას ურჩევ?

— ეს ძალიან ცუდია! სიგარეტის კოლოფსაც აწერია — „მონევა კლავს“. საშინელებაა, როცა ადამიანი თვითმკვლელობას ადრეულ ასაკში იწყებს. ამას თავად უნდა მისვდნენ. მგონი, აკრძალვით არაფერი ეშველება.



„კარგი გოგო არა ვარ — თუ კასი მიყვარს, მის ტელეფონის ვიდეოს ვიპოვებ...“

მასზე ხშირად ჭორაობენ. კრიტიკის ქარცეცხლშიც არაერთხელ მოხვედრილა. მაგრამ ყველაფერს ალლო აულო და არანაირ სიძნელეს არ შუუშინდა... ამბობს, რომ პირველ რიგში დედაა, მერე — კარიერისტი და სულ ბოლოს — საყვარელი ადამიანი. იმ ქალების რიცხვს არ მიეკუთვნება, ვინც საგულდაგულოდ, ტონალური კრემის ქვეშ მალავს ასაკს. ამბობს, რომ 39 წლის არის და ასაკს მიაწერს იმასაც, რომ პირადი ცხოვრება მესამე პლანზე გადაიტანა...

შევეცადე, ინბა ბრიგოლინს ფსიქოპოორტიკა შეემქმნა. ამაში თავადაც ჩვეული გულახდილობით დამეხმარა.

ინო მჭადლიშვილი

— ინბა, მოდი, შენი გულახდილობით დაიწყეთ: გინანია, ასეთი გულახდილი რომ ხარ ხოლმე ინტერვიუს დროს?

— ბევრჯერ მინანია ჩემი გულწრფელობა, ბევრჯერ მითქვამს ისეთი რამ, რაც შემდეგ სკანდალის თემად ქცეულა. სხვათა შორის, ჩემს მეგობრებს, დედაჩემს, ახლობლებს არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის, რომ ასეთი გულწრფელობაც არ შეიძლება. მაგრამ თუკი მედიასთან ურთიერთობაზე ვილაპარაკებთ, ამდენი წლის მუშაობის შემდეგ ერთადერთ დასკვნამდე მივყავდი — თუ გულწრფელი არა ხარ, მაშინ არ ვარგისარ როგორც რესპონდენტი. მე ყოველთვის ვხვდებოდი, როდის იტყუებოდნენ ჩემი რესპონდენტები. მე კი არა, ამას მაყურებელიც კარგად ხვდებოდა. არასდროს მიყვარდა ასეთი რესპონდენტების მონევა სტუდიაში, მაგრამ მიწევდა. მიმანია, რომ თუ არ შეგიძლია აჟურნალისტიან გულწრფელი იყო, ინტერვიუზე არც უნდა დათანხმდე.

— ხშირად მოხვედრილხარ კრიტიკის ქარცეცხლში; როგორ უძლებდებოდი ამას?

— არც ერთი აჟურნალისტი არ გამხდარა იმდენჯერ კრიტიკის ობიექტი, რამდენჯერაც მე. თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, მერე აღმოვაჩინე, რომ სანერვიულო არაფერია. როცა გაკრიტიკებენ, უნდა მიიღო შენთვის საჭირო, მნიშვნელოვანი შენიშვნები და გაითვალისწინო... მერე, წლე-

ბი რომ გავიდა, რეაქცია აღარ მქონდა. მერე ვისწავლე კრიტიკისა და ცილისწამების ერთმანეთისგან გარჩევა. ცილისწამებაზე ძალიან ცუდი რეაქცია მაქვს — შეიძლება, ავიღო ტელეფონი, დავურევო და ყველაფერი თავზე დავამხო მის ავტორს.

— ხშირად გქონია ასეთი შემთხვევა?

— ხშირად — არა, მაგრამ რამდენჯერმე დამირეკავს პრესის წარმომადგენლებთან, ვინც ცილს მწამებდა და პირდაპირ მითქვამს, რომ ეს ცილისწამებაა.

— თვითონ რამდენად გეადვილება ადამიანის გაკრიტიკება?

— კრიტიკა არ არის ჩემი საქმე, არასდროს ვყოფილვარ „კრიტიკოსი ჟურნალისტი“. მეგობრებთანაც კი არ მიყვარს ვილატის განკითხვა, მით უმეტეს, ჭორაობა და თუ ამას ვინმე ჩემი თანდასწრებით აკეთებს, იქვე გავცემ პასუხს აუცილებლად. არ მიყვარს ჭორაობა — ეს ცნობილი ფაქტია.

— ჭორები შენ შესახებ ალბათ ძირითადად პირად ცხოვრებას უკავშირდება. როგორ გგონია — მართო რომ ხარ, ამის ბრალი ხომ არ არის?

— ალბათ. როცა მართო ხარ, ბუნებრივად ჩნდება ჭორები. რაც შეეხება საქმიანობას — საქმიანობასთან დაკავშირებით აგორებული ჭორები არასდროს მალეულებდა და მიმანდა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ჩემი კონკურენტების ან მათ მიერ იყო აგორებული, ვისაც უნდა, რომ იყოს ისეთი წარმატებული, როგორც ვერ არის.

— რადგან საქმიანობა ასევე აქვე გკითხავ თუ არ ვცდები, ასეთი რამ თქვე ერთერთ ინტერვიუში: „თუ ოდესმე პოლიტიკაში წავედი, გამიყვანეთ ტყეში და მაგრად მცემთ“; რა შეიცვალა ამის თქმის შემდეგ?

— (იცინის) მართლა?! აღარ მახსოვს, მაგრამ შეიძლება, მართლაც ვთქვი... რა შეიცვალა?... გავიზარდე, რაღაცები შეიცვალა ჩემს ცნობიერებაში. ძალიან ემოციური ადამიანი ვარ და ჩემს ბუნებრივ დამოკიდებულებას პირდაპირ ვამბობ ხოლმე. ალბათ მაშინ ჯერ კიდევ იდეალისტი ვიყავი და მჯეროდა, რომ შემეძ-



ლო, მთელი ეს წლები, მიუხედავად ბევრი დახურული გადაცემისა, კიდევ მეკუთვინა გადაცემა. ამის საშუალება აღარ მომეცა. ნუ დაგვუჭავთ თვალებს — ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც შეიძლება, 5-ჯერ და 6-ჯერ დაგიხურონ გადაცემა... ჩემი პოლიტიკაში წასვლა ერთ დღეში არ მომხდარა. ნელ-ნელა გავაცნობიერე, რომ უფრო სერიოზულ პროცესებში მონაწილეობა და ამ პროცესებში ძალიან სერიოზული როლის თამაში მინდა. მე ამას მოვახერხებ!

— ჟურნალისტიკა არ გენატრება?

— ხანდახან მენატრება — როცა რაღაც მნიშვნელოვანი ხდება და ეს არ შეუქდება... საკრებულოს ბოლო სხდომაზე ისეთი დებატები იყო!.. საინფორმაციო საშუალებებმა თქვეს, ტყის საკითხი გადისო. არადა, ეს თემა მე-17-ხარისხოვანი იყო იმ სხდომაზე!.. მაშინ ვთქვი, — უხ, ახლა ეთერში ვიყო-მეთქი!.. თუმცა ამდენდაც უნდა მეწყინოს, არასდროს გამოვხატავ მძაფრ დამოკიდებულებას მედიის მიმართ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ როცა პოლიტიკაში მიდიხარ, მოთმენის ვალდებულება გაქვს. არასდროს მქონია ეს ვალდებულება აჟურნალისტიკაში ყოფნისას და არც ერთმენდი.

— რის მოთმენა გინევს პოლიტიკაში?

— თუნდაც იმის, რაც ამწუთას გითხარი: ასეთ შემთხვევაში, აჟურნალისტი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად დაფურეკავდი იმ აჟურნალისტს და ვეტყვოდი, რომ ეს ტყუილია; შეიძლება, ეს ეთერშიც მეთქვა. ყველაზე დიდი უბედურება, რაც ამ ხელისუფლებას დეემართა, ის იყო, რომ ლიად გამოხატავდა უკმაყოფილებას აჟურნალისტების მიმართ. ჩვენ გვყავს ისეთი



არასდროს უნდა მისცე თავს უფლება, ჟურნალისტს გაეზუგო



პრეზიდენტი, რომელმაც დაამკვიდრა, რომ განუთი არ უნდა წაიკითხო. ხელისუფლების წარმომადგენლები ბოლო პერიოდში ღიად გვიცხადებდნენ ბოიკოტს. ამ წლებში, სხვა ყველაფერთან ერთად, ერთი რამ მასწავლა — არასდროს უნდა მისცე თავს უფლება, ჟურნალისტს გაებუტო, ეჩხუბო და ბოიკოტი გამოუცხადო. 12 წელი ვაკეთებდი იმ საქმეს, რომელსაც ახლა სხვები აგრძელებენ და არ მაქვს უფლება, ვაპროტესტო მათი საქმიანობა.

— **სწორად გინჯეს საზოგადოებასთან ურთიერთობა. ხალხთან შეხვედრის დროს უცნობა მამაკაცს არ აცორებსელი კომპლიმენტი რომ გითხრას, როგორ იქნება შენი რეაქცია?**

— მაგალითად?
— „უხ, შენ გენაცვალე“

— მერე რა?! გავუღიმიებ და მადლობას გადავუხდები. ამაში ცუდი რა არის? თუმცა კომპლიმენტები არ მიყვარს. ქათინაური ორნამირი ვიცი: ერთი, რომელსაც ზრდილობისთვის გეუბნებიან, ვალის მოხდის მიზნით, და მეორე — გულწრფელი, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ადამიანისგან ვიღებ. თუ ვინმე ჩემთვის საინტერესო ადამიანმა უნდა შემეფასოს, კომპლიმენტი მითხრას, მირჩევნია, ეს სულ სხვა ვითარებაში მოხდეს, ვიდრე სახალხო.

— **როდის ნითლდები?**

— სხვათა შორის, ტყუილს როცა ვამბობ, არ ვნითლდები. მატყურა მართლა არა ვარ, მაგრამ თუკი მომიწევს თქმა, არ გაგნითლდები. ვნითლდები ძლიერი ემოციის დროს, როცა ძალიან გამიხარდება, ძალიან მენყინება ან ვენერვიულობ. ყველაზე მეტად ამას ვერ ვიტან ჩემში. საბედნიეროდ, ბოლო წლებში სულ „ზაგარი“ მაქვს და კარგად ვიღებ სინითლეს. თუმცა ნარუჯი იმისთვის კი არ მაქვს, რომ ჩემი ემოციები ვმალო (იღიმი).

— **ცნობისმოყვარეობის თემასაც შეგვხვთ: მაგალითად, გაინტერესებს,**



ადარასოდეს ვინერვიულებ პრადი ქსოვრების გამო იმდენს, რამდენსაც მანამდე ვინერვიულობდი

რა ხდება შენი კარის მეზობლის ბინაში?

— არა, მეზობლებს საერთოდ არ ვიცნობ, კარის მეზობელსაც კი მხოლოდ „გამარჯობის“ დონეზე ვიცნობ. არ მაინტერესებს მათი სამზარეულო. საერთოდ, ძალიან კარჩაკეტილი ვარ უცხო ადამიანებთან, თუმცა დიდი სამეგობრო წრე მაქვს. არ მიყვარს ტრადიციული ქართული ქეიფები, ოჯახური შეკრებები... მეტწილად იზოლირებული ვარ ყველაფერ ამისგან და ამიტომ „მინუნებენ“ დედაჩემი და ბებერი ჩემი ასლობელი. მე უფრო ჩემს მეგობრებთან ერთად მირჩევნია ყოფნა. ეს ყველაფერი ალბათ იმან გამოიწვია, რომ ყველა რაღაცას მთხოვს: როცა სწორად ჩანხარ ეკრანზე, პოპულარული ხარ, პრეზიდენტისგან ორჯერ მაინც გაქვს ინტერვიუ აღებული, ყველას ყოვლისშემძლე ჰგონიხარ და ნებისმიერი ჩემი არამეგობრული, ოფიციალური მიწვევა მთავრდება იმით, რომ ვილაცხა რაღაცას მთხოვს. ეს მაგიჟებს. ჩემი მეზობლები უკვე დიდი ხანია, გავაფრთხილებ, რომ არავინ არაფერი არ უნდა მთხოვოს.

— **უცნაური, სასაცილო თხოვნებიც არის ხოლმე?**

— არა, ეს არის ძალიან ჩვეულებრივი, ტიპური „ქართული თხოვნები“: ვილაცხა სამსახური უნდა, ვილაცხა — ბიზნესის დაწყება და ამისთვის კრედიტი სჭირდება, ან პრეზიდენტთან აქვს სათხოვარი. საკრებულოში სამჯერ მომმართეს ამ უკანასკნელი თხოვნით. ერთხელ პრეზიდენტის ოფისი მოვიდა; საკაპიულზე გიუღებოდა, ყოველ მეორე სიტყვას მის ქებას იმეორებდა... არ ვიცი — ალბათ ხელისუფლების წარმომადგენელი ვეგონე. რაღაც პრობლემა ჰქონდა და მთხოვდა, იქნებ შემახვედროო. სხვა რა უნდა მექნა? ისევე და ისევე, მოთმენის ვალდებულება გამოვიყენე. ავიღე ტელეფონი, ირმა ნადირაშვილს დაუფრევე და, მისდა სასახლოდ უნდა ვთქვა, რომ ამ ქალს ეს პრობლემა რაღაც ნაირად მოუგვარა. რამდენიმე დღის წინ მქონდა ფანტასტიკური შემთხვევა: მომადგა ბათუმში მცხოვრები მოქალაქე, გვარად უგულავა; ჰქონდა პრობლემა, რომლის გადაჭრა არც მე შემეძლო და ალბათ არც ხელისუფლებას. ვეკითხებოდი, — რით დაგეხმაროთ? იქნებ გნებავთ ჩვენი ორგანიზაციის ბათუმელი წევრების ამ საქმეში ჩართვა-მეთქი? — მე უგულავა ვარ და ამიტომ მოვედი: იქნებ გიგის შემახვედრო, ის მომიგვარებს ამ პრობლემას, მისი მოგვარე ვარ და იმიტომო, — დაიჟინა. ისტერიკა დამართა ლამის ამ კაცმა. ბოლოს გამოვედი წონასწორობიდან და ვუთხარი, — აქ რომ გაივლით, ყველანი უგულავას გუნდის წევრები არიან, შეიარაღე ნებისმიერ კაბინეტში, იქნებ შეგახვედრონ-მეთქი. მოკლედ, გული ვატიკინე, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. რომ გადიოდა, მობრუნდა და მითხრა, — იქნებ მობილურის ნომერი მაინც მომცეო (იციინს).

— **შორს წავედიო — ცნო**

ბისმოყვარეობაზე ვსაუბრობდით: საყვარელი მამაკაცის მობილურ ტელეფონში „შექვარალხარ“?

— უუუ, ეს ძალიან მძიმე თემაა... ხომ გითხარი — არა ვარ კარგი გოგო, თუ კაცი მიყვარს, ყოველთვის ნებადართული მაქვს მისი ტელეფონის აღება და იქიდან ინფორმაციის მიღება. შეიძლება, ეს სულაც არ არის კარგი, მაგრამ ჩემი სიყვარული ამასაც ითვალისწინებს. ყოფილა შემთხვევები, როცა ეს უნებართვოდაც ჩამიდენია. ეს ყველაზე დიდი სისულელეა, რაც შეყვარებულმა ქალმა შეიძლება გააკეთოს, იმიტომ, რომ შეიძლება, იქ ისეთი რამ აღმოაჩინო, რაც ცხოვრებაში სულაც არ არის საეჭიანო, მაგრამ მაინც კონფლიქტის მიზეზად იქცეს. ამას წინათ, ჩემი ერთ-



ხელს ასწევს, — ამის ნერვები არ მაქვსო, — იცყვის და სახლიდან გადის

ერთი თინეიჯერი მეგობარი მიყვებოდა, — „სკაიპი გაუტუტეს“ ჩემს შეყვარებულსო. ამის შედეგად ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. მე ერთადერთი ვიყავი, ვინც მას გაუგო. ყველა კიცხავდა. მეც არ მომიწონებია ეს საქციელი, მაგრამ გულით მაინც გავეუგე.

— **ამის გამო დაგიკარგავს საყვარელი ადამიანი?**

— ძალიან სერიოზულად გვიჩხუბია და ჩვენ შორის ნდობა გამქრალა.

— **როგორია გაბრაზებული ინგა?**

— სხვადასხვანაირი. ძალიან მკაცრი ვარ სახლში, ჩემი შვილის მიმართ. ყველაზე ჭკვიანი ადამიანი, ვინც ამ წლებში განმავლობაში გამიცნია, ჩემი შვილია. როცა მას შევითხვებ ვუსვამ, ვეჩხუბები, ხელს ასწევს, — ამის ნერვები არ მაქვსო, — იცყვის და სახლიდან გადის; მერე მისგან ესემესები მომდის: „ინგა დანყნარდი, მოვიდე?“ სამსახურში იმდენის უფლებას არ ვაძლევ თავს, რამდენისასაც სახლში. რაც შეეხება პირად ურთიერთობებს — ისტერიკა, ყვირილი და ცრემლები გამორიცხულია; თუ რაიმე არ მომწონს, უბრალოდ მივედივარ მისგან, თუნდაც ერთი თვით. ერთი თვის შემდეგ შეიძლება საკუთარ თავთან გაუჩნდეს კითხვა, — ჩვენ გვერდით რაიმე საერთოო?.. ყველაზე სასტიკი მაინც პირად ურთიერთობებში ვარ. თუმცა არ შემიძლია, ჩემს საყვარელ მამაკაცს ვაკადრო დაყვირება; სამაგიეროდ შემიძლია, ერთი თვე არ ვნახო... საკუთარი დანაშაულის აღიარებაც არ მიჭირს. შეიძლება, ბოდიში არ მოვიხადო, მაგრამ თუ ვგრძობ, რომ ურთიერთობა



ჩემ გამო გაფუჭდა, შერიგებისკენ პირველ ნაბიჯს გადავდგამ.

დაურეკავ?

— დაურეკავ ან ესემესს მივწერ. ეს უკანასკნელი ჩემი ცხოვრების ნაწილია. ყოველად შემთხვევა, როცა ასე, მიმოწერით შემყვარებია, — ვირტუალური ემოციები ძალიან მძაფრია ჩემში.

ქორწინებაზე აღარ ფიქრობ?

— არა, დიდი ხანია, აღარ მიფიქრია. იყო პერიოდები ჩემს ცხოვრებაში, როცა ხელიდან გაუშვი შანსი ან — გამომეპარა, მაშინ რომ არ ვნანობდი და დღეს ცოტა გული მწყდება, ისეთი; მაგრამ ახლა აღარ ვფიქრობ.

საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილს შენს მესთან გილაპარაკია?

— ძალიან დიდი ხანია — აღარ. ამ ზაფხულს დავრჩი მარტო ჩემს თავთან. ოჯახთან ერთად ვისვენებდი და სწირად მიწვედა საკუთარ თავთან მარტო ყოფნა. მაშინ აღმოვაჩინე, რომ ძალიან დავმორდი საკუთარ მეს. ჩემს თავთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ვთქვი, რომ ყველაფერი კარგად მიდის... თვითკრიტიკული ვარ, მაგრამ თუკი სამსახურსა და კარიერაზე ვილაპარაკებთ, აუცილებლად ვეჭყვი ჩემს თავს — „ყოჩაღ!“ ახლა ძალიან სწორ გზაზე ვდგავარ. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, აღარ არის ეს ჩემთვის საინტერესო; ოდესღაც — იყო; ეს ალბათ ასაკის ბრალიცაა. უკვე 39 წლის ვარ. ვისწავლე ის, რომ პირადი ცხოვრება ჩემთვის შეიძლება მესამეხარისხოვანი იყოს. არ ვაზვიადებ. პირველი არის ჩემი შვილი და ოჯახი, აქვე მოდის (არ ჩამორჩება) კარიერა და სამსახური და მერე — პირადი ცხოვრება. ერთი რამ ვიცი — აღარასოდეს ვინერვიულებ პირადი ცხოვრების გამო იმდენს, რამდენსაც მანამდე ვნერვიულობდი. ამბები იწყება, მთავრდება და ამას ვერ გააჩერებ, ეს პროცესია, ცხოვრებაა, ვერსად გაექცევი. მაგრამ ეს არ არის ჩემთვის პირველხარისხოვანი. ასე რომ იყოს, სამი ქმარი უკვე გამოცვლილი მეყოლებოდა (იცინის).

დღეს მარტო ხარ?

— მარტო ვარ.

ცუდია... მაგრამ ინტერვიუ იყო კარგი.

— გმადლობ.

„მის საქართველოს“ მთავარი მოთხოვნა ბიჭების მიმართ და უძღვით კაყოფილი „ვისა-მისაბი“

„მის საქართველო 2010“-ის კონკურსის გამარჯვებულს — დეა არაყიშვილს ახლახან მთავარი პრიზი — ავტომანქანა გადასცეს. საქართველოში ყველაზე ლამაზი ქალის ტიტულის მფლობელი მალე ჩინეთში გაემგზავრება და „მის მსოფლიოს“ ტიტულის მოსაპოვებლად იბრძობებს. მსოფლიოს სხვადასხვა კონკურსზე „ვიცე-მისებიც“ გაემგზავრებიან და ჩვენი ქვეყნის ღირსეულად წარდგენას შეეცდებიან.

ეთო ყორღანაშვილი

— დეა, უბრველეს ყოვლისა, კონკურსში გამარჯვებას გილოცავ! „მის საქართველოდ“ ყოფნა როგორია?

— გმადლობ! ძალიან ბედნიერი ვარ! დიდ სიხარულთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ, რადგან ახლა მთელ ქვეყანას წარმოვადგენ.

— პრიზებზე რას გვეტყვი — მოგწონა?

— ყველაზე მთავარი ის არის, რომ მანქანა მაჩუქეს! ასევე, რამდენიმე მნიშვნელოვანი დანესებულებისგან აბონემენტები გადმომცეს. აბონემენტებით სარგებლობის საშუალება მთელი წლის განმავლობაში მაქვს.

— მართვის მოწმობა გაქვს?

— არა, მაგრამ ავიღებ (იცინის)!

— როგორც „მის საქართველოს“, რა გეკრძალება?

— უბრველეს ყოვლისა, გათხოვება არ შემიძლია, ვიდრე ამ ტიტულს ვატარებ. ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს, რადგან კარგა ხანს გათხოვებას არ ვაპირებ! ასევე, „მის საქართველოს“ მოვალეობა უნდა შევასრულო.

— ეს რას ითვალისწინებს?

— რაც თავზე გვირგვინი დამადგეს, მას შემდეგ უკვე საჯარო პირი ვარ ანუ ახლა ისე თავისუფლად ველარ ვიქნები, როგორც წინათ, როცა ყურადღების ცენტრში არ ვიყავი მოქცეული. პასუხისმგებლობას ჩემი ტიტულიც მაკისრებს, მაგრამ საკუთარ თავს აკრძალები თავადაც დაფუწვს.

— ეს ყველაფერი რთულია?

— სასიამოვნოა, როცა ქვეყანაში ყველაზე ლამაზი ქალის ტიტულს



ატარებ, მაგრამ ამას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს. ასე რომ, საკმაოდ რთულია.

— უარყოფითი მხარე უკვე გამოვლინდა?

— კი, თუმცა ჯერჯერობით ამას ძალიან მტკივნეულად არ განვიცდი (იცინის).

— რას გრძნობ — შენ მიმართ ხალხის განწყობილება როგორია?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ალბათ საზოგადოებას მოვწონვარ, რადგან ჩემ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჯერჯერობით არავის გამოუვლენია.

— დიდი ხანია, რაც სამოდელო სფეროში მუშაობ?

— დაახლოებით ორი წელია.

— რომელი სააგენტოს მოდელი ხარ?

— „არტ ფეისში“ ვიყავი, კონკურსის შემდეგ კი „იმიჯ ცენტრში“ გადავედი.

— ჩვენებში აქტიურად მონაწილეობდი?

— დიახ, აქტიურად: საქართველოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან „ფეშენ მოვლენაში“ ვმონაწილეობდი, არც ერთი არ გამომიტოვებია.

— როგორც მოდელობა, უცხო-





ელების დაინტერესება თუ შექელი?

— კი, მაგრამ საქართველოდან გამგზავრება ვერ მოვახერხებ, რადგან უნივერსიტეტში ვსწავლობ — სწავლის პროცესს დიდი ხნით ვერ მივატოვებ.

— რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?

— „საერთაშორისო ურთიერთობებზე“. დიპლომატიით ბავშვობიდანვე დაინტერესებული ვიყავი. ჩემი აზრით, ქალს ეს პროფესია ძალიან უხდება. ამიტომ ჩემი არჩევანი ამ პროფესიაზე შევაჩერე.

— სწავლასა და მოდულობას ერთმანეთს როგორ უთავსებ?

— საკმაოდ რთულია, მით უმეტეს — ბოლო დროს, რადგან მოდულობის გამო, ჩემი რეჟიმი ძალიან დაიტვირთა. ვცდილობ, ორი საქმე ერთმანეთს შევუთავსო.

— ისეთივე წარმატებული სტუდენტი ხარ, როგორც მოდელი?

— კი, რა თქმა უნდა, რადგან საკუთარ თავს უფლებას არ ვაძლევ, ერთ საქმეში წარმატებული ვიყო, მეორეში კი — ყურადღება მოვადუნო. ყოველთვის ვცდილობ, რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაფერში წარმატებული ვიყო!

— გარეგნობაზე ზრუნვა ბევრ დროს გართმევს?

— კი, საკმაოდ. საერთოდ, ჩემს გარეგნობას ბავშვობიდანვე ყურადღებას ვაქცევ. თავს იმის უფლებას არ მივცემ, რომ სახლიდან მოუწესრიგებელი გავიდე. „მის საქართველოს“ კონკურსამდეც ასეთი ვიყავი და ალბათ, ყოველთვის ასეთი დავრჩები (იციანის).

— ფორმაში ყოფნას როგორ ახერხებ?

— ვცდილობ, ცხოვრების ჯანსაღ წესს მივდიო, აქტიურად ვვარჯიშობ, რაც ძალიან მესმარება.

— თავისუფალ დროს რას აკეთებ?

— მეგობრებთან ერთად მშვიდ გარემოში ყოფნა ჩემთვის ყველაზე კარგი გართობაა, მაგრამ ბოლო ხანს თავისუფალი დრო ამისთვისაც აღარ მრჩება (იციანის).

— ამის გამო მეგობრები ხომ არ გასაყვედურობენ?

— ცდილობენ, გამიგონ. ზოგჯერ მათთვის რალაცების ახსნაც მიწევს, მაგრამ არა უშავს — ეს ჩემი ტიტულის თანმსლები მოვლენაა.

— მას შემდეგ, რაც „მის საქართველო“ გახდი, ალბათ შენი თავყვანისმცემლების რაოდენობა გაიზარდა.

— ალბათ (იციანის). ჯერჯერობით „მომაბზურებელ სტადიაში“ არ გადასულან. იმედია, ასევე გაგრძელდნენ (იციანის).

— ორიგინალურ საჩუ-

ქრებს სშირად გიძენიან?

— კი. ერთ-ერთი, რაც დამამახსოვრდა, ისაა, რომ ძალიან რომანტიკულ, სენტიმენტალურ წერილებს სახლის წინ მიტოვებდნენ.

— წერილების ავტორის ვინაობა გაარკვევ?

— რა თქმა უნდა.

— მერე?—

— ჯერჯერობით ისევ მარტო ვარ (იციანის).

— როგორ ბიჭები მოგწონს?

— აუცილებლად ქერა უნდა იყოს ან შევეგრემანი-მეთქი, — ასეთი ჩამოყალიბებული სტერეოტიპი არ მაქვს. ჩემი პირველი მოთხოვნაა — ჩემზე დაბალი მაინც არ უნდა იყოს (იციანის).

— რამსიმალე ხარ?

— 180 სმ.

— ბიჭებთან ურთიერთობისას ეს პრობლემას სშირად გიქმნის?

— არც ისე სშირად. რატომღაც ჩემ გარშემო მალალი ბიჭები ტრიალებენ. ასე რომ, პრობლემა არ მექმნება. ამით ძალიან ბედნიერი ვარ (იციანის)!

— დეა, მსოფლიო სილამაზის კონკურსისთვის როგორ ემზადები?

— „მის საქართველოს“ კონკურსისთვის მზადებისას ძალიან დატვირთული რეჟიმი გექონდა. ალბათ ახლა ორმაგი დატვირთვით განვაგრძობ მუშაობას — ამჯერად ხომ მთელი მსოფლიოს ასპარეზზე გავდივარ!..

— მას ღშრნკაინა, „პირველი ვიცემის საქართველო“:

— ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე — „მის საქართველოს“ კონკურსზე გავსულიყავი. ჩემი ტიტულით კმაყოფილი, ბედნიერი ვარ!

— მოდელად მუშაობის გამოცდილება გაქვს?

— კი. ორი წელია, „იმიჯ ცენტრის“ მოდელი ვარ. კარიერის უფრო დიდი წარმატებით გაგრძელებას ვა-

პირებ!

— რომელიმე მსოფლიო კონკურსზე ხომ არ მიემგზავრები?

— „მის სამყაროზე“, რომელიც, სავარაუდოდ, აგვისტოში ჩატარდება.

— ნათა ბახტაძე, „მეორე ვიცემის საქართველო“.

— კონკურსში მონაწილეობა მეც ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე. კასტინგი გავიარე, 23 გოგონას შორის მოვხვდი. მოსამზადებელი პერიოდი გავიარე და საბოლოოდ „მეორე ვიცემის საქართველო“ გავხდი. მიმაჩნია, რომ ჩემი ტიტული — დიდი წარმატებაა, მომავალში კი უფრო დიდ წარმატებას მივალწე!

— რომელი სააგენტოს მოდელი ხარ?

— „იმიჯ ცენტრის“.

— რომელიმე კონკურსზე უცხოეთში შენც მიემგზავრები?

— საქართველოს სახელით „მის ინტერკონტინენტალზე“ წარვდგები.

— ნათია კახარაძე, „მესამე ვიცემის საქართველო“:

— „მის საქართველოს“ კონკურსში მონაწილეობა ოჯახის წევრებმა მირჩიეს. შედეგით კმაყოფილი ვარ: 23 ლამაზი გოგონადან ხუთეულში მოხვედრა ძალიან სასიამოვნოა! რომელიმე საერთაშორისო კონკურსზე თუ გამიშვებენ, ვცვდები, საქართველო კარგად წარვადგინო!

— რამდენი ხანაა, რაც მოდელი ხარ?

— დაახლოებით სამი წელია. „იმიჯ ცენტრის“ მოდელი ვარ.

— ანი მსაპინა, „მეოთხე ვიცემის საქართველო“:

— ეს ტიტული დიდ წარმატებად მიმაჩნია! ერთი წელია, რაც „იმიჯ ცენტრის“ მოდელი ვარ. ვეცდები, სერიოზული სამოდელო კარიერა გავიკეთო. ეს როგორ გამომივა, არ ვიცი, მაგრამ ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ წარმატებული მოდელი გავხდე!

— კონკურსანტებს შორის დაძაბულობა ხომ არ იგრძობოდა?

— გამოკვეთილად — არა. ერთი კვირა ბათუმში ვიყავით, რაც ჩვენი დაშვებებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

— „მის საქართველოს“ კონკურსის რომელიმე ნომინაციაში ისეთმა გოგონამ თუ გამარჯვდა, ვინც „იმიჯ ცენტრის“ მოდელი არ არის?

— კი, როგორ არა! მაგალითად, ერთ-ერთ ნომინაციაში ბორჯომელმა გოგონამ გაიმარჯვა...



მაიკლ ჯექსონის დედა კომპანიას სასამართლოში უჩივის

მაიკლ ჯექსონის დედა უჩივის კომპანიას — AEG Live, რომელიც ლონდონში მომღერლის გამოსათხოვარ კონცერტებს უწევდა ორგანიზაციას. კეტრინ ჯექსონი სარჩელში კომპანიას ხელშეკრულების დარღვევასა და შვილის სიკვდილში ადანაშაულებს. მომღერლის დედას მიაჩნია, რომ სწორედ AEG Live-ს ეკისრება პასუხისმგებლობა ჯექსონის პირადი კარდიოლოგის, კონრად მიურეის ქმედებაზე, რომელსაც არანინასნარ განზრახვით მკვლელობაში ედება ბრალი, თუმცა თავად ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.



როგორც ცნობილია, 50 წლის ვარსკვლავს 2009 წლის ივნისში გული გაუჩერდა. სიკვდილი პრეპარატ პროპოფილისა და სხვა მედიკამენტების გადამეტებულმა დოზამ გამოიწვია. გამოძიების ვერსიით, იმ მომენტში ძლიერმოქმედი ნაწილები პაციენტს აშკარად არ ესაჭიროებოდა. კონკრეტულად რას მოითხოვს პოპ-ვარსკვლავის დედა, ჯერჯერობით უცნობია, მხოლოდ ის ვიცით, რომ ბრალდება მაიკლ ჯექსონის 3 შვილის სახელითაც არის წაყენებული, რომელთა მეურვეობა კეტრინ ჯექსონს აქვს დაკისრებული. კეტრინი

აცხადებს, რომ ვარსკვლავის ვაჟმა, პრინც მაიკლმა მორალური ტრავმა მიიღო, როდესაც მამის სიცოცხლის ბოლო წუთებს შეესწრო.

კომპანია AEG Live-ის წარმომადგენელმა შექმნილი მდგომარეობის თაობაზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა და ეს იმით ახსნა, რომ კომპანიას კეტრინ ჯექსონის სარჩელი ჯერჯერობით არ მიუღია.

ექიმ კონრად მიურეის სასამართლო პროცესი 2011 წლის იანვარში დაიწყება და თუ ბრალდება დაუმტკიცდება, 4-წლიანი პატიმრობა ელის.

ალ კაპონეს ბაიოპიკი

კომპანია Warner Bros. ცნობილი განგსტერის, ალ კაპონეს შესახებ ბიოგრაფიული ფილმის გადაღებას გეგმავს. პროექტს „სისერო“ ეწოდება. ალ კაპონემ გასული საუკუნის 20-იან წლებში სწორედ ილინოისის შტატის ქალაქ სისეროში დაიწყო დანაშაულებრივი საქმიანობა და მძლავრი განგსტერული ქსელი შექმნა. მომავალი სურათი, სავარაუდოდ, განგსტერულ ფილმებს — „ანგელოზები ჭუჭყიანი სახეებით“ (1938) და „პატარა კეისარი“ — (1931) „ენათესავება“.

ცნობილია, რომ სურათის სცენარი უოლონ გრინს ეკუთვნის, რო-



მელსაც სერიალების — „სასწრაფო დახმარება“ და „კანონი და წესრიგი“, აგრეთვე — „რობოტი-პოლიციელის“ სცენარებზე უმუშავია. რეჟისორის ვინაობა კი ჯერჯერობით უცნობია.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ალ კაპონე მხატვრული ფილმის გმირი პირველად როდი ხდება. მაგალითად, რეჟისორ ბრაიან დე პალმას მიერ 1987 წელს გადაღებულ სურათში — „ხელშეუხებელი“ — ცნობილი განგსტერის სახე რობერტ დე ნირომ შექმნა, ხოლო 1975 წელს გადაღებულ ფილმში — „კაპონე“ — მთავარი როლი ბენ გაზარამ ითამაშა.

ლედი გაგამ Oasis-ის რეკორდი მოხსნა

ამერიკელმა პოპმომღერალმა ლედი გაგამ ბრიტანულ ჰიტ-ალბუმებში ყოფნის ხანგრძლივობის ახალი რეკორდი დაამყარა. მისი მიღწევა გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირდა, რომლის ბოლო გამოცემა მკითხველმა ამ ცოტა ხნის წინ მიიღო.

მომღერალმა ახალი რეკორდი ალბომის — The Fame წყალობით დაამყარა, რომელიც ბოლო 154 კვირის განმავლობაში 75 ყველაზე პოპულარული ჩანაწერის სიაში შედის. ლედი გაგამ კიდევ ერთი რეკორდი ინტერნეტში საძიებო მოთხოვნათა რაოდენობის მიხედვით დაამყარა. ამ მაჩვენებლით მომღერალმა ალასკის შტატის ყოფილ გუბერნატორს, სარა პეილინსაც გაუსწრო. მამაკაცთა შორის ინტერნეტში საძიებო მოთხოვნათა რეკორდული რაოდენობა მაიკლ ჯექსონს ეკუთვნის.

24 წლის ლედი გაგამ, რომლის სადებიუტო ალბომი 2008 წელს გამოვიდა, შოუბიზნესის სფეროში კიდევ რამდენიმე რეკორდის ავტორია. მაგალითად, 2009 წელს მომღერალი პირველი იყო, რომელმაც ერთი ალბომის 4 სიმღერით, პიტალუმში — Billboard Pop Songs Chart — პირველი ადგილი ოთხჯერ დაიკავა; ის ასევე ისტორიაში პირველი შემსრულებელია, რომლის ვიდეორგოლები ინტერნეტით მილიარდზე მეტჯერ იხილეს.



რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

„ბომონდის“ ოქტომბრის ნომერი
 „ცისვერები ცნობილ“ დისკთან ერთად



შეაბროვე
 კოლექცია



პრენი ხევის
 საბანძური

CD №1 ჯგუფი „შინ“
 CD №2 ჯგუფი „ქართული ხეები“
 შავიკლიათ შეიქმნოთ „გიგლუსის“ ნიგნის მადახითა ქსელში.

CD №3

საჩუქად!



ცხოვრება

თამბაქოსა და ალკოჰოლის მოყვარული მოზარდები ანუ მოდურ ტენდენსიად ქცეული მავნე ჩვევა

„მსგავსი ფაქტებისგან არც კედებოვები ვართ დაზღვეულნი...“

ბოლო დროს საოცრად იმატა თამბაქოს მწველი და ალკოჰოლის მოყვარული მოზარდების რიცხვმა. თუმცა, უნდა ვაღიარო, ეს ჩემს ბავშვობაშიც საკმაოდ აქტუალური თემა იყო და კარგად მახსოვს, კლასელი ბიჭები საპირფარეოში რომ შეიკეტებოდნენ, იქიდან სიგარეტის სუნით გაჟღენთილები გამოდიოდნენ, მაგრამ მათ ამის გამო პასუხს არავინ სთხოვდა.



ლებლის დაბადების დღე აღუნიშნავთ და მოზარდს ზომაზე მეტი არაყი დაუღევია. „სასწრაფო“ სულზე მოგვისწრო, მაგრამ ჩვენ კიდევ ერთი თავსატეხი გაგვიჩნდა, რადგან ის პატარა ბიჭი, რომელიც გოგონას ახლდა, მისი უმცროსი ძმა აღმოჩნდა. დაიკოს იგი სკოლიდან გამოუყვანია და შინ მიჰყავდა. საბედნიეროდ, ბავშვმა მისამართი იცოდა და ის მშობლებს ჩვენ მიუყვანეთ, უფროსი გოგონას შესახებაც შევატყობინეთ... მაშინაც

ნათია ჟივიძა

ამ პრობლემის გაშუქება რამდენიმე ფაქტმა გადამაწყვეტინა. 15 სექტემბერს, როცა აბსოლუტურად ყველა ბავშვი სკოლაში უნდა ყოფილიყო, ქუჩაში მიმავალი, ერთ-ერთი ავტოფარეხის წინ ორ პატარა ბიჭს ნავანყდი, რომლებიც ძალიან ცუდად იყვნენ და მათ თავს რამდენიმე კაცი დასტრიალებდა. მოზარდებს, რომლებსაც არაყი ჰქონდათ დაღუული, პირველადი დახმარება აღმოუჩინეთ, შემდეგ კი ვთხოვეთ, საკუთარი ვინაობა გაემხილათ, რათა მათი ოჯახის წევრებისთვის დაგვერეკა, მაგრამ ხელები გაასავსავეს, — ვერ გეტყვით, მშობლები მოგვკლავენო. საბოლოოდ, იქვე მდებარე სკოლას მივაკითხე და სასწავლო ნაწილს ამ მოზარდების შესახებ შევატყობინე. ის ქალბატონი მაშინვე უკან გამომევა, თუმცა იმედოვნებდა, — იქნებ ჩემი მოსწავლეები არ არიანო. იმედოვნებდა — ბავშვები ამოიც-

ნო, მოგვიანებით კი მათ მშობლებსაც დაუკავშირდა და „სასწრაფო დახმარების“ ავტომობილებს სკოლის თითო წარმომადგენელიც გააყოლა. როგორც მედიცინის მუშაკებმა თქვეს, მათ მწვავე ინტოქსიკაცია აღენიშნებოდათ. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ მოზარდები დილით სკოლაში მისულან, მერე გამოპარულან, არაყი უყიდიათ და დაუღევიათ. გაურკვეველია, სად იმყოფებოდნენ ამ დროს ხელისუფლების მიერ ნაქები და კარგად „გაპიარებული“ მანდატურები?!

მეორე ფაქტს კი ამ ამბამდე რამდენიმე თვით ადრე გადავანყედი, თუმცა ამ შემთხვევაში, მთავარი გმირი მოზარდი გოგონა გახლდათ. ის ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში წაიქცა და გონება დაკარგა. მას რამდენიმე თანაკლასელი და ერთი პატარა ბიჭუნაც ახლდა. რასაკვირველია, მაშინვე „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახეთ. როგორც გაირკვა, ბავშვებს სკოლაში მასწავ-

დავინტერესდი და ახლაც მაინტერესებს — რას აკეთებდა ის იუბილარი მასწავლებელი მაშინ, როცა 14 წლის ბავშვები მის სადღეგრძელოს ამბობდნენ და არყით ქეიფობდნენ? ალბათ, თვითონაც ცლიდა ჭიქას...

ამას წინათ რესტორანში, ნათესავის დაბადების დღეზე ვიმყოფებოდი. ჩვენთან ერთად სუფრას 13 წლის ბიჭი, დედასთან ერთად უჯდა. მოზარდმა მშობლებს უთხრა, — მე ამ მუყვე ღვინოს ვერ დავლევ, ჩემთვის ლუდი შეუკვეთეთო, მერე კი მოურიდებლად ამოიღო სიგარეტი და გააბოლა. სიმართლე ვითხრაო, გავვოცდი და დედამისს ვკითხე, — ამდენს როგორ გიბედავს-მეთქი? მან კი მიპასუხა:

— რა ვქნა, აბა, ვერაფერს ვაგებინებ. მიაჩნია, რომ უკვე კაცია და ყველაფრის უფლება აქვს. ხომ ხედავ, „დედასაც“ არ მეძახის — სახელით მომმართავს, რადგან მეგო-



ბრად მივაჩნივარ. როცა ფულს მთხოვს და არ ვაძლევ, ისეთ დღეში მაგდება, ჯობია, ულაპარაკოდ დავფინანსო. თანაც, ზუსტად ვიცი, იმ ფულით ან სიგარეტი უნდა იყიდოს, ან — ლუდი, ან გოგონებში გაისეირნოს. თუმცა მთავარი ისაა, რომ არ თამაშობს.



— მერე ამ ყველაფერს ასე მშვიდად უყურებ?

— აბა, რა უნდა ვქნა? კაცი რომ ქალებში გაისეირნებს, ალკოჰოლს დალევს და სიგარეტს მოსწევს, არ იცი? როგორ გგონია, შენი შვილი ამავეს არ გააკეთებს?

— მეიჭვება, ჩემმა შვილმა მსგავსი რაღაცები 13 წლის ასაკში გაბედოს.

— ასაკს რა მნიშვნელობა აქვს? პირიქით, სწორედ ამ ასაკში უნდა დაიწყოს ეს ყველაფერი.

— რას გულისხმობ?

— ახლა გარდატეხის ასაკი აქვს, კაცობს და მეც ხელს ვუწყობ, რომ ნამდვილ კაცად ჩამოყალიბდეს. მამამისმაც 12 წლის ასაკში დაიწყო სიგარეტის მოწევა და ამით არავინ დაზარალებულა, — თქვა ქალბატონმა, მერე თავდაც ამოიღო სიგარეტი და ემყოფილი სახით გააბოლოა, მე კი ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“ გამახსენდა, კერძოდ კი, როცა კუკარაჩამ ქალბატონ ანიკოს უთხრა: დადგენილია, რომ ყველაზე ხშირად, პაპიროსს იმ ოჯახის ბავშვები ეჩვევიან, რომელთა მშობლებიც ეწვევიანო...

ახლა კი ჩემს რესპონდენტებს გაგაცნობთ, რომელთაც ერთ-ერთ ეზოში გადავანყადი. მათი ასაკი საშუალოდ, 13-15 წელია. ბიჭები სკამის საზურგეზე ისხდნენ, ფეხები დასაჯდომზე შემოეწყობოთ, ზოგი მათგანი სიგარეტს ეწეოდა, ზოგს კი ხელში ლუდის ბოთლი ეკავა. სხვათა შორის, მათთან ერთად ორი გოგონაც იმყოფებოდა და ორივე ლუდს მიირთმევდა. როცა მათ ჩემი ვინაობა გავუხსილე, გადაიხარხარეს, მერე კი მკითხეს, — მეტი საქმე არა გაქვსო? დაუპირდი, რომ თუ სხვა რამეებზე გულახდილად დამელაპარაკებოდნენ, მათ სახელსაც კი არ ვკითხავდი. ჩემი წინადადებით დაინტერესდნენ და ლაპარაკი ერთ-ერთმა მათგანმა, შავტუხა, ლამაზი სახის ბიჭმა დაიწყო:

— ახლა უკვე 15 წლის ვხდები, სიგარეტი კი 12 წლისამ გავსინჯე. მახსოვს, თანაკლასელმა ბიჭებმა გადავწყვიტეთ, მოგვეწია; სიგარეტი ვიყიდეთ და ისეთი ადგილიც შევარჩიეთ, სადაც გაბოლებას შევძლებ-

დით. სიმართლე გითხრათ, არ მომეწონა და კარგა ხანს მოწევის სურვილიც არ გამჩენია, მაგრამ ვინაიდან თანაკლასელების უმეტესობა და მათ შორის გოგონებიც ეწეოდნენ, ვიფიქრე, გოიმი ხომ არ ვარ-მეთქი და ნელ-ნელა მეც შევეჩვიე. მართალია, ძალიან მიჭირდა, არ მსიამოვნებდა, მაგრამ მაინც ვეწეოდი.

— თავს რატომ იკლავდი?

— აბა, ყველა ეწეოდა და მე გამონაკლისი ხომ არ ვიქნებოდი?! თავიდან ბიჭები დამცინოდნენ, რადგან მოწევის დროს ხშირ-ხშირად ვახველებდი, მაგრამ უკვე მესამე წელია, ვწევი და ზუსტად ვიცი, უსიგარეტოდ ერთ დღესაც ვერ გავძლებ.

— მშობლებმა იციან, რომ ეწევი?

— არა, ეს რომ გაიგონ, გაგიჟდებიან! მათ არასოდეს ვუცემივარ, მაგრამ ალბათ, ამის გამო მცემენ კიდეც. ჩემი მშობლები სიგარეტს არ ეწევიან. როცა უფროსმა ძმამ გაიგო, რომ ვეწეოდი, სილა გამანაწინა. დაუპირდი, — აღარ მოვწევ-მეთქი და ახლა მასაც ვემალები. ვიდრე სახლში მივალ, სადღე რეზინს ან მზესუმზირას ვყიდულობ — ორივეს მაგრად გაჰყავს სიგარეტის სუნი. ტანსაცმელი კი მაქვს ხოლმე „აყროლებული“, მაგრამ ვაბობ, — ჩემი მეგობარი ბიჭები ეწევიან და

მეც ამიტომ ამდის ასეთი სუნი-მეთქი. ჯერჯერობით, მიჯერებენ (იცინის).

— სიგარეტის ფულს ვინ გაძლევს?

— ფულს მშობლები მაძლევენ, რათა საჭმელი ვიყიდო და მთელი დღე არ ვიშიმშილო. რა იცინს, რომ საჭმელს ვიკლებ და იმ თანხით სიგარეტს ვყიდულობ.

— ალკოჰოლიან სასმელსაც ეტანები?

— 2 წლის წინ კლასელის დაბადების დღეზე ცოცხადენი ღვინო დავლიე და იმ დღეს რაც მოხდა, არ მახსოვს, მეორე დღეს კი ლოგინიდან ვერ ვდგებოდი. მას მერე სასმელს ვერ ვიტან, მხოლოდ ლუდს ვსვამ და ამას არც ოჯახის წევრებს ვუმაღავ. მათ მიაჩნიათ, რომ ლუდის დაღვევა (რასაკვირველია, ზომიერად) ჩემი ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. თანაც, მამა გიჟდება ლუდზე და ეამაყება, მეც რომ მიყვარს. დაღვევის შესახებ აი, ამას, წრუნუნას ჰკითხეთ. ჩვენს შორის ყველაზე მსმელი ეს არის, — დამაკვალაინა სათვალაინმა ბიჭმა. წრუნუნას რომ შევხედე, გამეცინა, რადგან ის მეტსახელს ნამდვილად ამართლებდა. ბიჭუნა ისეთი ტანმორჩილი და გამხდარი იყო, რომ გაოცება ვერ დავფარე:

— მართლა ბევრს სვამ?

— რაც მინის ზემოდანაა, სამი მაგდენი ქვემოთაა, — უკბილოდ იხუმრა იმ სათვალაინმა, წრუნუნამ კი მორიდებულად მითხრა, რომ მას ალკოჰოლი ძნელად „ეკიდება“.

— მაინც, რამდენს სვამ?

— რა ვიცი, აბა, გააჩნია, სად ვართ და როგორ ხასიათზე. სიმართლე გითხრათ, ქუჩაში არ ვსვამ, ძირითადად, მეგობრების დაბადების დღეებზე ვილხენ. თუმცა, ნაძლევის გამო რამდენჯერმე ეზოშიც დამიღვევია. ნახევარლიტრიან არყის

შ.პ.ს კაისა
 საოფისა აპაჩი,
 საანატელარო ნივთები

- ▶ საბითუმო ფასები
- ▶ ადგილზე მიტანა
- ▶ ხარისხიანი მომსახურება

ვაჟა-ფშაველას №14
 ტელ: 37 21 22

www.kaisa.ge

ბოლოს დავცლი და ფეხიც არ ამერევა. ისე, სანაძღლოს გააჩნია, თორემ ლიტრიანსაც თავისუფლად მოვერევი. სიმართლე თუ გინდათ, თანატოლების დათრობას მხოლოდ იმიტომ ვახერხებ, რომ მათგან განსხვავებით, სიგარეტს არ ვენევი. როცა პირველად დავლიე, სიგარეტის გაბოლებაც ვცადე, მაგრამ ცუდად გავხდი, ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა და... მას შემდეგ აღარ მომიწევია. სხვათა შორის, მამაჩემი ცნობილი თამადაა...

— და ასეთი კარგი მსმელი რომ ხარ, იცის?

— როგორ არა! როცა ოჯახში სტუმარი გვყავს, მამა მეუბნება, — კაცი ხარ და სუფრას შენც უნდა მიუჯდეო. სტუმრებს სადღეგრძელოებსაც კი ვთავაზობ ხოლმე და მამა ამით ძალიან ამაყობს. ისე არ გაიგოთ, რომ ლოთი ვარ, უმიზეზოდ მხოლოდ ლუდს ვსვამ...

— გოგონებო, თქვენი ამბავიც ძალიან მაინტერესებს. როგორც მივხვდი, სიგარეტსაც ეწვეით და ლუდსაც მიირთმევთ...

— მერე რა პრობლემაა? მალე 15 წლის გავხდები. უკვე დიდი ვარ და თუ მინდა, დავლევ, თუ მინდა — მოვწევ, — სიტყვა შევთმინამა გოგონამ ჩამომართვა.

— შენი მშობლებიც ასე ფიქრობენ?

— სამწუხაროდ — არა! ხომ იცი დღევანდელი მშობლების ამბავი, მათ შვილების ნაკლებად ესმით; სულ არ აინტერესებთ, მე რა მინდა და რა — არა. მხოლოდ იმას მეუბნებიან, რომ კარგად უნდა ვისწავლო. კი, ბატონო, ვსწავლობ კიდევ, რადგან ვიცი, ამ ცხოვრებაში უსწავლელად ვერაფერს მივალწევ, მაგრამ სიგარეტსაც რომ ვენევი, ამით ვის რას ვუშავებ? სხვათა

შორის, სიგარეტის მოწევა ჩემმა უფროსმა ძმამ მასწავლა. როცა მოწევა თავად დაიწყო, მითხრა, — ეს რომ გაიგონ, მხოლოდ მე მეჩხუბებიან, მაგრამ თუ ორივე მოწნევთ, ისე ძალიან არ იჩხუბებენო. ჰოდა, ახლა ერთმანეთს ვპარავთ სიგარეტს, მშობლებმა კი ამის შესახებ არაფერი იციან. სხვათა შორის, ზოგჯერ სასმელსაც ვეტანები. მაგალითად, როცა დაბადების დღეზე მივდივარ, ცოტა ხასიათზე ხომ უნდა მოვიდე? ჰოდა, რამდენიმე ჭიქას ვსვამ და მერე კარგად ვერთობი. ლუდი კი მართლა მიყვარს. ეს ერთადერთი რამაა, რასაც ოჯახის წევრებს არ ვუშლავ და ამის გამო პრობლემა არ მექმნება.

გადავწყვიტე, ამ თემასთან დაკავშირებით მასწავლებლებსაც დავლაპარაკებოდი, მაგრამ ინტერვიუზე მათი დათანხმება ძალიან გამიჭირდა. უმეტესობა მეუბნებოდა: სკოლიდან გასული ბავშვი რას აკეთებს, ეგ ჩვენი საქმე აღარ არის, სკოლაში კი არც სვამენ და არც ეწვეიანო (!?). ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთი პედაგოგი დავიყოლიე, მაგრამ მისი პასუხი სხვებისგან არაფრით გამოირჩევა.

ციცინო ღარსაძე, ისტორიის პედაგოგი:

— სკოლიდან მკაცრად კონტროლდება — ყველგან კამერაა დამონტაჟებული და ბავშვებს მანდატურებიც სულ უკან დასდევენ, ამიტომ გამორიცხულია, რომ მოზარდმა სკოლაში ან თამბაქო მოსწიოს, ან ალკოჰოლი მიიღოს. გაკვეთილების დასრულების შემდეგ კი ბავშვებზე პასუხისმგებელი მშობელია. თუ შვილი შინ მისვლას დააგვიანებს, უნდა მოვიკითხოთ, სად არის. აბა, რისთვის უყიდეს შვილებს მობილური ტელეფონები?

— არაერთი ისეთი შემთხვევა ყოფილა, როცა ბავშვს სკოლაში სიგარეტი მოუწევია ან მასწავლებლის დაბადების დღის აღსანიშნავად, ალკოჰოლური სასმელი დაუღვია...

— გამორიცხულია! მოსწავლეებს არაერთი დაბადების დღე მოულოციათ ჩემთვის, მაგრამ მათთვის ალკოჰოლური სასმელი არ მიმიწოდებია. შარშან შესაძლოა, სიგარეტს საპირფარეოში ან სხვა მოფარებულ ადგილას ეწვოდნენ, მაგრამ წელს მსგავსი რამ აღარ მოხდებოდა! ადრე სკოლაში მანდატურები არ იყვნენ, გაკვეთილზე შესული მასწავლებელი კი ნამდვილად ვერ გააკონტროლებდა, რომელი ბავშვი რომელ ტუალეტში იმალებო-

და.
— თქვენ თუ გყავთ შვილები?

— ორი ვაჟი მყავს და ორივემ სკოლის ასაკიდანვე დაიწყო სიგარეტის მოწევა. ასე რომ, მსგავსი ცუდი ფაქტისგან არც შედაგოგები ვართ დაზღვეულნი...

როცა აღნიშნული თემის მომზადება დავასრულე, მივხვდი, რომ ამ ყველაფერს სპეციალისტის დასკვნა აკლდა და სწორედ ამიტომ, ბავშვთა ფსიქოლოგს, ნინო ბურდულს დაუუკავშირდი.

— მოზარდებს გარდატეხის ასაკი საკმაოდ ძვირად გადააქვთ. ამ დროს ხშირია დებრესიული მდგომარეობა, ალგზნებადობა, აგრესია გარშემო მყოფებისადმი. მოზარდები განსაკუთრებით დიდ აგრესიას მშობლების მიმართ ამჟღავნებენ, რადგან მიიჩნევიან, რომ უკვე ზრდასრული ადამიანები არიან და მშობლები მათ უფლებებს ზღუდავენ. ასეთ დროს ბავშვი შეგნებულად აკეთებს იმას, რაც მის მშობლებს გულს ატკენს. თითქოს, ამით ამტკიცებს, რომ უკვე დიდა და უფროსების ჭკუაზე აღარ დადის. თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებას კი, ხშირ შემთხვევაში, ოჯახში სწავლობენ; თუ მოზარდი ამ მხენე ჩვევებისადმი მიდრეკილია, გამორიცხულია, რომ მას ოჯახში ამის მაგალითი არ ჰქონდეს. თუმცა, გამონაკლისებიც არსებობენ ანუ ლაპარაკია იმ მოზარდებზე, რომლებიც თანატოლებს ჰბაძავენ. ისე კი, მშობლების საყურადღებოდ ვამბობ და კარგია, თუ გაითვალისწინებენ: ალკოჰოლისა და თამბაქოს მიღებიდან ნარკოტიკის მიღებამდე ერთი ნაბიჯია. მერწმუნეთ, მოზარდი, რომელსაც თამბაქო და ალკოჰოლი გასინჯული არა აქვს, ნარკოტიკს არავითარ შემთხვევაში არ გასინჯავს. რასაკვირველია, ყველა მწველი მოზარდი ნარკომანი არ ხდება, მაგრამ ეს საკითხი მაინც, საყურადღებოა.

— იქნებ გვირჩიოთ, როგორ დავხმაროთ შვილებს კარგისა და ცუდის გარჩევაში?

— ეს საკმაოდ რთულია. თითოეული ჩვენგანი, უპირველეს ყოვლისა, შვილთან მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას უნდა შეეცადოს. რასაკვირველია, ხშირად ბავშვი ისეთ რამეს აკეთებს, რომ ძნელია, არ ეჩხუბო, მაგრამ მაინც, ჯობია, შეეცადოთ და ბავშვს დიპლომატიურად მიუვადგეთ, მასთან მოლაპარაკებები დიალოგის გზით ვანარმოოთ, რჩევა თუ შენიშვნა მეგობრული ტონით მიცვეთ და დაემერწმუნეთ, ის უფრო დავიჯერებს...





36 წლის მამაკაცმა ნათესავები სადისტურად დახოცა

„მკვლელს მსხვერპლთა დანვა წინასწარ ჰქონდა განზრახული“

თავ სურსილავა

შემზარავი დანაშაული, რომელმაც საზოგადოება შეძრა, 23 სექტემბერს, თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მოხდა. იმ საბედისწერო დღეს მეზობლებს უცნაური ტკაცუნის ხმა მოესმათ, დამწვრის სუნიც იგრძნეს, სადარბაზოში გავიდნენ და მიხვდნენ, რომ ეს სუნი მათი მეზობლების სახლიდან გამოდიოდა. კარზე დააკაკუნეს, მაგრამ იქიდან არავინ გამოეხმაურათ. მალე კვამლიც თვალმისაცემი გახდა და სასწრაფოდ, „სახანძრო“ გამოიძახეს. მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ, მაგრამ რკინის კარის გაღება ვერც მათ მოახერხეს, ამიტომ სპეციალური კიბით მეორე სართულის აივანზე ავიდნენ — კარი და ფანჯრები აქაც ჩაკეტილი იყო, ამიტომაც მინის ჩამსხვრევა მოუხდათ. მეხანძრეებმა ცეცხლის ლოკალიზება შეძლეს. ვინაიდან ბინაში ცეცხლის ორი კერა აღმოჩნდა, თავიდანვე გაჩნდა ეჭვი, რომ ხანძარი ხელოვნურად იყო გაჩენილი... მალე ძალოვნებიც გამოჩნდნენ და ბინიდან ორი ქალის — ოჯახის დიასახლისის, 36 წლის თამარ ჯოგლიძისა და მისი სტუმრის, 19 წლის ინგა თუშიშვილის ცხედრები პროზექტურაში გადაასვენეს. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ მათ ძალადობის კვალი ეტყობოდათ. წინასწარი მონაცემებით, მკვლელმა თითოეულს 21 ჭრილობა მიაყენა (ქუსპერტიზის საბოლოო შედეგები მოგვიანებით გახდება ცნობილი). კინოლოგები შემთხვევის ადგილზე კარგა ხანს მუშაობდნენ. მომხდარზე თავიდანვე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა და სულ მალე, მკვლელობაში ეჭვმიტანილიც დააკავეს.

„პოლიცია მგონი, მაშველებმა გამოიძახეს. ჩვენთან არაფერს ამბობდნენ. მალე გაირკვა, რომ თამუნა და მისი სტუმარი მოკლულები იყვნენ. არ ვიცი, მკვლელმა ისინი ასე რატომ გაიმეტა, ასე სადისტურად რატომ აწამა... ჩვენ თავიდანვე ვფიქრობდით, რომ ამაში მათი ახლობელი იქნებოდა გარეული, რადგან სადარბაზო იკეტება და კარი შიგნიდან რომ არ გაეღოთ, ის მკვლელი ბინაში ვერ შეაღწევდა. თქვენ არ იცით, რა კარგი გოგო მოკლეს. თამუნა ყველას გვიყვარდა, ძალიან თბილი ად-



ამიანი იყო; საცოდავს, 2 შვილი დარჩა. მეორე გოგოს არ ვიცნობდი“, — გვითხრა მეზობელმა.

ძალოვნებს დანაშაულის ოპერატიულად გახსნაში სათვალთვლო კამერები დაეხმარა. როგორც ამბობენ, დაკითხვაზე მიყვანილ მოკლულის ნათესავებს კადრებში მკვლელის ამოცნობა არ გასჭირვებიათ და მკვლელობაში ბრალდებული 36 წლის გიორგი თორაძე იმავე საღამოს დააკავეს. თორაძეს მოკლულის — თამარ ჯოგლიძის მეუღლის ნათესავი ჰყავდა ცოლად. ის ინგა თუშიშვილსაც იცნობდა, ვინაიდან კახეთში, ერთ სოფელში ცხოვრობდნენ. მოკლული 19 წლის გოგონას ცხედარი მშობლიურ სოფელში გადაასვენეს და იქ დაკრძალეს. თურმე, გოგონა ნათესავებთან ერთი დღით ჩამოვიდა.

ძალოვნებმა სათვალთვლო კამერაზე აღბეჭდილი მასალაც მალევე გაავრცელეს. კადრებიდან ჩანს, თუ როგორ ჩაძვრა დანაშაულზე მეორე სართულის ფანჯრიდან ეზოს უკანა მხარეს, რამდენიმე წუთი კედელთან მიყუჩული იდგა, შემდეგ კი იქაურობა დატოვა, ნივთმტკიცება გადაყარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თორაძე ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ამ შემზარავი დანაშაულის დანამდენიმე საათში პოლიცია მის კვალს მიაგნებდა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ მკვლელობა ძარცვის მიზნით იყო ჩადენილი. ვინაიდან ბრალდებულს სახლში დიასახლისი და მისი ნათესავი გოგონა დახვდნენ, რომლებიც განზრახვის შესრულებაში შეუშლიდნენ ხელს, მან ისინი სადისტურად დახო-

ცა. თუმცა ეს ინფორმაცია მოგვიანებით, თავად ბრალდებულის აღიარებითმა ჩვენებამ გააქარწყლა. მან აღიარა, რომ მკვლელობა წინასწარ ჰქონდა განზრახული (სტილი დაცულია):

„23 სექტემბერს სახლიდან წამოვედი. 3 ლიტრა ბენზინი ვიყიდე იმისთვის, რომ ბოლოს დავწვავდი და კვალს დავფარავდი. რომ მივედი, დავაკაკუნე. კარი თამუნამ გამიღო, შემიპატიჟა და სახლში შევედი. სტუმრად ნათესავი გოგო ჰყავდა. სამზარეულოში საქმელს ჭამდნენ. მერე თამუნა ვანაში შევიდა, ინგა საძინებელში გავიდა, იქ დიდევრანიან ტელევიზორს უყურებდა. ამ დროს ხელთათმანები გავიკეთე, ავიღე ხის ტაბურეტი, სპალნაში შევედი და ინგას

დავარტი თავში. გონი არ დაკარგა და ყვირილი დაიწყო. ამ ყვირილზე, შეთვალეირებული პურის საჭრელი ხის ტარიანი დიდი დანა ავიღე, ისევ შევედი, თმებში ნაჯვლე ხელი და რომ გამეჩუმებინა, დანას ვურტყამდი. ამ დროს თამუნა გამოვიდა. რომ დამინახა, მითხრა, ხომ არ გაგიყვდი, რას შვრებიო? ვუთხარი, ფული მინდა-მეთქი. რა ფულიო და ისიც წინააღმდეგობის განწევას შეეცადა. ამასაც იგივე მოჰყვა: ისიც რომ გამეჩუმებინა, დანას ვურტყამდი. ერთ-ერთი ბოლო დარტყმის დროს ავაცილე და ხელში ჩავივრტყი. მერე საწოლს ბენზინი გადავასხი, ჩემი და სისხლიანი ნივთები პარკში და ზურგჩანთაში ჩავვალაგე, სანთებელით ცეცხლი მოვეუკიდე, გამოვედი აივანზე, გადმოვყარე ჩანთა და პარკი, მერე აივანისა და ლიფტის შახტას ჰოლიდან ჩამოვძვერი“, — ასეთი შემზარავი თორაძის აღიარებითი ჩვენების ფრაგმენტი. ფაქტია, ეს ჩვენება მის ბრალს მეტად დაამძიმებს. როგორც ბრალდებული აცხადებს, მკვლელობის შემდეგ მას მსხვერპლთა დანვა წინასწარ ჰქონდა განზრახული და ისიც ცნობილია, რომ ვიდრე ბინას დატოვებდა, იქაურობა გაძარცვა, სამკაულები წაიღო. ძალოვნებმა ნაყაზღარი ნივთებიც ამოიღეს.

ისმის კითხვა, — რატომ გაიმეტა თორაძემ ნათესავები და რატომ ჰქონდა მას ცხედრების დანვა წინასწარ გადაწყვეტილი? ის, რომ გაა თორაძე ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, ამას ახლობლები ადასტურებენ; ისიც ცნობილია, რომ ის მოთამაშე გახლდათ და



ფულს სშირად აგებდა. როგორც ამბობენ, ამჯერადაც დიდი თანხა ჰქონდა წაგებული „მანაჟმენტი“-ს, მან კი ფულის შოვნა ნათესავეების ოჯახის დაყარვების გზით გადაწყვიტა. როგორც მეზობლები ამბობენ, ეს ოჯახი მატერიალურად ძლიერი ნამდვილად არ იყო. ჩნდება კითხვები: მაშინ რატომ შეირჩა მაინცდამაინც ეს ოჯახი? ამ დანაშაულის უკან რაიმე სხვა მიზეზიც ხომ არ იმალება? — იმედია, ამას გამოძიება მალე დაადგენს. როგორც ამბობენ, მკვლეელი ინგა თუშიშვილსაც კარგად იცნობდა.

„ნარმოუდგენელია, რა შურისძიებაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი... არ ვიცი, მომხდარი თუ მოკირბული ვარ. თქვენ არ იცით, რა კარგი გოგო მოკლეს. თამუნა ყველას უყვარდა, მასთან ურთიერთობა ყველას სიამოვნებდა. იმ ბავშვს არ ვიცნობდი, მაგრამ საყვარელი გოგო ყოფილა. თურმე, თამუნა ძალიან უყვარდა და მათთან სახლში სტუმრად ჩამოდიოდა. ის თამუნას მეუღლის, ვიას ნათესავი გახლდათ. ბიძის სახლში იყო და ასე გაიმეტა მკვლელობა... მაგას გასამართლება რად უნდა? ცოცხლად უნდა დანვა, როგორც ამათი ცხედრები დანვა. ანგელოზებით გოგოები დაასახიჩრა, მათ მთელი სხეული დასერილი და დამწვარი აქვთ. გამაგებინეთ, რისთვის? რა უნდოდა? რა ფული ეგულებოდა ამ სახლში? როგორც ვიცი, სულ აგებდა და ცოლშვილი ანიოკებულნი ჰყავდა. ცოლი განქორწინებასაც აპირებდა და ოჯახი რომ შეინარჩუნა, ამათი დამსახურება იყო. ჰოდა, ამისთვის გაამწარა ეს ხალხი? ამ სიკეთისთვის მოკლა თამუნა? ამიტომ დააობლა მისი შვილები? სახლი დაუნვა და რომ არა მეზობლები, ალბათ, ცხედრებიც სანატრელი გაგვიხდებოდა. ის უშკაცრესად უნდა დაისაჯოს“ — გვითხრა თამუნა ჯოგლიძის ნათესავმა, რომელიც ცრემლებს ვერ იკავებდა.

მომხდარი თუ მოკირბული არიან ახლობლები და ცხადია, ლაპარაკი უჭირთ, თუმცა ყველას პოზიცია ერთნაირია: დამნაშავე უშკაცრესად უნდა დაისაჯოს! სასამართლომ ბრალდებულს 2-თვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა. მას სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით — დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა, ასევე, სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება წაუყენეს ბრალად.

თამარ ჯოგლიძეს მეუღლე და 2 შვილი დარჩა. მისი ცხედარი საბურთალოზე, მაზლის სახლში დაასვენეს, აღმასწავლებლის გამზირზე მდებარე მათი ბინა კი ძალოვნებმა დალუქეს. კრიმინალისტიკმა მუშაობა უკვე დაასრულეს.

გამოძიება გრძელდება, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავეს საშუალო პატიმრობა ელის.

გერმანელი ქირურგების ჰუმანური გადაწყვეტილება და უსახსრობის გამო დაჩაბრული მოზარდი

„ის კიბაზე დამოუკიდებლად გადაადგილდება...“

ექიმებს (ისევე, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს) შეცდომა რომ მოსდით ხოლმე, ამაში მგონი, გასაკვირია არაფერია, მაგრამ შეცდომა არ შეიძლება დავარქვათ იმას, როცა ექიმს სამი დღის ჩვილი ხელიდან გაუვარდება. როგორც აჭარელი გოგიატა მურცხვალაძე ამბობს, მისმა შვილმა სწორედ ამ საბედისწერო შემთხვევის შედეგად მიიღო ტრავმა, რომლის წყალობითაც, დღეს იგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონედ მიიჩნევა.

ლია ქაჯაია

სხვათა შორის, ჯაბას შესახებ ჩვენ 2008 წელსაც გამოვექვეყნეთ ვრცელი სტატია, სადაც ბატონი გოგიატა ამბობდა, რომ მის შვილს ესაჭიროებოდა მეექვსე ოპერაცია, რათა ჯაბას მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვლილიყო. რამდენიმე დღის წინ ბატონი გოგიატა რედაქციაში ისევ გვესტუმრა და დახმარება კიდევ ერთხელ გვთხოვა.

— მოგესვენებათ, ჩემი შვილი დაბადებიდან მესამე დღეს, შეხვევის დროს, ექიმებს ხელიდან გაუვარდათ და ბავშვმა მძიმე ტრავმა მიიღო. ამ ამბავს შემთხვევით შეესწრო ადამიანი, რომელმაც მშობლებს ინფორმაცია მოგვანოდა, მაგრამ მაშინ არავინ იცოდა, კონკრეტულად ვისი ბავშვი გაუვარდათ ხელიდან. მოგვიანებით, როცა ჩემს შვილს სასწრაფო ოპერაცია დასჭირა, გამიჩნდა ეჭვი და 1992 წლის 3 სექტემბერს დაბადებული ყველა ბავშვის შესახებ მოვიძიე ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ გარდა ჩემი შვილის, მათ შორის ტრავმირებული არც ერთი არ იყო და მივხვდი, ექიმებს სწორედ ჯაბა გაუვარდათ ხელიდან. ამ ყველაფრის გამო მედპერსონალს დაუპირისპირდი და ეს ამბავიც გახმაურდა.

— როგორც მასსოვს, როცა ექიმებს ჩვილი ხელიდან გაუვარდათ, მას ყოფილიდან გაქვანდა...

— დიას, ასე იყო. პირველი ოპერაციის დროს (მაშინ 4 თვის იყო) თავის რადიუსი 3 სმ-ითა და 7 მმ-ით ჰქონდა გაზრდილი. ბავშვს დღემდე, სულ 5 ოპერაცია ჩაუტარდა და ექიმებმა შეცდომა ორჯერ დაუშვეს, ამიტომაც არის, რომ ჩვენს მედიცინის მუშაკებს ვედარ ვენდობი. ერთ-ერთი ოპერაციისას ჯაბას თავში ხელოვნური პარკუჭი ჩაუნერგეს, მაგრამ — არასწორად... 1995 წლიდან, ბავშვი ძლიერ ფრანგულ ანტიბიოტიკს პრეპარატებს იღებს და ამ მედიკამენტების მეშვეობით, მას კვირაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ემართება გულყრა.

— 2008 წელს თქვენ შვილი



საოცარი რამ ხდება მაშინ, როცა ეკლესიაში შეგყავს — ბავშვი სულ სხვანაირი ხდება, ამას ენით ვერ ავიწერთ

გერმანიაში უნდა წაგეყვანათ, საოპერაციოდ...

— დიას, მას მეექვსე ოპერაცია სჭირდებოდა. ჩვენ გერმანიის რამდენიმე ქალაქში, სხვადასხვა კლინიკაში გავაგზავნეთ ჯაბას ავადმყოფობის ისტორია და ბოლოს, მიუნხენის ნეიროქირურგიული კლინიკის ქირურგებმა განაცხადეს თანხმობა, რომ ბავშვისთვის ოპერაცია გაეკეთებინათ. სხვათა შორის, მაშინ კიდევ ერთი უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — გერმანელმა ქირურგებმა ჰონორარზე უარი თქვეს. პრინციპში, ეს ჩემი მეგობრებისა და საქართველო-გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წყალობით მოხდა. გერმანელებმა შეიტყვეს, რომ ჩვენ საზღვარგარეთ წასვლას და ოპერაციის გაკეთებას წლები მანძილზე ვცდილობდით, მაგრამ — უმედვად, ამაში მატერიალური მდგომარეობა არ გვინდობდა ხელს. ჰოდა, ამ კეთილმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, თავიანთ ჰონორარზე (30.000 ევროზე) უარი ეთქვათ.

— და კიდევ როგორც მასსოვს, გერმანული კლინიკის მთავარმა ექიმმა იცოც გითხრათ, რომ თუ ოპერაციის დროს რაიმე გართულება იქნებოდა, საჭირო თანხას კლინიკაში მოიძებნენ.

— დიას, ასე იყო. ოპერაცია სულ, 40.000 ევრო ჯდება, ე.ი. მხოლოდ 10 ათასი ევროს შოვნა გახლდათ საჭირო. დახმარებისთვის ჯანდაცვის სამინისტროს მივმართე და მაშინდელ მინისტრს, ბატონ სანდრო კვიციანიას პირადად შევხვდი, რომელმაც



პირობა მომცა, — ამ თანხას გადავირცხავთო. ამის შემდეგ მხოლოდ 2.800 ლარის შოვნა მჭირდებოდა, რათა გერმანიაში ჩავსულიყავით. ჰოდა, ამიტომაც მივმართე „გზის“ მკითხველებს დახმარებისთვის.

— და დავიჯერო, ჩვენი მკითხველი არ დაგცხმარათ?

— როგორ არა! შემოწინაშელობები ნამდვილად იყო, მაგრამ გერმანიაში წასვლა მაინც ვერ მოვახერხეთ, დაბრკოლება შეგვექმნა...

— კონკრეტულად, რა დაბრკოლება ჰქონდა?

— ვერ ერთი, ჯანდაცვის სამინისტრომ მხოლოდ 5 ათასი ევრო გაიღო ანუ როცა მეგონა, რომ გამგზავრება შესაძლებელი იყო, დამატებითი თანხა გახდა მოსაძიებელი, 5 ათასი ევროს შოვნა კი მოგესხენებოდა, არც ისე ადვილია. ამიტომაც, ხან რომელ გადაცემაში ვმონაწილეობდი და ხან — რომელში, ხალხს დახმარებას ვთხოვდი; ჯაბას დასამარებლად უამრავი საქველმოქმედო კონცერტი თუ გამოფენა გაიმართა (მათი ორგანიზატორი თავადვე გახლდით და ამ საქმეში ცხადია, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები მესმარებოდნენ), მაგრამ ფულს თავი ვერა და ვერ მოუყარე. ამას თან დაერთო ჩემი მეუღლის ავადმყოფობაც და ჯაბასთვის გადადებული ფულის ნაწილი შემომხარჯა. აბა, რა მექნა, მუშაზე გამეწირა, მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩამევლო?! პარალელურად, ჩემს გოგონას თმის ბუდობრივი ცვენა დაენყო და როგორც ექიმებმა თქვეს, ეს ნერვული სტრესის ბრალი იყო. ვფიქრობ, უფალი ჩემს ოჯახს გამოცდას უწყობდა, რომლისთვისაც აუცილებლად უნდა გაგვეძლია.

— თქვენს ოჯახს არანაირი შემოსავალი არა აქვს?

— რაც გასაყიდი მქონდა, უკვე გაყვიდი. ერთი სახლი დამრჩა ციხისძირში და მისი მყიდველიც არ გამოჩნდა, რადგან ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. დედა მყავს, პენსიონერი და მასაც უამრავი წამალი სჭირდება...

— თქვენ არსად მუშაობთ?

— მეც მანუხებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები — დაბადებიდანვე მარჯვენა ხელის ატროფია მაქვს. მიუხედავად ამისა, თავის დროზე ჯარივს მოვიარე, მაღაროშიც ვმუშაობდი და მეტალურგიულ ქარხანაშიც, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, ხელი თანდათანობით მისუსტდება. ახლა მხოლოდ ისლა დამრჩენია, მინა ვჩიჩქნო და სოფელში მოსავალი მოვიყვანო, მაგრამ ამით ბევრს ვერმანიაში კი არა, თბილისშიც ვერ ჩამოვიყვან. ჰოდა, ახლა ოჯახს მოწყვეტილი, ხან ვის ვევედრები, დამქმაროს და ხან — ვის ოჯახის წევრები მეუბნებიან, — ოღონდ ჯაბას ეშველოს რამე და ჩვენს თავს არ ვჭირვითო.

— **ჯაბა უკვე 18 წლისაა. ექიმებს მისი მდგომარეობის შემსუბუქების ან სულაც, გამოჯანმრთელების იმედი კიდევ აქვთ? ან კიდევ ექნებათ სურვილი, ოპერაცია უფასოდ გაუკეთონ ანუ — რა გარანტია გაქვთ, რომ იქ ჩასულენ ექიმები არ გეტყვიან, — ეგ ადრე იყო, ახლა ჰონო-**

რარიც გვეჭირდებაო?..

— გერმანელ ექიმებთან კონტაქტი დღემდე გვაქვს და ისინი ისევ გველოდებიან. იცინა, რომ თანხის არქონამ დაგვაბრკოლა და უკვე ისიც გვითხრეს, — ჯანდაბას, რაც გაქვთ, იმით ჩამოდი, გზის ფული მაინც ხომ გექნებათ?! სამწუხაროდ, სამგზავრო ფულიც არა გვაქვს.

— **როგორც ამბობთ, უამრავი საქველმოქმედო კონცერტი თუ გამოფენა გაიმართა საიბისოდ, რომ ჯაბასთვის ფული შეგროვებულიყო. ნუთუ, გერმანიაში გასამგზავრებლად საჭირო თანხასაც ვერ მოუყარეთ თავი?**

— როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ზოგიერთ კონცერტზე ვალიც კი დამეღო. მართალია, მომღერლები არაფერს ითხოვდნენ, მაგრამ აპარატურა, სცენის მოწყობა-დაქირავება ძვირი ჯდებოდა, შემოსავალი კი ხშირად, იმის ნახევარიც არ იყო. ჰოდა, რა უნდა დამეგროვებინა? ახლა ისევ თქვენი მკითხველისა და ღმერთის იმედი მაქვს; იქნებ ხალხმა კიდევ ერთხელ გაიღოს თანხა ჩემი ოჯახისთვის.

— **თქვენ უკვე საზოგადოებას კარგად გააცნით თავი. ზოგიერთ ჩვენს მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: მერა რომ დაგცხმარო, რა გარანტია მაქვს, რომ კიდევ ორი წლის შემდეგ არ მეტყვი, — ჯაბას ფულის ისევ შემოგვეხარჯა, კიდევ ერთხელ დამეხმარეთო?..**

— იმედია, უფალი მძიმე განსაცდელს აღარ მომივლენს და რომელიმე ოჯახის წევრის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის პირისპირ არ დამაყენებს. ძალიან ძნელია, ფული, თუნდაც, შვილის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გადადებული, ოჯახის სხვა წევრის სიცოცხლის შესანარჩუნებლად არ გაიმეტო. მით უმეტეს, როცა ზუსტად იცი, რომ შვილი მკურნალობის გარეშე იცოცხლებს — თუნდაც უაზროდ, მეორე, არანაკლებ საყვარელი ადამიანი კი მოგიკვდება... იმედია, „გზის“ მკითხველების ნყალობით შევძლებ ოცნების ასრულებას და შვილის გერმანიაში წაყვანას. მერწმუნეთ, ახლა მხოლოდ თქვენი და უფლის იმედი მაქვს.

— **თქვენმა შვილმა მამა გაბრიელის საფლავზე აიდგა ფეხი...**

— დიახ. სხვათა შორის, მამა გაბრიელის საფლავზე ასვლა დიდი ხნის განმავლობაში გვინდოდა, მაგრამ რალაც მიზეზების გამო ამას ვერ ვახერხებდით. ერთ დღეს ნავსი გატყდა და სასწაულის მოწმენიც გახდით — ჩემმა შვილმა, რომელიც მართლაც, ეტლს იყო მიჯაჭვული, ფეხი აიდგა. მას შემდეგ მჯერა, რომ უფალი არ გამწირავს, ჯაბას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებამ დამეხმარება. სხვათა შორის, ის ადრე მხოლოდ ოთახში გადაადგილდებოდა, ახლა კი დამოუკიდებლად კიბეზე ასვლა-ჩამოსვლაც შეუძლია. ეს ნამდვილად, ღვთის ნყალობაა.

— **აზროვნების მხრივ თუ გამოსწორება რამე?**

— იცით, ახლობლებს გეცნობს და რალაცებზე რეაქციაც აქვს. იცით, საოცარი რამ ხდება მაშინ, როცა ეკლესიაში შეგყავს — ბავშვი სულ სხვანაირი ხდება, ამას ერთ ვერ აგინერთ.

— **გერმანელ ექიმებს თუ აქეთ იმის იმედი, რომ მათ მიერ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ თქვენი შვილი გამოჯანმრთელდება?**

— წინსვლის იმედი რომ არ ჰქონდეთ, არა მგონია, ამ ოპერაციის ჩატარება საკუთარ თავზე აეღოთ. ეს არის უნიკალური



ვფიქრობ, უფალი ჩემს ოჯახს გამოცდას უწყობდა, რომლისთვისაც აუცილებლად უნდა გაგვეძლია

ოპერაცია, რომელიც პირველად 2007 წელს, გერმანიასა და ამერიკაში ერთდროულად ჩატარდა ისეთ ბავშვებზე, რომლებიც დაუნის სინდრომით, კისტითა და ჰიდროცეფალით იყვნენ დაავადებულნი. რაოდენ გასაკვირი და დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ამ ოპერაციის შემდეგ ბავშვები გამოჯანმრთელდნენ. იმედი მაქვს, იმ პატარების მსგავსად, ჩემი შვილიც გამოჯანმრთელდება და მისი გონების მუშაობაც გაუმჯობესდება.

და კიდევ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, ჩემი შვილი დღეს ცოცხალი რომ არის, ამას ცხონებულ ქალბატონ ლალი გუნთაიშვილს („კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი. — ავტ.) ვუმაღლი, რომელიც თავის დროზე ჩემს ოჯახს მფარველ ანგელოზად მოველინა. „კვირის პალიტრის“ თანამშრომლებმა, როცა ჩემი გასაჭირის შესახებ შეიტყვეს, მხარში ამომიდგნენ და ზოგიერთი მათგანი მატერიალურად, ზოგი კი პროდუქტით გვეხმარებოდა. ამან გადაარჩინა ჩემი ოჯახი იმისგან, რომ მეუღლე და შვილები შიმშილით ან ტკივილით არ დამხოცოდა. და კიდევ ერთხელ, უღრმეს მადლობას ვუხდით ჟურნალ „გზის“ მკითხველებს იმისათვის, რომ ჩემი ტკივილი გულთან მიიტანეს, დამეხმარნენ; ხალხნო, ბოდიში, რომ თქვენი შეწუხება კიდევ ერთხელ მიხდება. უფალი გვეფარავდეს ყველას!

P.S. ჯაბასთვის თითო ლარი შეგიძლიათ გაიღოთ „მაგისტის“ (200-344), „ჯეოსტელის“ (700-344) ან „ბილიანის“ (700-344) ნომრებზე დარეკვით. საქველმოქმედო სპეცანგარიში: „თბილისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101830, პ/ა: 11701022.

წყვილი, როგორც კლდის სიყვარულმა დაასხლოვა

„ვიღრამ ამის სურვილი გვიქნება, ერთად ვივსოვებით“

გუგა დაბრუნდაშვილი მეკლდეური გახლავთ, მაგრამ მთამსვლელებში არ აგერიოთ: მეკლდეური მალალ, სალ კლდეებზე ცოცავს, მთამსვლელები ანუ ალპინისტი კი მთის მწვერვალს იპყრობს. გუგა 24 წლისაა. პატარაობიდანვე მოუსვენარი ბავშვი იყო, ყველგან დაძვრებოდა — სახლის თუ ავტოსადგომის სახურავებზე, ხეებზე. უშლიდნენ, მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლიდა. ბოლოს, უფროსებმა დაასკვნეს, — მოჭარბებული ენერგია აქვს და მისი დახარჯვა საჭიროო, პოდა, მიიყვანეს ცურვაზეც, წყალბურთზეც, ტანვარჯიშზეც, კალათბურთზეც, მაგრამ გატაცება — ცოცვა კვლავ პირველ ადგილზე რჩებოდა.



ხელს მოვაწერთ და ამომავალი მზის ქვეყანაში ერთად გავემგზავრებით

მარინა გაბუნაშვილი

ბევრი აღარ უფიქრია, ადგა და ბოტანიკურ ბაღში მივიდა, სადაც პროფესიონალი მეკლდეურები და მთამსვლელები გაიცნო; მაშინ 16 წლის გახლდათ. შინ არც ახელდა, რომ კლდეზე ცოცვას მთელი სერიოზულობით შეუდგა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მეკლდეურობა გატაცებაზე მეტი იყო... სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლებს ხათრი ვერ გაუტეხა და მათი დიდი სურვილის თანახმად, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, არქიტექტურულზე ჩააბარა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ იქ სწავლას ვერ გააგრძელებდა, რადგან სხვა პროფესიაზე ოცნებობდა.

— გუგა, რას ნიშნავს შენთვის კლდე და ის საქმე, რაც პროფესიად გაიხადე?

— კლდეზე ცოცვა ანუ მეკლდეურობა ჩემი პროფესიაა. ბევრს შეიძლება, გაეღმოს, — ეგ რა პროფესიაა ან რა სარგებლობა მოაქვსო?! მე კი მგონია, რომ ის, რასაც აკეთებ, ძალიან უნდა გიყვარდეს და სარგებელსაც მოგვიანებით დაინახავ. მე მიყვარს სიმაღლე, მისი დაძვრა და ამ სპორტს ძალიან სერიოზულად ვეკიდები.

— მერე, მშობლები როგორ ეგუებიან შვილის ექსტრემალურ ცხოვრებას?

— თავდაპირველად მათგან დიდ წინააღმდეგობას ნაფწყენდი, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნეს; მიხვდნენ, რომ სპორტის ამ სახეობით „დაავადებული“ ვიყავი და თანაც, მწვრთნელებმა, კომპეტენტურმა ადამიანებმა ისინი დაარწმუნეს, რომ ფეხბურთი, რომელსაც ყოველი მეორე მისდევს, გაცილებით ტრავმულია, ვიდრე მეკლდეურობა.

— ეს როგორ?

— როგორ და, როცა კლდეზე ცოცავ, ათასი რამ (თოკები, სამაგრები, ჯაჭვები) გიცავს, ფეხბურთის თამაშისას კი შეიძლება, მყესები დაგინყდეს ან ფეხი მოგტყდეს, ან ნაქცევისას თავი გაიტეხო და საყვარელ სპორტს სამუდამოდ გამოეთხოვო. მოკლედ, ბოლომდე დაზღვეული არსად ხარ. ცხადია, კლდეზე ცოცვაც რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ მერწმუნეთ, სხვებთან შედარებით, ნაკლებად სარისკოა.

— როგორც ვიცი, ახლა სხვებს ასწავლი კლდეზე ცოცვას...

— კი, მწვრთნელი ვარ. 8 წელია, ამ საქმეს ვაკეთებ და ჩემს ცოდნას პატარებს ვუზიარებ. ძალიან მსიამოვნებს, როცა ისინი ყველაფერს უცებ ითვისებენ და ახალ-ახალი კითხვებიც უჩნდებათ.

— მიკვირს, რომ მშობლებს შვილები თავიანთი სურვილით მოჰყავთ სპორტის იმ სახეობაში სავარჯიშოდ, რომელიც შენი თქმით — შედარებით უსაფრთხოა, ჩემი წარმოდგენით კი ძალიან სარისკოა.

— ამ ბავშვებს რომ ვუყურებ, ჩემი პატარაობა მახსენდება — მეც მათსავით მოუსვენარი ვიყავი. ალბათ, მათი მშობლებიც ჩემების მსგავსად ფიქრობენ — ბავშვს საოცარი ენერგია აქვს და რადგან ცოცვა უყვარს, დაუ, პროფესიულ დონეზე იცოცოსო.

— თურმე, კლდეზე ცოცვის სხვადასხვა სახეობა არსებობს.

— დიას. ბოლდერინგი დაბალ სიმაღლეზე, მოცემულ

დროში რთული მონაკვეთების გავლას გულისხმობს, მეორეა — რთული ცოცვა, მესამე კი სწრაფი ცოცვა გახლავთ, სადაც ერთმანეთს წყვილები ეჯიბრებიან.

— შენ სამივე სახეობაში ცოცავ?

— კი, სამივეში! გარდა ამისა, ძალიან მომწონს ქალაქგარეთ ველოსიპედით სეირნობა და ოფროუდი ანუ ტალახიან გზებზე მანქანით სიარული. მოკლედ, მომწონს ყველაფერი ის, სადაც ექსტრემი და ადრენალინი მომეტებული დოზით არის.

— ვიცი, რომ სიმაღლესთან შენი „ახლობლობის“ გამო, განსაზღვრულ შეკვეთებსაც იღებ და ეს საქმე შემოსავლის წყაროდაც გაქცა.

— დიას. იციან, რომ სიმაღლის შიში საერთოდ არ მაქვს, ამიტომაც იოლად ვთანხმდები ქალაქის მერიის შემოთავაზებებს: ვწმენდ მალალ შენობებს, ვღებავ ანძას, ვკიდებ ბილბორდებს,

ვამონტაჟებ განათებას — ერთი სიტყვით, ვაკეთებ იმას, რასაც ჩვეულებრივი მუშა ან ამწე ვერ ასრულებს.

— გუგა, ბევრი მედლის, სიგელისა და თასის მფლობელი ხარ. თუმცა, როგორც ცნობილია, საქართველოში მეკლდეურობა ისეთი პოპულარული და პრესტიჟული არ არის, როგორც სხვაგან.

— საქართველოში სშირად იმართება შიდა ჩემპიონატი, რომელშიც ყოველთვის ვმონაწილეობ. წარმატებებიც მქონია და დამარცხებაც, თუმცა ამას არ შევეუწინებია, პირიქით — წარუმატებლობის შემთხვევაში სპორტული ჟინი მიათკვცდება. სხვათა შორის, შარშანდელი და წლევიანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული ვარ. ვმონაწილეობდი ყირიმში, უკრაინაში, ჩინეთში გამართულ ჩემპიონატებშიც. ჩინეთიდან, სადაც ნამ-



სიმაღლის შიში საერთოდ არ მაქვს



საიქიოდან მოზრუნებული გოგონას ნაამბობი

„ზემოდან დავსქეროდი ჩემს სხეულს, ხელი ამოტრიალებული მქონდა...“

„შენ საიქოსთვის მზად არ ყოფილხარ, უფალს ჰყვარებინარ და რალაცისთვის გამზადდებო“, — ეს სიტყვები უწმინდესმა 21 წლის გოგონას უთხრა, გულში ჩაიკრა და დალოცა... თეონა ჭინჭარაული ხევსურეთში მომხდარი ტრაგედიისას სიკვდილს მართლაც, სასწაულებრივად გადაურჩა; მასთან ერთად პოეტი და მომღერალი გელა დაიაური და მისი ცოლისძმაც გადარჩნენ... ამოტრიალებული ჯიბიდან გელა ცოცხალი ამოიყვანეს, თეონა კი ადიდებული არღუნის ძლიერმა დინებამ გაიტაცა და გონდაკარგული გოგონას სხეული ქვევში გაჭედა. იმ საბედისწერო დღემ, იმ რამდენიმე წუთმა მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა, უფალს კიდევ უფრო დააახლოვა...

თეონა რედაქციაში ძმასთან, 19 წლის გიგისთან ერთად მესტუმრა. ახალგაზრდებმა ის ტკივილიანი დღე ერთად გაიხსენეს, მთის ტრადიციებსა და ადათებზე მესაუბრნენ.

ლალი პაპასკირი

— ამ ტრაგედიის შემდეგ გადავწყვიტე, სასულიერო აკადემიაში ჩამებარებინა და უკვე პირველი კურსის სტუდენტი ვარ. მანამდე გოეთეს ინსტიტუტში ვსწავლობდი, სადაც სწავლას პარალელურად ვაგრძელებ... იმ საბედისწერო დღის შემდეგ ძალიან შევიცვალე და ამას სხვებიც ამჩნევენ. წარმოშობით ხევსური ვარ, შატილიდან. მართალია, თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ იქ არდადეგებზე, დღესასწაულებსა და დღეობებზე ჩავდიოდი.

— იქნებ, ხევსურულ დღესასწაულებზე მიაპოო რამე?

— დღეობებს მთელ ხევსურეთში, რამდენიმედღიანი ინტერვალით აღნიშნავენ — სხვადასხვა დღეს სხვადასხვა სოფელში. ათენგეობა, რომლის აღსანიშნავადაც ხევსურეთში ჩავედით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია — ამ დღეს ხევსურები შვილებს ხატს მიაბარებენ ხოლმე. იქ ყველა წმინდანს თავისი დანიშნულება აქვს ანუ ღვთისმშობელს ქალღმთვილებს მიაბარებენ, წმინდა გიორგის — ვაჟებს... დღესასწაულზე ხევსურები სალოცავთან იკრიბებიან. ხუცესი საკლავს კლავს და მისი სისხლით ბავშვებსა თუ უფროსებს შუბლზე ჯვარს გამოასახავს; მერე სანთლებს ანთებს და ლოცულობს, უფალს მათ კარგად ყოფნას სთხოვს. ამ რიტუალს ხან დასტურის ატარებს, ხანაც — ხუცესი... დასტურის ფუნქციის შესახებ ჩემი ძმა, გიგი უფრო დანვრილებით მოგიყვებათ...

ბიბი:

— ის ადგილი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, 9 მამიშვილობად იწოდება ანუ ერთ დროს იქ 9 ძმა დასახლებუ-



იმ საბედისწერო დღის შემდეგ ძალიან შევიცვალე და ამას სხვებიც ამჩნევენ

ლა, რომლებიც შემდეგ ცალკე ოჯახებად, მოგვიანებით კი მათი შთამომავლობა კომლებად დაყოფილა. ჩვენს შორეულ წინაპარს მანგი ერქვა და ამიტომაც, მანგიანებად ვინოდებით... ათენგეობას ხევსურები ყველა წმინდა სალოცავს მოვიხსენიებთ, ეს ჩვენთვის ძალიან დიდი დღესასწაულია. სალოცავში, სადაც ხატისთვის შესაწირს ამზადებენ, ქალები არ შედიან, ყველაფერს მამაკაცები აკეთებენ. ქალები ამ დღისთვის მხოლოდ ქადებს აცხობენ და ისიც, სახლში... დასტური წარმოთქვამს ლოცვას, რომლის ტექსტი ყველამ არ იცის და იწყება რიტუალი. საერთოდ, დასტური ერთ-ერთი რომელიმე ოჯახის წარმომადგენელია და მას დღესასწაულისთვის ყველაფრის მომზადება ევალება ანუ ხატობისთვის ლუდს ხარშავს, შეშას ამზადებს და თადარიგს იჭერს. დასტური ყოველ წელს იცვლება ანუ

დვილი პროფესიონალები ვიხილე, „დახუნძლული“ ჩამოვედი. მართალია, საპრიზო ადგილი ვერ დავიკავე, მაგრამ იმხელა ცოდნა შევიძინე, რომ უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ. ჩინეთში გაცილებით რთული და სულ სხვა სახის ტრასები ვნახე. იქ ვარჯიშსაც და საერთაშორისო შეჯიბრებასაც ხელოვნურ კლდეზე ატარებენ, ამის შემდეგ კი, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ბუნებრივზე ცოცხა უადვილდებათ. სულ ბოლოს, როცა საქართველოს ჩემპიონი გახვდით, ირაკლი გელაძის სახელობის თასი მოვიპოვე. ამ შეჯიბრებაში 60-მდე მეკლდეური მონაწილეობდა. დღეს სპორტის ეს სახეობა რომ არსებობს და თანდათან ძალას იკრებს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით: საქართველოს მთავსველთა ეროვნულ ფედერაციას — გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით, მეკლდეურთა ფედერაციის მდივანს, ლადო გურჩიანს და ჩვენს დამფინანსებელს, „მაგთიკომს“.

— თურმე, მეკლდეურთა ჯგუფში გოგონებიც არიან...

— რა თქმა უნდა, არიან. მათგან ერთ-ერთი — 21 წლის თამუნა მელაძე (ისიც საქართველოს ჩემპიონია) ჩემი შეყვარებულია და ძალიან მალე ვიქორწინებთ.

— და კლდეებზე ერთად იცოცებთ?

— ვიდრე ამის სურვილი გვექნება, ვიცოცებთ, აბა, რა! თამუნა თბილისის უნივერსიტეტში, არქეოლოგიურზე სწავლობს. ამას წინათ რომელიმეც სასწავლო პროგრამაში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა, გამარჯვებულს კი სასწავლებლად იაპონიაში, 2 წლით უშვებენ. მას აქვს უფლება, მეუღლეც თან წაიყვანოს. ასე რომ, ხელს მოვანერო და ამომავალი მზის ქვეყანაში ერთად გავმგზავრებით. ვიცი, რომ იქ მეკლდეურთა საკმაოდ ძლიერი სკოლა არსებობს და ძალიან მინდა, მათ მეთოდებს გავცნო.

— ბედნიერებას და წარმატებებს გისურვებთ!



ხატობისთვის სამზადისი სხვადასხვა გვარის წარმომადგენელს ევალეზა ხოლმე. რაც შეეხება ხუცესს, ეს არის ადამიანი, რომელიც სალოცავში შედის და რიტუალს ხელმძღვანელობს. ხუცესი ანუ ხევისბერი თემში კარგი ავტორიტეტის მქონე, ღრმად მორწმუნე და ხშირ შემთხვევაში, განსაცდელგამოვლილი ადამიანია. ადრე მას ქადაგ-

ის უხაროდა, რაც გელას და პირიქით... როცა გელამ ჩვენთან მეუღლე პირველად მოიყვანა, ისე უცებ გაგვიშინაურდა, იფიქრებდით, რომ ერთმანეთს მანამდეც ვიცნობდით. სხვათა შორის, დედაჩემი მას უფროს ქალიშვილად მიიჩნევდა. ძალიან გულღია გოგო იყო — რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა.

ზემოთ არ ამოშულა და ჩვენ გვეკითხა, ღიმილით, — კარგად გაერთეთო? თეო ხალისიანად უყვებოდა იქაურ ამბებს. ბერდიამ მანქანაში მაგნიტოფონი ჩართო, თეო სიმღერას აპყვია... ამასობაში გელა და თეოს ძმაც, თორნიკვე ჩასხდნენ. ბერდიას მეუღლე ბავშვის ჩანთას ალაგებდა და ბავშვი მე გადმომანოდა — პატარა მამუკა 4 თვის იყო... ჯარჯი ატირდა. მას თეო ძუძუს აწოვებდა და თან, ბერდიას ეუბნებოდა: ბერდო, ნელა იარე, მაშინდელივით არ იგიჟო, სად გეჩქარება? თანაც, ბავშვები გყავსო... ისიც, თავს უქნევდა. ბერდიას გვერდით მეუღლე ეჯდა და ცოტა ხანში მანაც უსაყვედურა, — ბერდო, ჩქარა ნუ მიდიხარო... არც ისე სწრაფად მივიდიოდით, მაგრამ იმ გზისთვის ის სიჩქარეც სახიფათო იყო. მახსოვს, მანქანა ჯაყჯაყებდა, მე კი ბავშვს დავეცქეროდი, ცუდად ხომ არ მიჭირავს, ხომ არაფერი სტიკვა-მეთქი. ერთი სიტყვით, ყურადღება მასზე მქონდა გადატანილი, მაგრამ შიგადაშიგ მესმოდა, როგორ სთხოვდნენ გოგონები, — ბერდია, სწრაფად ნუ მიდიხარო...

— ცხოვრების გაგრძელებას მთავრი აპირებდნენ?

— დიას და სწორედ ამაზე ტიტინებდა, როცა შატლიდან სალოცავისკენ დავიძარი. ისინი დუშეთში აპირებდნენ წასვლას. თეონა ამბობდა: საცხოვრებელ ადგილს ვიჭირავებთ. მე ბავშვებს სიმღერას ვასწავლი, გელაც რაიმე საქმეს მოვიკიდებ, თანდათან შევეჩვე-

ჩვევი ასეთ ცხოვრებას, შემდეგ კი ხევსურეთში გადავალთ და იქ დავბინავდებითო. მთის მკაცრ ცხოვრებასა და ადათებს ისე ეგუებოდა, თითქოს, მთელი ცხოვრება ასე ჰქონდა გატარებული, თითქოს ჩვენიანი იყო, ჩვენთან ერთად გაზრდილი... ხევსურეთის რამდენიმე სოფელი არ ჰქონდა ნანახი და ყველაფერს თვალებგაბრწყინებული ათვალეერებდა. როცა მუცოში გელას სახლი ვანახვე, მითხრა: ყველა კუთხე-კუნჭული მიყვარს, სადაც კი გელას გაუვლიაო, — დღემდე ჩამესმის მისი ეს სიტყვები... უზომოდ უყვარდა ქმარი. მისი და, ნათია პირველად იყო ხევსურეთში და იქაური ბუნების სილამაზით ისიც მოიხიბლა, რაც თეოს ძალიან უხაროდა... ათენგენობის დღესასწაულზე, როგორც წესი, სხვებსაც ჰყავდათ საკლავი აყვანილი და რიგი იყო. როცა რიტუალი დასრულდა, დემეტრეს, უფროს ბავშვს რაღაცის შეეშინდა და ატირდა, ჯარჯის კი შესცივდა და ტირილში ამიტომაც აპყვია ძმას. მათ გამო მე და თეონა სალოცავიდან მალევე ჩამოვედით. როცა ხალხი დაიშალა, დაბლა, მანქანასთან ანუ იქ, სადაც დანარჩენებს ველოდებოდით, სუფრა გაიშალა... უცნაური რა იყო, იცით? — იქ იმდენი ხანი ვიყავით და ერთხელაც არ დამინახავს, რომ მინდია არაბულს ჭიქა აეღოს ხელში... ალბათ, არც გელას დაუნახავს, თორემ ოჯახს როგორ ანდობდა?! არადა, შემდეგ სხვებმა თქვეს, — ბარბაცით მოდიოდაო. ეს რომ გვენახა, მანქანაში როგორ ჩავუსხდებოდით?.. ჩვენ რომ ჩამოვედით, ის უკვე მანქანაში იყო, საჭეს უჯდა. მისი მეუღლე — სოფო



თეონა კინჭარაული ძმასთან ერთად

მკითხავსაც ეძახდნენ და ნათელმხილველთან იყო გაიგივებული.

— ეს ადამიანი ბერვით ცხოვრობს?


— დიას, ოღონდ ის სულიერი მოძღვარი არ არის. ხუცესი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც წინაპრის ტრადიციებს ინარჩუნებს და მათგან შემონახულ ლოცვებს ამბობს, ზოგჯერ კი ხალხშიც გაერევა. მაშინ, როცა რომელიმე ადგილობრივის სახლში რჩება, მოსასვენებლად ისეთ ადგილას გამოუყოფენ, რომელსაც ქალის ხელი არ მიჰკარებია... ხევსურეთში ქალისა და მამაკაცის ფუნქციები მკაცრად განსაზღვრული; კომპლექსი კი სხვადასხვა, სადაცო და სამამაკაცო გზით მიდიან.

თეო:

— ათენგენობის დღესასწაულზე შატლიში ვიყავი. როცა გელა თავის ოჯახთან ერთად ჩამოვიდა, გადავწყვიტე, მათ მუცოში მეც წავყოლოდი. გელა ხატისთვის შვილების მისაბარებლად ემზადებოდა. იგი დეიდაშვილად მეკუთვნის — დედაჩემის ბიძაშვილის შვილია და ოჯახებით ვახლობლობდით... წინა ღამითაც და მეორე დღისაც წვიმდა. შატლიდან მინდია არაბულის მანქანით გავვედით. სალოცავზე ასვლა გაგვიჭირდა, რადგან ნანვიმარი იყო და ფეხი რამდენჯერმე აგვიცურდა... თეონა (გელას მეუღლე) სიმკვირცხლითა და ხალისით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ იმ დღეს ბედნიერებისგან დაფრინავდა, გელას თვალებშიც სიხარულის სხივი ბრწყინავდა, — შვილები ხატს მივაბარეო. იცით, მართლა იშვიათად მინახავს თეოსნაირი სუფთა გულის ადამიანი. ეს წყვილი უსიტყვოდ უგებდა ერთმანეთს. თეოს

— მანქანაში გელაც ხომ იჯდა?

— კი. გელამ შეამჩნია, რომ მძღოლი თითოეული შენიშვნისას ღიზიანდებოდა და ამიტომაც, ჩვენ გვანყნარებდა, — ნუ „პანიკორობთ“ და თუ რამე გინდათ, მე მითხარიო... მერე მახსოვს, როგორ გადაქანდა მანქანა ცალ მხარეს, მძღოლმა საჭეს ხელი რალაცნაირად ჩამოჰკრა და ყველანი ერთმანეთში ავირიეთ... თეონა ბავშვიანად წინ გადაქანდა, რასაც სასონარკვეთილი კვილი მოჰყვა. მახსოვს საშინელი მტვრევის ხმა... ჯერ მანქანა ამოტრიალდა, მერე მდინარის ფსკერზე ვისრიალეთ, დარტყმის ძალამ ფანჯრები ჩამსხვია... გონს რომ მოვედი, ბავშვი ჯერ კიდევ გულში მყავდა ჩახუტებული, მანქანა კი წყლით ივსებოდა. პატარას თავი ავაწვეინე, — არ დამეხრჩოს-მეთქი. ის ჯერ კიდევ ამოძრავებდა ტუჩებს, ჯერ კიდევ ცოცხ-



ეს წყვილი უსიტყვოდ უგებდა ერთმანეთს. თეოს ძე უხაროდა, რაც გელას და პირიქით...



როცა რიგული დასრულდა, დემეტრეს, უფროს ბავშვს რაღაცის შეეშინდა და ატირდა, ჯარჯის კი შესცივდა და გირილში ამიგომაც აპყვა ძმას

ალი იყო... რაღაც ძალამ მათქმევინა: მამა გაბრიელ, გადაგვარჩინე; უწმინდესო, მიშველე-მეთქი. არ ვიცო, ამას ნამაღლა ვამბობდი თუ გულში ვიმეორებდი, ეს ყველაფერი წამებში მოხდა. მერე უცებ, წყალმა იხუვლა, მანქანაში შემოვარდა და ამომატრიალა. მახსოვს უკუნი სიბნელე და ენით აუნერვლი ტკივილი, მერე კი გონება დაგვარგე... სიბნელეში დედაჩემს მოვკარი თვალი, ლოყებზე ცრემლი ღვარად სდიოდა. გულში ისევ მამა გაბრიელს ვევედრებოდი, გადაგვარჩინე-მეთქი. ყველაფერი მტკიოდა, თითქოს გათიშული ვიყავი და არც ვიყავი. დღემდე მახსოვს ის უცნაური სურათი: თითქოს, საკუთარ სხეულს ზემოდან დავცქეროდი — რაღაცნაირად, მოღრეცილად ვეგდე, ხელი ამოტრიალებული მქონდა (ის ხელი მართლა ნატკენი მქონდა)... შემდეგ ეს ყველაფერი გაქრა და თითქოს, ცივმა წყალმა სააქაოს დამაბრუნა. დინება მანქანიდან გამომაგდო, მაგრამ არ მახსოვს, როგორ... მხოლოდ ის მახსოვს, თუ როგორ მახეთქებდა მდინარე ქვებზე, როგორ ვიმეორებდი ლოცვას, — მამა გაბრიელ, უწმინდესო, გადამარჩინე-მეთქი... მერე ტკივილისგან ისევ გავითიშე, ოღონდ — ბოლომდე არა. როცა თვალები გავახილე, უკვე ლოდებს შორის ვიყავი ჩაჭედილი. ეტყობა, ადამიანს გადარჩენის ინსტინქტი ბოლომდე აქვს, რადგან რაც ძალი და ღონე მქონდა, თითუბით ბალახს ვეპოტინებოდი; ვცდილობდი, მისთვის ხელი არ გამეშვა... არ ვიცოდი, ცოცხალი ვიყავი თუ ეს ყველაფერი მეჩვენებოდა. ბოლოს, ტანი ძლივს ავითრიე და ვკიოდი, — მიშველეთ-მეთქი... დინება მირტყამდა, მაგრამ ვუძალიანდებოდი. ეს ყველაფერი წამებში გაგრძელდა, თორემ დიდხანს ვერ გავუძლებდი. ის იყო, უკვე ძალა მეკარგებოდა, როცა უკნიდან ვილაცის ხელი ვიგრძენი. იმ ვილაცამ ისიც მითხრა: — ნუ გეშინია, ცოცხალი ხარ. რაც შეგიძლია, ძალა მოიკრიბე და ამოიწიეო. ლაპარაკის თავი არ მქონდა და თავი გავაქნიე, არ შემიძლია-

მეთქი, მაგრამ მისმა სიტყვებმა, — ცოცხალი ხარო, ძალა შემმატა... როცა მთელი ძალით ამომწინა, ფეხები ისე მეტკინა, თითქოს, მომამტვრიეს...

ბიზი:

— იმ ადგილას მდინარე ვინროვდება და მერე უხვევს... იმ დღეს არღუნი ისეთი გადარეული ყოფილა, მათ საშველად კაცებიც ვერ ჩასულან. გელას უფროსი ძმა გადამხტარა და ლამის ისიც დინებას წაუღია... ის ბიჭი, ვინც თეონა გადაარჩინა, ჩვენი ნათესავია — ბიძაშვილის მეუღლეა. მას ჩემი და ძლივს ამოუყვანია; თეონისეთი გაყინული ყოფილა, რომ თურმე, სხეულს ველარ გრძობდა. სახე კი ისე ჰქონია დასისხლიანებული, რომ მამამაც ვერ იცნო... იქიდან პირდაპირ შატლიში, იქიდან კი „სასწრაფო დახმარების“ მანქანებით ბარისასოში ჩამოვიყვანეთ. როგორც კი თვალი გაახილა, დანარჩენები მოიკითხა, — რა ბედი ეწიათო? ჯერ მოვატყუეთ და ვუთხარით, რომ ყველანი გადარჩნენ, მაგრამ მერე მივხვდით, რომ სიმართლის დამალვას აზრი არ ჰქონდა. როცა მათი ამბავი გაიგო, ისეთ დღეში ჩავარდა, რომ ლოგინზე მიბაძეს.

თაო:

— ამ ტრაგედიის წინა დღეს ხევსურეთს საქართველოს პატრიარქი პირველად ესტუმრა, ადგილობრივები დაგვლოცა და ჯვრები გადმოგვცა... იმ დღესვე გავიკეთე ეს ჯვარი (მომინანქრებულ ვერცხლის ჯვარს მარჯვენს. — ავტ.) ალბათ, ამ ჯვრის მადლმა, პატრიარქის ლოცვამ და მამა გაბრიელის ძალამ გადამაჩინა...

— თეო, მას შემდეგ შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— ყველაფერი... მას შემდეგ, რაც სიკვდილს თვალეში ჩავხედე, სულ სხვანაირი გავხდი, ადამიანებისა და ცხოვრების მიმართ დამოკიდებულება შემეცვალა... ადრეც რწმენით ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა მეტი დავინახე და გავიზა-

რე... უსაზღვროდ მიყვარდა ხევსურეთი, იქაური ბუნება, ჰაერი, მდინარე და ლოდებიც კი, მაგრამ იმ დღის შემდეგ თითქოს, ისე გავებუტე, როგორც სულიერს, რომელმაც ძალიან მანყენინა... ამ ტრაგედიიდან ორი კვირის შემდეგ ხევსურეთში მომიხდა ჩასვლა და მთების დანახვისას მივხვდი, რომ მათი მეშინოდა... ცხოვრების გასაგრძელებლად ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდა. სვეტიცხოველში მყავს მოძღვარი, რომელიც შეეცადა, მდგომარეობიდან გამოვეყვანე... დავდიოდი ფსიქოლოგებთან, დამამშვიდებლებსაც ვსვამდი, მაგრამ არაფერმა მიშველა — ის არანორმალური შიში ჩემს გონებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა... 4 თვის მამუკა ხელში მეჭირა, სასტიკმა მდინარემ კი წამართვა, ჰოდა, დღემდე მტანჯავს კითხვა — სად არიან ის ბავშვები? რატომ დავისაჯეთ ყველანი ასე?.. იმ ტრაგედიის შემდეგ, გელა პირველად პატრიარქთან ვნახე. უწმინდესმა სიკვდილს გადარჩენილები თავისთან დაგვიბარა და დავგლოცა. იმ დღეს კათოლიკოს-პატრიარქი ჩვენთან ერთად ტიროდა, მერე მინდია არაბულის ობლები ჩაიხუტა და ყველა ერთად დაგვლოცა...

1 ოქტომბრიდან

„არსენალი“

უმოფიქვანი: მუმილოგიანოვის დროს დაწერილი მუმილოგიანოვი

„ნითაღი გიგადაღი“ კოპუნიზი


ბერკრის თანხლებით...

განიღუელოგული სააკოიღაიო ნკითნეღი ოგოლოღს აოლიღოღსე

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- სამაზოგლოღს ოღის ღვერთუბი
- იკრანული განკუბი
- 1992-1993 წლების აუზნაუთის ოღის უინელი
- განიღო მუნოღინის საიღუელო იკრალი

ყველაზე კახური ჟურნალი არა მარტო გეგაქახუნიღსთინს



სამყარო

ნამუშევრები, რომლებიც ყველას დაანახვებს — „ჩვენს სახეზე ღიმილი არასოდეს გაქრება“...

საზოგადოებაში დევნილთა ინტეგრაციისა და თვითრეალიზაციის ხელშეწყობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მისი გადაჭრა სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი. მათ შორის განსაკუთრებული — შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების წარმოჩენაა. სწორედ ეს გზა აირჩიეს ორგანიზატორებმა იმ ექსპოზიციისა, რომელიც ისტორიულ მუზეუმ „ქარვასლაში“ პროექტის — „ერთად ჩვენ შევძლებთ“ — ფარგლებში საზოგადოების სამსჯავროზე დევნილ ხელოვანთა ნამუშევრების გამოტანას ისახავდა მიზნად.

თათბარ დაღუპული

მარიამ ნანიტაშვილი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრი, გამოფენის ორგანიზატორი:

— ჩვენი პროექტი უკვე 1 წელია, ხორციელდება. მისი ორგანიზატორები მუდმივად დადიან დევნილთა დასახლებებში სხვადასხვა მიზნით. სწორედ ამ „ვიზიტების“ დროს წააწყდნენ ხელოვან ადამიანებსაც. ვუშვებთ გაზეთს, სადაც ამ ადამიანების ლექსები იბეჭდება; შემდეგ გაჩნდა იდეა, ისინი კრებულის სახით გამოგვეცა. ისინი ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლებს თვითონაც ეხმიანებოდნენ და აცნობდნენ — ვის რა ნიჭი აქვს და რისი კეთება შეუძლია. ამიტომ გადავწყვიტეთ, მათთვის ეს ღონისძიება მოგვეწყო და ნამუშევრები ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო.

მათი გათიარვებილი, ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამის“ ხელმძღვანელი:

— გამოფენამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენც და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც, როდესაც დევნილთა პრობლემებზე ვმუშაობთ, მთავარ აქცენტს ყოველთვის მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე, სოციალური პრობლემეტიკის მოგვარებაზე ვაკეთებთ; ვცდილობთ, გავაცნოთ თავიანთი უფლებები და ა.შ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანებს, რომლებიც მათთვის უცხო და არატიპურ გარემოში იმყოფები-

ან, ინტეგრაციისთვის აუცილებლად სჭირდებათ სულიერი განვითარება. ბევრი მათგანი რაიმე განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული, მათი ნამუშევრები კი ხშირად მხოლოდ ვინრო წრისთვისაა ხელმისაწვდომი. არადა, საჭიროა მათი სამუშაო გამოტანა. იმედი მაქვს, ეს გამოფენა მათ მისცემს შემოქმედებით სტიმულს და მომავალში მეტის კეთების სურვილი გაუჩნდებათ.

— **ძირითადად, რა ასაკის ადამიანების ნამუშევრებია წარმოდგენილი?**

— ასაკობრივი ზღვარი საკმაოდ

ფართოა: 10-11 წლიდან — ზემოთ. ჩვენი პროექტის სამოქმედო არეალი „ძველი“ და „ახალი“ დევნილების ჩასახლებებია, რომლებიც შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და სამეგრელოში მდებარეობს. საერთოდ, „ოქსფამი“ საქართველოში 1993 წლიდან მუშაობს. ჩვენი მთავარი მიზანი — გაჭირვებული ადამიანების დახმარებაა, დევნილები კი — მთავარი საზრუნავია.

საგამოფენო დარბაზში დამთვალელებელს ლებტოპზე იმ დოკუმენტური ფილმის კადრების ნახვის საშუალებაც ჰქონდა, რომელიც დევნილების ყოფა-ცხოვრებას ასახავს.

ზაზა კორინთელი (ზუმბა)

მუსიკოსი:

— მიუხედავად იმ პრობლემებისა და გაჭირვებისა, რაც ამ ხალხმა გადაიტანა, მისი შემოქმედებითი პოტენციალი მაინც დიდია. ხშირად მიწვევს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობასთან ურთიერ-





რა სტილის სამოსს ქმნით ატელიეში?

— ყველანაირს — კლასიკურიცაა და ავანგარდულიც. ქსოვილებითაც ეს ორგანიზაცია მამარაგებს. დღევანდელი დღის ორგანიზატორები კი ჩვენების მოწყობაში დამუხმარნენ.

გამოფენას ცნობილი ადამიანებიც ესწრებოდნენ და რამდენიმე მათგანს შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

ბურანდა გააუხია, მსახიობი:



— ჩემი ყველა ინტერვიუ იმით იწყება, რომ ტყვილი სოხუმის გამო არ გამწვანდებია და არც არც განუდებია, სანამ არ დავიბრუნებთ. მოხარული ვარ, რომ ასეთი ნიჭიერი ხალხის გამოფენა ამდენმა სტუმარმა ნახა და ვულოცავ მათ ამ წარმატებას! ყველაფერი ძალიან მომეწონა.

ნუზარ რუხაძე, ჟურნალისტი:

— ძალიან მომეწონა როგორც ნამუშევრები, ასევე თვით ეს ფაქტიც. ჩვენს საზოგადოებას, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ადამიანთა ჯგუფების „კატეგორიზაცია“ უხდება, ამ შემთხვევაში — დევნილების. მჯერა, რომ ეს ყველაფერი ნელ-ნელა ნაიშლება, არ შეგვიძლია, პესიმისტები ვიყოთ. ნიჭიერი ბავშვები არიან და სანუკვარი მიზნების მიღწევაში ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი. ასეთი პროექტები იმისთვისაა საჭირო, რათა მსოფლიოს დავანახვოთ, რომ ადვილად არ წავიქცევით, ჩვენს სახეზე ღიმილი არასოდეს გაქრება, შემოქმედება არასოდეს დაცხრება. ქართველი კაცი იყო, არის და იქნება!

ბოლოს დავძენთ, რომ პროექტის პარტნიორები იყვნენ: „Oqsfam დიდი ბრიტანეთი“, ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედების ასოციაცია — „დეა“ და Welfare Foundation; გამოფენა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

თობა, განსაკუთრებით — დევნილებთან. კარგად ვიცნობთ მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, იუმორს, ოჯახურ სიტუაციებს და ა.შ. ფილმში, რომელიც ჩვენ გადავიღეთ და რომლის რეჟისორიც ნიაზ დიასამიძეა, სწორედ ეს ყველაფერია ასახული. ეს არის ფილმი არა გაჭირვებაზე, არამედ სულიერ სიმტკიცეზე, უკეთესი მომავლის მოლოდინსა და გამოსავლის გზების ძიებაზე. სახელიც ასეთი დავარქვით — „მოლოდინი“. მთავარია, მოთმინება გვეყოს და ჩვენი მოლოდინი აუცილებლად გამართლდება. პრემიერა უახლოეს ხანებში ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში შედგება.

გამოფენის მონაწილეები სხვადასხვა ასაკის ადამიანები იყვნენ და რამდენიმე მათგანს გავსაუბრე.

— თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია ამ გამოფენაში მონაწილეობა და რამდენი ხანი მუშაობდით, რათა ეს ნამუშევრები შეგექმნათ?

ვალერიან ჭილაშვილი, მოქანდაკე, დევნილი სოფელ დისევიდან:

— ყველა ნამუშევარი დიდ შრომას მოითხოვს. მათი უმეტესობა გამოდევნის შემდეგ შექმენი. ჩემთვის მნიშვნელოვანია ეს ღონისძიება. მაგალითად, მსახიობი სცენაზე წარმოაჩენს თავს; მხატვრისთვის კი „სცენა“ — გამოფენა: საზოგადოებას თუ არ უჩვენე, რაც შექმენი, რა აზრი აქვს?!

— სხვა დროს თუ გქონათ გამოფენა?

— დიას, თბილისშიც, ნოვოსიბირსკშიც და ა.შ. რალაც პერიოდი ამ საქმეს მოვწყდი, თეატრს ვაშენებდი მთელი 22 წელიწადი და მთლიანად ამაზე ვიყავი გადართული. ხალხს გული სწყდებოდა, შენი ნამუშევრები დაინვაო, მაგრამ — არა უშავს, დავბრუნდები და ხელახლა გავაკეთებ ყველაფერს-მეთქი (იცი-ნის)...

შორენა მანისურაძე, დევნილი ქარელის რაიონის სოფელ ავწევიდან:

— ჩემს ნამუშევრებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ფიჭვის წიწვებია გამოყენებული, რომელთა შორისაც, ზომისა და ფორმის მიხედვით, დიდი განსხვავებაა. წიწვებისგან ლარნაკების კეთება 20 წლის წინ, ურეკში ვისწავლე. ქალბატონი დავინახე, რომელიც ქსოვდა; მეც ჩუმ-ჩუმად ვუყურებდი, დავიმახსოვრე, რა როგორ უნდა გამეკეთებინა და შემდეგ ჩემს ნამუშევრებს სხვებს ვჩუქნიდი. ომის შემდეგ, რაც მქონდა, ყველაფერი იქვე დარჩა. როცა უკვე

სურამში, დროებით თავშესაფარში დაგვასახლეს, იდეა გამიჩნდა, კვლავ მემუშავა, რადგან იქ ფიჭვი იყო... აქ 21 ნამუშევარი წარმოვადგინე. შრომატევადი საქმეა და ბევრი დროც სჭირდება — წიწვის მოპოვება, გარეცხვა, დალბობა, გაწურვა, გაშრობა. გულის დასამშვიდებელია: საოჯახო საქმეს რომ მოვრჩები, ღამე სხვადასხვა ნივთის ქსოვას ჩავუჯდები ხოლმე.

მირი ფალიაშვილი, დევნილი ხაშურის რაიონის სოფელ ხალედან:

— გამოფენაზე თქვის ნამუშევარი წარმოვადგინე, რომელზეც ყვავილებია გამოსახული. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა ძალიან მინდოდა და გამიხარდა, რომ შესაძლებლობა მომეცა.

გამოფენაზე 19 ავტორის 40 ფოტოსურათიც იყო წარმოდგენილი. ფოტოკონკურსისთვის ნამუშევრების შერჩევა და გამარჯვებულის გამოვლენა იური მეჩითოვე ევალებოდა. პირველ ადგილზე გასულ ანა სამხარაძეს „ფოტოსამყაროს“ 300-ლარიანი ვაუჩერი გადაეცა, ვასილ გულეურს — 200-ლარიანი, სოფო ლაგვილაყას კი — 100-ლარიანი. იური მეჩითოვემ ყველა მონაწილეს სპეციალური დიპლომი გადასცა და აღნიშნა:

— თავდაპირველად 135 ფოტო იყო მოცემული; 40 მათგანი შევარჩიეთ და გამოფენაზე წარმოვადგინეთ, ხოლო მათგან 3 საუკეთესოს ავტორი დავაჯილდოეთ. ყველა ნამუშევარი კარგი იყო და ვერ გადამწყვიტა, რომელ მათგანს მივმსრობოდი. მე არა მარტო გამარჯვებულ სამეულს, არამედ ყველა მონაწილეს მინდა მივულოცო, რადგან ასეთი დონის გამოფენაში მონაწილეობა მათთვის მნიშვნელოვანია.

გამოფენასთან ერთად, მოდების ჩვენებაც მოეწყო, სადაც ახალგაზრდა დიზაინერმა საკუთარი კოლექცია დევნილ გოგონებს მოარგო და საზოგადოების სამსჯავროზე ამგვარად წარმოადგინა.

თამუნა ზუზაშვილი, დიზაინერი, დევნილი სამაჩაბლოდან:

— დიდი მადლობა ყველას, ვინც ცდილობს, დევნილებს მხარში ამოუდგეს. ძალიან მიხარია, რომ სულ ცოტა ხნის წინ, მსოფლიო მიგრაციის ორგანიზაციის დახმარებით, ატელიე გავხსენი — მათ დამაფინანსეს.

გზაში საკითხავი კოლაჟი

ჭკადეველი ოქეზი ივანიძე

1. ბამბუკის სამშობლო აზიაა.
2. კოლიზეუმი 50 ათასამდე მაყურებელს იტევდა.
3. გერმანიაში სვასტიკის გამოსახულება კანონით აკრძალულია.
4. „როლს-როისის“ ავტომობილები განთქმულია უხმაურო სვლით.
5. „ალფონსო კაპონე. ავეჯით მოვაჭრე“, — ენერო მაფიის ბოსის საეზიტი ბარათზე.
6. დედამინაზე ობობების 35 ათასი სახეობა არსებობს და ყველა მათგანი მტაცებელია.
7. მარტინ ლუთერ კინგი ტენესის შტატში, ქალაქ მემფისში, სასტუმროს აივანზე მოკლეს.
8. „როცა ქუჩებში სისხლი იღვრება, უძრავი ქონება შეიძინე“, — ამბობდა ბარონი როტშილდი.
9. დედამინაზე მილიონამდე შიშვანზე ბინადრობდა. დღეს მათი რიცხვი 150 ათასს არ აღემატება.
10. შეერთებული შტატების პრეზიდენტი ენდრიუ ჯექსონი მხოლოდ საკუთარი ხელით შეკერილ კოსტიუმებს იცვამდა.
11. „კანტო“ — ასე ერქვა პატარა ხანჯალს, რომლითაც სამურაები მოკლულ მტერს თავს აჭრდნენ, დაზარალების შემთხვევაში კი პარაკირის იკეთებდნენ.
12. არ არსებობს ორი საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოში, რომელსაც ერთმანეთთან უფრო მეტი შეხვედრა ჰქონდეს ჩატარებული, ვიდრე ურუგვისა და არგენტინის ნაკრებებს.
13. „არ შეიძლება, სუპერმარკეტებში რომ ჩასარიცხი აპარატებია, სტუდენტები პირდაპირ იქიდან ჩავრიცხოთ უმაღლეს სასწავლებელში?“ — სისხლს უშრობდა სტუდიაში მიწვეულ დიმიტრი შაშკინს ვანო ჯავახიშვილი.
14. რომან კარცევს ბავშვობაში არტისტს ეძახდნენ, მაგრამ სასკოლო სპექტაკლებში როლებს არ აძლევდნენ, რადგან ყველაზე ტრაგიკულ პიესასაც კი საცირო სანახაობად გადააქცევდა ხოლმე.
15. „შენ ცოცხლობ, ესე იგი სუნთქავ; სუნთქავ, ესე იგი ლაპარაკობ; ლაპარაკობ, ესე იგი კითხვებს სვამ; კითხვებს სვამ, ესე იგი ფიქრობ; ფიქრობ, ესე იგი ეძებ; ეძებ, ესე იგი შეიმეცნებ; შეიმეცნებ, ესე იგი სწავლობ; სწავლობ, ესე იგი იზრდება; იზრდება, ესე იგი მიისწრაფვი; მიისწრაფვი, შესაბამისად — პოულობ; პოვნისას ეჭვი შეგაქვს; დაეჭვებისას აზუსტებ; დაზუსტებისას იგებ; იგებ, ესე იგი იცი; როცა იცი, გინდა მეტი იცოდე და როცა მეტი გინდა იცოდე, ესე იგი ცოცხლობ!“, — ამ სლოგანს ტელეარხი „ნეიმენალ ჯეოგრაფიკი“ საკუთარი გადაცემების სარეკლამოდ იყენებს.



„იაგუარის“ ჰიბრიდი

კომპანია „იაგუარი“ ახალი ტიპის ჰიბრიდული დანადგარის გამო-საცდელად ემზადება. ამ აგრეგატის შექმნაზე ერთბაშად რამდენიმე ბრი-ტანული ფირმა მუშაობდა, რომელთა შორის იყვნენ Flybrid Systems, Torotrak, Prodrive (სარბოლო მანქანებზე სპეციალიზებული კომპანია); ასევე




საინჟინრო კომპანიები — Ricardo და Xtrac, ხოლო მისი სვლის გამოსაცდელ მოდელად სედანი XF იქცა. ახალი ჰიბრიდული დანადგარის კონსტრუქციის საკვანძო ელემენტად Torotrak-ისა და Xtrac-ის მიერ შემუშავებული, უსაფეხურო ტრანსმისია იქცა. ტრანსმისიაში სპეციალური ქანქარა ჩამონტაჟებული, რომელიც წუთში 60 ათას ბრუნს აკეთებს. მას დამუხრუჭებისას კინეტიკური ენერჯის დაგროვე-

ბა და შემდეგ მისი გაცემა შეუძლია, რაც აგრეგატის საერთო სიმძლავრეს 7 წამში 80 ცხ. ძალით ზრდის. ასეთ კონსტრუქციას, „სტოპ-სტარტის“ სისტემასთან ერთად, რომელიც ძრავას შექნიშანთან და საცობების დროს გაჩერებისას თიშავს, სანვავის საშუალო ხარჯის 20%-ით შემცირება შეუძლია. ამასთან, იგი ძალიან კომპაქტურია, წონა კი მხოლოდ 65 კგ-ია, რაც ორჯერ მცირეა, ვიდრე ჰიბრიდული დანადგარის საშუალო მასა. გარდა ამისა, შემქმნელთა თქმით, ქანქარას ბაზაზე აწყობილი ჰიბრიდული დანადგარის კონსტრუქცია სხვა მოდელებზეც იოლად გამოყენებადი. მაგალითად, არასაგზაო Land Rover-ზე. თუმცა, ჯერჯერობით „იაგუარ ლენდ როვერის“ ხელმძღვანელობას ჰიბრიდული მოდელების წარმოების შესახებ ამ ეტაპზე არავითარი ინფორმაცია არ გაუვრცელებია. ახალი ტექნოლოგია Flywheel Hybrid System for Premium Vechiles-ის (ჰიბრიდული სისტემა ქანქარათი პრემიალური ავტომობილებ-ისთვის) სახელით ცნობილი პროექტის ფარგლებში შეიქმნა, რომლის ბიუჯეტიც 3 მილიონ გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ამ თანხის ნაწილი, — 2,2 მილიონი, — დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ გაიღო.

Audi Anniversario

კომპანია „აუდი“ პარიზის ავტოსა-ლონისთვის კიდევ ერთ სიახლეს ამზადებს: უკვე ანონსირებული კომპაქტური როდსტერის, — R4, — მოდელის, — 7, — აგრეთვე R8-სა და A1-ის ახალი მოდიფიკაციების გარდა, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება კონცეპტუალური კუპე, Audi Anniversario. ეს ავტომობილი „აუდის“ 100 წლისთავის აღსანიშნავად ააგეს. კამუფლირებულ პროტოტიპს ფოტოები მაშინ გადაუღეს, როდესაც მას სარეკლამო გადაღებისთვის ამზადებდნენ. როგორც მოსალოდნელია, ეს სიახლე ლეგენდარული Audi Sport Quattro-ს სტილში იქნება შესრულებული, რომელმაც რალის მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა, ხოლო მის საფუძველს სერიული კუპეს, — audi RS5, — პლატფორმა წარმოადგენს. დაახლოებით 1400 კგ მასის მანქანას 2,5 ლიტრის მოცულობის ტურბოძრავა,

„აუდის“ ახალი დიფერენციალის ბაზაზე შემნილი სრული აძვრის ტრანსმისია, ადაპტური ამორტიზატორები და მძლავრი მუხრუჭები ექნება. სავსებით შესაძლებელია, რომ



უკვე 2012 წლიდან ასეთი მოდელი სერიულ წარმოებაში ჩაუშვან, თუმცა ოფიციალურად ამის შესახებ კომპანიას ჯერ არ განუცხადებია.

სუპერმანქანა „კრაისლერისგან“

ორლანდოში (ფლორიდის შტატი) ორიოდ დღის წინ გამართულ კონცერნ „კრაისლერის“ დილერთა დახურულ კონფერენციაზე სუპერავტო Dodge Viper-ის მომავალი თაობის პროტოტიპი წარადგინეს. ღონისძიებაზე მყოფმა „კრაისლერის“ გენერალურმა დირექტორმა, სერჟიო მარკიონიმ განაცხადა, რომ ახალი „ვაიპერის“ გამოშვება 2012 წლიდან იგეგმება. წარმოდგენილი სუპერავტო წინამორბედზე უფრო აგრესიულად გამოიყურება, ხოლო მისი დიზაინი კონფერენციის ყველა მონაწილემ მოინწონა. პროტოტიპის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ძარა იყო, რომელიც Candy-apple red-ის სახელით ცნობილი, ღია ნიჟარის საღებავის 25 ფენითაა დაფარული. ახალი „ვაიპერის“ კაპოტქვეშ, სავარაუდოდ, 8,4-ლიტრიანი, Multiair-ის ტექნოლოგიით შექმნილი, V10 ძრავა დამონტაჟდება, ხოლო საბაზო აგრეგატად V8



იქცევა. გავრცელებული ხმების თანახმად, ახალი „ვაიპერი“ Dodge-ისა და Ferrari-ს თანამშრომლობის შედეგად იქმნება. 2009 წლის გაზაფხულზე კონცერნმა „კრაისლერმა“ განაცხადა, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად ავტომწარმოებლის გაკოტრების გამო სუპერავტო „დოჯი ვაიპერი“ კონვეიერიდან მოიხსნა. თუმცა ზაფხულში ჩრდილოამერიკული სუპერმანქანების აწყობა განახლდა. საბოლოოდ ამ მოდელის გამოშვება მიმდინარე წლის 1-ელ ივლისს დასრულდა.

„პეჟო“ კონსაბავაზოს ელისას მინდორზე გაიყვანს


კომპანია „პეჟო“ კონცეპტუალური სპორტული ავტომობილის, — EX1, — პირველი გამოსახულება გაავრცელა, რომელიც ფრანგული ავტომწარმოებლის მიერ თავისი დაარსებიდან 200 წლისთავის აღსანიშნავადაა შემუშავებული. მანქანას არ გაიყვანენ პარიზის მოტორშოუზე. მისი ხილვა კომპანიის შოუდარბაზში იქნება შესაძლებელი, რომელიც ელისეს მინდორზე მდებარეობს. კონცეპტ-ავტოს გაბარიტული სიგრძე 3,54 მეტრია, სიგანე — 1,77 მ, ხოლო სიმაღლე — 90 სმ. მისი მასა 750 კგ-ია. მანქანა მოძრობაში ორ ელექტრომოდულს მოჰყავს (თითოეული ერთ ხიდზე), რომელთა ჯამური სიმძლავრე 340 ცხ. ძალაა. „პეჟოს“ მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს პროტოტიპი 3,6 წამში განავითარებს, ხოლო 260 კმ/სთ-ს ავტო 6,6 წამში აღწევს. EX1-ის გარდა „პეჟო“ პრემიერისთვის ასევე კროსოვერ HR1-ს ამზადებს. ამ უკანასკნელის სერიული ვერსია კონკურენციას გაუწევს Nissan Juke-ს. ავტომობილს ჰიბრიდული დანადგარი ექნება, რომელიც თავის თავში 2-ლიტრიან, 163 ცხ. ძალის სიმძლავრის მოტორს, 37 ცხ. ძალის ელექტროძრავასა და სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიან, რობოტიზებულ კოლოფს გააერთიანებს. პარიზის მოტორშოუზე „პეჟო“ ავტომობილ 508-ის ოჯახს, ასევე კონცეპტუალური ავტომობილის, — Citroen DS4 HighRider, — საკუთარ ვერსიას წარადგენს.



გზაში საკითხავი კოლაქი

ქეპლერელი თქუპ ივანიძე

16. ოლივერ კრომველის არმიას რვა კვირის მანძილზე ალყაში ჰყავდა როიალისტების მომხრე ქალაქი კოლჩესტერი. ქალაქში ისეთი შიმშილი მიქმნებოდა, რომ ქალები და ბავშვები ქვავინილზე ეყარნენ და ტირილით ითხოვდნენ ლუკმაპურს. როცა მოქალაქეებს სასოებით შენახული ის თითო ნატყეხი პურიც აღარ დარჩათ, რომლითაც ძალებს იტყუებდნენ, რათა მოეკლათ და შეექამათ, ქალაქი ჩაჰბარდა კრომველის არმიას.



17. შერთებული შტატების პრეზიდენტი, ჯეიმს გარფილდი მარცხენა ხელსაც ისევე კარგად ხმარობდა, როგორც მარჯვენას. მას შეეძლო ცალი ხელით ძველბერძნულად ეწერა და მეორით იმავდროულად — ლათინურად. პოლიგლოტი პრეზიდენტი მოგვიანებით ძალზე უაზროდ დაიღუპა — თითი გაიჭრა, სისხლი მოენამლა და გარდაიცვალა.

18. როცა რუს მეთევვეებს არ აქვთ საშუალება, ცეცხლი დაანთონ და ახალდაჭერილი კალმახი შეწვან, მარილ-მოყრილ თევზს ფოლგაში ახვევენ და ავტომობილის მოტორზე ამაგრებენ. ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ ექსტრემალური ნესით მომზადებული ვახშამი მზად არის.

19. დიეგო მარადონა ინგლისის ნაკრების კარში ხელით გატანილი გოლის გამო ლამის ჯვარს აცვა პრესამ. ამით გაბებრებულმა ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ინგლისელთა მეკარეს, შილტონს ჰკითხეთ, მისი კარის ხაზი ბურთმა ათი სანტიმეტრით რომ გადაკვეთოს და მსაჯმა ეს ვერ დაინახოს, მივა და მსაჯს ეტყვის — გოლი გავუშვიო?“.

20. ასწლიან ომში გამარჯვებული საფრანგეთის მეფე, შარლ VII თავის დროზე უნა დაწარის შემწობით ავიდა ტახტზე. მას შემდეგ, რაც ორლანელი ქალწული კოცონზე დაწვეს, მეფის მტრებმა ქვეყანა შეყარეს: ფრანგთა ხელმწიფემ სამეფო ტახტი კუდიანის დახმარებით ჩაიგდო ხელში. შარლ VII იძულებული გახდა, უნა დაწარის რეაბილიტაცია მოეხდინა. მას შემდეგ, რაც უნას დედა მეფეს ეახლა და საჯაროდ სთხოვა, ჩემი შვილის პატიოსანი სახელი აღადგინეო, გაიმართა სასამართლო, რომელზეც ყველა მონმე უკვე ორლანელი ქალწულის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. უნა დაწარის ყველა ბრალდება მოუხსნეს და ნეტარის სტატუსი მიანიჭეს. მთავარი ბრალმდებელი, ეპისკოპოსი კუშონი, ერეტიკოსად გამოაცხადეს და ეკლესიიდან განკვეთეს.



ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატები

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ქრისტიანთა განსაკუთრებული შემწე და მეოხია. კაცთა თვალათვის სახილველად ამას მისი სასწაულმოქმედი ხატების მიერ აღსრულებული აურაცხელი სასწაულიც მონაშობს. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატების რიცხვი მხოლოდ ზეციურმა დედოფალმა უწყის... წმინდა ქალწულის ხატების შექმნისა და განდიდების შესახებ მრავალი საეკლესიო გადმოცემა და ლიტერატურული წყარო არსებობს; მათზე დაყრდნობით ღვთისმშობლის რამდენიმე ხატის შესახებ მოგიტხრობთ...

შორენა ბერაქილაძე

ზოგრაფის მონასტრის ღვთისმშობლის ხატი – დაუჯდომალისა

ათონის მთაზე, ზოგრაფის მონასტრის სიახლოვეს, ერთი ღვთისმოსავი ბერი მოღვაწეობდა განმარტოებით. მას ჩვევად ჰქონდა, დღეში რამდენჯერმე თავისი სენაკის ხატის წინაშე ღვთისმშობლის დაუჯდომელი წაეციხა. ერთხელ, როდესაც ლოცვა დაასრულა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ „გიხაროდენ“ იგალობა, ხატიდან მოესმა ხმა: „და შენცა გიხაროდენ, კაცო ღვთისაო“. ბერი შიშმა მოიცვა, მაგრამ კვლავ ესმა ხმა: „ნუ გეშინია, წადი მონასტერში და ილუმენს და ძმებს აუწყე, რომ მტერი ახლოსაა, ვინც სულით მტკიცე არ არის, დაე დაიმალოს, რადგან განსაცდელი მოდის, ხოლო ვისაც მონაშობს გვირგვინი სურს, დარჩეს. ისწრაფე“.

ბერმა სწრაფად დატოვა სენაკი და მონასტრისკენ გაეშურა. კარიბჭეში შესულს ღვთისმშობლის ხატი დახვდა. მან ილოცა, შემდეგ ხატი ხელში აიღო და ილუმენთან მივიდა. როდესაც მონასტრის ძმებმა მოახლოებული განსაცდელის შესახებ შეიტყვეს, ისინი მღელვარებამ მოიცვა. ბევრმა მართლაც დატოვა მონასტერი და მთებს მიაშურა დასამალად. 26 ბერი კი ილუმენსა და წმინდა მამასთან ერთად სავანეში დარჩა და კოშკში ჩაიკეტა.

მალე მონასტერს ლათინები მოადგნენ. ისინი ჯერ შეეცადნენ, ტყბილი საუბრით დაეყოლიებინათ ბერები, კარიბჭე გაეღოთ და რომის პაპი უცოდველად და მსოფლიო ეკლესიის თავად ელიარებინათ; სანაცვლოდ დიდძალ ქონებასა და შეწყალებას ჰპირდებოდნენ. ბერებმა უარი განაცხადეს: ჩვენთვის ეკლესიის თავი ქრისტია. გვირგვინია დავიხოცოთ, ვიდრე ამ წმინდა ადგილის შებილწვის ნება მოგცეთო. მაშინ ლათინებმა კოშკის გარშემო ფიჩხი მოაგროვეს და ცეცხლი შეუთესეს. შენობა მთლიანად ალში გაეხვია. ბერებმა ლოცვით შეჰვედრეს სული უფალს. ეს მოხდა 1276 წლის 10 ოქტომბერს.

როდესაც იმ ადგილს ასუფთავებდნენ, სადაც კოშკი იდგა, ღვთისმშობლის ხატი, რომელმაც ბერებს მოსალოდ-

ნელი განსაცდელის შესახებ აუწყა, სრულიად უვნებელი იპოვეს. მას დაუჯდომელისა ეწოდა.

ღვთისმშობლის ხატი – გამოხსნელი

ღვთისმშობლის ხატი, რომელიც შემდგომ გამოხსნელად იწოდდა, ათონის მთაზე, წმინდა პანტელეიმონის რუსულ მონასტერში მოღვაწე სქიმონაზონ მარტინიანეს ჰქონდა. მონაზონი მკაცრი მოღვაწეობით გამოირჩეოდა. ხატი მას დიდმა მამამ, მღვდელმონაზონმა თეოდულემ უსახსოვრა. თუმცა საიდან და რა დროიდან ჰქონდა თვით თეოდულეს, ეს დღემდე უცნობია.

1841 წელს მამა მარტინიანეს ელადამი წასვლა მოუხდა. გზად სპარტის ეპარქიაში შეეყოვნა. შეიტყო, რომ ამ ტერიტორიაზე მინდვრებსა და ტყეც კალია შემოსეოდა და ნათესებს ანადგურებდა. მათ წინააღმდეგ ყოველგვარი გარჯა ამაო იყო. მწერი უფრო და უფრო მრავლდებოდა. ბოლოს ხალხს თვალებშიც აფრინდებოდა. შეშინებული მოსახლეობა შინიდან ვეღარ გამოდიოდა.

მამა მარტინიანე ძალზე დაამწუხრა ხალხის გასაჭირმა. ყველას მოუწოდა, ელოცათ ზეციური დედოფლის წინაშე, მისთვის ეთხოვათ შემწეობა. წმინდა ქალწული აუცილებლად მოხედავდა მათ. ბერს 5000-ზე მეტი ადამიანი გაჰყვა. მან ღვთისმშობლის ხატი, რომელიც თან წამოიღო, მინდორში გამოიტანა და ხალხთან ერთად გულმხურვალედ ლოცულობდა წმინდა ქალწულის წინაშე. მოულოდნელად კალიების გუნდი აიშალა და ისეთი სისწრაფით გაეცალა იქაურობას, რომ მზის შუქიც კი დაფარა; შემდეგ ჩიტები გამოჩნდნენ და დარჩენილი კალიის განდევნა დაასრულეს. ხატს გამოხსნელი ეწოდა. მას შემდეგ მრავალ სასწაულს ახდენდა და ათონის წმიდა პანტელეიმონის მონასტრის ერთ-ერთ უმთავრეს სინმინდედ მიიჩნეოდა.

1889 წელს, ათონის წმინდა პანტელეიმონის მონასტრის წინამძღვრის ანდერძის თანახმად, ღვთისმშობლის „გამოხსნელად“ წოდებული სასწაულმოქმედი ხატი გადაეცა ახალი ათონის სვიმონ კანანელის სახელობის მონას-

ტერს — კავკასიაში — კურთხევისა და ძმური სიყვარულის ნიშნად.

ღვთისმშობლის ხატი „იასუს ძირი“

ხატი კუნძულ ანდროსზე მდებარე მონასტერში ინახება. იგი XV საუკუნეშია შექმნილი კონსტანტინოპოლში. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ კონსტანტინოპოლიდან გადმოაბრძანეს. მასზე გამოსახულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ღვთაებრივი ყრმით ხელში. მის ფეხთან, ვითარცა ძირი, გამოსახულია წინასწარმეტყველი იესე, რომლიდან ამოზრდილ რტოზეც არიან გამოსახული წმინდა ქალწული და მაცხოვარი, ორივე მხარეს კი — იმ წინასწარმეტყველთა სახეები, რომელთაც მაცხოვრის მოსვლის შესახებ გვაუწყეს.

რამდენიმე ათეული წლის წინ მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა დოროთემ შენიშნა, რომ ხატზე გამოსახულ ღვთისმშობელს მარჯვენა თვალიდან სისხლის ცრემლი მოსდიოდა. მეორე დღეს კი ცრემლდენა შეწყდა და ხატიდან საოცარი სურნელება წამოვიდა. ამის შემდეგ ხატიდან განუწყვეტილ მოედინება სურნელოვანი მირონი. ბერები მას აგროვებენ და მორწმუნეებს ურიგებენ. ღვთისმშობლის ხატის მიერ უამრავი სასწაული აღესრულა.

„მწყალობელი-ქიქსოსისა“

ხატი ლუკა მახარებლის მიერაა შექმნილი, იგი ერთ-ერთია მის მიერ აღწერილ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამ ხატთაგან, რომლებიც თავად წმინდა ქალწულმა იხილა და მისი კურთხევის ღირსი გახდა. ღვთისმშობლის „მწყალობელად“ წოდებული ორი ხატი არსებობს. ერთ-ერთზე იგი მაცხოვრის გარეშეა გამოსახული, მეორეზე კი, რომლის შესახებაც ვსაუბრობდით, — ყრმა მაცხოვართან ერთად. სწორედ ამ ხატს ეწოდა ქიქსოსისა, პირველისგან განსასხვავებლად. ხატი კუნძული კვიპროსის ჩრდილო-დასავლეთით, ქიქსოსის მთებში იმყოფება. ვერცხლის პერანგზე, რომელიც ხატს 1576 წლიდან ამკობს, არის ბერძნული წარწერა „ქიქსოსელი“.

ლუკა მახარებელს იგი ეგვიპტელი ნაზორეველების — ღვთისმოსავი ქრისტიანებისთვის გაუგზავნია, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ და მარკოზ მახარებლისგან განდევნილად ცხოვრების წესებს სწავლობდნენ. ხატი დიდი ხნის მანძილზე ინახებოდა ეგვიპტეში, მაგრამ 980 წელს იქ მომხდარი მღელვარების დროს ქრისტიანებს კონსტანტინოპოლში გადაუტანიათ. სინმინდე საიმპერატორო სასახლეში მოათავსეს, სადაც ალექსი კომნენოსის (1082-1118 წ.წ.) მეფობამდე დარჩა. მისი ქალიშვილი მძიმე სენით იყო ავად; იგი ღვთისმშობლის ხატის მიერ სასწაულმდებრეად განიკურნა. ალექსანდრე კომნენოსის ღვთისმშობელი სიზმრად გამოეცხადა და უბრძანა, ხატი კვიპროსზე გაეგზავ-



ნა. იმპერატორმა გამოლვიძებისთანავე ბრძანა გემის მომზადება, რათა სინმინდე კუნძულზე გადაებრძანებინათ. სინმინდე დიდი პატივით გადაიტანეს მინიშნებულ ადგილზე. მის პატივსაცემად ქიქსოსის მთებში ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი ააგეს და ხატი იქ დააბრძანეს. მალე ტაძართან იმპერატორის შემოწირულობით მონასტერიც დაარსდა.

1365 წელს ტაძარი, სადაც სინმინდე იმყოფებოდა, ხანძარმა გადაწვა, ყველაფერი განადგურდა, ღვთისმშობლის ხატი კი სრულიად უვნებელი გადარჩა. ამ პერიოდში კვიპროსი ლათინებს ჰქონდათ დაპყრობილი, 1570 წელს კი ისინი თურქებმა განდევნეს და კუნძული მათ მფლობელობაში გადავიდა. მათ სავანე აღადგინეს და ღვთისმშობლის ხატი თავის ძველ ადგილას დააბრუნეს. ქიქსოსის მათიანე ხატის მიერ აღსრულებული სასწაულების მრავალ ჩანაწერს ინახავს. მემკვიდრის ცნობით, მისი ძალით გვალვის დროს წვიმა მოდიოდა, სნეულნი იკურნებოდნენ, უწყალონი შეილიერების მაღლს იღებდნენ...

შემდგომში ხატი საბურვლით დაუფარავთ, რომელიც მარცხენა ზედა კუთხიდან მარჯვენა ქვედა კუთხემდეა გადაჭიმული. არავინ უწყის, როდის მოხდა ეს. ამის გამო ღვთისმშობლისა და ყრმა-მაცხოვრის სახეების ხილვას ვერაფერი ახერხებს, რადგან ვერ ბედავენ საბურვლის შეხებას. ვინც კი მისი ხელის შეხება და ხატის ხილვა დააპირა, მკაცრად დაისჯა.

ღვთისმშობლის ხატი – „დიდი სიხარული“

ყოვლადმინდა ღვთისმშობლის მეგალოხარის-დიდ სიხარულად წოდებული სასწაულმოქმედი ხატი კუნძულ ტინოსზე არსებულ ხარების სახელობის ტაძარშია დაბრძანებული, რომლის განდიდებაც სასწაულებრივად მოხდა: XIX საუკუნეში კუნძულ ტინოსზე არსებული კნროვირეუნიუს სავანეში მოღვაწე მონაზონ პელაგიას ყოვლანმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა: დადგა დრო, ჩემი სასწაულმოქმედი ხატი მიწიდან ამოიღოთ, რომელიც X საუკუნეში არაბი მეკობრეების მიერ გადამწვარი ტაძრის ადგილასაა დაფლული. წმინდა ქალწულის ბრძანებით, მონაზონს ხილვის შესახებ სამღვდლოებისთვის უნდა ეუწყებინა, თანაც ხილვა რამდენჯერმე განმეორდა, მაგრამ პელაგია ეჭვმა შეიპყრო — იქნებ გამოცხადება ეშპაის საცდური-აო, ამიტომ მის შესახებ არაფერი უთქვამს. მას კვლავ გამოეცხადა წმინდა ქალწული, იგივე აუწყა და გააფრთხილა, თუ კვლავ შეენინაღმდეგებოდა ღვთის ნებას, მძიმე სნეულება ეწვეოდა. მონაზონი ეპისკოპოსთან მივიდა და ყველაფერი უამბო. ეპისკოპოსმა გაიხსენა, რომ რამდენიმე წლის წინ ღვთისმშობელი ერთ ღვთისმოსავ ზერიკაცს

გამოეცხადა და იგივე აუწყა; ხილვა ჭეშმარიტებად მიიჩნია და ბრძანა, ხარების რეკით მოეხმოთ ტინოსელი ქრისტიანები, რათა ღვთისმშობლის უწყების შესახებ ემცნო. ქრისტიანებმა წმინდა ქალწულის მიერ მინიშნებული ადგილის გათხრა დაიწყეს, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს და მუშაობას თავი მიანებეს.

მცირე ხანში კუნძულზე საშინელი ეპიდემია გავრცელდა, რომელსაც ბევრი ადამიანი ემსხვერპლა. ხალხმა იფიქრა, რომ ამის მიზეზი ღვთისმშობლის თხოვნის უგულვებლყოფა იყო და ძიება გააგრძელა. მუშაობის დროს



გადაწყვიტეს, ტაძრის ნანგრევებზე კვადერი — სამლოცველო აეშენებინათ. როდესაც მისთვის სასაძირკვლეს ჩრიდნენ, აღმოაჩინეს ძველი, დამშრალი ჭა, რომელიც ტაძრის ნანგრევებს შიგნით იყო მოქცეული, ამიტომ ივარაუდეს, რომ ეს რაიმე სასწაულთან იქნებოდა დაკავშირებული და სამლოცველოს „წყარო ცხოველი“ უწოდეს. ეს მოხდა 1823 წელს.

2 მეტრის მოშორებით, როდესაც საძირკვლისთვის ადგილს ასწორებდნენ, ბარის პირი ხეს მოხვდა. რამდენიმე ხანში ხატის ნახევარიც გამოჩნდა. მასზე გამოსახული იყო მთავარანგელოზი გაბრიელი, რომელიც ღვთისმშობელს შროშანს აწვდის. მალე მეორე ნაწილსაც მიაკვლიეს — ამ ნაწილზე გამოსახული იყო ღვთისმშობელი, რომელიც მუხლმოყრილი ისმენს ანგელოზის ხარებას. მუშებმა ორ ნაწილად გაყოფილი ხატი შეაერთეს და ანალოგიაზე დააბრძანეს. მიუხედავად იმისა, რომ ხატი ასწლეულების მანძილზე იმყოფებოდა მიწაში, თითქმის უვნებლად იყო შენახული. ვარაუდობენ, რომ ეს ხატი წმინდა ლუკა მახარებლის მიერაა შექმნილი. ხატის პოვნის ამბავი მთელ კუნძულს

ლს მოედო. ხალხი იმ ადგილას შეიკრიბა, სადაც ხატი იყო დაბრძანებული. ეპისკოპოსმა პარაკლისი აღავლინა. მალე „ცხოველყოფელი წყაროს“ სახელობის მცირე სამლოცველოს ადგილას ხარების სახელობის დიდი ტაძარი ააგეს და ღვთისმშობლის ხარების ხატიც იქ დააბრძანეს. ღვთისმშობლის ხარების ხატის მიერ, მისი პოვნის დღიდან, უამრავი სასწაული აღესრულა.

ახტირის ღვთისმშობლის ხატი

ქალაქ ახტირში უძველესი დროიდან არსებობდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. XVIII საუკუნეში იქ ქველმოქმედი მღვდელი დანიელი მოღვაწეობდა. ერთ დღეს მღვდელი თავის ბოსტანში თიბავდა. მოულოდნელად ბალახში ღვთისმშობლის ხატი შენიშნა. მასზე გამოსახული ღვთისმშობელი ჯვარცმული მაცხოვრის წინაშე ლოცულობს; საოცარ სხივს აფრქვევს. მღვდელმა პირჯვარი გადაისახა, ხატის წინ ღვთისმშობლის ლოცვა აღავლინა, შემდეგ იგი შინ წააბრძანა და საბაბო ადგილას დააბრძანა. ხატი მის სახლში 3 წლის მანძილზე იმყოფებოდა...

ამის შემდეგ, ღვთისმშობლის საფარვლის დღესასწაულზე, როდესაც მღვდელი იმ ოთახში შევიდა, სადაც ხატი იყო დაბრძანებული, მისგან მომდინარე საოცარი ნათება იხილა. ამგვარი რამ რამდენჯერმე განმეორდა, მაგრამ მღვდელი ხატის წინაშე ლოცვას აგრძელებდა და ამის შესახებ არავის არაფერს ეუბნებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ მას ძილში ყოვლადმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, რომ ხატი მცირისგან გაეუსუთავებინა, სუფთა წყლით გაეზბანა და საბურველი ჩამოეფარებინა. მღვდელი მართლაც ასე მოიქცა და გადაწყვიტა, ნაბანი წყალი მდინარეში გადაეღვარა. ღამით კვლავ იხილა სიზმარი: წყალი მდინარეში გადასალვრელად მიჰქონდა, გზად ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: შინ დაბრუნდი და შეინახე ეს წყალი — ის ციებით შეპყრობილებს განკურნავსო. გაიღვიძა თუ არა მღვდელმა, წყალი თავის ქალიშვილს დააღვინა, რომელსაც დიდი ხანია, ციება ტანჯავდა. გოგონა მამნივე გამოჯანმრთელდა. ამ სასწაულის შესახებ ხალხმაც შეიტყო. მღვდელს ციებით დაავადებული ადამიანები აკითხავდნენ; ვინც რწმენით იხმევდა წყალს, დაღვინისთანავე იკურნებოდა. ხატი 3 წელიწადი ისევ მღვდლის ოჯახში იმყოფებოდა, შემდეგ კი ღვთისმშობლის ბრძანებით, იმ ეკლესიაში გადააბრძანა, სადაც თვითონ მსახურობდა. მას შემდეგ კიდევ არაერთი ადამიანი განიკურნა ხატის განბანილი წყლის ხმევით. მას ახტირის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა. სასწაულმოქმედი ხატი ამჟამად ხარკოვის გუბერნიაში, ქალაქ ახტირის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული. ■



როგორ უსწორდებოდნენ ნათესავეებს ანტიკურ სამყაროში

ნათესავეებისადმი განსაკუთრებული სადისტოხობით იმპერატორი



კალიგულა გამოირჩეოდა. მუდმივი დამცირებებითა და დაშინებებით ბუბიამისს, ანტონინას გული გაუსკდა, მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ქალი იმპერატორის მითითებით მოწამლეს. ტირანის ბრძანებით იმპერატორ

ტიბერიუსს თავი მოჰკვეთეს. სიმამრთან კამათის შემდეგ კაცმა ყელზე მიიმე ლოდი მოიბა და ზღვაში დაიხრჩო თავი. საკუთარ ნათესავს პტოლომესს ხელი ჰკრა და შხამიანი გველთევზებით სავსე აუზში ჩააგდო. მის საუკეთესო მეგობრებს — მაქრონდსა და ენიას, მისივე ბრძანებით, რომის მთავარ მოედანზე კიდურები მოაჭრეს.

კალიგულა მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების დროს მოკლეს.

მეორე სადისტოი იმპერატორი ნერონი იყო, რომელმაც დედის, აგრინას მოსაკლავად მზაკვრულ ხერხს მიმართა. მის უკანასკნელად გასასეირნებლად გემი ააწყობინა, რომლის შუაშიც მოსასვენებლად სანოლი იდგა. ზღვაში ღრმად შესული გემი შუაზე უნდა გახსნილიყო და ქალი სანოლიდან წყალში ჩაეტანა. აგრინა გადარჩა (მოგვიანებით ნერონმა დედა მაინც მოაკვლევინა). ამის შემდეგ მტრების თავიდან მოშორებას საკუთარ მკვლელს ავალებდა. როცა მდიდარი დეიდის თავიდან მოშორების დრო დადგა, ქალი კიბიდან დააგორეს. საკუთარ აღმზრდელს, სენეკასაც თავი მოაკვლევინა. არც საკუთარი ცოლები დაინდო. პირველი ლალატში დაადანაშაულა და მოაკვლევინა. მეორე, ფხმძიმე, ცემით მოკლა, რადგან ქალმა იპოდრომიდან შინ გვიან მოსულ ქმარს დაგვიანებისთვის უსაყვედურა.

ნერონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ცნობილია მისი სიკვდილის წინ წარმოთქმული ფრაზა: „ეჰ, როგორი დიდი მსახიობი ტოვებს ამ ქვეყანას“.

სასტიკი რელიგიური სექტები

„ხალხის ბაჰარი“

გაიანაში ვინმე ჯიმ ჯონსმა ჩამოაყალიბა სექტა. იქ მოხვედრილი ადამიანი უსიტყვოდ ემორჩილებოდა ლიდერს. თვითმხილველების აზრით, ჯონსის ქადაგება პოლიტიკურ მიტინგებს უფრო ჰგავდა. იგი „კოოპერატიულ სოციალიზმს“ აშენებდა. დოკუმენტებში თავის კომუნას „სასოფლო და სამედიცინო კოოპერატივ“ ხალხის ტაძარს“ ეძახდა. დასახლების ერთ-ერთ ქუჩას ლენინის სახელი უწოდა. დილაობით საბჭოთა კავშირის ჰიმნს ასრულებდა. 1978 წლის 18 ნოემბერს გაიანის ჯუნგლებში ათასზე მეტი გარდაცვლილი ადამიანი იპოვეს. მიზეზი დღემდე უცნობია. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, სექტანტები ამერიკის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა დახოცეს.



ტანისამოსში იყო გამონყობილი.

„მენსონის ოჯახი“

ხალხი ჩარლი მენსონს შეშლილად, მანიაკად მიიჩნევდა. ზოგიერთისთვის იგი მხსნელი იყო და მის მხარდასაჭერად საიტიც კი გააკეთეს. მან ომი გამოუცხადა თეთრ და შავ რასებს. წერდა სიმღერებს. 60-იან წლებში „ოჯახი“ შექმნა, სადაც „შვილებს“ ზრდიდა. 1969 წელს მენსონი რამდენიმე მკვლელობაში დაადანაშაულეს. მისი მსხვერპლი გახდა რეჟისორ რომან პოლანსკის ფეხმძიმე ცოლი, შერონ ტიტი. თავდაპირველად მას — სიკვდილით დასჯა, ხოლო მოგვიანებით სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

„მავრიღა დღის ადვანტიზტები“


ადვენტიცტების სექტა აშშ-ში 1844 წელს შეიქმნა. იგი უბრალო ფერმერმა, უილიამ მილერმა ჩამო-

ჯან სინრიკო

იაპონური სექტა ბუდისტურ ტექსტებსა და იოგას ილეთებზეა დაფუძნებული. მისი ლიდერი ვინმე ასახარუ იყო. ერთი შეხედვით „უცოდველმა სექტებმა“ უამრავი ტერაქტი განახორციელეს. მათ შორის — აფეთქება ტოკიოს მეტროში. 2004 წელს სექტის ლიდერი სიკვდილით დასაჯეს.

„სამოთხის ხარიზმა“

სექტის ლიდერებმა, ამერიკელმა მარშალ ეპლუაიტმა და ბონი ნეტლზმა 1975 წელს სექტის 39 წევრი დაარწმუნეს, რომ დედამიწას კომეტა შეეჯახებოდა და დაითანხმეს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინათ. დარჩენილი სექტანტები ქუჩაში ხელთათმანებითა და ქუდებით გამოდიოდნენ, რათა შემთხვევით უწმინდურებს არ შეხებოდნენ. ჰქონდათ პერიოდები, როცა ერთმანეთს მხოლოდ წერილებით ეკონტაქტებოდნენ. სექტის თითოეულ წევრს ჰყავდა „პარტნიორ-დამკვირვებელი“ და თავადაც სხვას უთვალთვალებდა. სუიციდის წინ, ორგანიზმის განმენდის მიზნით, სექტანტები ლიმონის წვეს სვამდნენ. „სამოთხის კარიბჭის“ წევრებმა სიცოცხლე თვითმკვლელობით 1997 წლის 26 მარტს დაასრულეს. ყველა შავ





უხნაური საყვარო

• დედამიწის ყველაზე ცხელ და მშრალ ადგილზე, — სიკვდილის ველში — 15 სახეობის ჩიტი, 40 ძუძუმწოვარი, 12 ამფიბია, 13 თევზი ბინადრობს. აგრეთვე, 545 სახეობის მცენარე ხარობს.



• ქალაქ თეგაზისში (საპარა) ზოგიერთ სახლს მარილის კედლები აქვს. ეს დედამიწაზე ერთ-ერთი მშრალი ადგილია, ამიტომ, სახლები წვიმისგან არ სველება.

• საფრანგეთის ჩრდილოეთ-დასავლეთში მდებარე სენ-მიშელი დღე-ღამეში ორჯერ კუნძულია და ორჯერ — ნახევარკუნძული. ეს მოკლენა ატლანტის ოკეანის ძლიერი მოქცევისა და უკუქცევის შედეგია.

• კუნძულს — ბალისა და ლომბოკს შორის მანძილი 15 მილია. წყლის მაქსიმალური სიღრმე — 341 მეტრი. მიუხედავად ასეთი სიახლოვისა, კუნძულების ფლორა და ფაუნა ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც იაპონიისა და ინგლისისა.

• ყველამ იცის, რომ მთაში ასვლისას ადამიანს არტერიული წნევა ეწევა. ჩრდილოეთ ტიან-შანი ერთადერთი ადგილია, სადაც მთის მოსახლეობას ბარში მცხოვრებ სახლზე დაბალი წნევა აღენიშნება.

• რეინზე (მდინარე, რომელიც ევროპის რამდენიმე სახელმწიფოზე მიედინება) არის ადგილი, სადაც ექო 20-ჯერ გაისმის. საფრანგეთის ქალაქ ვერდენში ორ კოშკი ერთმანეთისგან 60 მეტრის მოშორებით დგას. შუაში წარმოთქმული სიტყვა 12-ჯერ მეორდება.

• ატლანტიკის ოკეანეში არსებული თითქმის ყველა კუნძული ვულკანური წარმოშობისაა.


• ძველად ბალტიის ზღვას ქარვის ზღვა ერქვა, ამ მინერალის სიმრავლის გამო.

• იაპონიას მინისძვრის ქვეყანას უწოდებენ. მის ტერიტორიაზე დღე-ღამეში საშუალოდ სამი მინისძვრა ხდება: „საუზმეზე, სადილზე და ვახშამზე“ — ხუმრობენ იაპონელები.

აყალიბა. წევრები ბრმად ენდობოდნენ ლიდერს. მან სამყაროს დასასრული „ინინასწარმეტყველა“ და ერთ-ერთი ქადაგების დროს სექტანტებით საესე დარბაზში თავი აიფეთქა. ხანძრის ჩაქრობის შემდეგ შენობის ნანგრევებში ათასზე მეტი ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს. მათ შორის 25 — ბავშვის.

ბჰაგავანა შრი რაჯნიშა

1966 წელს რაჯნიშმა უნივერსიტეტი მიატოვა, რათა საკუთარი მოძღვრება ჩამოეყალიბებინა. ციტატებს ჯაინიზმის, ბუდიზმის, დაოსიზმის, სუფიზმის და სხვა მოძღვრებიდან ქადაგებდა. მისი მთავარი პოსტულატი იყო: „გიყვარდეს ღმერთი და აკეთე რაც გინდა“. 1984 წელს დალასში ათასზე მეტი ადამიანი სალმონელის ბაქტერიით მონამლა. ამერიკიდან დეპორტაციის შემდეგ 21-მა სახელმ-



წიფომ ვიზაზე უარი უთხრა. დღეს მისი სახელობის მედიტაციის 200-ზე მეტი ცენტრი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეა გახსნილი.

მზის ორბანის ბაძარი

1984 წელს ბელგიელმა ნეონაცისტმა ლუკ ჟურიმ ასტროლოგიის, ალქიმიის, მისტიკის, იოგასა და კაბალისტიკის მოძღვრებაზე დაყრდნობით საკუთარი რელიგია შექმნა. სექტანტებს შთააგონა, რომ დედამიწას აპოკალიფსი ელის. სიკვდილი არ არსებობს, ის მხოლოდ ილუზიაა. მისი ქადაგების შემდეგ, 1995 წლის 22 დეკემბერს 16-მა სექტანტმა თავი დაიწვა. ზოგიერთი წევრი ჯერ მოკლეს, შემდეგ დაწვეს. დაღუპულთა შორისაა ერთი პოლიციელი, შვილებთან ერთად.

„სიცოცხლის ხე“

„ქრისტეს ტაძარი“, „ქრისტეს

სხეულის ტაძარი“, „სიცოცხლის სიტყვა“ და სხვა ამდაგვარი სახელები ჰქვიათ რუსეთში არსებულ რელიგიურ სექტებს. სექტანტები უარყოფენ რადიოს, ტელევიზიას, პრესას. ხშირად ტოვებენ ოჯახებს და ერთ კომუნებად სახლდებიან.

რაალიარაბი

გასული საუკუნის 70-იან წლებში ფრანგმა კლოდ ვორიონმა ახალი სექტა — რაელი ჩამოაყალიბა. ერთხელ მან განაცხადა, რომ 1973 წლის 13 დეკემბერს საფრანგეთის ცენტრში არსებული ვულკანის კრატერში დედამიწელები უცხოპლანატელებს შესვლებოდნენ. ხალხს არწმუნებდა, რომ სიბრძნე უცხოპლანეტელებისგან მიიღო და სექტის წევრებს მარადიულ სიცოცხლეს პპირდებოდა. რაელიერების ყოფა მიშელ უელბეგმა აღწერა რომანში — „კუნძულის შესაძლებლობა“.

ხო-ხო-ხანა

იაპონური ნეობუდისტური სექტა ხო-ხო-ხანა („მცენარის ყვავილობა“) 1987 წელს, სოგენ ფუჟუნაგამ დააარსა. სექტანტებს სწამდათ, რომ ლიდერი მაგიური ნიჭით იყო დაჯილდოებული და ადამიანის ფეხების მიხედვით მისი წარსულისა და მომავლის გამოცნობა შეეძლო. ფუჟუნაგას ტყვეობაში 30 ათასი ადამიანი იყო. ხალხს სხვადასხვა სასიკვდილო დაავადების განკურნებას პპირდებოდა (თითო სენსი 900 დოლარი ღირდა). მოგვიანებით სექტის ლიდერი აფერისტობაში დაადანაშაულეს, დააპატიმრეს და ჯარიმის სახით 1 მლნ დოლარი გადაახდევინეს.





მოღა საქმიანი ქალბატონებისთვის

მამაკაცების უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქმიანი ქალის სამოსი სექსუალური და გამომწვევი არ უნდა იყოს, მაგრამ არის კი ეს ასე?

უმრავლეს შემთხვევაში, საქმიანი ქალის წარმატების საწინდარი ხომ სწორედ მისი მიმზიდველი ჩაცმულობაა.

საქმიან სფეროში უპირატესობას მაღალი ინტელექტისა და მყარი პოზიციის მქონე ქალბატონებს ანიჭებენ. ყურადღებას აქცევენ ხმას, გამოხედვას, საუბარს, გადანყვეტილების მიღების სისხარტესა და დახვეწილ მანერებს. ყველა ეს კრიტერიუმი ნებისმიერი ჩვენგანის წარმატების საწინდარია.

ზოგ ორგანიზაციაში ოფიციალურად ჩაცმა აუცილებელია. თქვენს სეროზულ იმიჯს ხაზს საქმიანი პიჯაკი, პერანგი და დახვეწილი ქვედაბოლოც გაუსვამს.

• შეარჩიეთ ოფიციალური, მაგრამ კომფორტული პიჯაკი.

• პერანგის მასალა სასურველია იყოს ნატურალური და მსუბუქი, შენელის სტილში — შავ-თეთრი ტონალობისა და გამოყვანილი სილუეტის.

• აქსესუარად შეგიძლიათ შესაბამისი ქაშარი, ეფექტური ყელსაბამი ან ფერადი შარფიც გამოიყენოთ.



• საქმიანი შეხვედრებისას მოერიდეთ მკვეთრ ფერებსა და ასიმეტრიულად შერჩეულ სამოსს.

• თუ პიჯაკის ჟაკეტით ჩანაცვლებას გადაწყვეტთ, შეუხამეთ შესაბამისი ფერის პერანგი ან მაისური, ასევე ბუნებრივი მასალისგან დამზადებული.

• რაც შეეხება ფეხსაცმელს, დამეთანხმებით, ჩვენთან სასურველი დიზაინისა და მაღალი ხარისხის ფეხსაც-

მლის ყიდვა არც ისე ადვილია. თუმცა, თუ მაინც გაგიმართლათ, გახსოვდეთ, რომ საქმიანი ქალბატონის იმიჯი დღემდე მაღალ ქუსლებსა და თავდაჯერებულ სიარულის მანერასთან ასოცირდება.

• ცუდ ტონად ითვლება შიშველი ფეხების გამოჩენა, ხმამაღალი, ემოციური საუბარი, უხეში მანერები, დაბალი ხარისხის, პლასტმასის, მყვირალა ფერის ბიჟუტერიის ტარება.

• მნიშვნელოვანია სათვალის, ჩანთისა და საათის დიზაინიც.

• ნებისმიერი აქსესუარის შერჩევასა შეეცადეთ გაითვალისწინოთ, რომ ქალის გარეგნობის შემადგენელი თითოეული დეტალი ბევრს ამბობს მისი პიროვნების, მისწრაფებებისა და შესაძლებლობების შესახებ.

• ნუ გამოგრჩებათ ვარცხნილობა. ლამაზი და მოვლილი თმა საქმის მხოლოდ ნახევარია. სალონის სტუმრობა ნებისმიერ ქალს, შეძლებისდაგვარად, თვეში ერთხელ მაინც სჭირდება.

მოკლედ, შეიძლება ვთქვათ, რომ საქმიანი ქალის წარმატებისთვის მთავარია: სტაბილური, მტკიცე ხასიათი, ეფექტური, კლასიკური სამოსი, მიზანდასახულობა და თავდაჯერებულობა.

ასე რომ, იყავით ლამაზები, ელეგანტურები და წარმატებულები!

ბეჭდები და მათი საიდუმლოება



სამკაული ყველა ქალს უყვარს, მაგრამ ყველამ როდი იცის, ესა თუ ის ბეჭედი რომელ თითზე უნდა გაიკეთოს. არსებობს მეცნიერება, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ საკითხს სერიოზულად უნდა მივუდგეთ.

სერი

დაკავშირებულია თავთან, კისერსა და ხერხემალთან. კარგია, თუ ამ თითზე გაიკეთებთ ალმასის თვლებით შემკულ ვერცხლის ან თეთრი ოქროს ბეჭედს.

სარკვეხალი

მასზე უნდა გაიკეთოთ საფირონის, ოპალის (ბიონერგეტიკოსების აზრით, ოპალი ნათესაური კავშირების განმტკიცებას უწყობს ხელს) და აკვამარინის თვლიანი (აკვამარინი მეზღვაურთა ქვად მიიჩნევა) ბეჭედი.

შუა თითი

ამ თითზე უნდა გაიკეთოთ ვერცხლის ბეჭედი, რომელშიც ჩასმული იქნება იისფერი ან შავი თვალი.

თუმცა მათ ტარებას მხოლოდ საქმიანი შეხვედრების დროს გირჩევთ.

არათითი

იგი დაკავშირებულია გულთან. ამიტომაც მასზე ირგებენ საქორწინო ბეჭედს. იმისათვის, რომ წარმატება და სიყვარული მოიზიდოთ, ამ თითზე წითელთვლიანი (ლალი, ძონი, წითელი იასპი) ბეჭედი ატარეთ.

ნაქი

ძველ სწავლულთა აზრით, ყველაზე პატარა თითი პასუხს აგებს მეტყველებაზე. გირჩევთ, მასზე მოირგოთ ყვითელი (სარდიონი, ქარვა, ტოპაზი) ან მწვანეთვლიანი (ზურმუხტი, ქრიზოლითი, ქრიზოპარი) ბეჭედი.



10 წამი სტრესთან ბასამკლავებლად

ძლოა ალერგია გამოიწვოს.

მიირთვით მოსხი

მოცვი საოცარი თვისებების მატარებელია: დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე და არა მხოლოდ სტრესულ სიტუციაში; სასარგებლოა თვალებისა და ტვინისათვის. მოცვი შეგიძლიათ შეცვალოთ მაცვლით ან ყოლოთი.

დაჭიმეთ სხაული

აღმოჩნდა, რომ გაჭიმვა სტრესისგან გაგათავისუფლებს და ამისთვის სპორტ-დარბაზში სიარული სულაც არ არის საჭირო. შეგიძლიათ, მარტივი სავარჯიშო თავადვე შეასრულოთ: ფეხის წვერები ააცილეთ იატაკს, შეძლებისდაგვარად აპრისეთ და გაიჭიმეთ ისე, რომ ხელები და ფეხის წვერები დაგეხმარებოდეს.

საკუთარ თავს

გზარდიდან შეხედეთ

შეცადეთ, არსებულ სიტუაციას უცხო თვალთ შეხედოთ. ეს სწორი გადამწყვეტილების მიღებაში დაგეხმარება.

გაისინეთ

რაც შეიძლება ხმაშალა გაიცინეთ! სიცხილი სტრესის სანინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა.

ბოლო პერიოდში სიტყვა „სტრესი“ მყარად დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურობაში. როგორ მოვერიოთ მას? გთავაზობთ სტრესის დასაძლევ რამდენიმე მარტივ და ეფექტიან საშუალებას.



მიირთვით თხილი და ნიბოჭი

ფუნთუშა და ყავა თხილითა და ნიბოჭით შეცვალეთ. მათში ხომ უამრავი საკვები ნივთიერებაა, რომელიც სეროტონინის გამომუშავებაში მონაწილეობს. თხილი და ნიბოჭი შეიცავს E ვიტამინს, ანტიოქსიდანტებს, რომლებიც სტრესის დაძლევაში დაგეხმარებათ.

აპოისუნთქეთ

ღრმად აპოისუნთქეთ; თუკი ხელთ გაქვთ რომელიმე ეთერზეთი, შეისუნთქეთ და პრობლემებს სულ სხვა თვალთ შეხედავთ. შედეგიც არ დააყოვნებს.

დაიხილეთ ყურის ბიბილოები

ყურის ბიბილოებზე კონცენტრირებულია უამრავი ავუპუნქტურული წერტილი. ამგვარად თქვენ დადებით ზეგავლენას მოახდენთ სხვადასხვა ორგანოზე.

ნოზე. საამისოდ რთული ტექნიკის გამოყენება არ მოგიწევთ: მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითით, წრიული მოძრაობით დაიხილეთ ჯერ მარჯვენა, მერე კი — მარცხენა ყურის ბიბილო.

დალით ჩაი

შავი ჩაის შემადგენლობაში არის ნივთიერება, რომელიც ორგანიზმს სტრესის დაძლევაში ეხმარება.

მიიღეთ C ვიტამინი

C ვიტამინი ადამიანის სისხლში დაბლა სწევს სტრესის ჰორმონებს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ დიდი დოზით C ვიტამინის მიღებამ შესა-

15 წეს-პოსტულატი ქალბისთვის

1. ნამდვილი ქალი კარგად აცნობიერებს — თუ როგორ გაუმართლა მას, ქალად რომ დაიბადა!..

2. მითი — რომ ქალები მამაკაცებზე ადრე ბერდებიან, თავად მამაკაცების მოგონილია. სინამდვილეში, ქალს აქვს მეტი შესაძლებლობა, თანატოლ მამაკაცებზე ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს.

3. ქალს წილად ხვდა მოუაროს მხოლოდ ავადმყოფს, მოხუცს ან ძალიან ახლო ნათესავს. სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი მამაკაცია ვალდებული — მიხედოს ქალს.

4. რაც უფრო მეტი საყვარელი საქმე ან ჰობი აქვს ქალს, მით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ სხვისი პირადი ცხოვრებით დაინტერესდეს.

5. თუ ქალს სურს გამოიყურებოდეს უზადოდ შემთხვევითი შეხვედრის დროსაც კი, მაშინ მას უნდა ჩამოუყალიბდეს ჩვევა — იყოს ყოველთვის ფორმაში (თუნდაც ნაგვის გადასაყრელად გადიოდეს შინიდან).

6. ფულს ქალი უნდა ეკიდებოდეს მსუბუქად: თუ აქვს, ჰქონდეს მისი დახარჯვის უნარიც, თუ არა და — არ იღარდოს.

7. როგორ ხელმოკლედაც უნდა ცხოვრობდეს ქალი, მის გარდერობში ყოველთვის უნდა მოიძებნებოდეს ერთი ხელი გამოსასვლელი ტანსაცმელი და ნყვილი ფეხსაცმელი.

8. მამაკაცთან შედარებით ქალს აქვს უპირატესობანი:

ა) ქალი ხშირად აძლევს თავს ჭირვეულობის უფლებას, მამაკაცს ეს არ შეუძლია.

ბ) მამაკაცმა უნდა შეასრულოს სიტყვა! ქალს შეუძლია გადაიფიქროს...

გ) მამაკაცი პუნქტუალური უნდა იყოს, ქალს კი შეუძლია განუსაზღვრელი დროით დაიგვიანოს.

9. რაც მეტი თავყანისმცემელი ჰყავს ქალს, მით უფრო სასურველი ხდება სხ-

ვებისთვის. ასე რომ, არ უნდა იჩქაროს არასასურველი თავყანისმცემლის თავიდან მოშორება.

10. ნამდვილი მამაკაცის გვერდით ქალს შეუძლია მოითხოვოს ყველაფერი, რაც სურს. სხვისი სურვილების ასრულება კი მხოლოდ მამაკაცების ხვედრია.

11. ცრემლები — ქალისთვის ძლიერი იარაღია, მაგრამ უმჯობესია, თუკი მას იშვიათად გამოიყენებს.

12. თუ ქალს არ სურს კითხვებზე კონკრეტული პასუხის გაცემა, საკმარისია, მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმოს.

13. ქალმა უნდა იცოდეს თავის ფასი, მაგრამ არასდროს დაასახელოს იგი.

14. მომხიბვლელი ქალი ვერასდროს აირიდებს ჭორებს. მაგრამ ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელიც ყურადღების მიღმა უნდა დატოვოს. უმჯობესია, იყოს კვლუცი, ვიდრე ჭორიკანა.

15. სანამ ქალი თავს ქალად გრძნობს, მისთვის არასდროს არის გვიან, დაიწყოს ყველაფერი თავიდან...



რუბრიკა მოამზადა
ქკა გუნთაიშვილი

1905 წლის „სოჭის ქართული რესპუბლიკა“

მიხეილ ლაბაძე

1905-1907 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენების ობიექტური შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით არავის მოუხდენია. არადა, ეს პერიოდი ჩვენი სამშობლოს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი ხანაა — სწორედ მაშინ აჯანყდა პირველად რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მთელი ქართველი ერი და საქართველოს დამოუკიდებლობა (1905 წლის თებერვალში, ოზურგეთში) გამოცხადდა. შეიარაღებული გამოსვლები მასშტაბურობით უფრო დასავლეთ საქართველოში გამოირჩეოდა, სადაც აჯანყებამ იმთავითვე მიზანმიმართული ხასიათი მიიღო — მოჯანყებმა, უპირველეს ყოვლისა, რუსული მმართველობა მოშალეს და რესპუბლიკური წყობა დაამყარეს.

აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოს სამაზრო ცენტრებში იმ დროისათვის ახლებური და ცოტა არ იყოს, უჩვეულო წყობა წარმოიქმნა, რასაც აჯანყებულები „რესპუბლიკას“ ეძახდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ „რესპუბლიკათაგან“, რომელთა მესვეურებიც ძირითადად ეროვნული მიმართულების რევოლუციური პარტიებიდან იყვნენ, ყველაზე მცირე ხანს ე.წ. „სოჭის ქართული რესპუბლიკა“ არსებობდა — ის 1905 წლის 28 დეკემბერს გამოაცხადეს, ხოლო 1906 წლის 5 იანვარს დაეცა. საინტერესოა, რომ ამ რესპუბლიკის შექმნის დეტალები რუსეთში დღესაც გასაიდუმლოებულია.

1905 წლის იანვარ-თებერვალში, როდესაც რუსეთის იმპერიაში ვითარება ძალიან დაიძაბა, საქართველოში მოქმედმა ეროვნული მიმართულების პარტიებმა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში პროკლამაციები გაავრცელეს, რომლებშიც მოსახლეობას რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლებისა და მეფის წინააღმდეგ იარაღის ხელში აღებისკენ მოუწოდებდნენ. პროკლამაციებში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით უნდა გათავისუფლებულიყო და მის შემადგენლობაში ყველა ისტორიული ქართული მიწა — სოჭიტუაფსედან დაწყებული, საინგილოთი დამთავრებული უნდა შესულიყო. აღსანიშნავია, რომ როგორც შემდგომში გამოირკვა, ეს პროკლამაციები იმხანად საფრანგეთში მყოფი ქართველი ანარქისტების მიერ იყო შედგენილი, დაბეჭდილი კი —



სოჭელი აჯანყებულები და ყუბანელ კამაკთა წარმომადგენლები მოლაპარაკებაზე. წინა პლანზე, მარჯვნიდან მეორე — ლაზი „ბომბისტი“ კოსტ-ოღლი. 1905 წლის დეკემბრის დასაწყისი

სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა სავანესთან არსებულ სტამბაში.

ეროვნულ-რევოლუციურ პარტიათა მოწოდებებმა, სულ მალე, მთელ საქართველოში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ცხადია, პროკლამაციები საკმაო რაოდენობით მოხვდა ქალაქ სოჭშიც, რომელიც მაშინ შავი ზღვის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა მოსახლეთა 90%-ს იქ ქართველები შეადგენდნენ. ცარიზმის მესვეურები სოჭელ ქართველებს უკიდურესად ავიწროებდნენ, რადგან ხსენებულ ტერიტორიას საკურორტო ზონად მიიჩნევდნენ, სადაც ცხოვრება მხოლოდ რუსებისათვის იყონებადართული. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელისუფლება სოჭის ოკრუგის ტერიტორიაზე ქართველი სასულიერო პირების, მასწავლებლებისა და ვაჭრების შემოსვლა-დაფუძენასაც ხელს უშლიდა, ამას კი იმით ხსნიდა, რომ მათ სოჭელი რუსების გაქართველება ჰქონდათ განზრახული.

1905 წლის შუახანებში სოჭის ოკრუგის უანდარმერიის განყოფილების აგენტებმა გამოარკვეეს, რომ სოფ. პლასტუნკაში არსებობდა ქართველ ნაციონალისტთა საიდუმლო გაერთიანება, რომელსაც სათავეში სოჭელი სოციალ-ფედერალისტი აქვსენტი გვათუა (პროფესიით აფთიაქარი) და ყოფილი სემინარიელი, ანარქისტ-ტერორისტი გიორგი ხუციშვილი ედგნენ. ნაციონალისტთა სულიერი მოძღვარი და მთავარი თეორეტიკოსი პლასტუნკის წმ. ნინოს სახელო-

ბის ტაძრის მღვდელი, ნოე ოსიძე იყო. გაერთიანების კრება ყველაზე ხშირად მის სახლში იმართებოდა, რომელიც ტაძრის ეზოში იდგა. გარდა ამისა, ნაციონალისტები იკრიბებოდნენ ასევე ვინმე ანრი ხორავას სასადილოში, რომელშიც მთელი სოჭის მასშტაბით საუკეთესო ქართულ კერძებს ამზადებდნენ და ამის გამო მუდამ ხალხმრავლობა იყო.

რევოლუციური სიტუაციის აღმავლობით შეფოთებულმა რუსეთის სამეფო კარმა სასწრაფოდ მიიღო საპასუხო ზომები — 1905 წლის 17 (30) ოქტომბერს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ გამოსცა „მანიფესტი სახელმწიფო წესრიგის სრულყოფის თაობაზე“, რომლის თანახმადაც, „თვითმპყრობელი“ მონარქი საკუთარი უფლებების გარკვეულ ნაწილს კანონმდებელ ორგანოს — სახელმწიფო დუმას უთმობდა, ამავდროულად კი დუმაში გამოიყოფოდა ადგილები იმპერიის არარუსი ქვეშევრდომებისთვისაც. რუსი მონარქის ეს გადამწყვეტილება მიზნად სწორედ არარუსულ განაპირა მხარეთა მოსახლეობის გულის მოგებას ისახავდა. მანიფესტის ძალით, სოჭელმა ქართველებმა ქალაქის ერობის საბჭოში თავიანთი წარმომადგენლების არჩევა მოახერხეს, თუმცა პლასტუნკის „ნაციონალისტური გაერთიანება“ ამან არ დააკმაყოფილა, რამდენადაც მათ ძირითად ამოცანას რუსთა მონობიდან საქართველოს გათავისუფლება წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე, აქვსენტი



გვათუამ, იმპერატორის მანიფესტი-სადმი მიძღვნილ მიტინგზე, რომელსაც სოჭში მოქმედი ყველა პარტია ერთად ატარებდა, განაცხადა, რომ ნიკოლოზ II ხალხს თვალში კვლავ ნაცარს აყრიდა და არარუსების ეროვნულ თვითგამორკვევას ყოველგვარი საშუალებით ეწინააღმდეგებოდა. გვათუამ ამის ნათელ მაგალითად ის ფაქტი დაასახელა, რომ სოჭის ერობის საბჭოში ქართველ დეპუტატებს ქართულ ენაზე გამოსვლა აკრძალული ჰქონდათ, მაშინ როცა ქალაქის მცხოვრებთა 90% ქართველი იყო. აქვსენტი გვათუას სიტყვებში სოჭელი მემარჯვენეები — ყუბანელ კაზაკთა წარმომადგენლები აღაშფოთა, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა მხარი დაუჭირეს.

მოგვიანებით ცნობილი გახდა ისიც, რომ ნიკოლოზ II-ის მანიფესტი არარუსთა უმეტესობამ უარყო, ისევე როგორც მემარცხენე-რადიკალებმა. ამიტომ, სამეფო კარი აშკარა პროვოკაციაზე წავიდა — ერთმანეთს გადაჰკიდა არარუსი ხალხები. კავკასიის სამეფისნაცვლოში ოსებსა და ინგუშებს, ქართველებსა და ოსებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის შეტაკებები დაიწყო; ვილნოში (ამჟამინდელი ვილნიუსი) ერთმანეთს პოლონელები და ლიტველები დაუპირისპირდნენ და ა.შ. შესაბამისად, სოჭში ყუბანის კაზაკობა „წესრიგის დამყარებას“ შეეცადა — ისინი ქართველებს „პოგრომის“ მოწყობით დაემუქრნენ, თუმცა მუქარის იქით საქმე არ წასულა. ცარიზმის მესვეურთა უშუალო დავალებით, კაზაკები ქართველთა გამონკვევას ცდილობდნენ.

ნოემბრის თვეში, როცა საქართველოს დიდ ნაწილში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო და რუსული ხელისუფლება, ფაქტობრივად, დაემხო, სოჭის, ჟანდარმერიის განყოფილების ერთ-ერთმა აგენტმა, ვინმე სიდორკინმა უფროსობას აცნობა, რომ სულ მალე ქალაქში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული აჯანყების დაწყება იგეგმებოდა, რომლისთვისაც ქართველ რევოლუციონერებს იარაღიცა და ამუნიციაც უკვე ნაშოვნი ჰქონდათ და ეს ყველაფერი ადღერში, ვინმე უტა ბახიას სასტუმროს სარდაფში იყო გადამაღული. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჟანდარმებმა ბახია მეორე დღესვე დააკავეს; გაჩხრიკეს მისი სასტუმროც, მაგრამ ხელმოსაჭიდი ვერაფერი ნახეს — უტა ბახიას სარდაფში მოწყობილი ჰქონდა ტირი, რომლის ყველა საბუთი წესრიგში იყო და შესაბამისად, იქვე ნაშოვნი თოფები მან ტირის ინვენტარად გაასაღა. ასე რომ,

სასტუმროს მფლობელს ვერაფერი დაუმტკიცეს და შეეშენენ.

სინამდვილეში უტა ბახია იარაღის პარტიას მართლაც მალავდა, მაგრამ დროზე შეიტყო, რომ მასთან ჟანდარმები მიდიოდნენ და ყველაფერი ხოსტელ ივანე ლოლუას გაატანა გადასამალად. ამ უკანასკნელმა ნაწილი ანრი ხორავას სასადილოში მიიტანა, ნაწილი კი პლასტუნელები პავლე გოცირიძის სახლში. ამდენად, იარაღი საიმედოდ დაბინავდა; ნაციონალისტები ქუთაისის გუბერნიიდან მოკავშირეთა ნიშნულა ელოდნენ, რომ ქუჩებში გამოსულიყვნენ.

1905 წლის 27 ნოემბერს, გვიან საღამოს ანრი ხორავას სასადილოში შეიკრიბნენ აქვსენტი და ბესარიონ გვათუები, გიორგი ხუციშვილი, პავლე უჩაძე, დავით არაბიძე, ივანე ლოლუა და ბათუმიდან ჩამოსული ვინმე ლაზი, გვარად კოსტ-ოლი, რომელიც რევოლუციონერთა შორის ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო „ბომბისტი“. სოჭში ის აქვსენტი გვათუასა და გიორგი ხუციშვილის თხოვნით ჩამოსულიყო. შეკრებილებმა ქალაქში არსებული საერთო ვითარება განიხილეს, აქვსენტი გვათუასა და გიორგი ხუციშვილის მოხსენებები მოისმინეს და გადაწყვიტეს, მოეკლათ ჟანდარმთა შეფი, ცნობილი შავრაზმელი, შინკარევი.

ტერაქტი მეორე დღესვე, დილით ადრე განხორციელდა — სახლიდან გამოსული შინკარევი ლაზი „ბომ-

მიყენოს!“ — აღნიშნული იყო ბოლოს. როგორც გვათუა და მისი თანამებრძოლები ვარაუდობდნენ, ჟანდარმთა შეფის მკვლელობამ ხელისუფლება დააშინა — ზემდგომთა შორის ვერავინ წარმოიდგენდა, თუკი სისასტიკით ცნობილ შინკარევის „ტუზემცები“ თავდასხმას გაუბედავდნენ. ქალაქში კაზაკების ქვედანაყოფები ჩადგნენ; სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა.

1-ელ დეკემბერს სოჭის ქუჩებში შეიარაღებული ხალხი გამოჩნდა — ესენი იყვნენ ქართველები და უკრაინელი კაზაკები, რომლებიც პლასტუნების მახლობლად, სტანიცა ნავაგინსკაიაში იყვნენ ჩასახლებულნი. აჯანყებულებმა ყუბანელი კაზაკების ასეულს მდგრად შეუტიეს და სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად უკან დაახევინეს მათ. პლასტუნის 140 მცხოვრებისგან შემდგარმა ასეულმა ფოსტა-ტელეგრაფის შენობის აღება მოახერხა, საიდანაც აქვსენტი გვათუამ ბათუმში შემდეგი შინაარსის დაშიფრული დეპეშა გაგზავნა: „ქორნილი უკვე დაიწყო, ველით მყარებს“.

სოჭის ქუჩებში ბრძოლები ჯერ ისევ გრძელდებოდა, როდესაც აჯანყებულებმა ჩრდილოეთის მხრიდან მომავალი შეიარაღებული მხედრობა შენიშნეს. ისინი რუსი სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ, რომელთაც აჯანყების დაწყების შესახებ შეეტყუოთ და საჩქაროდ სოჭისკენ წამოსულიყვნენ. ეს ხალხი აქვსენტი გვათუას დაჰპირდა, რომ ნოვოროსისიკიდან



ბისტის“ ნასროლმა ხელყუმბარამ შუაზე გაგლიჯა. შუადღისას კი სოჭის ქუჩებში პროკლამაცია გამოჩნდა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ამიერიდან შინკარევის ბედი ეწეოდა ყველას, ვინც კი ქართველთა შენშუებას გაბედავდა: „სოჭი ქართული მიწაა და არავის აქვს უფლება, მასპინძელს მისივე სახლში შეურაცხყოფა

რამდენიმე დღეში დამხმარე ძალები და იარაღს გამოგზავნიდნენ, ოღონდ აჯანყებულები მათ უნდა დაქვემდებარებოდნენ. გვათუა ასეთ პირობებზე არ დათანხმდა — მოსულებს აუხსნა, რომ თავად სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო, მის ბათუმის კომიტეტს ექვემდებარებოდა და სოჭში რუსებს აღარავფერი



ნიკოლოზ II-ის „მანიფესტი სახელმწიფო წესრიგის სრულყოფის თაობაზე“

ესაქმებოდათ. მოსულები უკმაყოფილონი დარჩნენ და ქალაქი იმავე საღამოს დატოვეს.

ქართველი აჯანყებულები დეკემბრის პირველ დეკადაში სამთავრობო ძალებთან ვერას გახდნენ. მათ მდინარე მზიმთას სათავეებისკენ დაიხიეს და ბრძოლა მხოლოდ 20 დეკემბერს განახლეს, როდესაც სოჭში გურიიდან, სამეგრელოდან და იმერეთიდან უამრავი მოხალისე ჩავიდა. განსაკუთრებით ბევრი იყვნენ გურულები, რომელთა ერთმა ოცეულმა მარტოდმარტო გაანადგურა ყუბანელ კაზაკთა მთელი ასეული. 1905 წლის 28 დეკემბერს სოჭში აქვსენტი გვათუას თაოსნობით „სოჭის ქართული რესპუბლიკა“ გამოცხადდა, რომელიც თავად ქალაქ სოჭსა და მიმდებარე სოფლებს, მათ შორის — დღევანდელ ლაზარევსკაისა და კრასნაია პოლიანასაც მოიცავდა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა და გაუქმდა ყოველგვარი შეზღუდვა, რაც კი ცარიზმის მესვეურთა მიერ იყო დაწესებული მის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულები თავიანთი ძალაუფლების ქვეშ სოჭის მთელ ოკრუგს მოიაზრებდნენ, რეალურად მხოლოდ ქალაქ სოჭსა და პლასტუნკას ფლობდნენ. 1906 წლის 1-ელ იანვარს მათ იერიში ადღერის გარნიზონზე მიიტანეს და დაიმორჩილეს ის, ლაზარევსკაიაზე გალაშქრება კი ვეღარ მოასწრეს, რადგან შეიტყვეს, რომ ბათუმიდან სოჭისაკენ საიმპერიო ფლოტის ხომალდები მოემართებოდნენ. უკვე ცხადი ხდებოდა, რომ „სოჭის ქართული რესპუბლიკა“ აუცილებლად დაემხო-

ბოდა, თუ მოჯანყეები სასწრაფოდ ქმედით ზომებს არ მიიღებდნენ; თუმცა ეს მათ ძალებს აღემატებოდა — სოჭში მყოფი შეიარაღებული რაზმები მონინალმდევს, რომელსაც გაცილებით უფრო დიდი შესაძლებლობები ჰქონდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ.

აქვსენტი გვათუას ბრძანებით, აჯანყებულებმა სასწრაფოდვე დანალმეს ზღვის მთელი სანაპირო, სოჭში კი თავდაცვითი ზღუდეები მოაწყვეს. გაამაგრეს ასევე სოფ. პლასტუნკა, მდ. მზიმთას სანაპიროები და მტრის მოსვლას დაელოდნენ. 3 იანვარს სოჭის სანაპიროებს ბათუმიდან გამოსული რუსული ნაღმზიდი მიუახლოვდა და ქალაქის დაბომბვა დაიწყო. ორი საათის შემდეგ კი ნაპირზე იმჟამინდელი რუსული სპეცრაზმი — ე.წ. „პლასტუნები“ გადავიდნენ. მათი უმეტესობა ნაღმებმა შეიწირა, თუმცა შეტევა არ შეჩერებულა. სამთავრობო ძალებმა სოჭში შემოსვლაც მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ზარალი ნახეს. ქალაქის მისადგომებთან მათ იმერელი მოხალისეების რაზმი დახვდა, რომელმაც ოცი წუთის განმავლობაში გააფთრებული წინააღმდეგობა გასწია და ამით სოჭის მშვიდობიან მოსახლეობას საშუალება მისცა, ქალაქი დაეტოვებინა.

აჯანყებულები სამთავრობო ძალებს კიდევ სამი დღის განმავლობაში უწევდნენ წინააღმდეგობას. 1905 წლის 6 იანვარს კი, გამთენიისას, ბრძოლები შეწყდა — აქვსენტი და ბესარიონ გვათუებმა, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად, სოჭიდან გამოიხილნენ მოახერხეს და ქალაქის ხაზინაში იმჟამად არსებული ოქროს მთელი მარაგი თან წაიღეს. მასთან ერთად — ჟანდარმერიის არქივი და ბევრი სხვა რამ, რაც სამთავრობო

ძალების ხელში არ უნდა ჩავარდნილიყო. ისინი საიდუმლოდ ჩავიდნენ ქალაქ ნოვოროსიისკში, იქ კი თურქულ გემში ჩასხდნენ და სტამბოლისაკენ წავიდნენ. მოხალისეები, რომლებმაც თავი მთებს შეაფარეს, პლასტუნების მოსახლეობის ერთ ნაწილთან ერთად, სოხუმის ოლქში გადმოვიდნენ. ამგვარად, „სოჭის ქართულმა რესპუბლიკამ“ არსებობა შეწყვიტა, ქალაქი სამთავრობო ძალებმა დაიკავეს.

სოჭში პლასტუნების ქვედანაყოფთა შევსლის მეორე დღესვე სოფ. პლასტუნკაში ქართველთა დარბევა დაიწყო — რუსებმა ქართულ მშვიდობიან მოსახლეობას სახლ-კარი გადაუწვეს, დააპატიმრეს მამრობითი სქესის ყველა პირი, 15-დან 60 წლამდე და თან მოითხოვდნენ, რომ აჯანყების მონაწილეები გაეცათ. ასეთი ვანდალური მეთოდით მათ თითქმის ყველა აჯანყებული დააკავეს, ვინც კი ცოცხალი გადარჩენილიყო და გაქცევა ვერ მოეწერო. მოგვიანებით დაკავებულები თბილისში, „გუბერნსკის“ ციხეში მოათავსეს, სხვა რევოლუციონერთაგან განცალკევებით. მათ საქმეს ერთი წელიწადი იძიებდნენ, თან იმპერიის მთელ ტერიტორიაზე წითელი ცირკულარით ეძებდნენ აქვსენტს და ბესარიონ გვათუებს.

P.S. სოჭის 1905 წლის აჯანყების მონაწილენი 1907 წელს გაასამართლეს. თითქმის ყველა მათგანს 15-წლიანი კატორღა მიუსაჯეს და შემდგომში მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო პლასტუნკაში დაბრუნება. რაც შეეხება აქვსენტს და ბესარიონ გვათუებს, მათ ტვირთიანად მშვიდობიანად ჩააღნიეს სტამბოლში, იქიდან კი პარიზში გადავიდნენ და კაპიტალი ვაჭრობაში დააბნდეს.



სოჭის აჯანყების მონაწილენი. გასული საუკუნის 20-იანი წლების ფოტო



ცისტითი

1. რა არის ცისტითი?

ცისტითი შარდის ბუშტის ანთებაა, რომელსაც მასში პათოლოგიური მიკროფლორის შეჭრა და გამრავლება იწვევს. ქალებში ცისტითი მამაკაცებთან შედარებით 10-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, რაც სუსტი სქესის წარმომადგენლებში შარდსასქესო ორგანოების ანატომიური თავისებურებებითაა განპირობებული.

2. რა არის ცისტითის მიზეზი?

ცისტითის მიზეზს ყველაზე ხშირად ადგილობრივი იმუნიტეტის დაქვეითება და შარდსასქესო ორგანოებში ბუნებრივად არსებული ბაქტერიების გამრავლება წარმოადგენს. ქალებში ცისტითის იოლად განვითარებას ბაქტერიების ურეთრიდან (შარდსადენი არხი) შარდის ბუშტში ადვილად მოხვედრა უწყობს ხელს.

ასევე, ცისტითის მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს ცუდ ინტიმურ ჰიგიენას, გაცივებას, გინეკოლოგიურ გასინჯვებს, შარდსასქესო ორგანოების ინფექციას. ზოგჯერ ამ დაავადების განვითარებას ალერგიული რეაქცია ან შაქრიანი დიაბეტი იწვევს.

ცისტიტს რამდენიმე თავისებურება ახასიათებს:

როგორც წესი, ბავშვებში ცისტითი 4-7 წლის ასაკში ვლინდება. უფრო ხშირად ავადდებიან გოგონები, რადგან ამ ასაკში საშოს მიკროფლორის შეცვლა ხდება.

ბავშვებში ცისტითის განვითარება ცუდ ჰიგიენას უკავშირდება, რაშიც მშობლები არიან დამანაშავე (იშვიათად ბანაობა, ჭიები).

ორსულობის დროს ცისტითის მიზეზს საშვილოსნოს ზრდის გამო შარდის ბუშტის შევიწროება და ამის შედეგად შარდის გადინების დარღვევა წარმოადგენს. ორსულობის პერიოდში ცისტითის ხშირი გამწვავება ქალის იმუნური სისტემის დასუსტების გამოც ხდება.

ინტერსტიციული ცისტიტს შარდის ბუშტის გარსის მთლიანობის დარღვევა იწვევს. ამ დროს ნერვული დაბოლოებები ზიანდება და ორგანო ინფექციებისადმი მგრძობიარე ხდება. აღსანიშნავია, რომ ინტერსტიციული ცისტითი ჩვეულებრივ



მკურნალობას არ ექვემდებარება.

ჰემორაგიული (სისხლმდენი) ცისტითის განვითარება შარდსადენი არხიდან სხვადასხვა მიზეზის გამო სისხლის გამოყოფას უკავშირდება. ამ დროს შეიძლება სისხლის კოაგულების გაჩენა და შარდის გამოყოფის შეფერხება ან ბლოკირება მოხდეს.

3. როგორია ცისტითის სიმპტომები?

როგორც წესი, ცისტითის ნიშნები მხოლოდ 2-3 დღის განმავლობაში ვლინდება, შემდეგ კი ქრება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დაავადება განიკურნა. ქალებში ცისტითი ხშირად ქრონიკულ ხასიათს იღებს. თუ ქრონიკული ცისტითი 6 თვეში ორჯერ გამოვლინდა, მაშინ მიზეზის დადგენა და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა აუცილებელია.

მწვავე ცისტითი მეტწილად პირველადი ხასიათისაა — ანუ შარდის ბუშტის დაზიანებასთან არ არის დაკავშირებული — და მკვეთრი სიმპტომებით გამოირჩევა. ამ დაავადების დროს თითქმის ყველა ქალს თავდაპირველად მოშარდვის სურვილი უზირდება, შემდეგ შარდსადენის არეში ჭრის შეგრძნება და მუცლის ქვედა მიდამოში (იქ, სადაც შარდის ბუშტი მდებარეობს) ტკივილი ემატება. საკმოდ ხშირად ქალები ცისტითის დროს შარდში სისხლის მინარევს აღმოაჩენენ ხოლმე.

ცისტითის გადატანის შემდეგ ქალები, როგორც წესი, ჯანმრთე-

ლობას უფრთხილდებიან, მაგრამ ზოგი მაინც უყურადღებობას იჩენს და მდგომარეობა პიელონეფრიტამდეც კი მიჰყავს.

4. როგორ დგინდება ცისტითი?

ცისტითი სიმპტომების მიხედვით საკმაოდ ადვილად ამოიცნობა, მაგრამ მკურნალობის დასაინშნად ექიმს სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, ასევე შარდის ბაქტერიული ანალიზი ესაჭიროება, რომელიც გამომწვევი ინფექციის დადგენის საშუალებას იძლევა.

5. როგორ მკურნალობენ ცისტიტს?

ცისტითი ინფექციური დაავადებაა და მაშინაც კი, როცა მისი წარმოქმნის მიზეზი გაცივებაა, შარდის ბუშტში ბაქტერიები მაინც მრავლდებიან და „დამანგრეველ“ სამუშაოებს ეწევიან. ამიტომ ცისტითის მკურნალობა აუცილებლად დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

ცისტითის მკურნალობა სახლის პირობებში მხოლოდ პროფილაქტიკის სახითაა დასაშვები. სწორი მკურნალობა მხოლოდ ძირითადი ანალიზების (სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, საშოდან ნაცხის ანალიზი) გათვალისწინებით ინიშნება. ანალიზების დახმარებით უროლოგი ბაქტერიას განსაზღვრავს, ცისტითის მიზეზს ადგენს. შემდეგ ამ გამომწვევი ბაქტერიის ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობის დადგენა ხდება ანუ შესაძლებელია ზუსტად იმ ანტიბიოტიკის შერჩევა, რომელიც ამ ბაქტერიას ბოლომდე გაანადგურებს; პათოგენური მიკროფლორა საბოლოოდ იქნება განადგურებული და წამლებისადმი გამძლე ფორმის ინფექციის განვითარება თავიდან იქნება აცილებული. არასწორად შერჩეული პრეპარატი ბოლომდე ვერ ერევა ბაქტერიას, მარტივად რომ ვთქვათ, ბაქტერია ასეთ წამალთან ჭიდ-ილში „გამოიბრძმდება“ და პრეპარატებისადმი გამძლე შტამები წარმოიქმნება.

ცისტითის საწინააღმდეგო ტაბლეტები პაციენტმა მხოლოდ ექიმის რჩევით უნდა მიიღოს.

6. როგორ ეთმოს უნდა მიზმართო ცისტითის დროს?

ცისტითის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას უროლოგი აწარმოებს.



კონტრაცეფციის მსოფლიო დღე

ოჯახის დაგეგმვა კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ხელს უწყობს: ჯანსაღი ბავშვის დაბადებას სასურველ დროს, ქალის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობების დამკვიდრებას.

2007 წლის 26 სექტემბერს, რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ინიციატივით, პირველად აღინიშნა კონტრაცეფციის მსოფლიო დღე (World Contraception Day).

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, აკადემიკოს **არჩილ სომასურიძეს**:

— **ბატონო არჩილ, რამდენადაც საზოგადოებისთვის ცნობილია, თქვენ ბრძანდებით საქართველოში კონტრაცეფციის ფუძემდებელი როლის შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში კონტრაცეფცია?**

— კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე გახლავართ კონტრაცეფციის დამწერგავი არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც. ამის გამო მოსკოვში, სადაც 20 წელი ვმღვანეობდი, გამოვიარე სრული ინკვიზიცია.

კომუნისტების პერიოდში იყო აბსურდული ლოზუნგი, რომ საბჭოთა კავშირში სექსი არ არსებობს, შობადობა დაბალია და კონტრაცეპტივები არ გვჭირდება. 1984 წელს პირველად გაისმა დადებითი აზრი კონტრაცეფციის გამოყენების საჭიროების შესახებ. იმავე წლის დეკემბერში მე გადმოვედი მოსკოვიდან თბილისში, ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორად და უკვე აქ დავინყე კონტრაცეფციის პროპაგანდა.

საქართველოში ჩემი ჩამოსვლის პერიოდში საზოგადოების ინფორმირებულობა კონტრაცეფციის შესახებ ძალიან დაბალ დონეზე იყო, რის გამოც ქალების უმეტესობა აბორტს მიმართავდა. მოგახსენებთ 1987 წელს საქართველოში პირველად ჩატარებული სტატისტიკური კვლევის შედეგებს: 100000 რეგისტრირებული აბორტი, 2-ჯერ მეტი — არალეგალური აბორტი ანუ სულ 300000 აბორტი



5,5 მილიონ მოსახლეზე. ეს იყო კატასტროფული მაჩვენებელი.

2008 წელს ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებს საქართველოში — ქალების 55%, ხოლო თბილისში 65% იყენებს. დღეს ქალთა ინფორმირებულობის დონე მაღალია; თითქმის 100%-მაც იცის, რომ აბორტის ალტერნატივას კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდები წარმოადგენს, რაშიც ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის დიდი წვლილია.

ოჯახის დაგეგმვა მნიშვნელოვანი სოციალური ფენომენია, რომელიც სამედიცინო მხარეებსაც მოიცავს. კონტრაცეპტივების გამოყენება ათავისუფლებს ქალს სტრესისა და დაძაბულობისაგან, მის სქესობრივ ცხოვრებას უფრო ჰარმონიულს ხდის. ამასთან, თანამედროვე კონტრაცეპტივებს ჯანმრთელობისათვის სასარგებლო თვისებებიც აქვს.

— **საქართველო შვილოსნობისა და უშვლობის მსოფლიო ფედერაციის**

ერთადერთი წევრია დსთ-ის ქვეყნებიდან. შენთვის გაყიდვის გამო გავრცელდა აზრი, რომ ინსტიტუტის ფუნქციონირებას ხელი შეეშალა. ესარგებლობ შემთხვევით და მინდა გკითხოთ, კოლექტივი კვლავაც აგრძელებს მუშაობას?

— წარმოდგენილია, რომ ჟორდანიას ინსტიტუტმა შეწყვიტოს ფუნქციონირება. თითოეულ მოქალაქეს შეუძლია შეაფასოს, თუ რა შედეგის მომტანი იქნება ეს ქართული მეცნიერებისათვის, მედიცინისათვის და, ინსტიტუტის პროფილიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოებისათვის. კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ინსტიტუტმა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელოს მუშაობა.

კონტრაცეფციის სახეობებსა და ჩვენებებზე ვესაუბრება ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრის ექიმი-გინეკოლოგი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი, მედიცინის დოქტორი **გიორგი ცაიკვაძე**.

— კონტრაცეფციის მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანია: კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივები, პროგესტინული აბები, საშვილოსნოსშიგა საშუალებები (სპირალები), კომბინირებული ტრანსდერმული კონტრაცეპტივები (პლასტირები), სპერმიციდები, რომელიც ვაგინალური სანთლების, კაფსულებისა და ტაბლეტების ფორმით გამოდის, საინექციო საშუალებები და კონდომი — ყველასათვის ცნობილი პრეზერვატივი. არსებობს კალენდარული მეთოდი, როდესაც მენსტრუალური ციკლის მიხედვით ხდება დაორსულებისათვის ხელსაყრელი ან უსაფრთხო დღეების დადგენა. მამაკაცისა და ქალის სტერილიზაცია, ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი მეთოდისაგან განსხვავებით, შეუქცევადი მეთოდია.

— **რა უპირატესობა აქვს კომბინირებულ ორალურ კონტრაცეპტივებს?**

— კონტრაცეფციის ყველა მე-



თოდს თავისი დადებითი ეფექტი აქვს. კომბინირებული ორალური აბების უპირატესობა, პირველ რიგში, კონტრაცეფციულ მაღალეფექტურობასა და საიმედოობაშია. კომბინირებულ ორალურ აბებს აგრეთვე სამკურნალო ეფექტებიც აქვს: არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს, ამცირებს მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი დაავადებების განვითარების რისკს, ამცირებს საკვრცხისა და საშვილოსნოს ტანის კიბოს განვითარების რისკს. აბების გამოყენება შეიძლება ხანგრძლივად. თუ ქალი ორსულობას დაგეგმავს, აბების მიღების შეწყვეტა შეუძლია ნებისმიერ დროს.

— რამდენად აქვს გვერდითი ეფექტები თანამედროვე კონტრაცეფციულ საშუალებებს?

— გვერდითი ეფექტების მცირე რაოდენობა კონტრაცეფციის ყველა მეთოდს აქვს. ამიტომ, როდესაც ქალს კონტრაცეფციის მეთოდის შესახებ უტარდება კონსულტაცია, ექიმი ყველა შესაძლო გვერდით მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას. ქალი ან წყვილი მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირჩევს კონტრაცეფციის მეთოდს.

საზოგადოების ინფორმირებულობისა და ექიმთა გადამზადების კუთხით ჩატარებული სამუშაოების შესახებ გვესაუბრება მედიცინის დოქტორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი **მარიუს კანკაძე**.

— 2003 წელს დაიწყო ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული „ქალთა ჯანმრთელობის“ პროგრამა, რომელმაც ფართო მასშტაბებს 2005 წელს მიაღწია. დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, საქართველოს დაავადების ეროვნული კონტროლის ცენტრმა ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ჩაატარა კვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ საქართველოში აბორტის მაჩვენებელი საშუალოდ ერთ ქალზე არის 3,1. იმავე ორგანიზაციების მიერ 1998 წელს ჩატარებული კვლევით, ეს მონაცემი 3,7-ს შეადგენდა. ამჟამად მიმდინარე კვლევის შედეგები 2011 წელს გამოქვეყნდება და ვიმედოვნებთ, რომ პოზიტიური დინამიკა შენარჩუნდება.

ჩვენი მუშაობა შემდეგი მი-

მართულებით წარმართეთ: ადრე კონტრაცეპტივები მხოლოდ გინეკოლოგს (რეპროდუქტოლოგს) შეეძლო დაენიშნა; შემდეგ მოხდა ცვლილებები კანონმდებლობაში და დღეს ოჯახის ექიმსაც შეუძლია ქალისთვის კონტრაცეფციის მეთოდის შერჩევა და ორალური კონტრაცეფტივების დანიშვნა. ამიტომ, პირველადი ჯანდაცვის 600 რგოლში ჩავუტარეთ ტრენინგები პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმებს (ოჯახის ექიმები) პარალელურად, ფართო საინფორმაციო სამუშაო ჩავატარეთ მასმედიის საშუალებებით, რათა გაგვეზარდა მოსახლეობაში ცნობადობა და კეთილგანწყობა კონტრაცეფციის მიმართ.

— მომავალში რას გეგმავთ?

— მიჩნეულია, რომ კონტრაცეფცია ხელმიუწვდომელია, თუ მასზე ოჯახური ბიუჯეტის 1,5%-ზე მეტი იხარჯება. 2004 და 2006 წლებში გადახდისუნარიანობის კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობის 40%-ს არ შეუძლია კონტრაცეპტივების შექენა.

ახალი პროგრამის — „შენარჩუნების“ ფარგლებში, მათთვის, ვისაც არ აქვს კონტრაცეპტივების შექენის საშუალება, ვახორციელებთ სოციალურ მარკეტინგულ პროექტს: კონტრაცეპტივების შემოტანასა და გაყიდვას სიმბოლურ ფასად. ჩვენი ძირითადი მიზანია, შევამციროთ აბორტების რიცხვი.

ოჯახის დაგვემვის საკითხებში



სახელმწიფოს როლზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩეველი, საქართველოს მეან-



გინეკოლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ზაზა პოხუა** გვესაუბრება:

— კონტრაცეფცია და ოჯახის დაგვემვა არის აბორტის საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდი და არ მოქმედებს დემოგრაფიაზე.

ჯანდაცვის სამინისტროს აქტიური კოორდინაციითა და რეგულირებით ხორციელდება ინფორმაციის გავრცელება ოჯახის დაგვემვის საკითხებზე, პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმებისათვის ტარდება სპეციალური ტრენინგები კონტრაცეფციის თემაზე. დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამაში ჩართულია ოჯახის დაგვემვის კურსი, რათა მომავალმა ექიმებმა ამ სფეროში შეიძინონ ცოდნა და უნარ-ჩვევები. გარკვეული საინფორმაციო სამუშაოები ჩატარდა მოსახლეობაში. ყოველივე ამის შედეგად შემცირდა აბორტების რიცხვი და მნიშვნელოვნად გაიზარდა კონტრაცეპტივების გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ჯანდაცვის სამინისტრო მომავალშიც შეუწყობს ხელს კონტრაცეფციის უსაფრთხო მეთოდების გავრცელებას.

ლალი ჩხეკავძე



ნიახურის ფესვები — მარადიული ახალგაზრდობის საწინდარი

სხვადასხვა ბოსტნეულისგან დამზადებული და ათასნაირი მწვანელით მორთული სალათები ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, რადგან ვიტამინების მთელ ასორტს შეიცავს, მაგრამ ნიახურის ძირებს კერძების შესაკაზმავად ყველა როდი იყენებს. ჩვენ კი გირჩევთ: ხშირად გამოიყენეთ კერძებში ნიახურის ძირები. ეს მათ არაჩვეულებრივ გემოსაც შესძენს და თან თქვენს ჯანმრთელობასაც არგებს.

ნიახური ოხრახუშის „ახლო ნათესავია“, თუმცა ბოსტანში ისინი სხვადასხვა გზით მოხვდნენ: ოხრახუში — მთიდან, ნიახური კი — ჭაობიდან. ამასთან, ნიახურს კარგა ხანი დასჭირდა, სანამ ბოსტნეულის რიგში დაიმკვიდრებდა ადგილს. შუა საუკუნეებში ის ერთ-ერთ სერიოზულ სამკურნალო მცენარეულ საშუალებად მიიჩნეოდა. ნიახურით მკურნალობდნენ სიყვიტლეს, პოდაგრას, რევმატიზმს, სისხლნაკლებობას, თირკმლების დაავადებებს. თურმე ცნობილ მოგზაურს ჯეიმს კუკს ექსპედიციებში ყოველთვის მიჰქონდა ნიახური და სწორედ მისი წყალობით გადაურჩა სურავენდს.

ნიახური ეთერზეთებს, მინერალურ ნივთიერებებს, მჟავებს, C, B, PP და წყალულის საწინააღმდეგე ვიტამინ A-ს შეიცავს. ნიახური დღესაც ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინასა და კულინარიაში.

მთვარის ფესვები

ნიახურს ძველი ბერძნები მთვარის მცენარეს უწოდებდნენ. ის სიყვარულის იმ უძველეს ჯადოსნურ სასმელში შედის, რომლის რეცეპტიც საიდუმლოს წარმოადგენს, თუმცა ხალხური მკურნალები ამტკიცებენ, რომ მისი მსგავსი სასმელი ანუ საშუალება, რომელსაც მამაკაცური ძალების აღდგენის უნარი შესწევს, შეიძლება ნებისმიერმა მსურველმა იოლად მოამზადოს:

აურიეთ 0,5 ჭიქა ნიახურის ძირების წვენი და 1/4 ჭიქა გარეული მსხლის წვენი (შეიძლება შეცვალოთ 1 ს. კოვზი ვაშლის ძმრით). ახალმომზადებული სასმელი მამაკაცებმა შებინდებისას უნდა მიირთვან.

ნიახურის ძირები არა მარტო მამაკაცებს ეხმარება ძალების აღდგენაში, არამედ ქალებსაც:

კლიმაქსი შეუმჩნევლად ჩაივლის, თუ 35 წლის ასაკ-



იდან ხშირ-ხშირად მიირთმევთ ნიახურის ძირებით შეკაზმულ კერძებს.

ნიახურის ძირებისგან მომზადებული სალათა ადამიანს სწრაფად მოუხსნის მოთენთილობას და სიმხნევს შემატებს. ეს სალათა შეგიძლიათ ასე მოამზადოთ:

მსხვილ სახეზე გახეხეთ ნიახურის ძირები, მომჟავო-მოტკბო გათლილი ვაშლი და საშუალო ზომის სტაფილო. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 2 ს. კოვზი ოხრახუში, 3 ცალი ნიგოზი და მარილი — გემოვნებით. დაასხით მცენარეული ზეთი ან ნაკლებად ცხიმოვანი არაჟანი.

ნიახური ყველასთვის სასარგებლოა, ოღონდ არ არის რეკომენდებული ორსულებისა და მეძუძური ქალებისთვის.

ნივთიარებათა სვლა ყოველთვის ნორმაში ბეჭებათ

ნიახური განსაკუთრებით ხანში შესულ ადამიანებს ესაჭიროებათ. ის ამ დროისთვის დარღვეულ წყალ-მარილოვან ცვლას აღადგენს. სწორედ ამიტომაც სასარგებლო ნიახურის მიღება მათთვის, ვისაც სიმსუქნე, პოდაგრა, დიაბეტი, რევმატიზმი და პოლიართრიტი აწუხებს. მცენარე კურნავს ამ დაავადებებს და პარალელურად სახსრების ტკივილსაც ხსნის.

ართრიტის დროს სასარგებლოა ახალგაზრდული ნიახურისა და ოხრახუშის წვენი ნარევი (თანაბარი რაოდენობით). მიიღება 2 ს. კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ.

რევმატიზმის, პოდაგრის, სახსრების ტკივილის დროს შემდეგი წესით დამზადებული ნიახურის ძირების ნაყენი მიიღეთ: 1 ს. კოვზ ნედლ, წვრილად დაჭრილ ნიახურის ძირებს 0,5 ლიტრი მდუღარე წყალი დაასხით, 4 საათი თავდახურულ ჭურჭელში დააყენეთ, შემდეგ კი გაფილტრეთ.

მიიღეთ 2 ს. კოვზი, დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 1/2 საათით ადრე.

ნიახურის ძირები ზემოთ ხსენებულ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნითაც გამოიყენება.





დაავადებული კანისთვის
უხარის საშუალება



სახალხო მკურნალები ნიახურის ძირებს კანის მრავალი დაავადების სამკურნალოდ უხსოვარი დროიდან იყენებდნენ.

სებორეის, თმის ცვენის (ალოპეცია), სებორეული ეგზემის, ფსორიაზისა და ვიტილიგოს დროს რეკომენდებულია ნიახურის შეხელა კანში, დღე-გამოშვებით, 10-20 წუთის განმავლობაში. სულ უნდა გა-

კეთდეს 10-18 პროცედურა. 2-3 თვის შემდეგ კი მკურნალობის კურსი უნდა გაიმეოროს.

მკურნალობა მეტად ეფექტიანი იქნება, თუ ნიახურს გამოიყენებენ არა მარტო კანის ზედაპირული დამუშავების, არამედ შინაგანი მოხმარების მიზნითაც, რადგან ის შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ღვიძლის მუშაობას უწყობს ხელს.

კანის ჩირქოვანი დაავადებების დროს 1 ს. კოვზ წვრილად დაჭრილ ნიახურის ძირებს დაასხით 1,5 ჭიქა ცივი წყალი, გააჩერეთ 4 საათი, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ თითო-თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ. კარგია 1-2 ჩ. კოვზი ახალგამონურული ნიახურის ძირების წვენის მიღება დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

ჰიპოკრატეს საშუალება

თვით ჰიპოკრატე მიიჩნევდა, რომ ნერვული აშლილობის დროს ადამიანმა რაც შეიძლება მეტი ნიახურის ძირები უნდა მიიღოს — დამშვიდდება და განონასწორებული გახდება.

ნერვების დასამშვიდებლად ერთმანეთში აურიეთ თანაბარი რაოდენობის ნიახურის ძირების წვენი და თაფლი. მიიღეთ 3 კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, 8-8 ჩაის კოვზი ნარევი.

თანაბარი რაოდენობით აღებული ნიახურის წვენისა და სტაფილოსაგან მომზადებული ნარევი ნერვული სისტემისთვის ძლიერ სასარგებლოა. ■



თქვენი
ოჯახის
მკურნალი



www.mkurnall.go

ადამიანი



საოცარი ქანდაკებების უპრეტენზიო ავტორი

„მე ახლა ცალთვალა, ეული სიკლოპი განლაგართ...“

ჩვეულებრივ, პატარა ოთახებში ქანდაკებებიც ცხოვრობენ და ადამიანებიც, მაგრამ ქანდაკებებს მეტი ფართობი სჭირდებათ; ისინი ყველგან არიან — იატაკზე, თაროებზე, პიანინოს თავზე, მაგიდასა თუ სერვანტზე — ადამიანები დაუფიქრებლად უთმობენ ადგილს ქვაში თუ თაბაშირში აუღერებულ ჰარმონიას და სწორედ ასე იყო მაშინაც, როცა შუა ოთახში ვაჟა მელიქიშვილი მუშაობდა — სახელოსნოს გარეშე დარჩენილი, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ აკეთებდა თავის საქმეს იმ შემოზღუდულ, უსინათლო და ვინრო გარემოში, სადაც ცოლ-შვილთან, მშობლებთან, დებთან ერთად ცხოვრობდა. იატაკზე გაზეთები ეფინა, ყველანი ფესაკრეფით დადიოდნენ და ვერც შეამჩნიეს, როგორ შემოვიდა მათ ცხოვრებაში „მერე რა“...

ლელა ჯიყაშვილი

ავეჯი არ ჰქონდათ? — მერე რა! სკამები ხომ ედგათ და მაგიდაც...

სახელოსნო უანგაროდ გააჩუქა, მეგობარს დაუტოვა — მერე რა!

იმ მეგობარმა სახელოსნოში ვაჟას ქანდაკებების ადგილი ველარ იპოვა და ყველაფერი გარეთ გაატანინა? — მერე რა... მისი იდეა, ნაფიქრი წაიღო ვინმემ? — მერე რა...

ფული არ ჰქონდათ? — მერე რა!

თანდათან „მერე რამაც“ ველარ გაუძლო და ადამიანი რას გაუძლებდა იმდენ ტკივილს?!


მისი ნამუშევრები — ვალერიან გუნიას და შალვა დადიანის ბრინჯაოს ბიუსტები — სენაკში, სკვერში იდგა და ისე დაიკარგა, რომ მათი ფოტოც კი არ დარჩა...

ღია ცის ქვეშ გამოყრილი ნამუშევრები დაზიანდა, დაიშალა...

კონკურსში გამარჯვებული იაკობ გოგებაშვილის ძეგლი არავის დაუდგამს, — საამისო თანხა არ გვაქვსო, თუმცა მას მერე საქართველოში არაერთი საეჭვო ღირებულების ძეგლი დაიდგა.

სიონის ტაძრისთვის გაკეთებული ბარელიეფი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით შეასრულა და მისივე მონონებული, ტაძრის შესასვლელში ჩასვეს, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა დაინუნა და მოახსნევინა. დაზიანებული ნამუშევარი ახლა ლოჯიის წინ აქვთ მიყუდებული.

სიღნაღში ქვაზე შესრულებული სტელა შარშან ახლანდელმა პრეზიდენტმა დააშლევინა და რომ არა ვაჟა მელიქიშვილის მძისნული, ყველაფერს წარბეუხრელად გააყოლებდნენ სამშენებლო



ერთხელ სვანეთში წავედი, რომ დასვენა. როცა მესვას მივესალლოვდი და თქონული გამაჩნდა დამოუკის რა მშვენიერებაო!

ნარჩენებს. მოასწრო, ნაშალი ჩუქურთმები შეაგროვა და ბიძის სიყვარულითა და მისი ხსოვნის პატივისცემით, თბილისამდე ჩამოატანინა სიმწრით ნაქირავებ სატვირთო მანქანას, მაგრამ აქ სად უნდა წაელოთ ამხელა ტვირთი? — დაშლილი სტელის ქვებმა შეავსო კიბის უჯრედი, ლოჯიის ქვეშ დარჩენილი პატარა ადგილი... ვაჟა მელიქიშვილის ხელოვნება უსახური ქალაქებიდან თითქოს დაიძრა და მის დანატოვარ პატარა ბინას „მოაწყდა“. „ცისფერ გალერეასთან“ მდგარი მისი „დალილი დედაც“ რა გზას გაუყენეს, არავინ იცის... მხოლოდ ერთადერთი კომპლექსი გადარჩა ვაჟა მელიქიშვილისა — სენაკში მდგარი, ომისადმი მიძღვნილი შესანიშნავი მემორიალი — შუაზე განლენილი კუბი, რომელშიც 101 ფიგურაა განთავსებული და რომელიც იუნესკომ თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ მოქცეულ ძეგლთა სიაში შეიტანა.

„ტკივილამდე დასული ნერვების სიმებზე ნავალი ორი წელიწადი, — ჩანერა ვაჟა მელიქიშვილმა სენაკში მუშაობის ორი წლისთავზე, — ეს არის განწყობილება სულიერი, რასაც





ვგრძნობდი მუშაობის პროცესში. არ არსებობდა წუთი გამოთიშვისა. თითების ბოლოებზე ვგრძნობდი მთელი ემოციის დატვირთვას. საოცარი შეგრძნებაა: არ არსებობს არაფერი გაუკეთებელი. ყველა შინაგანი დატვირთვის მომენტი გადადის მასალაში, მაგიური ძალით“.

გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და უკვე ავადმყოფი, სასიკვდილო სარეცლიდან ეტყვის მუშაობას: ჩემი ყველაზე ბედნიერი დღეები ის იყო, სენაკში რომ გავატარეო. ბედნიერი იყო, რადგან აკეთებდა იმას, რაც უნდოდა და ისე, როგორც უნდოდა...

ერთხელ, სენაკში მუშაობისას მასთან ბიზანტიოლოგიის საზოგადოების პრეზიდენტი მისულა და უთქვამს: მოვიყვან „ბონინგს“, ამ ქანდაკებას ნიუ-იორკში წავიღებ და იმდენ თანხას მოგცემ, მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნები. თურმე საშინლად ეწყინა, — რასაც ვაკეთებ, საქართველოსთვის მინდაო. კომლექსზე მუშაობა რომ დაამთავრე, გამოყოფილი თანხა უკვე დახარჯული ჰქონდა; საკუთარი ჰონორარით ჩამოასხა...

ანგარება და ანგარიშიანობა მისთვის უცხო ცნებები იყო და ამიტომაც ვერ შეძლო ოფიციალურ სტრუქტურაში მუშაობა. ცოტა ხანს საქართველოს ქანდაკების კომისიის თავმჯდომარე იყო. სამუშაოებს როგორ არიგებო?! — უსაყვედურეს. მას კი, როგორც სწამდა, ისე არიგებდა... ვინც ხელმოკლე იყო, ვისაც შრომა შეეძლო და ნიჭიც ჰქონდა, საქმეს მას აძლევდა. არადა, სხვანაირი გათვლა ყოფილა საჭირო...

— 41 წელი ვიცხოვრე მასთან ერთად და ერთი უხეშად ნათქვამი სიტყვა, ერთი მისგან მოყენებული ტვივილი არ მასხოვს, — ამბობს ქალბატონი ლაურა ანთელავა, ვაჟა მელიქიშვილის მუშაობის ადგილზე. — არც მინდოდა სხვა არაფერი; რაც არ გვექონდა, იმის შექმნაზე არც ვოცნებობდით. ყველაფერი ისეთი წარმავალია, ფიქრის ამაზე დახარჯვა არც ღირსო... მეც ვეთანხმებოდი. სამაგიეროდ, ქუჩიდან შემოპყავდა ხალხი, რომელსაც აჭმევდა, ასმევდა. ერთხელ ცოცხებიანი კაცი მოიყ-

ვანა, — ქუჩაში დასძინებია, შია, სწყურიაო. დააპურა და გაუშვა. ის კაცი ერთ ცოცხს გვიტოვებდა, მაგრამ არაფრით დაატოვებინა, — გაყიდე, ფული აიღე, მე არ მინდაო. სულ იმას ამბობდა, ცუდი ადამიანი არ არსებობსო და მეც ასე მჯეროდა. გლეხები რაღაცას რომ ყიდდნენ, მივიდოდა, უყურებდა, ელაპარაკებოდა. ყველაზე მეტად ადამიანი აინტერესებდა... ეს რა ჭკვიანი გლეხობა გვყავსო! — გახარებული იყო... ბაზარში იმითომ დამყვებოდა, რომ ხალხი ენახა...

დედა უყვარდა უსაზღვროდ. ავად რომ გაუვარდა და სიარული აღარ შეეძლო, ოთახიდან ოთახში ჩვილივით ხელში აყვანილს დაატარებდა. დედამ სთხოვა, — ცუდად ვარ, შაურზე გავლა მინდაო და ეზომიც კი გაიყვანა, ხელში აყვანილი. ასეთი იყო — თავდაუზოგავი და სიყვარულით სავსე.

რა დამავიწყებს, ანაწურში წყარო ნახა და ენით აუნერვლი რამ განიცადა. რა სუფთააო! — პეშვში იგროვებდა და უყურებდა, უყურებდა... ისხამდა სახეზე, თითქოს მთელი არსებით უნდა შეეთვისებინა ის წყარო.

საქართველოს რამდენი რამ აქვს შეუდარებელიო... გზად თუ ნისკვილს ნაგანყდებოდით, აუცილებლად გადავიდოდა, ეფერებოდა...



ბევრს შრომობდა. ერთხელ სვანეთში წავედით, რომ დაესვენა. როცა მესტიას მიუახლოვდით და თეთნულდი გამოჩნდა, დაიჩოქა — ეს რა მშვენიერებააო!.. სხვანაირად არ შეეძლო.

ბოლო ათი დღე იწვა. იცოდა, რაც სჭირდა — სიმსივნით იყო ავად. მეუბნებოდა: არ იდარდო, რომ მივდივარ; როცა ადამიანი ამთავრებს თავის საქმეს, მერე მიდის; შემდეგ გავა დრო და მეორედ მოვალ, აუცილებლად; როცა მოვალ, ცოლად ხომ ისევ გამომყვებიო? — აუცილებლად-მეთქი.

ულამაზესი ხელები და თვალები ჰქონდა. ვუყურებდი... საშინელებაა, ეს ხელები ვერაფერს რომ ვერ აკეთებენო... ბოლო წუთას, ლოგინში მწოლი კიდეც ხატავდა... სიკვდილამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე დამიძახა: ლაურა, ახლა დედაჩემი მოვიდა, დამინახა, ცრემლები გადმოუვიდა და წავიდაო. — სიზმარი იქნებოდა-მეთქი. — არ დამსიზმრებია, არ მეძინა, ყველაფერი ცხადლივ მოხდაო.

მისი დაკრძალვიდან ორი დღე იყო გასული. თვალდახუჭული ვინქეი, როცა ვაჟას ხელის შეხება ვიგრძენი და თითქოს შრიალიც მომესმა. ვამე-მეთქი! — რომ ვთქვი, გაქრა. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ლექსი ვიპოვე:

„მე მთელი სიცოცხლე ჯანმრთელი ვიყავი,
ბღღვრიალა თვალებით...
შენ მთელი ცხოვრება ნათელი იყავი, კეთილი ღიმილით.
მე მთელი ცხოვრება სირბილით მოგვევდი — ენაგადმოგებული ყივილით.
შენ მთელი ცხოვრება სანთელი იყავი,
ნაძერწი იყავი მზის სხივით.
მე მთელი ცხოვრება მეშინოდა შენი დაკარგვის.
მე ესლა ცალთვალა, ეული ტიკლოპი გახლავარ,
სანოლზე მიჯაჭვული.
შენ — ისევ ცხოველი, ჯანმრთელი არსება,
მაგრამ ჩემკენ მთელი სიცოცხლით მომართული.
აღარ მეშინია, რომ გამექცევი. დავენყარდი.
მუხლებზე დაჩოქილი მეხვეწები, არ მიგატოვო.
მე კი გტოვებ. ნახვამდის“.

P.S. ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკებებს თითქოს ზარის ფორმა აქვს. პატარა, დაბალჭერიან ბინაში შესულს, ამდენი ქანდაკების პირისპირ ზარების რეკაც კი ჩაგესმის. ქვის სხეულებს შორის, გაღიმებული მოქანდაკის გადიდებული ფოტო კიდეა, გვერდით კი, მფარველი ანგელოზივით, დედის მინიატიურული სკულპტურა უდგას. ქანდაკებას ცრემლი არ ეტყობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცრემლიანი თვალები აქვს დედას... მოქანდაკე კი ილიმის — მერე რა! მიყვარდა, ვეშინიდი... ■

ვინ ჩაუზვა ოსეთში დატყვევებული მოზარდები

„ფახებით გვცამდნენ, თავში ფიცარს გვირტყამდნენ...“

2009 წლის 4 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფრცვლა ცნობა ოთხი ქართველი მოზარდის დაკავების შესახებ, რომელთაც საზღვრის უკანონო დარღვევასა და ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობაში ედებოდათ ბრალი. საქმე ეხებოდა გორის რაიონის სოფელ ტირძინის სკოლის მოსწავლეებს: 14 წლის გიორგი რომელაშვილს, 14 წლის ალექო ცაბაძეს, 16 წლის ვიქტორ ბუჩუკურსა და 17 წლის ლევან ხმადაშვილს. თვენახევრის განმავლობაში ამ ბავშვებს მთელი საქართველო გულშემოტყვივრებდა, რადგან მაშინ არავინ იცოდა, თუ რა ბედი ეწეოდა მათ...



გიორგი მეგობრებთან ერთად

ელენე ხირსკალი

— გიორგი, რატომ გადახვედი ოკუპირებულ ტერიტორიაზე? ხომ იცოდი, რომ ეს სასიფათო იყო?

— ჩემი მშობლიური სოფელი ხეთი ცხინვალიდან 6 კილომეტრის მოშორებითაა. 2008 წლის აგვისტოში, როცა სახლ-კარი იძულებით დავტოვეთ, ყველაფერთან ერთად, თითქოს, იქ ჩემი ბავშვობაც დარჩა — უცებ გავიზარდე. ჩემს სოფელში ყოველ კუთხე-კუთხუღს ვიცნობ, ყოველი ბუჩქი, ყოველი კენჭი მიყვარს... მენატრებო-

და სახლი, ცა — იქ ხომ სულ სხვანაირი ცაა!.. ჰოდა, გადავწყვიტე, ჩემი სოფელი მომენახულებინა, მერე კი ეს აზრი მეგობრებს გავუზიარე. მათ მითხრეს: მარტო არ გაგიშვებთ, შენთან ერთად წამოვალთო.

საზღვარზე შეუმჩნევლად როგორ გადახვედი?

— ეს ე.წ. საზღვარი სოფელ დიცსა და ფრისის შორის არის — მინდორზე, სოფელ ტირძინიდან 18 კილომეტრში. საზღვარს მუდმივად აკონტროლებენ: მესაზღვრეები მანქანებით დადიან, მერე გადმოდიან და იქაურობას ფეხით შემოივლიან ხოლმე. ჩვენ ძალიან ვფრთხილობდით და თუ ვინმეს მოვკრავდით თვალს, ბალახებში ვიმალებოდით; მერე მავთულხლართებზეც შეუმჩნევლად გადავძვერით.

შენი გაუჩინარების ამბავი ოჯახის წევრებმა როდის შეიტყვეს?

— სახლში რომ მეთქვა, საზღვარზე უნდა გადავიდეთ, ვინ გამიშვებდა?! დედა ყველაფერს გააკეთებდა, რათა არ ნავსულიყავი. საზღვართან რომ ვიყავი, დავურქე: არ ინერვიულოთ, დილას დავბრუნდები. იცოდე, აღარ დაბრუნდით, მალე კავშირი განწყდება-მეთქი და ასეც მოხდა... ბებია ცუდად გამხდარა. ოჯახს ჩვენი დაპატიმრების ამ-

ბავი მეორე დღეს, უკვე ოფიციალურად შეატყობინეს.

შენი სახლი უვნებელი დავხვედა?

— ომის შემდეგ ჩვენს სახლში საცხოვრებლად „ზეითუნელი“ ქართველი კაცი შევუშვი. მან იქაური მოქალაქეობა მიიღო და ვიფიქრე, სახლს შემიწინააღმდეგებოდა. ერთი განსაღებელი მე დავიტოვე, მეორე კი მას გადავეცი. ხეთში რომ გადავდივით, დღე იყო და სახლის კარი გასაღებით გავაღე. სახლში „დასახლისი“ დავხვედა. ის ქალბატონი კარგად შეგვხვდა, ოთახში საქმელიც კი შემოგვიტანა; მერე მისი ქმარი მოვიდა და სულ მალე, ცოლ-ქმრის ჩხუბი შემოგვესმა. მივხვდი, ჩხუბის მიზეზი ჩვენ ვიყავით. ბიჭებს ვუთხარი, წავიდეთ-მეთქი. — დილაშუალოდ გავეჩრდეთო, — არ წამომყვანენ... დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ კარზე ძლიერი ბრაგუნის

ატყდა და ოთახში ათამდე ავტომატიანი კაცი შემოვარდა. ძირს დავვანვინეს, მთელი სახლი გაჩხრიკეს, ყველაფერი თავდაყირა დააყენეს, მერე კი ოთხივე ცხინვალის „კაპეზუში“ გადაგვიყვანეს. ცხადი იყო, „მასპინძელმა“ დავგასმინა.

დაკითხვა როგორ წარიმართა?

— ცალ-ცალკე დავგვითხეს: რატომ გადმოხვედი, იარაღი სად გადაამალეთო? ვუთხარი, რომ სახლის ნახვა მინდოდა. — ეგ შენი სახლი აღარ არისო, — მიპასუხეს. ფეხებით გვცემდნენ, თავზე ფიცარს გვამტრევენდნენ; სახეში არ დაურტყამთ, კვალი რომ არ დავტოვებოდა. ნახევარი საათი გვცემდნენ, მომდევნო ნახევარი საათი გვასვენებდნენ — არ შემოგვაკვდნენო. არ გვაჭმევდნენ, არ გვასმევდნენ. ეს საშინელება ორი დღე გაგრძელდა. ისეთ პატარა საკანში გამოგვამწყვდევს, თავი კუდს ვერ მოიქნევდა, მოგვიანებით კი ციხეში გადაგვიყვანეს.

იქაც გცემდნენ?

— არა, იქ აღარ ვუცემივართ. ქართველების საკანში მოგვათავსეს, სადაც ჩვენი ჩათვლით სულ 14 ქართველი პატიმარი იყო და ყველა საზღვრის უკანონო დარღვევისთვის გახლდათ დაკავებული. ძირითადად, სოფელ ავნივიდან და ლამისყანიდან იყვნენ, 17-დან 45 წლამდე მამაკაცები: ზოგი შემსაჭრიდა საზღვარზე, ზოგიც სახლის სანახავად გადასულიყო...

ოს პატიმრებთან როგორ ურთიერთობა გქონდა?



პატარა გიორგი ღელასა და ღასთან ერთად



— ისინი სისხლის სამართლის დამნაშავეები იყვნენ. გაგიკვირდებათ და, მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვექონდა, მხარში გვედგნენ. ციხის საქმელი არასდროს გვიჭამია, ოსები თავიანთ საქმელს გვინანობდნენ. მოკლედ, ეროვნების გამო ციხეში პრობლემები არ შეგვემჩინა. იქ ქართული ყველამ იცოდა და ჩვენთან ქართულად ლაპარაკი არ ეთაკილებოდათ. დღისით ყველა საუნის კარი ღია იყო და თავისუფალი მიმოსვლა გვექონდა. ოს პატიმრებს მობილური ტელეფონებიც ჰქონდათ, ჩვენ კი დარეკვა სასტიკად გვეკრძალებოდა და ტელეფონით რომ გვესარგებლა, მასწინვე „შმონი“ ჩატარდებოდა, სხვებსაც დავაზარალებდით.

— **ოს პატიმრებთან ოსურ-ქართულ კონფლიქტზე, შექმნილ ვითარებაზე თუ საუბრობდით?**

— იქ პოლიტიკა არ აინტერესებთ! ციხეში სულ სხვა ცხოვრებაა, იქ სხვა ინტერესები აქვთ. იქ ერთი პატიმარი გავიცანი, რომელიც 13 წელი „იჯდა“ და 2 წელია ჰქონდა მოსახდელი, მაგრამ ეს ფაქტი არ ახარებდა, ციხეში დარჩენა სურდა და ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ მისთვის წლები მოემატებინათ; ძალიან კარგად იყო მილიციასთან და ციხის ხელმძღვანელობასთან. ციხიდან თავისუფლად გადიოდა და შემოდის; ბაზარშიც უშვებდნენ პროდუქტის, სიგარეტის მოსატანად და პატიმრებიც ატანდნენ „ობშიაკის“ ფულს. მოკლედ, იმ კაცს გაქცევა შეეძლო, მაგრამ ყოველთვის უკან ბრუნდებოდა. ამბობდა, ციხე ჩემი სახლიაო!.. აი, ასეთი ადამიანებიც არსებობენ.

— **იმიდ თუ გქონდათ, რომ ტყვეობას თავს დააღწევდით?**

— სულით არ დავეცი, ბედს არ შევეურიგდით და სულ იმას ვფიქრობდით, როგორ გამოვპარულიყავით, გემებს ვადგენდით, ვკამათობდით. საუნიდან „მამისაანთუბანი“ (სოფელი ერგნეთი) ჩანდა და სულ იქით ვიყურებოდი. იმ მიდამოებს ხუთი თითვიტ ვიცნობ. გონებაში ერთი აზრი მიტრიალებდა: „როგორმე ლიახვთან უნდა მოვხვდეთ, იქიდან კი რამდენიმე წუთში სამშვიდობოს ვიქნებით“. სიზმარშიც სულ იმას ვხედავდი, თუ როგორ გავრბოდი ციხიდან: ხან აჯანყებას ვაწყობდით, ხან გვირაბს ვთხრიდით, ხანაც ომი იყო და ციხეს აფეთქებდნენ. ვნატრობდი, სიზმარში საიდუმლო გასასვლელი მენახა... ჩემები ძალიან მენატრებოდა. ერთი სული მქონდა, როდის დაინყებოდა ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვება, რათა ჩვენ შესახებ გაკეთებულ სიუჟეტში ახლობლები მენახა.

— **გაქცევის შანსი თუ იყო?**

— ერთხელ ამის რეალური შანსი მართლაც მოგვეცა — ტყეში ჩანთის

მოსაძებნად რომ წაგვიყვანეს, საზღვრამდე 30 მეტრიც არ იყო. იქ 2 საათი გვაყოფეს. ვიდრე მილიციელები იარაღს ამოიღებდნენ და გადატენდნენ, საზღვრამდე მივირბენდით (მერე უკვე არა აქვთ სროლის უფლება), მაგრამ იქ მხოლოდ მე და ბუჩუკური ვყავდით წაყვანილი, დანარჩენები ციხეში დატოვეს და მათ გარეშე ხომ ვერ გამოვიქცეოდით?!

— **ტყეში რა ჩანთას ეძებდით?**

— დაკითხვის დროს ვთქვი, რომ მინდორში საქმლით სავსე ჩანთა დაგვჩნა, ჰოდა, მეორე დღეს მის მოსაძებნად წაგვიყვანეს, სადაც რამდენიმე მანქანით თხუთმეტამდე შეიარაღებული კაცი გამოგვეყვა. ადგილზე რომ მივედით, მანქანებიდან გადავიდნენ, ცოტა ხანში დაბრუნდნენ და გვითხრეს, — ვერ ვიპოვეთ და მოგვამებინეთო. ჩანთას მალევე მივაგენით, მაგრამ ის სულ სხვაგვარად გახ-

ლდათ შეკრული. ხელი რომ მოვკიდე, აღმოჩნდა, რომ ძალიან მძიმეც იყო. გვიბრძანეს, ჩანთა დაგვეცალა. გამოვაპირქვავე თუ არა, იქიდან ტროტილი და ხელყუმბარები გადმოცვივდა. თანაც ამ ყველაფერს ციფრული კამერით იღებდნენ. — ეს ჩვენი არ არის-მეთქი, — ვამბობდი, მაგრამ ვინ მომისმინა?! რაღაც ქალაქები შემოგვაჩვენეს და გვითხრეს, ხელი მოანერეთო. — ჯერ გადაგვითარგმნეთ, ისე არ მოვანერეთ-თქო, — ვამბობდით. განრისხდნენ: ახლა ისე გცემთ, ადრინდელი ცემა აღერსად მოგეჩვენებათო. მიხვდით, წინააღმდეგობის განევას აზრი არ ჰქონდა და საბუთს ხელი მოვანერეთ. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ჩვენი ალიარებითი ჩვენება იყო.

— **სასამართლომ რა განაჩენი გამოგიტანა?**

— წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეგვიფარდეს. პატიმრებისგან ვი-

ბიბლუსი

წიგნის ავლაზიათა
ქსალი მითლ
საქართველოში



მიიღე „მიმლუსის“
დაგბთუმიტი მატათი
საჩუქტად!

შეაჯსე მუნი მიმლითთუჯა
ასალი წიგნუმიო!

<p>თბილისი: რუსთაველის 40/1 აღმაშაშალოს № 121 იოსების № 49 როზაქიძის № 7 ბახტარიონის №12 ს.ს. თბილისი სენტრალი მე-3 სართული</p> <p>ბათუმი: მამულ აბაშიძის №62 შარანავაშ მუფის №18</p> <p>ზუგდიდი: რუსთაველის №92</p> <p>სენაკი: რუსთაველის №239</p> <p>ფოთი: შარანავაშ მუფის №15</p>	<p>ქუთაისი: ლ. ნუსუბიძის №1</p> <p>სამგრაღია: საქაქიძის № 6</p> <p>საშური: რუსთაველის №69</p> <p>ღუშუთი: რუსთაველის №11</p> <p>რუსთავი: მეშობროვის №12</p> <p>ოპურგათი: 9 აპრილის პარკი</p> <p>გოლენი: სულხან-საბას №106</p>
---	---

წაიკითხოე წიგნები -
უწყოსად იქნები!

307 402 www.biblusi.ge



ცოდით, რომ ტერაქტის მცდელობისთვის მინიმუმ 25 წელს მოგვისჯიდნენ. მოკლედ, ყველაზე ცუდისთვის ვიყავით მზად...

საბედნიეროდ, ყველაფერ კარგად დამთავრდა...

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჯერ მე და ცაბაძე გაგვათავისუფლეს ანუ ჩვენ ერთი თვე ვიყავით ტყვეობაში, დანარჩენები — 47 დღე. როცა გამოგვიცხადეს, თავისუფლები ხართო, ყურებს არ ვუჯერებდით. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ ამავე დროს გულიც მწყდებოდა და თავს უხერხულად, დამნაშავედ ვგრძნობდი იმის გამო, რომ ორი ჩემი მეგობარი ისევ პატიმრობაში რჩებოდა... ერგნეთიდან გორის პოლიციაში წაგვიყვანეს, სადაც ჩვენება მივეცით. მერე ცაბაძის მამამ სახლში მანქანით მიგვიყვანა. შინ მეგობრები და ნათესავები მელოდნენ, ყველა ტირიდა. უჩვეულო შეგრძნება დამეუფლა, ვერ ვაცნობიერებდი, ეს ყველაფერი რეალობა იყო თუ სიზმარი...

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის წყალობით კიდევ ერთი არასრულწლოვნის გათავისუფლება მოხერხდა.

17 წლის გიორგი არჩვაძის შესახებ, რომელიც ციხეში 6 თვე იჯდა, არავინ არაფერი იცოდა; ის უზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნეოდა და რომ არა ჩვენ, დღესაც იქ იქნებოდა... ჩვენი ამბავი ჟურნალისტებს რომ არ გაეხმაურებინათ, ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდებოდა. სხვათა შორის, მსგავსი ამბების გახმაურებას ზოგჯერ თავად გატაცებულის ახლობლებიც ერიდებიან, რადგან პირადი მოლაპარაკებით, ურთიერთშეთანხმებით ცდილობენ საქმის მოგვარებას.

მკვლავზე ტატუ ციხეში გაიკეთე?

აბა, იქ სხვა რა უნდა აკეთო?! ჩემი ხელით დავისატე. თავიდან მტკივნეულია, მერე ეჩვევი და აღარ გტკივა. სხეული ჩემმა მეგობრებმაც მოისვირინგეს. ცნობისთვის, ტატუს გაკეთება ერთი ჩემი პატიმრის სხეულზე ვისწავლე, რომელმაც მთხოვა, მისთვის xℓ დამეწერა. ის მორწმუნე იყო, სულ ლოცულობდა. თან, კიკობქსიორიც გახლდათ, საოცრად ძლიერი. მტრისას, ვისაც მისი მუშტი მოხვდებოდა! ხუთი ოსი ბიჭი ისე სცემა, ყველანი რეანიმაციაში მოათავსეს. ჰოდა, ამის გამო 5 წელი ჰქონდა მისჯილი.

რა ნიშნავს შერი ტატუ?

მას „გასხივოსნებული სიყვარულის“ იეროგლიფს უწოდებენ, შიგნით კი როგორც ხედავთ, გოგოს სახელი წერია. ციხეში ყოფნისას ერთი გოგონა მიყვარდა. ის დაპატიმრებამდე რამდენიმე ხნით

ადრე, ტელეფონით გავიცანი და თბილისში სულ რამდენჯერმე შევხვდი. ტყვეობაში მყოფს საოცრად მგულშემატკივრობდა, მაგრამ როცა გამათავისუფლეს, რაღაც მიზეზის გამო დავშორდი... ეს ტატუ აღარ მომწონს, მაგრამ მისი ნაშლა შეუძლებელია.

ამ საშინელმა თავგადასავალმა ჭკუა თუ გასწავლა?

გამოგიტყდებით და, ეს ჩემთვის საზღვრის გადალახვის პირველი შემთხვევა არ იყო, სულ სამჯერ გადავედი: ერთხელ ზამთარში, მეორედ ზაფხულში — ძმაცაცთან ერთად ვიყავი და 8 დღე მის ნათესავთან დავრჩით; მესამედ კი, მოგეხსენებათ, არ გამიძარტოლა... ზოგჯერ შურისძიების სურვილი მიჩნდება და ეს არ მომწონს, ადრე ასეთი არ ვიყავი. ამ ამბავმა დიდი გამოცდილება შემძინა. იმ ბიჭებთან, ვისთან ერთადაც ვიყავი, დღემდე ვმეგობრობ, რადგან ჩვენ წარმატებით ჩავაბარეთ „მეგობრობის ტესტი“. რაც მთავარია, მაშინ მივხვდი იმას, რომ ბოროტებას დიდი ძალა აქვს, მაგრამ სიკეთე უფრო ძლიერია!

ლელა მდინარაძე, გიორგის დედა:

გიორგი ძალიან ყურადღებიანი, უზომოდ კეთილი და თბილი ბავშვია. მეშინია, მისი სიალალე ვინმემ ბოროტად არ გამოიყენოს. მერწმუნეთ, მას იმიტომ არ ვაქვებ, რომ ჩემი შვილია, — ამ აზრს ბევრი იზიარებს. ვიდრე საზღვარს გადაკვეთდა და დააპატიმრებდნენ, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. თემში — „აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავედ, თუ იცით, რომ ამისთვის სასჯელი გელით?“ — დანერა: არ დავაშავევ, მაგრამ ასეთი რამ თუ

მაცნო მოხდა, ვალიარებო. გამარჯვებული ბავშვები დასასვენებლად 10 დღით გუდაურში წაიყვანეს. მათ ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდათ კონკურსის მესვეურებთან: ია ანთაძესთან, გოგა აფციაურთან... ამ ადამიანებმა გიორგი განსაკუთრებულად შეიყვარეს, მის მიმართ დიდ სიმპათიას ავლენდნენ; აღნიშნავდნენ, რომ ასაკთან შედარებით ძალიან განვითარებული და ჩამოყალიბებულია. როცა მძიმე დღეები მქონდა, თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ...

ახლა ალბათ იმ პერიოდის დაფინყებას ცდილობთ...

2008 წლის 5 ნოემბერს, დილით, სოფლის გამგებელი და უშიშროების თანამშრომელი მოვიდნენ, გიორგის სურათი და დაბადების მოწმობა მომთხოვეს. თურმე, მოზარდების დაკავების შესახებ ინფორმაცია 4 ნოემბერს, საღამოს, ინტერნეტით გავრცელდა... ეს კომპარი 28 დღე გრძელდებოდა. მთელი ამ დროის მანძილზე, ყოველდღე უამრავი ჟურნალისტი მოდიოდა ჩვენთან და სულ ერთსა და იმავეს გვეკითხებოდა: ახალი ხომ არაფერი იცითო? — მაშინ ეს ძალიან გვაღიზიანებდა... „ნითელი ჯვარმა“ დატყვევებული ბავშვებისთვის ბევრი რამ გააკეთა: ჩვენს შვილებს აწვდიდნენ პროდუქტს, ტანსაცმელს, მედიკამენტებს; მათი წყალობით გვერთა მიმონერაც. ერთხელ „ნითელი ჯვრის“ წარმომადგენელმა მშობლებს გვითხრა, — ქერა ბიჭი რომ არის, იმას გული აწუხებსო. მივხვდი, ჩემს შვილზე იყო ლაპარაკი. როცა საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთვნენ, რაღაცის იმედი მომეცა. ევროსაბჭოს უმაღლეს კომისარს, თომას ჰამერბერგს ორჯერ პირადად შევხვდი.

ბავშვმა სერიოზული სტრესი გადაიტანა. ახლა როგორ გრძნობს თავს?

განსაცდელში ყოფნისას ბავშვებს ვაჟაკტურად ეჭირათ თავი. თურმე, დაკითხვის დროს ეუბნებოდნენ, — სააკაშვილს შეაგინეთ, ერთმანეთს შეაგინეთო. რადგანაც მოზარდები არ დავმორჩილნენ, მათთვის სულ თავში ურტყამთ... გიორგის ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები შეექმნა — თავის ტკივილები აქვს და გულიც სერიოზულად აწუხებს. ისედაც, ძალიან შეცვლილია: დათრგუნვილია, ადვილად ღიზინდება და იმ დღეების გახსენებაც არ უნდა. ვცდილობთ, ოჯახში ამ თემზე აღარ ვილაპარაკოთ. ისიც მიკვირს, ინტერვიუზე როგორ დაგთანხმდა... მიუხედავად ყველაფრისა, ღმერთს მაინც მადლობას ვწირავ, ცოცხალი რომ დამიბრუნა.



გიორგი პაგარაობიდანვე ძალიან ყურადღებიანი, უზომოდ კეთილი და თბილი ბავშვია



გიგო პაპის ცუდლუბური მოგონებები ანუ „გული არა ბერდება...“

სანდაზმული ადამიანი, რომელიც გიგო პაპად გამეცნო, ვერის პარკში „გაგრიეთ“. დიას, „გაგრიეთ“, ის ხომ ძალიან „სვეტსკი“ ბაბუაა, რომელიც აზროვნებით თანამედროვეებს ანუ ახალგაზრდებს არაფრით ჩამორჩება და ბევრ მოზარდს მასთან ლაპარაკი სიამოვნებასაც კი ანიჭებს. ალბათ ამიტომაც არის, რომ მასთან ბიჭები რჩევის საკითხავადაც ხშირად მიდიან. თუ როგორ რჩევა-დარიგებებს იძლევა გიგო პაპა, ამაზე ცოტა მოგვიანებით, ახლა კი ამ თეთრწვერა მოხუცს, უკაცრავად — „თინეიჯერს“ უფრო ახლოდან გაგაცნობთ და დარწმუნდებით, რომ ყველა ასაკოვანი ადამიანი ბუზლუნა, შარიანი ნამდვილად არ გახლავთ.

ლიკა ქავია

— გამარჯობა. შეიძლება აქ ჩამოვჯდე?

— ღმერთმა გამარჯვება მოგცეს, შვილო. დაბრძანდი, გენაცვალე, დაბრძანდი. აბა, ქალს სკამს ვინ „დაგიკავებს“?

— აქ ხშირად მოდინართ?

— ძალიან ხშირად! ზაფხულში, როცა „ადუღებულ“ ქალაქში სიგრილეს ვეძებ, აქ ვპოულობ, ზამთარში კი მხოლოდ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად მოვდივარ.

— მხოლოდ ვერის პარკს სტუმრობთ ხოლმე?

— არა მართო — ხან „ალექსანდროვი“ მივდივარ, ხანაც რომელიმე პატარა სკვერში. სხვათა შორის, პუშკინის ბაღში სეირნობაც მიყვარს.

— მართო სეირნობთ ხოლმე?

— ჰო, აბა, რა ვქნა?! ცოლი მე არ მარგუნა ღმერთმა და შვილი. სამაგიეროდ, მარტოობას ახალგაზრდები მიმსუბუქებენ; სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის გამოჩნდება ერთი ახალგაზრდა მაინც, რომელიც შენსავით, ჩემით ინტერესდება.

— მერე, მათთან რა თემაზე საუბრობთ?

— ყველაფერზე, სიყვარულის ჩათვლით. ხშირად, ჩემთან ლაპარაკს ასე ინწყებენ: ბაბუ, ალბათ საინტერესო ცხოვრება გამოიარეთ, არა? გული ხომ არ გწყდებათ, რომ უკვე ჭაღარა შეგეპარათ? უმეტესობას ჰგონია, რომ ერთი გამოშტერებული მოხუცი ვარ, რომელიც სიბერეს არ ეშუება და ახალგაზრდობას იბრალებს. ასეთებს ვპასუხობ: აბა, რაღა დროს ჩემი ჭაღარის შემოპარვა? ვერ ხედავთ, რომ თმა სულ გათეთრებული მაქვს-მეთქი? მერე იცინიან... ხშირად ასურვილი უჩნდებათ, გული გადამიშალონ და ასეთ დროს მათ რჩევა-დარიგებასაც ვაძლევ ხოლმე. ამიტომაც ბევრი მემადლიერება.

— მოგწონთ ახალი თაობა?

— სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერები არიან. ჩემს დროს აბდალი ახალ-



გაზრდობა იყო — საითაც ეტყოდით, ცხვრებივით, იქით წავიდოდნენ, ახლა კი მათი მოტყუება რთულია — გონიერები არიან და წინგნიერებიც.

— კიდევ რით განსხვავდებიან დღევანდელი თინეიჯერები თქვენი თაობის ახალგაზრდებისგან?

— ბევრი რამით. მაგალითად, ახლა სიყვარულიც კი სხვანაირი იციან. მაშინ ბიჭებს გვეგონა, ვინც მოგვეწონებოდა, ის აუცილებლად ჩვენი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმი-სა, მოვწონდით თუ არა და ამიტომაც იყო, რომ მანდილოსნებს პირუტყვებივით ვიტაცებდით; ახლა კი აზრს გოგონებსაც ეკითხებიან, მათ გულისხმადებს იზიარებენ, ეს კი ძალიან კარგია. ბოლოს და ბოლოს, ქალებიც ხომ ადამიანები ხართ და

ისე რატომ უნდა გექცეოდნენ, როგორც საცოდავ ლეკვს?

— გოგონებს ვიტაცებდითო, — ამბობთ, მაგრამ თავად ცოლი არ შეგირთავთ... ეტყობა, მაშინაც გოგონების დამცველი ბრძანდებოდით...

— ვერა, სამწუხაროდ, ამით ვერ დავიტრახებახებ. მაშინ გოგონების მოტაცება ვაჟკაცობად მიიჩნეოდა, მოდაში იყო და მეც ბევრი გოგოს ცოდვა მაქვს აკიდებული — მათ ძმაკაცებისთვის ვიტაცებდი. სხვათა შორის, სახელგანთქმული მომტაცებელი გახლდით და გოგოს „შესაფუთნავად“ კახეთიდან სამეგრელოშიც კი მივყავდი ბიჭებს, მაგრამ ამ მეთოდით ცოლის მოყვანა თავად ვერ გავრისკე და დავრჩი ასე, ეული.

— და ალბათ, ამის გამო გული გწყდებათ, არა?

— რასაკვირველია! ძალიან მიყვარს ბავშვები და გული მწყდება, შვილის ყოლის ბედნიერება რომ არ მელირსა. ისე, ვიცი, რუსეთში 4 შვილი მყავს, მაგრამ მათ ჩემი სახელიც კი არ იციან და არც მე ვიცი მათ შესახებ რაიმე. მოგეხსენებათ, მაშინ ბიჭებს „გულაობა“ თუ გვინდოდა, რუსის ნაშებთან გავრბოდით, აბა, ქართველი ქალების „შებმას“ როგორ გავზედავდით?!

— გატყობთ, თანამედროვე ტერმინებიც აგითვისებიათ...

— აბა, რა, მე ხომ მხოლოდ ახალგაზრდებთან მაქვს ურთიერთობა (იცინის). ვერ ვიტან, როცა მათ შესახებ თუნდაც ჩემი თაობის წარმომადგენლები ცუდად ლაპარაკობენ და ამიტომაც ვეღარ ვუგებ ე.წ. ზრდასრულ ადამიანებს, რომელთაც ავინწყდებათ, რომ ოდესღაც ჩვენც გვიდუღდა სისხლი ძარღვებში და შესაძლოა, ამათზე მეტადაც კი ვანცობდით... თუმცა ეს ხომ ყოველთვის ასე იყო — ჩემს მშობლებსაც ბევრი რამ აღიზიანებდათ ჩემს საქციელში, მხოლოდ პაპა მიცავდა. ისე, საოცარი კაცი იყო ის ცხოვრებული. ვფიქრობ, ნაადრევად დაიბადა.

— რას გულისხმობთ?

— ის ნამდვილად, XXI საუკუნის ღირსეული შვილი იქნებოდა. ძალიან ჭკვიანი იყო, მაგრამ მაშინდელი მთავრობა გასაქანს არ აძლევდა, საკუთარი ნიჭის წარმოჩენის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამასთანავე, სწორედაც რომ სხვებისგან განსხვავებულად აზროვნებდა — დაახლოებით ისე, როგორც დღევანდელი



ახალი თაობა და ალბათ, ამიტომაც ვერ უგებდნენ. ცნობისათვის, მან სიცოცხლის ნახევარი ციხეში გაატარა, მაგრამ არა იმიტომ, რომ საზარელ დანაშაულს სჩადიოდა...

— ბევრი ქალი გყვარებიათ?

— საკმაოდ ბევრი, მაგრამ რატომღაც ისინი არასდროს მიყვარდებოდნენ, ვისგანაც სიტბოს ვგრძნობდი და ეს იყო ჩემი უარყოფითი თვისება. ახლა ყველას ვეუბნები, — შეეცადეთ ის შეიყვართ, ვისაც თქვენ შეუყვარდებით, თორემ მთელი სიცოცხლე სინანულში მოგინვეთ ცხოვრება-მეთქი. მართალია, ბევრ მოტაცებულ გოგოს მოძალადე მუღლღე თანაცხოვრების პერიოდში შეპყვარებია, მაგრამ ბევრი ისეთი ოჯახიც ვიცი, რომელიც დაინგრა. ასე რომ, ვერავის ვურჩევ, ქალზე ძალა არასდროს გინმართ?

— თქვენ ქალზე ძალა არასდროს გინმართ?

— ხომ გითხარი, ქალები მომიტაცებია-მეთქი, მაგრამ არა — ჩემთვის... საკუთარი სიამოვნებისთვის მხოლოდ ერთხელ გამოვიყენე ძალა და ისიც კრახით დასრულდა: ერთი გოგო უსაშველოდ მიყვარდა. მის დანახვაზე ელეთმელეთი მომიღოდა, მაგრამ ის ფულიანი კაცის შვილი იყო, მამამისი ცეკვას თანამშრომელი გახლდათ. ჰოდა, გადავწყვიტე, მისი გაყინული გული კოცნით გამეღო, მისი კუდაბზიკობა ჩემი სიტბოთი გამექრო და ამ მიზნით ერთხელ მხეცივით ვეტაკე, შიგ „მარწყვა“ ტუჩებში ვაკოცე. ოოო... საოცრად ტკბილი კი იყო, მაგრამ ბოლოში „ამაჟვდა“...

— ანუ?

— ანუ ის, რომ დიდი შეცდომა დაეშუვი. თურმე, იმ გოგოს ვყვარებოვარ და ეს გულცივობა მეთოდი ყოფილა ჩემს „შესაბმელად“, მაგრამ როცა მასზე ძალა ვიხმარე, გული ისე ვატკინე, რომ ჩემკენ გამოხედვაც აღარ მოუნდა. მეტიც, ის სასწრაფოდ გათხოვდა. მერე გავიგე, რომ თურმე შეეშინდა, — ეს ამბავი მამაჩემის ყურამდე რომ მივიდეს, სახლში გამომეკეტავს და გაუთხოვარი დავრჩებიო. ჰოდა, ამიტომაც იჩქარა.

— მის გარდა არავის ჰყვარებინართ?

— როგორ არა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი თავის დროზეც არ მიყვარდა და არც ახლა ავმჩატდები, თორემ ვილაც იფიქრებს, ეს კაცი ტრანაახა, ნახევარზე მეტს ტყუილს ლაპარაკობსო. ვგონებ, არც შენ მოგწონს ისეთი მამაკაცები, რომლებიც ქალის სიყვარულით ტრანახობენ.

— **გამოგიტყდებით და, ასეა. მეტიც, მიმარნია, რომ ასეთი მამაკაცები ნაძირალები არიან და ისინი ტყუილით ცხოვრებას იხალისებენ...**

— სწორადაც ფიქრობ — ნამდვილი კაცი, ვაჟკაცი, მსგავსი რამეებით არასდროს იტრანახებს. აი, ხომ ვამბობდი, ახლა გოგონებს ვერაფრით მოატყუებ, მათ აზროვნება შეუძლიათ-მეთქი... ეს სასიამოვნოა!

— როგორც მითხარი, ბევრი უცნობი მოზარდი საკუთარ პრობლემებსაც გიზიარებთ...

— დიას, ასეა!

— ახალგაზრდებს უფრო სწირად რა პრობლემა ანუხებთ?

— რა თქმა უნდა, სიყვარული, სიყვარული და ისევე სიყვარულია მათი ტანჯვის მიზეზი! თუმცა, ზოგიერთი მშობელზე ან ბებია-ბაბუაზე განწყენებული. არ მესმის, შვილიშვილი რომ მყავდეს, მას როგორ ვანწყინებ? პირიქით, ყველაფერში მხარს ავუბამდი, გზის გაკვლევაში დავეხმარებოდი და მშობლების უგუნური საქციელისგანაც დავიცავდი.

— შეგიძლიათ გაიხსენოთ ისეთი შემთხვევა, როცა უფროსებზე განაწყენებულმა მოზარდმა თქვენგან რჩევა-დარიგება მიიღო?

— ერთხელ ალექსანდრეს ბაღში ბიჭი შევნიშნე. მან ჩემი ყურადღება სევდიანი მზერით მიიქცია. გვერდით მივუჯექი და ვკითხე: რა გაგჭირვებია-მეთქი? შემომხედა, ამოიოხრა და ამოილულულა: კარგი, რა, ბაბუ, ჩემი გამჭირვებია, შენ მაინც ნუ მომიშლი ნერვებსო! შევეცადე, გამემხიარულებინა და ისეთი ანეკდოტები მოვუყვიე, საცოდავს ლამის, სიცილისგან საშარდე ბუშტი გაუსკდა. მერე ნელ-ნელა მისი ნდობა მოვიპოვე და თავისი პრობლემის შესახებაც დაუფარავად მიაბო. თურმე, შეყვარებული ჰყოლია, რომელსაც მისი მშობლები ოჯახისშვილობის გამო იწუნებდნენ. ისინი ბიჭს ეჩხუბებოდნენ: იმ გოგოს შეეშვი, ვინმე შენი შესაფერისი იპოვეო. იცით, სარძლოს რას უწუნებდნენ? — მისი მშობლები გლეხები იყვნენ და ცხადია, მატერიალურადაც უჭირდათ.

— იმ ყმანვილს როგორი რჩევა მიეცით?

— ვუთხარი: ცოტაც მოითმინე, მერე კი, როცა ზრდასრული იქნები და მუშაობას დაიწყებ, ის გოგო ცოლად შეირთე და მერწმუნე, ამ ფაქტს მშობლებიც შეეგუებიან-მეთქი. მანამდე რა მოიცდისო? — დასაკლავი ხაროვით ამოიღმუვლა. მაშინ შევთავაზე: თუ ვერ ითმენ, მოიყვანე ის გოგონა და ჩემთან იცხოვრეთ; სახლი აქვე მაქვს, მარტო ვცხოვრობ და ფართობს არ დაგამადლი, ოღონდ იცოდე, კომფორტს ვერ შეგიქმნით-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ დღეს ის გოგო მართლა მომაყენა. მათ ჩემს სახლში ჰქონდათ პირველი ლამე და რამდენიმე კვირა ისმოდა

„მრავალჯამიერიც“. ბოლოს, ბიჭის მშობლებმაც იკადრეს მოსვლა, ის გოგონა რძლად მიიღეს და წაიყვანეს, მაგრამ მანამდე კარგად გამომლანძღეს — ახალდაქორწინებულები რატომ შეიფარე? არამკითხე მოამბე ხარო. ისე, მართლა არამკითხესავით გამომივიდა — მას შემდეგ იმ ბიჭს ერთხელაც არ გავხსენებოვარ და სიმართლე გითხრათ, ამის გამო გული ძალიან მწყდება... თუმცა, ეგ არაფერი, თქვენ, ახალგაზრდები იყავით კარგად და ჩემს თავს აღარ ვჩივი... ისე, ამ ასაკშიც არ ვიტყვოდი ცოლის მოყვანაზე უარს, მაგრამ ბებერს ვინ გამომყვება? არა, ის კი არ იფიქროთ, რომ მართლა გამოჩინრჩეტებული ვარ და შვილის გაჩენაზე ვოცნებობ, მაგრამ ქალი რომ ლოგინში ჩაგიგორდება, ძვლები სულ სხვანაირად თბება და სხვა თუ არაფერი, წყლის მომწოდებელი მაინც მეყოლება (ილიმის)...

გიგო პაპას თვალბეჭეტი გაჩენილმა ეშმაკუნებმა მოხუცი წყვილის სიყვარულის ამბავი გამახსენა. ერთხელ, მეტროთი მგზავრობისას, ვინაიდან საქმე არაფერი მქონდა, თავს ხალხის თვალეირებით ვიქცევდი. ჩემი ყურადღება მოხუცმა წყვილმა მიიპყრო: ერთმანეთს თვალბეჭეტი შესცივნივდნენ, მათი ჩაცმულობაც ძალიან „სვეტური“ მომეჩვენა და წყვილს მორიდებით ვთხოვე, ჩემთვის ინტერვიუ მოეცა.

ვალიკო, 67 წლის:

— რაღა დროს ჩემი ინტერვიუა, ბაბუ?! როცა საქმეს ვაკეთებდი, ჟურნალისტი არ გამკარებია და ახლა, უსაქმური კაცის ცხოვრება რაღაში გაინტერესებს?

— თუ საიდუმლო არაა, სად მუშაობდით?

— მშენებელი კაცი ვარ, ამ ხელებით ბევრი სახლი ამიშენებია, მაგრამ მაღლიერი არავინაა. ჩემი ცხოვრება მარტო ამ ქალის გამო ღირდა, თურმე...

— ეს ქალბატონი თქვენი მეუღლეა?

— არა, ჩემი მეუღლე არაა, მაგრამ ამის გამო კი წამოვედი სოფლიდან და ახლა შვილებს ჩემ გამო რცხვენიათ.

— რატომ?

— მითხრეს, რამ აგტეხა ამ სიბერეში, ვილაც ქალთან რომ გაგვეპარეო?! დღემდე არ მელაპარაკებინან. არადა, რა მქენა, ამ ქალს ბავშვობიდანვე ვუყვარდი, ჩემ გამო არ გათხოვდა და მისთვის ახლაც წიხლი მკრა?..

წინაწერი:

— (ანეკდოტებს) ჰო, ვალიკო ბავშვობიდანვე მიყვარდა, მაგრამ მისი გული ვერაფრით მოვიგე (იციინის). ეტყობა,



ამ სიბერეში ჩემში რალაც ისეთი აღ-
მოაჩინა, რასაც მანამდე ვერ ამჩნევდა
და სიყვარულში გამომიტყდა, საცხოვრე-
ბლად ჩემთან გადმოვიდა.

— **თქვენ რამდენი წლის ხართ?**

— ქალს ასაკს არ ეკითხებიან.

— **ახალგაზრდულად გამოიყურე-
ბით...**

— ვცდილობ, „კარგად შენახუ-
ლი“ ქალი ვიყო.

— **თან, ასაკისთვის შეუფერე-
ბლად გაცვიათ...**

— ესეც იმისთვის, რომ ახალგაზ-
რდულად გამოვიყურებოდეთ.

— **ეს რაში გჭირდებათ?**

— ამით ვცდილობთ, ახალგაზრ-
დობის დაკარგული წლები დავი-
ბრუნოთ. როცა ასე ვიცვამთ, თავი
ისევ მოზარდები გვგონია და ანცო-
ბის ხასიათზეც ვართ.

— **ანუ კედი, ჯინსის შარვალი,
სპორტული ჰოჯაკი და კეპი გაახ-
ალგაზრდავებაში გეხმარებათ?**

ვალერიკო:

— ჰო, ამაზე ნინელიმ იზრუნა და
გამაახალგაზრდავა კიდევ. მე კედს
მხოლოდ მაშინ ვიცვამდი, როცა
სოფელში ფეხბურთს ვთამაშობდი,
ახლა კი თურმე, მოდაში ყოფილა.
ჯინსის შარვალიც არასდროს ჩამ-

— **თქვენ ანცობა რაში გამ-
ოიხატება?**

ვალერიკო:

— ჩვენ ახლა მითანინდის პარკში
ვიყავით, სადაც მშვენიერი დრო
გავატარეთ, ბევრი ვიცინეთ და თქვენ
წარმოიდგინეთ, კარუსელზეც კი
ვისხედით.

ნინელი:

— ძალიან კარგი იყო... ისე, ახ-
ალგაზრდობაში ასეთი „აშვებული“
არ ვიყავი, მაშინ ყველაფერს ყურა-
დღებას ვაქცევდი, თავს რალაცების
უფლებას არ ვაძლევდი და ვცდი-
ლობდი, საკუთარი სურვილები მო-
მეთოვა. ახლა კი მივხვდი, რომ ამ
ყველაფრით მხოლოდ საკუთარი თავი
დავაზარალე — რადგანაც „უფერუ-
ლი“ გოგო ვიყავი, საყვარელ ადამი-
ანს თავი ვერაფრით შევაყვარე.

ვალერიკო:

— ნინელი მართალია. ის ზოგჯერ
გვერდით მედგა, მაგრამ ვერც კი
ვამჩნევდი. ქალმა ცოტა თუ არ იაქ-
ტიურა, რაც უნდა კარგი გარეგნობა
ჰქონდეს, დაიჩაგრება.

ნინელი:

— ახლა ცეკვაზე სიარულიც დამ-
ანყებინა. თავს ახალგაზრდულად
გვჩნობთ. ცუდი ისაა, რომ ვალი-

ბევრი დრო გავიდა. არ მეგონა, ასე
მაღე თუ დავებრდებოდი...

— **მეითხავების ნათქვამი რო-
დის ახდა?**

— ერთი წლის წინ. მე ნათესაე-
ებთან ჩავედი იმ სოფელში, სადაც
ვალეიკო ცხოვრობდა. იქ თვალი მო-
მკრა და გამომეკიდა. მერე კითხვები
დამაყარა: როგორ ხარ? სად დაიკარ-
გეო? მაშინ გრძნობები, რომლებიც
ჩემში ვითომდა ჩაკვალი, განმიახლდა.
თან, ისიც გავიგე, რომ ვალეიკო
დაქვრივებული ყოფილა და ამან გამ-
ათამამა — მას სიყვარულში გამოფუ-
ტყდი. ვალეიკომ ხმაც კი არ გამცა და
მეც საბოლოოდ დავკარგე მასთან ცხოვ-
რების იმედი, მაგრამ როცა თბილის-
ში ჩამოვედი, ორ დღეში მესტუმრა
და მას შემდეგ ჩემთან ცხოვრობს.

ვალერიკო:

— ნინელის სიტყვებმა გული გა-
მითბო, ახალგაზრდობა გამახსენდა
და რადგან შვილებიც უმადურნი აღ-
მოჩნდნენ, მათი მიტოვება განვიზრახე.

— **ახლა თავს როდ ირჩენ?**

— ჩვენი პენსია გვეყოფნის. თან,
ნინელის პატარა ჯიხურიც აქვს და
იქიდანაც შემოგვდის რალაც თანხა.
ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ.

— **თქვენ ერთმანეთს თვალე-
ბში შესციცინებთ...**

— ეს იმიტომ, რომ ახალდაქორ-
წინებულები ვართ და თავლობის
თვე გაგვიგრძელდა (იციინან).

*მოხუცი წყვილი ფეხზე წამოდგა.
ქალბატონმა ნინელიმ ბოდიში მო-
მიხადა:*

— უკაცრავად, გოგონი, ჩვენ უნდა
ჩავიდეთ.

— **ბედნიერებას გისურვებთ!**

— გმადლობთ. იმედია, ძალიან
სასაცილოდ არ გამოვიყურებით და
ეს ყველაფერი ჩვენი გასაყირების
მიზნით არ გვეკითხე.

— **როგორ გვეადრებათ...**

ვალერიკო:

— ამ ყველაფერს თუ მართლა
დაბეჭდავ, სახელი შემიცვალე, თორემ
ჩემი შვილები ცოცხლად დამმარხავენ.

*მოხუცი წყვილი „სამგორში“ ჩაე-
იდა. მგზავრებმა მათ თვალი გააყო-
ლეს, ერთ-ერთმა ყმანვილმა კი გად-
მომილაპარაკა:*

— ვა, მართლა რა სასაცილო მას-
ტები იყვნენ, არა? ისე, შენც მა-
გრად იკაიფე, ხომ იცი...

*სიმართლე გითხრათ, სხვებისგან
განსხვავებით, ამ მოხუცებზე ნამდვი-
ლად არ გამოცინებია. ალბათ იმიტ-
ომ, რომ მათ თვალეებში დიდ სიყვა-
რული ამოვიკითხე. სხვათა შორის,
არც გიგო პაპის გულწრფელობისთვის
დამიციინია, რადგან მჯერა, რომ შესა-
ძლოა, სიყვარული ნებისმიერ ასაკში
ენვიოს ადამიანს.*



იცვამს, აი, პიჯაკი კი ყოველთვის
ძალიან მიყვარდა.

ნინელი:

— გარდა იმისა, რომ ჩაცმის ასე-
თი სტილი გაახალგაზრდავებაში
გვეხმარება, კედი და ჯინსი ძალიან
მოსახერხებელია, მშვენივრად მოე-
ირგეთ. ჩვენ უკვე მოვხუცდით და
შესაბამისად, ტანი რალაცნაირად
დაგვიძიმდა. ჰოდა, სხვა რალაცე-
ბის ჩაცმა კიდევ უფრო გვაძიმებს.
სხვათა შორის, სულაც არ მეგონია,
რომ ასე მხოლოდ თინეიჯერებმა
უნდა ჩაიცვან.

კოს შვილებს ვეღარ გაუჭენ.

ვალერიკო:

— არცაა საჭირო, ისინი მანაც
არაფერს დაგვიფასებდნენ...

— **ქალბატონო ნინელი, თქვენ
მართლა ვალეიკოს სიყვარულის გამო
არ გაბოვდით?**

— ჰო, ასეა. მე მეითხავებთან ხშირ-
ად დავდიოდი და ისინი მაიმედებდ-
ნენ, — ნუ გეშინია, ადრე თუ გვიან
ის კაცი მანაც შენთან მოვაო. ჰოდა,
მეც არ ვთხოვდებოდი. ბევრი თაყ-
ვანისმცემელი გავისტუმრე უარით და
ბოლოს მივხვდი, რომ ამ ცრუიმედში



გიგულსი

გიგულსი — იგივეა, რაც პავირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი კოეზი

თებრონე მიდის წყალზედა

თებრონე მიდის წყალზედა,
 კოხა უდგია მხარზედა,
 კობტა გოგო, გენაცვალე,
 ხევ-ხევ თებრონეო.

კარგო, მოგივალ წყალზედა,
 გაყოცებ ორთავ თვალზედა,
 კობტა გოგო, გენაცვალე,
 ხევ-ხევ თებრონეო.

თებრონემ კოხა გაავსო,
 თანაც შეიდგა მხარზედა,
 კობტა გოგო, გენაცვალე,
 ხევ-ხევ თებრონეო.

მიდის და თვალთა შეასწრო
 ქოჩორა ბიჭსა გზაზედა,
 კობტა გოგო, გენაცვალე,
 ხევ-ხევ თებრონეო.

თებრონემ კოხა ჩამოდგა,
 მანდილს იფარებს თვალზედა,
 კობტა გოგო, გენაცვალე,
 ხევ-ხევ თებრონეო.



თებრონემ კოხა გატეხა,
 ცრემლი მოადგა თვალზედა,
 კობტა გოგო, გენაცვალე,
 ხევ-ხევ თებრონეო.

ბიჭმა თებრონეს აკოცა
 იმ სოფლის შუა გზაზედა,
 კობტა გოგო, გენაცვალე,
 ხევ-ხევ თებრონეო.

თებრონე მიდის წყალზედა,
 კოხა უდგია მხარზედა,
 კობტა გოგო, გენაცვალე,
 ხევ-ხევ თებრონეო.

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
 არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით
 1982 წელს გამოსცემული
 ქართული ენის
 განმარტებითი ლექსიკონის
 ერთტომეულის მიხედვით
 შემდგენელი თეიმურ ივანიძე



დასაწყისი იხ. „გზა“, №2-38

- ზარული** (კუთხ.) — იგივეა, რაც ფენისადგილი.
- ზარფუში** სპ. — მალალი თავსახურავი, სარქველი, ხუფი (ჩვეულებრივ, სპილენძის ქვაბისა).
- ზარხოში** სპ. — სასმლისაგან (ღვინისგან...) გამხიარულებული.
- ზაფრა** არაბ. — 1. ღვიძლის (ნაღვლის პარკის) ავადმყოფობა, რომლისგანაც ადამიანი ყვითლდება; 2. ბოლმა, ჯაფრი, ნაღველი.
- ზაქა** — კამეჩის ნაშიერი დაბადებიდან სამ წლამდე.
- ზაზრუმა, ზაზრუმალ, ზაზრუმალა** სპ. — შორისდებული: სიკვდილი! არგადარჩენა! (ითქმის წყევლად).
- ზედადგარი** — რკინის სამფენა, ქვაბისა და მისთანათა ცეცხლზე შესადგმელად.
- ზედაშე** (ძვ.) — 1. წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვრისწერის წესის შესრულებისას; 2. საეკლესიო დღესასწაულისათვის საგანგებოდ შემონახული საუკეთესო ღვინო.
- ზედადები** — საბუთი, რომელიც თან მოჰყვება სადმე გადასატან ტვირთს, ვინმესთვის გადასაცემ საქონელს.
- ზეზი** (ძვ.) — 1. ერთად დართული ორფერი ძაფი; 2. ერთგვარი სამოსი ასეთი ძაფისა.
- ზეკარი** — იგივეა, რაც უღელტეხილი.
- ზენიტი** არაბ. — 1. ცის სფეროს უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი ამა თუ იმ დამკვირვებლის თავზე; 2. გადატ. (წიგნ.) რისამე უმაღლესი საფენური (დიდების ზენიტში იყო).

გაგრძელება შემდეგ ნომერში



იაკობ ცურტაველი (სუშესი)

იაკობ ცურტაველი V საუკუნის II ნახევრის ქართველი მწერალია, ჰაგიოგრაფი და ავტორი წიგნისა „შუშანიკის წამება“. აღნიშნული ნაწარმოები ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ორიგინალური ძეგლია. მასში აღწერილია, თუ როგორ უღალატა ქართლის პიტიახშმა ვარსქენმა ქვეყანას, დაგმო ქრისტიანული სარწმუნოება და სპარსელთა გულის მოსაგებად მიიღო მახდენობა. ამასთან, ქრისტიანობის ერთგულებისთვის აწამა მეუღლე — შუშანიკი.

იაკობ ცურტაველის შესახებ ცნობები თავად მისივე ნაწარმოებმა შემოინახა, საიდანაც ჩანს, რომ ის ვარსქენ პიტიახშის კარის მღვდელი ყოფილა, ამასთან — შუშანიკ დედოფალთან დაახლოებული პირიც. ამიტომ იგი ქართლის პიტიახშის კარზე, დაბა ცურტავში მომხდარი ტრაგედიის თვითმხილველი და თანამონაწილე გახლდათ. თხზულება დაწერილია 476-483 წლებში, შუშანიკის მონამებრივი აღსასრულის შემდეგ (ვახტანგ გორგასლის თხოვნით), ვარსქენის სიკვდილით დასჯამდე. ფიქრობენ, რომ უფრო მოგვიანებით იაკობ ცურტაველი ცურტავის ეპისკოპოსი გახდა და 506 წელს დაესწრო საეკლესიო შეკრებას, რადგანაც ამ კრების მონაწილეთა შორის მოიხსენიება ცურტავის ეპისკოპოსი — იაკობი. „შუშანიკის წამება“ ჩვენამდე შეცვლილი სახითაა (სავარაუდოა, რომ მას

აკლია დასაწყისი, ზოგი დეტალი გამოტოვებულია) მოღწეული. უძველესი ხელნაწერი კი X საუკუნისაა.

იმის გამო, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია „შუშანიკის წამებით“ იწყება, ამ ნაწარმოებს განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის.

იაკობ ცურტაველი მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატია. მან, ჰაგიოგრაფიული ტრადიციის მიუხედავად, მაღალმხატვრული ნაწარმოები შექმნა და შთამომავლობას მისაბაძად დაუსახა თავისი გმირის სულიერი მხნეობა. შუშანიკი დაგვიხატა მტკიცე პიროვნებად, ქრისტიანობისა და ქართლის ეროვნული ინტერესების დამცველ ქალად, რომელიც წინ აღუდგა სამშობლოს მოღალატე მეუღლის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ზრახვებს და ამით დაიცვა არა მხოლოდ ქალური ღირსება, არამედ სარწმუნოება და ქართლის ეროვნულ-



იაკობ ცურტაველი. მხატვარი მურაბ სამხარაძე

„და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და, თუ მრავალი ტანჯვაი მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა!“


დედოფალი შუშანიკი, „შუშანიკის წამება“

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც. შუშანიკის მონამებრივი ღვაწლის აღწერასთან ერთად, ნაწარმოებში მოცემულია V საუკუნის ქართლის ყოფა-ცხოვრების უტყუარი სურათები, ასახულია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, საეკლესიო ორგანიზაცია, ზნე-ჩვეულებები, კულტურული ვითარება, ამიტომ იგი შესანიშნავი ისტორიული წყაროც არის. ნაწარმოების მაღალმხატვრული დონე და იდეურ-შინაარსობრივი სიღრმე საფიქრებელს ხდის, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო იაკობ ცურტაველის შემოქმედების ერთადერთი ნაყოფი.

ძველი პირველად საბინინმა 1882 წელს გამოსცა, ტექსტი თარგმნილია ლათინურად, რუსულად, ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად. 1978 წელს ქართულმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი, ხოლო იუნესკოს გადაწყვეტილებით 1979-1983 წლებში მსოფლიო მასშტაბით აღინიშნა „შუშანიკის წამების“ ეს იუბილე.



წმ. შუშანიკი






თეთრი სხენი



ქართული პრაზის საგანძური



შალვა ტატიანიძე
შალვა ციკლაური

31

მოდოდნენ უგზოდ, უკვალოდ. ვერდებოდნენ სოფლებს, გზაშარას, მწყემსთა სადგომებს. მოდოდნენ ღამით. რაც უფრო უმთვარო და ბნელი იყო ის ღამე, მით უფრო მშვიდად ჰქონდათ გული.

დღე ისვენებდნენ — ეფარებოდნენ ტყეებს, ხევსუბებს. ცხენებს უნაგირებს მოხდიდნენ, დაბორკავდნენ და მიუჩინდნენ მწყემსად რომელიმე პირტიტველა, გლეხურად გადაცემულ რაზმელს. თვითონ ეძინათ, ან ისხდნენ ჩუმად და დაღვრემილები, გულგასენებულები გასცქეროდნენ მშობლიურ სანახებს.

სექტემბერი იწურებოდა, გადახრუჭულიყო ველ-მინდვრები, მაგრამ აქა-იქ, ნოტიო, ჩადაბლებულ ადგილებში, ისევ მწვანედ ღვინებდა ბალახი. იმ ბალახს ეტანებოდნენ ცხენები, მთელი დღე, თითქმის შებინდებამდე ძოვდნენ, მერე ფერდებამოვსებულნი, გარინდებულნი იდგნენ და მშვიდად აშლაპუნებდნენ კუდებს — იგერიებდნენ შემოდგომის გაავებულ ბუზანკალს.

მოვიდოდა, სწორედ მაშინ მოენეოდა დაჭრილი, სისხლით ყელჩამოწოთლებული ის თეთრი ცხენიც, გაერეოდა თანამომქმეებში და მოჰყვებოდა საცოდავად თავის კანტურს. ისინიც, იმის ტანჯვით შეწუხებულნი, შემოეხვეოდნენ გარშემო, ხან რომელი გადაადებდა კისერზე კისერს, ხან კიდევ რომელი. ეფერებოდნენ, ეალერსებოდნენ და ეგრე უამებდნენ ტკივილს.

მაგრამ შებინდებოდა თუ არა, წამოიშლებოდნენ რაზმელები, დაიჭრდნენ ცხენებს, შეკაზმავდნენ და შესხდებოდნენ ზედ. მოჰყვებოდა ის საწყალი ხვიხვისა და თავის ქნევას, წამოუვიდოდა ნატყვიარიდან ვარდისფერი ქაფი, მაგრამ უნაგირზე პირქუშად მსხდომნი თვალს არიდებდ-

ნენ, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენო, ზედაც არ უყურებდნენ, საკუთარ ცხენებს გამეტებით სცემდნენ ფერდებში ქუსლებს, ალვირს იმოკლებდნენ და სულ მალე თქარათქურით მიქროდნენ ადრეული შემოდგომის ფერნაცვალ მინდვრებში, სწრაფად შორდებოდნენ იმ ადგილს, სადაც მდოგვისფრად შემხმარ ბალახს ყვავილებივით აჩნდა ნითელი სისხლი.

ეგრე გამოიარეს თითქმის მთელი გარეკახეთი და უდაბნოსკენ დაეშვნენ. მიდოდნენ მალალ აბზინდებში, ტრამალის ცხელი სუნთქვა ნესტოებში უღიტინებდა შემკრთალ, შეფიქრიანებულ ცხენებს.

აქეთ და აქეთ სოფლები აღარ იყო, სამაგიეროდ ხვდებოდათ მწყემსების ნაბინავრები, ფარეხები. ესმოდათ ძაღლის ღავლაგი და თათრის გამყინავი ომახიანი ძახილი.

მთელი ღამის მძიმე, დაძქვნილი მგზავრობით დაღლილებს დილითა ეძლეოდათ შვება:

გარიურაჟზე დაუბერავდა გრილი ნიაგი და შორიდან წვიმის საამო სურნელი მოჰქონდა. აბზინდებში მიმალული ტოროლები წკრილით იჭრებოდნენ მალლა, ისმოდა მწყერების ქვითქვითიც.

მიადგნენ, როგორც იქნა, მიალნიეს გარეჯის მონასტერს — ძველს, მრავალჯერ დანგრეულ-აოხრებულს, მაგრამ მაინც კიდევ ღამაზსა და სულის უცნაურად დამამშვიდებელს. დაბანაკდნენ წყაროსთან, დაანთეს ცეცხლი, შეწვეს მწვადები. მერე დააყენეს ყარაულები და დაიძინეს. დიდხანს ეძინათ, კარგად დაისვენეს, ცოტა ხნით დაივიწყეს თავიანთი დუხჭირი ხვედრი, მაგრამ მოვიდა საღამოსპირზე ის თეთრი ცხენი და ისევ აეშალათ ნაღველი და მწარე ფიქრები.

თავიდან იმედი ჰქონდათ, რომ გადარჩებოდა, ამიტომ აღვირ-უნაგირი მოხადეს და ეგრე გაუშვეს, თავისუფლად. ტყვია ყანყრატოში ჰქონდა მოხვედრილი და ეგებ მართლაც გადარჩენილიყო, მაგრამ ამ დაუსრულებელი დევნით ცხენი უფრო და უფრო იმიზუნებდა ჭრილობას. ახლა კი შეამჩნიეს, რომ ნატყვიარიდან ჩამონადენი სისხლის მოვარდისფრო, ჭუჭყიანი ქაფი მკერდზე ღრუბელივით ეკვიდა. საღამოსპირის გრილი ნიაგი იმ ქაფს აცლიდა და მის ნაფლეთებს ბამბის ფთილებივით მიაფრიალებდა ჰაერში.

დასუსტებული, ერთ დღე-ღამეში შეცვლილი ძლივს მილასლასებდა, მაგრამ სხვა ცხენების დანახვაზე გახალისდა — მორთო ისევ ხვიხვინი და თავის ქნევა. ისინიც ხალისით მიეგებ-

ნენ და ერთი ქურანა ფაზატი ჩამონითლებულ კისერზე მიეხუტა.

რალას იზამდნენ, აიშალნენ, შეკაზმეს ცხენები და უხმოდ, პირქუშად გაეცალნენ იქაურობას, ბინდებუნდში კიდევ დიდხანს ესმოდათ სასონარკვეთილი ჭიხვინი.

მიდოდნენ. ყარაიაზისკენ ეჭირათ გეზი. წინ აჯინალილას ბორჩალოელი თათრები მიუძლოდნენ — იმათ კარგად იცოდნენ აქაურობის ასავალდასავალი და ამიტომ წინ სწრაფად მიიწევდნენ.

გაიარეს უდაბნო, თავქვე დაეშვნენ და გამთენიისას მტკვრის ფონს მიადგნენ. მტკვარი ადიდებულიყო, ეტყობოდა, თრიალეთზე წვიმდა. დასავლეთიდან ცივი ქარი უბერავდა და ცა აქეთაც სქელი ღრუბლებით იფარებოდა.

რის ვანიჩრობით გავიდნენ ღრმა ფონში და მალე მოდღვედა კიდევ, მაგრამ აქეთ აღარაფერი უჭირდათ.

ქარი ჩადგა. ცამ დაბლა დაინია. მერე გაავდრდა. ბანაკი ტყეში, ერთი დიდი წიფლის ქვეშ დასცეს. დაანთეს ცეცხლი, მაგრამ შესანავა აღარაფერი ჰქონდათ. შეჭამეს ცოტა ქუმელი... მთელი ღამის ნამგზავრებს ისევ შიოდათ.

შუადღის უკან შემოესმათ გოჭის ჭყვიტინი და მალე დაინახეს გარეული ღორის კოლტიც. არ ესროლეს, უფრო აჯინალილასი და იმისი თათრების ხათრით, ვიდრე მდევრების შიშით.

კოლტი უღრან ტყეში გაუჩინარდა და თან ნაილო ოცნება ცვრიან მწვადებზე.

ისევ წვიმდა. თეთრი ცხენი აღარ გამოჩენილა. მასზე ფიქრით დადარდინებულები, თავიდან ფეხებამდე სველები შესხდნენ ცხენებზე და დაიძრნენ ბორჩალოს მიმართულებით. მთელი ღამე წვიმაში იარეს.

დილით ერთ ნაფარეხალს მიადგნენ, მინურში დაბინავდნენ, ცეცხლი დაანთეს, ტანისამოსი გაიშრეს და უჭმელები დასაძინებლად მიეყარნენ.

აჯინალილას ბრძანებით თათრები წავიდნენ და მოიყვანეს საიდანლაც ერთი ნასუქი მოხვერი.

ბანაკი გამოცოცხლდა. რაზმელებმა ხელები დაიკაპინეს, მოხვერი დაკლეს, გაატყავეს, აქნეს და ყურინი ქვებით ცეცხლზე ყაურმა შემოდგეს. არ გასულა ცოტა ხანი, რომ ბანაკიდან ორიოდ კილომეტრზე გამოჩნდა ცხენოსანი რაზმი — სულ ორმოციოდე კაცი. ერთ ადგილზე რამდენიმე მათგანი ჩამოქვითდა და მიწას თვალიერება დაუწყა.

რაზმელებმა ცეცხლი სასწრაფოდ



ჩააქრეს, თოფები აიტაცეს და საბრძოლველად მოემზადნენ, მაგრამ ღვთის წყალობით, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა — მღევრებმა ცხენები გააბრუნეს და წავიდნენ, ეტყობა, შეტაკებას მოერიდნენ.

შვებით ამოისუნთქეს, ქვაბს ისევ შეუნთეს ცეცხლი და ყაურმაც სულ მალე მოიხარშა, მაგრამ განერვიულებულებს აღარავის ჰქონდა ჭამის თავი.

სალამოს აიყარნენ, აჯიხალილას და იმის თათრებს დაემშვიდობნენ და აღბუღასისკენ აიღეს გზი.

თეთრი ცხენი აღარც იმ სალამოს გამოჩენილა.

მეორე დღეს ოსების სოფლის თავზე, ერთ ტყისპირში გადაიყუდრეს.

ისევ წვიმდა.

ოსებს იქ თივები ედგათ. იმ თივებში გამოიძინეს, ის თივები აჭამეს ცხენებსაც და სალამოსპირზე თრიალეთისკენ გასწიეს.

ბნელი, უმთვარო ღამე იყო და მიდიოდნენ მთლად ცხენების გეშს მინდობილი — უხმოდ, უსიტყვოდ. მიდიოდნენ ჯავრით გულდამძიმებულები.

ზოგჯერ მოეყურებოდათ ცხენის შორეული ჭიხვინი, გაჩერდებოდნენ და სმენდადაბულები სიბნელეს მიამტერდებოდნენ, მაგრამ წვიმის გაბმული, გამაბურვლებელი ხმაურის მეტი აღარაფერი ისმოდა.

დილით გამოჩნდა ნისლით ჩამობურული თრიალეთის გორები. წვიმამ გადაიღო, მაგრამ ცოტა ხნის მერე ისევ ახალი ძალით წამოუშინა.

გზაკვლარეულებმა აღარ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. ბედად ზემოდან მოისმა მწყემსების სტვენა, ძაღლის ყეფა და სულ მალე სქელი ნისლიდან ცხვრის ფარა გამოვიდა.

მხედრებს ყეფითა და ღავლაგვით მიეტანნენ ყელჩანგლიანი ნაგაზები. გამოჩნდნენ მწყემსებიც და შეიარაღებული ხალხის დანახვაზე შეკრთნენ, თოფებზე გაივლეს ხელი, მაგრამ როცა სპირიდონმა — რაზმში ყველაზე ხნიერმა — „გამარჯობა“ დაიძახა, დამშვიდდნენ, ძაღლებს დაუცაცხანეს და ერთი ახალგაზრდა მწყემსი, მშვენიერი შესახედავი ვაჟკაცი, თამამად მიუახლოვდა მგზავრებს.

— ქართველები ხართ?

— ქართველები ვართ! — ერთხმად უპასუხა რამდენიმემ.

— საით თქვენი მგზავრობა?

— თურქეთში მივდივართ, ძმობილო, გზას ვერ მიგვასწავლი?

— რატომაც არა!

მწყემსმა თავის ამხანაგებს გახედა, რომლებიც ცხვარს ქვემოთ, ფერდობის ძირში ჩაჰყოლოდნენ და მოსაუბრეებს იქიდან უყურებდნენ.

— ბიჭო! მე ამით გავაცვილებ და მალე დაგეწევით! — მერე ცხენს

მათრახი სწყვიტა და ფერდობზე გააჭენა.

რაზმი უკან დაედგინა.

კარგა ხანს იარეს, ბოლოს ხევში ჩავიდნენ. მწყემსმა ცხენი შეაყენა და მათრახიანი ხელი ზემოთ, ხრიოკი სერიკენ გაიშვირა:

— აიმ გზას გაჰყევით და შუადღემდე წყაროს მიადგებით. იქიდან თურქების სოფლამდე ერთი საათის სავალია!

— რა სოფელია ეგა? — გამომცდელად ჰკითხა რაზმის ბელადმა.

— ზურზუნას ეძახიან... ცხვარი მიმიღის, თორემ სამძღვრამდეც მიგაცვილებდით.

ბელადმა სპირიდონს გადახედა და ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი, მერე ხისბუდიანი მაუზერი მოიხსნა, თასმა ზედ გადაახვია და მწყემსს გაუნოდა:

— სახსოვრად გქონდეს.

— არა, ბატონო, მაგისათვის არ გავრჯილვარ... — აინურა მწყემსი.

— გამომართვი, კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, ალალია შენზე!

— გამადლობთ, ბატონო...

ბელადმა ცხენი დაძრა და რაზმი ვინრო ხეობაში გაიბანრა.

მწყემსმა ერთ ახალგაზრდა ბიჭს სტაცა ხელი:

— მოიცა, ძმობილო, მითხარი, ეგ კაცი ვინ არი?

— ქაქუცა ჩოლოყაშვილი გაგიგონია?

— ბიჭოს?! როგორ არ გამიგონია?

— ჰო და, ეგ არი ჩოლოყაშვილი! მწყემსი გაშრა, ბელადს გადახედა, რომელიც ცოტაც და მოსახვევში გაუჩინარდებოდა:

— მერე და, თქვე კაი ხალხო, სად მიხვალთ, კაცო... თურქეთში რა გინდათ... ამ საქართველოს ვილას უტოვებთ?!

— ეჰ, ჩემო ძმაო, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო, ხომ გაგიგონია...

ბიჭმა ცხენს ქუსლი ამოსცხო და წინ წასულ ამხანაგებს დაენია.

მწყემსი ერთხანს კიდევ იდგა, დაფიქრებული, დანალვლიანებული გასცქეროდა ხევში მიმავალთ და როცა ისინი თვალს მიეფარნენ, ცხენს მათრახი გადაუჭირა, ხევიდან ამოახტუნა და წვიმის წყლით გაჟიებულ, ბალახიან ფერდობზე მიუშვა...

წვიმდა, გადაღებდას არ აპირებდა... მიდიოდნენ თავიდან ფეხებამდე სველები და არ იცოდნენ, როდისღა ეღირსებოდათ უკან დაბრუნება, ან ეღირსებოდათ კი როდისმე?

აღარც იმ დღეს გამოჩენილა თეთრი ცხენი, მაგრამ მაინც ყურში ჩაესმოდათ იმისი ჭიხვინი.

შუადღისას მართლაც მიადგნენ კლდეში გამოშვალ წყაროს, ქუშელი

მოზილეს (თითო პატარა გუნდა ყველას ერგო) და იმითი მოიკლეს შიშლი. ზედ წყაროს წყალი დააყოლეს.

ისევ განაგრძეს გზა. ცხენებს ტალახში ფეხი უტყურდებოდათ. ცოტა ხანში დაიწყო დაღმართი — ისიც ტალახიანი, სველი, ალინჭყული.

დაქვეითდნენ და ცხენებს წინ გაუძღვნენ.

წვიმამ გადაიღო, ახლა სქელი ნისლი აიშალა. ფრთხილად მიდიოდნენ იმ ნისლში.

უეცრად წინ უცხო შეძახილი და თოფის საკეტის ჩხაკუნი მოისმა.

სწრაფად გაიშალნენ, იარაღზე იტაცეს ხელი და თოფიც გავარდა.

— არავინ ისროლოს! — ბრძანა ჩოლოყაშვილმა. ისევ გავარდა თოფი. ნისლში ტყვიამ იწივლა. ტალახში ჩანწენენ.

— ცხენები მიაფარეთ! — დაიძახა ისევ ქაქუცამ.

ისა და გენერალი სპირიდონ ჭაჭავაძე ერთ ბალახიან კორძს ეფარებოდნენ.

— თეთრი ბაირალი გვჭირდება, თავადო... — უთხრა სპირიდონმა.

ქაქუცამ იქაურობა მოათვალიერა. — ბადურ!

ბადურაშვილი ახლოს მოხოსდა და ბელადს სახეში მიაჩერდა.

— თეთრი ნაჭერი უნდა იშოვნო.

იმან უხმოდ დაუქნია თავი და ნისლში გაუჩინარდა.

ამჯერად ერთდროულად გავარდა რამდენიმე თოფი, ცოტა ხანში კი ისევ სროლა ატყდა, თავი მალღა ვეღარ ასწიეს.

ნიაგმა დაუბერა, ნისლი გაიცრიცა და ქვემოთ თურქების სასაზღვრო ჯარის ყაზარმა გამოჩნდა — იქიდან ისროდნენ.

მალე ბადურაც მოვიდა და რაღაც ჭუჭყიანი ფალასი მოიტანა.

— ეგ რა არი, ბიჭო?! — გაუკვირდა ჩოლოყაშვილს.

— რა ვქნა, ბელადო, იგრე არიან ყველანი ტალახში დათხუნულები, რო ამაზე თეთრი ვერა ვიშოვე რა...

ქაქუცა ერთხანს ჩუმად იწვა, მერე წამოდგა, ქამარი შეიხსნა, ხალათი გაიხადა და თოვლივით თეთრი, ქათქათა პერანგი ისე გაიძრო, თითქოს სული ამოირთვაო.

სროლა რომ შეწყდა, ქვემოთ დაემშვიდნენ. წინ ქაქუცა ჩოლოყაშვილი მიუძღლოდათ — მალღა აწულელი თეთრი პერანგი ეჭირა ხელში. შემოდგომის ნოტიო ნიაგი აფრიალებდა იმ პერანგს.

მიდიოდნენ რალაცნაირად დაცლილები, დაცარიელებულები. მშრალი ბურთები გასჩროდათ ყელში. მიდიოდნენ და უკან მისდევდათ სამშობლოში დარჩენილი, მტრის ტყვიით დაჭრილი თეთრი ცხენის სასონარკვეთილი ჭიხვინი. ■



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-38

რუსუდან პერიკა

ნათიამ მთელი მომდევნო დღე ტელევიზორის ყურებაში გაატარა. სევდიანი ფიქრების მოშორებასაც ყველანაირად ცდილობდა, მაგრამ როგორც კი შებინდდა, მაშინვე შიშმა შეიპყრო და ამის გამო მოგვიანებით დაძინებაც ვეღარაფრით შეძლო. გოგონას ყველგან ბანდიტები ელანდებოდნენ. „თუ ისეთ ცნობილ ყურნალისტსაც კი, როგორც ლაფაურია, ლამის ყოველ ნაბიჯზე მოსაკლავად უსაფრდებინა და საშველი ვერსად უპოვია, აბა, ჩემნაირ უპატრონოსა და მიუსაფარს ვინლა გამოესარჩლება?“ — ფიქრობდა იგი და გათენების მოლოდინში საათზე მალიმალ იხედებოდა. ლამის სამი საათი იქნებოდა, რომ შემოსასვლელში რაღაც გაფაჩუნდა. დამფრთხალმა ნათიამ სმენა დაძაბა, მაგრამ ხმაური აღარ გამოერებულა. და ის იყო, თავი დაიმშვიდა, — ეტყობა, მომეჩვენაო, რომ ხმაური ბევრად უფრო მკაფიოდ გაისმა. გოგონა მიხვდა, რომ ვიღაც ძალიან ფრთხილად, მაგრამ საკმაოდ გულმოდგინედ ცდილობდა კარის გაღებას.

დაფეთებულ ნათიას პირზე მომდგარი კვილი რაღაც ძალამ ისევ უკან ჩაუბრუნა. „იქნებ ლაშაა? — წყალნალეზულივით ხავს ჩაეჭიდა იგი, თუმცა ეს აზრი სწრაფადვე უარყო, — გამორიცხებულია. ის წინასწარ დამირეკავდა. მაშინ იქნებ სახლის პატრონი დაბრუნდა? ესეც შეუძლებელია, რადგან, როგორც ლაშამ ერთხარა, ის უცხოეთშია და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდება“. ნათია უკვე პანიკურმა შიშმა შეიპყრო: „უნდა გავიქცე, სანამ კიდევ დროა! მაგრამ როგორ? ფანჯრიდან ვერ გადავხტები. მესხეთე სართულიდან მინამდე უბრალოდ სული არ დამყვება. კარიდან გაღწევა თავისთავად გამორიცხებულია. აბა, რა ვქნა?.. ღმერთო, დაიხმარე!..“

ლაფაურს უკვე ღრმა ძილით ეძინა, როცა მობილური ტელეფონის ხმა ჩაესმა. ნათია რეკავდა.

— ლაშა, გემუდარები, სასწრაფოდ მოდი! მგონი, რაღაც საშინელება მოხდა! — გაისმა ყურმილში ატირებული გოგონას ხმა.

ლაფაურმა სწრაფად ჩაიცვა და ქუჩაში გავარდა. თუ ნათია მას ლამის 3 საათზე ურეკავდა, ესე იგი, მის თავს მართლაც რაღაც ძალიან დიდი საშინელება ხდებოდა. ბედად ტაქსი სწრაფად გამოჩნდა და ლაშა მეგობრის ბინისკენ გააქანა.

ნათიამ მას კარი მაშინვე გაუღო. შიშით თვალგაფართოებულ და აცახცახებულ გოგონას ხელში უზარმაზარი თუჯის ტაფა ეჭირა, იქვე, იატაკზე კი თავზე შავწინდაჩამოცმული მამაკაცი ეგდო.

— ვერაფრით დავიძინე და გათენების მოლოდინში საათზე ხშირ-ხშირად ვიხედებოდი. 3 საათი ხდებოდა, კარს იქით რომ ხმაური შემომესმა... — ჯერ კიდევ სლუკუნებდა ნათია, — როცა აქ შემოაღწია, თავში აი, ეს ჩავარტყი.

— კარგად მოქცეულხარ, — ლაფაურმა გოგონას ტაფა ფრთხილად გამოართვა. ის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა.

— ნეტავ, ხომ არ შემომაკვდა? — კიდევ ერთხელ ამოისლუკუნა ნათიამ. ლაშამ მამაკაცს პულსი მოუსინჯა:

— ცოცხალია ახვარი... ჩვენ კი აქედან სასწრაფოდ უნდა მოვუსვათ.

— მერე ეს? — მამაკაცს შიშით დახედდა ნათიამ.

— ამას კარგ სეირს მოვუწყობ, — მობილური ტელეფონი ამოიღო ლაშამ და პოლიციას ბინის გაქურდვის შესახებ შეატყობინა.

ნათიას ამბავმა ლაშას კიდევ ერთი პრობლემა მიუმატა. ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გოგონას მართლაც

ძალიან დიდი საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ის კი ვერაფრით მოიფიქრა, რით ეშველა ან სად წაეყვანა. მეგობარი კიდევ ბევრი ჰყავდა, მაგრამ ცარიელი ბინა აღარც ერთ მათგანს არ ჰქონდა. ამიტომაც, სხვა გზა არ იყო და დროებით გოგონას თავისთან დატოვება გადაწყვიტა. „ერთი მხრივ ეს, რა თქმა უნდა, საშიშია, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ მეორე მხრივ, სულ თვალწინ მეყოლება და შეიძლება, რაღაცაში კიდევ გამოვხდეთ“. ამ გადაწყვეტილებამ ნათია იმდენად გაახარა, რომ მამაკაცს კინაღამ კისერზე ჩამოეკიდა.

მეორე დილით ლაშა თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა და ძველ ნაცნობს შეეხმანა.

— ალო, კოკის გაუმარჯოს!.. მიცანი, ხომ?.. გაიხარე!.. დიდი მადლობა... კი, სამსახურში უკვე ყველაფერი რიგზეა... რაზე განუხებ და... მოკლედ, მოვდივარ ახლახან ქუჩაში და ვხედავ, პისტოლეტი არ გდია?! კი, კი, ნაღდად ასე იყო... მეც ძალიან გამივივრდა, რომ ჩვენს დროში იარაღს ვიღაც ასე უდიერად ექცევა... კარგი, შემოვირბენ...

ოცი წუთის შემდეგ ლაშა უკვე ნაცნობის კაბინეტში იჯდა.

— რას ჰგავხარ, ბიჭო, — გააკვირვა ის ლაშას დაკანრულ-ჩალურჯებული სახის დანახვამ, — არ მითხრა ახლა, ისევ პრობლემები მიქვსო.

— პრობლემები დღეს ვის აღარ აქვს?! — სევდიანად გაელიმა ლაშას.

— ისე, შენც მართალი ხარ. უპრობლემოდ, მგონი, მხოლოდ მიცვალებულილა დარჩნენ. აბა, მომიყვი, სად იპოვე იარაღი? ჩემი ბიჭები კი დანარჩენს გამირკვევენ.

— ხომ გითხარი, ქუჩაში-მეთქი, — პირველი „ჩვენება“ არაფრით შეცვალა ლაშამ, — ისე, მეც მაქვს შენთან ერთი კითხვა.

— მერე რაღას უცდი? — ზოიძე ვინ არის?

— თუ ცნობილი დეპუტატი ედუარდ ზოიძე გყავს მხედველობაში, ეს ერთია და, თუ ზოგადად, ვინმე სხვა ზოიძე — მეორე. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში ასობით ზოიძის მოძებნა შეიძლება.

— საქმეს გაგიადვილებ, — გაელიმა ლაშას, — მე სწორედ დეპუტატი ზოიძე მაინტერესებს.

— რას გეტყვი, იცი?.. — დაიწყო კოკიმ.

— ჯერ არა, მაგრამ ყურადღებით გისმენ.

— სხვა ჟურნალისტებისგან განსხვავებით, მართლა მომწონხარ და რატომღაც მჯერა კიდევ შენი.

— დიდი მადლობა, მაგრამ მაინც რით დავიმსახურე ასეთი პატივი?

— შენ ჩემთან ყოველთვის ჯიბეში ჩამალული დიქტოფონის გარეშე, კაცურად სალაპარაკოდ მოდიხარ ხოლმე, რასაც განსაკუთრებით ვაფასებ.

— ამაში მართალი ხარ. დიქტოფონი აქ ნამდვილად არასდროს მომიტანია.



— ამიტომაც ვარ შენთან ასე გულახდილი. თორემ ხომ იცი, რამდენი გამოაბუნძულეს ორგანოებიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ყურნალისტებთან გულახდილობდა. შემდეგ კი ფირზე ჩანერილი ეს „გულახდილობა“ საჭირო დროს საჭირო ადგილზე ხვდებოდა. ალბათ გესმის, რასაც ვგულისხმობ.

— რა თქმა უნდა. როგორც აქამდე, ამჯერადაც ყველაფერი, რაც ჩვენ შორის ითქმება, ჩვენ შორისვე დარჩება.

— ჰოდა, ზოიძეზე მოგახსენებდი, — განაგრძო კოკი, — ჩემი მეგობრული რჩევა იქნება, რომ თუ ახალ უსიამოვნებებს შეგნებულად არ ეძებ, მისგან თავი რაც შეიძლება შორს დაიჭირო.

— შენს რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვიცოდე, ასე ვის და რატომ უნდა ვერიდო?

— დიდი ოხერი ჰყავხარ გამჩენს, — გაელემა კოკის, — მამ ასე, ჩვენი მონაცემებით, ზოიძემ კარიერა ფინანსური მაქინაციებით ნაშოვნო ფულით გაიკეთა. მერე ეს ამბავი გასკდა, თუმცა რალაც მანქანებით თავი მაინც დაიძვრინა, ციხეში კი მისი ხელქვეითები აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ რამდენიმე წელი მის შესახებ აღარაფერი გვსმენია, მაგრამ მერე ისევ ნაშოფო თავი და ჯერ კახინო „პერსონალი“ დირექტორად მოგვევლინა, შემდეგ კი სათამაშო სახლების მთელი ქსელის შექმნა. ბოლოს ალკოჰოლზე გადავიდა და მალე ამ მომგებიან ბიზნესს მართო დედაქალაქში კი არა, პერიფერიებშიც აქტიურად დაუწყო გაკონტროლება. ჩვენი მონაცემებით, სადღეისოდ ყოველი ბოთლი სპირტიანი სასმელიდან თავისი პროცენტი აქვს.

— აუწყვია ცხოვრება და ეგ არის. — მერე როგორ! მის წინააღმდეგ არც ერთი პირდაპირი საშიხილი არ არსებობს. ზედმინეწით ფრთხილი, ცბიერი და მოუხელთებელია, თან სასტიკად დაუნდობელიც. ამბობენ, ამის გამო დროდადრო კერძო ფსიქიატრებთანაც კი მკურნალობსო. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: როგორც პარლამენტარს, იმუნიტეტიც იცავს.

— ეტყობა, „ზემოთაც“ სერიოზული მფარველები ჰყავს, თორემ ასე მაინც არავინ აპარპაშებდა.

— რა თქმა უნდა. თანაც — „ზემოთაც“ და „ქვემოთაც“.

— ეგ როგორ? — როგორ და ზოიძეს მართო მთავრობაში კი არა, კრიმინალურ სამყაროშიც სერიოზული დასაყრდენი აქვს. ჰყავს საკუთარი „ზონდერბრიგადა“ და ბევრ შეკვეთილ მკვლელობასაც სწორედ მას მიაწერენ. საკმარისად „გაგანათლევ“ თუ კიდევ რამე გაინტერესებს?

— არა. მეტი რალა უნდა

მაინტერესებდეს? კაცი ჩემ თვალწინ სარჩულივით გადმოაბრუნე. თუმცა მაგას კაცს როგორ ვუნოდებ. არაკაცი უნდა მეთქვა.

ამ დროს ვილაცამ კარზე დააკაკუნა. — შემოდი! — გასახა კოკიმ.

კაბინეტი წითური ახალგაზრდა შემოვიდა და ქალაქში გახვეული იარაღი და ანგარიში უფროსს მაგიდაზე უსიტყვოდ დაუდო.

— გამდლობ, თავისუფალი ხარ, — ქვეშევრდომის ოთახიდან გასვლისთანავე კოკი ანგარიშს მიუბრუნდა და სტრიქონებს თვალთ სწრაფად გადაურბინა:

— იცი, რამხელა შარში ხარ გახვეული?

— მართლა ასე ცუდადაა საქმე? — შეკრთა ლაშა.

— პისტოლეტი ზოიძის პირად მცველს ეკუთვნის.

— მდაა, — ჩაფიქრდა ლაფაური, — რას გაიხარებს, რომ გაიგებს, ნაშოვნაო.

— არა მგონია, — თავი უკამყოფილოდ გადაქნია კოკიმ.

— რატომ? ასეთი „სათამაშო“ კიდევ ბევრი აქვს?

— არა. უბრალოდ, გუშინ მოკლეს.

— რაო? — გაოგნდა ლაშა. — როგორ?.. ვინ მოკლა?

— ჯერ არ ვიცით. ნაგავსაყრელზე აღმოაჩინეს შუბლგახვრეტილი. ასე რომ, გირჩევნია, სიმართლე მითხრა, ეს პისტოლეტი შენთან როგორ მოხვდა?

— ხომ გითხარი, ვიპოვე-მეთქი.

— არ გინდა თქმა, ნუ მეტყვი, მაგრამ ეს საქმე რომ ასე მარტივად არ დამთავრდება, უკვე ალბათ შენც კარგად ხვდები.

— ვიცი, მაგრამ რა ვქნა?

— ტყუილად ჯიუტობ, ლაფაურო! შეიძლება, მე ერთადერთი ადამიანიც ვი ვარ, ვისაც ამ სიტუაციაში შენი დახმარება შეუძლია.

— დიდი მადლობა, მაგრამ ჩემს პრობლემებს მარტოც გავწვდები.

— გამომიჩნდა, რა, კიდევ ერთი რემ-

ბო! ცოტა შენისთანას ამოუნაყეს ცხვირი ანდა სულაც გააგორეს ზედმეტი ცნობისმოყვარეობისა და თავგამოდებისთვის? — გაღიზიანდა კოკი. — მაგრამ რა გაენყობა, შენი საქმისა შენ იცი. ისე, თუ არაკაც ზოიძეს რამე ხელშესახებს გამოუქეძავ, იცოდე, საქმის კურსში ჩამაყენე და ჩემი არხებითაც დაგეხმარები.

— პირობას გაძლევ. ოღონდ ის მითხარი, ამას რალა ვუყოთ? — იარაღზე ანიშნა ლაშამ.

— ეს უკვე შენი პრობლემა აღარ არის. მიგხვდავ.

— ანუ შემიძლია, წავიდე?

— მოუსვი! ოღონდ ძალიან ფრთხილად იყავი...

— გვარ-სახელი ედუარდ ზოიძე ხომ არაფერს გეუბნება? — ჰკითხა ნათიას შინ დაბრუნებულმა ლაშამ.

— პარლამენტის დეპუტატი უნდა იყოს. მგონი, ძალიან ცნობილიც. ყოველ შემთხვევაში, მისი გვარი ტელევიზიით ძალიან ხშირად გამოგონია, — მშვიდად უპასუხა გოგონამ, — რატომ მეკითხები?

პასუხის ნაცვლად ლაფაურმა გოგონას თვალი თვალში გამოცდელად გაუყარა. უნდოდა, მის თვალში მინც ამოეკითხა, სინამდვილეში რა ხდებოდა და რატომ დასდევდა ზოიძე მოსაკლავად.

— ნათია, მითხარი, ოღონდ პატიოსნად... — დაიწყო მამაკაცმა.

— გისმენ, — გოგონამ მას ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შეხედა.

— არ დამიმალო, ზოიძე შენი კლიენტი იყო?

ნათიამ იგრძნო, სისხლი სახეზე როგორ მოაწვა და მაშინვე პირი იბრუნა:

— ზოიძე ჩემი კლიენტი არასოდეს ყოფილა. მე ის მხოლოდ ტელევიზორში თუ მინახავს.

გოგონას ხმაში უკვე აშკარა გაღიზიანება იგრძნობოდა.

— კარგი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, — ლაშამ საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა.

მას უკვე აღარაფერი ესმოდა. „ნათიას მოტაცება ზოიძის გარემოცვის ხალხმა უკვე ორჯერ სცადა, თავად კი ირწმუნება, ამ კაცს არც კი ვიცნობო, — ფიქრობდა იგი, — დაუშვავთ, რომ სიმართლეს ამბობს. მაშინ რისთვისლა დევნიან? იქნებ, ეს თავად ზოიძის კი არა, მხოლოდ მისი გარემოცვის რომელიმე წევრის პირადი ინიციატივაა და სხვა არაფერი? თუმცა კი ნაკლებსავარაუდოა, ასე იყოს. ზოიძის დონის კრიმინალებს დაჯგუფებაში სასტიკი დისციპლინა აქვთ და მსგავს





თვითშემოქმედებას ვერავინ გაბედავდა“,
— დაასკვნა მან ბოლოს.

მუდმივი მოლოდინის რეჟიმში ცხოვრებით უკვე საფუძვლიანად დაღლილ ბერდიაშვილს ლაფაურთან დარეკვის შემდეგ მოუთმენლობამ დარია ხელი. „თუ ყველაფერი სწორად გავთვალე, მაშინ ჟურნალისტი უკვე არეშიძის ძებნას უნდა შესდგომოდა, — ფიქრობდა იგი, — მე კი მხოლოდ კვალში უნდა ჩავუდგე და მისი არც ერთი ნაბიჯი არ გამომჩნეს მხედველობიდან“. მაგრამ ამის გაკეთება თვით ათას ქარცეცხლში გამოვლილი ბერდიაშვილისთვისაც კი საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. ჟურნალისტი ჯერ ისედაც სულ მოძრაობაში იყო და ნიკას მისი დევნა სიქას აძრობდა, რასაც ისიც ემატებოდა, რომ ლაფაურს შეეძლო, შუალამისას ნამომხტარიყო, სადღაც გავარდნილიყო და ბერდიაშვილიც იძულებული იყო, იგივე გაეკეთებინა. მას ასევე საგონებელში აგდებდა ლაფაურისა და ნათიას ურთიერთობა, რომლებიც ერთმანეთის თვის პრაქტიკულად არაფერი იყვნენ, მაგრამ დაძმავებით კი ცხოვრობდნენ.

ნიკამ ისიც კარგად იცოდა, რომ გოგონას საფრთხე ემუქრებოდა, თუმცა მას ეს ოდნავადაც არ ალელვებდა. „სპექტრი 2“-ის პრეზენტაციაზე ოსტატურად შეპარული ბერდიაშვილი ნათიას მოტაცებას უშუალოდ შეესწრო, მაგრამ არც კი განძრეულა. მეტიც, მას კიდევ აწყობდა, თუ გოგონა უკვალოდ გაქრებოდა და ლაფაური მხოლოდ მეცნიერის ძებნაზე გადაიტანდა მთელ ყურადღებას. თუმცა ბერდიაშვილი რისი ბერდიაშვილი იქნებოდა, ნათიას სილამაზეც არ შეუმჩნია. „ამ საქმეში არ ვიყო გახლართული, მე ვიცი, რასაც ვიზამდი, — გოგონას შემხედვარე ნერწყვს ხშირ-ხშირად ყლაპავდა, — არ ვიცი, ეს ჟურნალისტი ამდენ ხანს რატომ ელოლიავენა?“ როცა ნიკამ საკუთარი თვალით ნახა, ლაფაურმა ნათია ბანდიტებისგან როგორ გამოიხსნა, ცოტა შემფოთდა კიდევ, რადგან მიხვდა, ჟურნალისტი მას ადვილად არ დათმობდა და მას არც არავის დააჩაგრინებდა, თუმცა თავი იმით დაიმშვიდა, რომ არჩევანში მაინც არ შეეცვდიარვარ და ლაფაური სწორედ ის კაცია, ჩემს ჩანაფიქრს ხორცს რომ შეასხამსო.

როცა ტელევიზიიდან შუალამისას გამოსულ ლაფაურს ვილაცები მანქანით აედევნენ, ნიკამ მაშინვე სერიოზული საფრთხე „იყნოსა“ და იმდენად შემფოთდა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში საქმეში უშუალო ჩარევაც კი გადაწყვიტა. მას ხომ ლაფაური უკვე ლამის ჰაერივით სჭირდებოდა. ამიტომ როცა დაინახა, როგორ ამოტრიალდა და შემდეგ აფეთქდა კიდევ ჟურნალისტის მანქანა, სიმწრის ცრემლიც კი მოერია. „მორჩა! ყველაფერი წყალში ჩამყარა! — მან საკუთარი მანქანის საჭეს მუშტი გამეტებით დასცხო, — სანამ ლაფაურის შემ-

ცვლელს ვიპოვი, ყველაფერი შეიძლება, მოხდეს“. ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რაოდენ დიდი იყო მისი გაოგნება და აღფრთოვანებაც, როცა ლაფაური გზატკეცილზე ისევ გამოჩნდა და გამვლელი მანქანის გაჩერებას შეეცადა. ბერდიაშვილმა მას ნელი სვლით ჩაუარა და სისხლითა და ტალახით მოსვრილ სახეზე გულმოდგინედ დააკვირდა. „მადლობა ღმერთს, სერიოზული არაფერი სჭირს, — შვებით ამოისუნთქა მან და სიჩქარეს მოუმატა, — ასე რომ, ყველაფერი ისევ ჩემი გეგმის მიხედვით ნავა“.

— ალო, თუ შეიძლება, ბატონ ლამას სთხოვეთ.

ნათიამ ყურმილი მაშინვე ლაფაურს გადასცა.

— გისმენთ, — ჩასძახა მან.

— მიხეილ ქარუმიძე მოგესალმებით.

— ვინ? — ჩაუკითხა ლამა.

— გამომძიებელი... პროფესორ ხერხეულიძის საქმე ხომ გახსოვთ? თქვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემთან ერთხელ უკვე იყავით.

— დიას, დიას, ახლა გამახსენდა.

— ახლახან ტელევიზორში გნახეთ და ძალიან გამიხარდა, რომ ისევ ძველ საქმეს დაუბრუნდით.

— დიდი მადლობა, ბატონო მიხეილ.

— ჰოდა, არ მოგერიდოთ. თუ რამე დაგჭირდებათ, აუცილებლად მომმართეთ. რაც შემეძლება, ყველაფრით დაგხმარებთ.

— დიდი სიამოვნებით, ბატონო მიხეილ. თქვენი საქმეები როგორაა? ამცირებთ და ამცირებთ ხომ დანაშაულს? — აბა, როგორ, მაშინ პროფესორის ყოველ შემთხვევაში, ცდას არ ვაკლებთ.

— ცდა კიდევ ბედის მონახევრეაო, ამბობენ...

— ახლა რატომ გირეკავთ...

— დიას, ყურადღებით გისმენთ.

— მახსოვს, მაშინ პროფესორის დალუპვის დეტალებით დაინტერესდით.

— დიას, მაგრამ თქვენც ხომ მაშინვე მითხარით, რომ ამ საქმეში ყველაფერი თავიდანვე ნათელი იყო.

— ჰო, მაგრამ...

— კიდევ უფრო ყურადღებით გისმენთ.

— ჩვენი საუბრის შემდეგ ერთი აზრი მომივიდა და მისი შემონიშნა გადაწყვიტე. ავარიის ადგილიდან ნიადაგის სინჯი ავიღე და იცით, რა აღმოაჩინეს ჩემმა ექსპერტმა კრიმინალისტებმა?

— მაინც რა?

— პიროტექნიკური წარმოშობის მიკროსკოპული ნაწილები, პეტარდების (თოფისნამლით გატენილი ქაღალდის ჭურვი, რომელსაც ფეიერვერკის მოსაწყობად იყენებენ) აფეთქების შემდეგ რომ რჩება, ისეთი.

— პეტარდების? — გაუკვირდა ლამას.

— დიას.

— მერე ეს რას უნდა ნიშნავდეს?

იმას ხომ არა, რომ გზაზე პეტარდა აფეთქდა?

— დაახლოებით.

— მაგრამ მას ხომ ამხელა მანქანის გადაადგება არ შეეძლო.

— ეს პეტარდა კი არა, ხმოვანი ხელყუმბარა იყო, რომელსაც სპეცრაზმი სპეცოპერაციის ჩატარების, მაგალითად, ტერორისტების უვნებელყოფის დროს იყენებს. აფეთქებას თან თვალისმოჭრელი სინათლე ახლავს.

— იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ პროფესორის მანქანას ხელყუმბარა მოხვდა?

— ვერ დავიჩემებ, თუმცა ის მანქანიდან საკმაოდ მოშორებითაც რომ აფეთქებულიყო, ეფექტი ზუსტად ისეთივე ექნებოდა.

— ესე იგი, პროფესორს შეგნებულად მოსჭრეს თვალი, რომ ხრამში გადაჩეხილიყო?

— ეს მხოლოდ ვარაუდია, მტკიცებულებები კი არ გვაქვს. ხელყუმბარა შეიძლება ხერხეულიძის მანქანის გავლამდე ბევრად უფრო ადრეც აფეთქებულიყო.

— მაგრამ აფეთქების ხმა ვინმეს ხომ უნდა გაეგონა?

— დიას, მოაგარაკეებმა რამდენიმე აფეთქების ხმა ნამდვილად გაიგონეს, მაგრამ ეს შეიძლება ბენზინის ავზის ანდა სულაც იმ ბენზინის კანისტრების აფეთქების ხმაც ყოფილიყო, რომლებიც პროფესორს მანქანის საბარგულში ეწყო.

— პირადად თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

— მე? მე უბრალოდ ინფორმაციის მონოდება მინდოდა, დანარჩენი კი თავად განსაჯეთ.

— რამე რომ იყოს, ამ საქმეს ისევ მიუბრუნდებით?

— რის საფუძველზე? მხოლოდ იმის გამო ხომ არა, რომ ხელყუმბარის მტვერი აღმოვაჩინეთ? ეს უბრალოდ არასერიოზული იქნებოდა.

— მაგრამ თქვენც ხომ აღარ გჯერათ უკვე, რომ პროფესორი ხერხეულიძე შემთხვევით დაიღუპა?

— რატომ არ უნდა მჯეროდეს? ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ადამიანები ხანდახან სრულიად სწორ ადგილზეც კი იტყვენ კისერს.

— მესმის თქვენი, ბატონო მიხეილ.

— მაშინ კარგად იყავით. და კიდევ, ერთი პატარა რჩევა: დაივიწყეთ ეს ამბავი. ხვდებით ალბათ, რომ ასეთ ხელყუმბარებს ბაზრობებზე არ ყიდიან...

„ესეც მაგარი ვინმეა, ხომ იცი! ჯერ დამაინტრიგა და მერე მეუბნება, ყველაფერი დაივიწყეო, — გაიფიქრა ლამამ ყურმილის დადების შემდეგ, — როგორ უნდა დავივიწყო?“

ლაფაური ოთახში ნერვიულ სიარულს მოჰყვა. „გამოდის, რომ ქარუმიძემ პირდაპირ მიმანიშნა, ადვილი შესაძლებელია, პროფესორი სპეცსამსახურებს მოეკლათო. კი, ხელყუმბარები ქუჩაში ნამდვილად არ ყრია, თუმცა



მონდომებისა და ქიმიის ელემენტარული წესების ცოდნის შემთხვევაში მსგავსი რამის კუსტარულად დამზადებაც სულ თავისუფლად შეიძლება. მაგრამ რა შუაშია აქ პროფესორი? ვითომ მხოლოდ იმიტომ მოკლეს, რომ არეშიძეს იცნობდა? ისევ ეს ავადასახსენებელი არეშიძე! მაშინ მოდი, ცოტა ხანს ისევ უკან დავბრუნდეთ: არეშიძის თანაკლასელი კოტე კოტრიკაძე გულის შეტევით გარდაიცვალა. ტატა ბურდული ზღვაში დაიხრჩო. პროფესორი ხერხეულიძე ავტოავარიაში დაიღუპა. „ომეგას“ მსუქანა ისიდორე კილერმა მოკლა. რამდენჯერმე ჩემი მოკვლაც სცადეს. შემდეგი ვინდა? მოიცა, მოიცა...“ — ლაფაურს უცბად ამასწინანდელი უცნაური სატელეფონო ზარი გაახსენდა: „საფრთხე გემუქრებათ. არეშიძე ცოცხალია. აუცილებლად იპოვეთ მისი მეგობარი ქალი“, — თითქოს კიდევ ერთხელ ჩაესმა ყურში უცნობი მამაკაცის სიტყვები.

ლაშა ადგილს ველარ პოულობდა, თავში კი ორად ორი სიტყვა: არეშიძე და საფრთხე უტრიალებდა. და უცბად გონება გაუნათდა: „გამოდის, რომ სწორედ არეშიძეა ის მანიაკი, რომელსაც უნდა, რომ ყველა, ვინც კი ის ერთხელ მაინც ნახა, ანდა ოდესღაც იცნობდა, თავიდან მოიშოროს. ეტყობა, მართლაც რაღაც გრანდიოზული აღმოჩენა გააკეთა, მთელ სამყაროს რომ უმაღლავს. თუ ეს ყველაფერი ნამდვილად ასეა, გამოდის, რომ ამ ადამიანს მთლად დანებობილი ფსიქიკა არ უნდა ჰქონდეს. სამედ-ციწინო პრაქტიკაში ეს საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა და პარანოია ჰქვია. ხშირად მეცნიერები ადამიანს აბმოჩენა გააკეთებენ, რომელიმე სამედიცინო აღმოჩენით გატაცებული ადამიანები უბრალოდ ველარ ამჩნევენ, დაძაბული მუშაობის შედეგად მათი ორგანიზმი როგორ იფიტება, ტვინი კი ფსიქიკურ დატვირთვას საერთოდ ველარ უძლებს. ერთი და ორი ჭკვიანი ადამიანი როდი მოხვედრილა ფსიქიატრულში იმის გამო, რომ საკუთარ ჯანმრთელობას სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. ეტყობა, არეშიძესაც რაღაც ამის მსგავსი დაემართა. დევნის მანიით შეპყრობილი ადამიანი საკუთარ თავში ჩაკეტილი და აგრესიული ხდება და თუ დროული მკურნალობა არ დაიწყო, აგრესია ძალიან საშიშ ხასიათს იღებს. გამოდის, რომ თუ ვინმემ დროულად არ შეაჩერა, არეშიძე ყველა თავის ნაცნობსა და ნათესავსაც კი დაუნდობლად გაანადგურებს“. ლაშას ამ ფიქრმა კინაღამ თავის ქალა ახადა, მაგრამ გაჩერებაც აღარაფრით შეეძლო: „თუმცა არეშიძე უშუალო შემსრულებელი მაინც არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, გამჭრიახი ჭკუისა და ფულის წყალობით ამას სხვების, უფრო კონკრეტულად კი დაქირავებული მკვლელების მეშვეობით აკეთებს. ფული იყოს, თორემ მათი პოვნა ვის გასჭირვებია, რომ არეშიძეს გაუჭირდეს. ნეტავ, რომელ მეგობარ

ქალზე ლაპარაკობდა ის უცნობი?“ — ლაფაური არეშიძის მხოლოდ ერთ ასეთ მეგობარს — ლალი პეტრიაშვილს იცნობდა, რომელიც, ნესით, შვებულებიდან უკვე უნდა დაბრუნებულიყო. ლაშა სასწრაფოდ ტელეფონს ცეცა:

— ალო, ლალი პეტრიაშვილს სთხოვეთ, თუ შეიძლება.

— ლალიკო არ გახლავთ, — გაისმა ყურმილში ქალის სასაიამოვნო ხმა.

— სადმეა გასული თუ ჯერ შვებულება არ დასრულებია?

— არა, იცით, სამი დღეა, რაც შვებულება დაუსრულდა, მაგრამ ჯერ არ გამოჩენილა. ალბათ გაუტყბა დედასთან ყოფნა. თუმცა ლალიკოსგან ეს მაინც მიკვირს. სხვა რომ არაფერი, დარეკავდა მაინც. მოკლედ, ერთი-ორი დღე კიდევ დაველოდებით და მერე უნდა შევხვდეთ.

ლაშას გულმა რეჩხი უყო.

— შემთხვევით ხომ არ იცით, სად ისვენებს?

— კი, როგორ არა, — სოფელი დაუსახელა ქალმა, — ისეთი ლამაზი ადგილია, რომ იქიდან წამოსვლა ალბათ მეც გამიჭირდებოდა. ჰო, მართლა, ვინ კითხულობს? — დაინტერესდა ის ბოლოს, მაგრამ ლაფაურმა ყურმილი სასწრაფოდ დაკიდა...

ლაშა და ნათია ლალი პეტრიაშვილის სანახავად ლაშას მეგობრის მანქანით გაემგზავრნენ. გზატკეცილიდან გადახვევის შემდეგ ისეთი უფარგისი გზა დაიწყო, რომ ლაშამ გულში, ვინ იცის, მერამდენედ გადაუხადა მადლობა მეგობარს, რომელმაც როცა გაიგო, სად მიდიოდა, მაშინვე თავისი ორხედიანი მანქანა შესთავაზა. ოღროლოდ გზაზე კარგა ხნის რყევა-ნჯღრევის შემდეგ პეტრიაშვილის დედის სოფელიც გამოჩნდა. ქალ-ვაჟს თვალწინ ისეთი სილამაზე გადაეშალა, რომ გავლილი გზის სიძნელე მაშინვე დაავიწყდა.

გზაში ლაშამ ნათიას არეშიძესთან დაკავშირებული ამბავი დანვრისლებით უამბო. რაიმეს დაფარვა არც კი უფიქრია, რადგან ამის საფუძველს უბრალოდ ველარ ხედავდა. პირიქით, უკვე იმასაც კი ფიქრობდა, რომ გოგონას აუცილებლად უნდა სცოდნოდა, ვისთან იჭერდა საქმეს. თავად ნათია მამაკაცს გასუსული უხმენდა და კითხვებსაც უპასუხებდა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში თუ უსვამდა.

— ბოლომდე დარწმუნებული ხარ, რომ არეშიძე მანიაკია?

— ფიქრობ, პარანოიითაა შეპყრობილი და რაც უფრო მალე ვიპოვი, მით ნაკლები ადამიანი დაზარალდება.

— მაშინ იქნებ პოლიციაში წასულიყავი და ყველაფერი მოგვეყოლა?



— მერე?.. ვინ დაუნყებს ძებნას მხოლოდ ჩემი ეჭვების გამო? თანაც, ოფიციალურად ის ავიაკატასტროფაში დაღუპულად მიიჩნევა.

— მაგრამ ჩვენ როგორღა ვაპირებთ მის პოვნას?

— ჯერ მისი მეგობარი ლალი პეტრიაშვილი უნდა მოეძებნოს. სხვათა შორის, ამ ქალს ახალგაზრდობაში არეშიძე თავდავიწყებით უყვარდა.

— ეს საიდანღა იცი?

— თვითონ მითხრა.

— მაშინ, იმედია, მეცნიერი მას მაინც არ გაიმეტებს.

— ღმერთმა ქნას, თუმცა ცოტა კი მეეჭვება. მგონი, ამ კაცს უკვე სიტყვა „სიყვარულიც“ კი დაავიწყდა, რა არის. სოფელში შესვლისას თავსაფარნაკრული ხანში შესული ქალი შემოხვდათ, რომელსაც ლალი პეტრიაშვილის ხსენებაზე უმაღლესი ტრემლიც ვინც ნასკვდა. რაღაც საშინელის მოლოდინში დამფრთხალი ნათია ლაშას მკლავში მთელი ძალით ჩააფრინდა.

— რა მოხდა, ქალბატონო? ლალის დედას ხომ არაფერი დაემართა? — წყალნაღებულვით მაინც ხავსს ჩაეჭიდა ლაშა.

— ნეტავ, მარტო იმას დამართოდა.

— რაშია საქმე? — ძლივსლა ამოღერლა ლაშამ.

— ეტყობა, ახლობლები ხართ, ხომ? — არა, თანამშრომლები ვართ, ლალის სამსახურიდან.

— ჰოოო, — უცნაურად განწეა ქალმა, — ისე უცბად მოგვიხდა საწყლების დასაფლავება, რომ თანამშრომლებმა კი არა, ჯერ ბევრმა ძალიან ახლო ნათესავმაც კი არაფერი იცის მათი უბედურების შესახებ.

— როგორ, ლალიც?.. — სათქმელი ველარ დაასრულა თავზარდაცემულმა ლაფაურმა.

— ისიც... — ისევ ცრემლი მოერიდა ქალს.

— მაინც რა მოხდა? — საუბარში სასწრაფოდ ჩაერთო ნათია.

— საწყლები მოინამდნენ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რომანტიკა

თუ

დანაშაული?

სვება კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი ის „გზა“ №31-38

მთელი სისწრაფით ვმუშაობდი. დილიდან იმდენი რამ დამავალა თედომ, ასე მეგონა, სამაგიეროს მიხდიდა და ჩემს დასჯას ცდილობდა გუშინდელი გამოხდომების გამო. როგორც ჩანს, დღეს საერთოდ არ მომიწევს შინ წასვლა, — თან ვთარგმნიდი, თან ვბეჭდავდი ხელშეკრულებებს, თან ჩემთვის ვბუზღუნებდი. მთელი გულისყურით ნიკასთან ვიყავი. დღეს სადღაც წაყვანას დამპირდა, მაგრამ წუხელ რომ გაბრაზებული წავიდა? მოვა კი? ისე მოვუშაბლე ნერვები, ალბათ ახლოსაც არ გამეკარება... ყოველ შემთხვევაში, მანამდე მინც, სანამ სიბრაზე არ გადაუვლის.

შესვენებაც არ მქონია, თავაუღებლად ვაგრძელებდი მუშაობას. შუადღისას მარიკა ჩამოვიდა, ყავა დავლიოთო. უარი ვერ ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ ყავისთვის სულაც არ მცხელიოდა.

— იცი? აქედან წასვლა გადავწყვიტე, — დაიწყო მარიკამ მოულოდნელად.

თვალები დავაჭყიტე.

— რა თქვი?

— როგორც კი ახალ შენობაში გადავალთ, სამსახურიდან მივდივარ.

— კი მაგრამ, რატომ?

— ასე აჯობებს ჩემთვის, — გულსაკლავად ამოიოხრა.

— ამ დეგენერატის გამო? — უნებურად წამომცდა და თვალით თედოს კაბინეტისკენ ვანიშნე...

— ჰო. სანამ მის სიახლოვეს ვიტრიალებ, მის დავინწყებას ვერ შევძლებ. ამიტომ დროზე უნდა გავერიდო აქაუ-

რობას, — თავჩალუნული თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა ყოფილი მდივანი.

— მერე რას აპირებ? როდემდე იქნები უსამსახუროდ?

— არის რაღაც ვარიანტები და ვნახოთ.

ერთხანს ჩუმად ვისხედით. არ ვიცოდი, რა მეტქვა. მისთვის მართლა ჯობდა, წასულიყო, მაგრამ მე რა მემეველებოდა? ისე მივეჩვიე, მის გარეშე ვერ წარმომედგინა.

— შენ არ დაგკარგავ, ნუ გეშინია, — თითქოს ჩემი აზრები წაიკითხაო, სიყვარულით გამიღიმა.

— რა თქმა უნდა, დაკარგვით არც მე დაგკარგავ, მაგრამ მინც არ მსიამოვნებს, წასვლა რომ გადაწყვიტე. იქნებ გადაგეფიქრებინა? ან ჯერ გეშოვა ახალი სამსახური და მერე წასულიყავი?

— საბოლოო ჯამში ეგრეც გამოვა. სანამ გადავალთ, იქამდე გამოჩნდება რამე. ყოველ შემთხვევაში, მპირდებიან და...

ამ დროს კარი გაიღო და სამდივნოში ვიტალიმ შემოაბიჯა.

— ვაჰ! თედოს ანგელოზები? როგორ ხართ, ლამაზები?

— არა გვიშავს, — ნაძალადევად გავუღიმიე.

— აქ არის? — საჩვენებელი თითი კაბინეტისკენ გაიშვირა უფროსმა მენეჯერმა.

— ჰო... მოიცა, ვეტყვი, — შიდა ნომერი ავკრიბე და უფეს ვიტალის მოსვლა ვამცნე.

შემოუშვი, — ცივად მითხრა. მისი ტონი მაინცდამაინც არ მესიამოვნა, აღრენილი ჩანდა.

— ეჰ, წავედი, წავედი, საქმეები თავზე მაყრია, აღარ შემიძლია უკვე, — ჩაიბუზღუნა მარიკამ და ყავის ფინჯნებს ხელი დაავლო, — ამათ გავრცხავ და მერე ჩამოვიტან.

თავი უსიტყვოდ დაუქინე. — სალამოს გცალია? დედაჩემს ძალიან უნდა შენი გაცნობა.

— არ ვიცი, მარი, — გავწითლდი, — ჩემმა ბიძაშვილმა მთხოვა, სადღაც გამეყვიო და შეიძლება, დღეს დავჭირდე. სხვა დროს რომ იყოს?

— სხვა დროს იყოს, — მარიკამ დამშვიდობების ნიშნად თითები აათამაშა და გავიდა.

წუთიც არ იყო გასული, რომ კვლავ შემოყო თავი.

— ახალი ამბავი იცი?

— არა... რა მოხდა?

— მეტრეველს მდივანი გაექცა.

— გაექცა? — მისი გვარის გაგონებაზე ფერი წამივიდა. — რას ნიშნავს, გაექცა?

— საქმეებს ვერ ავუდივარო და... არადა, ყურებამდე იყო შეყვარებული. არც მალავდა ამას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როგორც ჩანს, ჩემსავით გაქცევა გადაწყვიტა.

— რატომ არ გამოუვიდა... მეტრეველს ის მოსწონს, თვითონ რომ ნადირობს ქალებზე? — სუნთქვა შევიკარი, ისე მაინტერესებდა პასუხი.

— თანაც როგორ! — დამეთანხმა მარიკა. — მაგრამ პრინციპი აქვს ასეთი — თანამშრომელ ქალს ზედაც არ შეხედავს. ასეთი გართულებები არაფერში სჭირდება, თედოს კი არ ჰგავს.

ამის გაგონებაზე კრუნჩხვისმაგვარი რაღაც დამემართა. ისე დამეჭიმა სხეული, ძვლები ამტკიცდა.

მარის მეტი არაფერი უთქვამს, კარი გაიხურა და გაქრა.

ვიტალი მალევე გამოვიდა. ერთხანს შედგა და უხმოდ მიყურა. მივხვდი, რაღაცის თქმას აპირებდა.

— როგორც ჩანს, დღეს ჩემი დღეა, რატომღაც ყველაფერში მიმართლებს, — თვალეგაბრწყინებულმა „მახარა“.

— ეს ძალიან კარგია, — უემოციოდ აღვნიშნე, არ დავინტერესებულვარ, რაში გაუმართლა.

— და ასე მგონია, თუ დაგპატიუებ სალამოს სადმე, უარს არ მეტყვი, — გააგრძელა.

ჯერ გამიკვირდა, მერე კი გამეცინა.

— დიდი მადლობა, ვიტალი.

— ესე იგი, თანახმა ხარ?

რა სასაცილო ვინმეა! და როგორი თავდაჯერებული!

— შენ... ცოლიანი ხარ? — პირდაპირ ვკითხე, ყოველგვარი შესავლის გარეშე.

— კი, მაგრამ განქორწინებას ვაპირებ.

— ჰოდა, მაშინ დამპატიუე, როცა ცოლს გაყრები! მთლად ბოლომდე შენი დღე არ ყოფილა, ჩემო კარგო, ყველაფერში ვერ გაგიმართლა! — დამცივნავად აღვნიშნე.

— რა უღმობელი ყოფილხარ! —



ხუმრობით სცადა უხერხული სიტუაციიდან თავის დაძვრენა.

— ვიცი! — ჯიბრიანად მიუუგე და ვაგრძობინე, რომ მასთან საუბარი არ მსიამოვნებდა.

ოთახი ხმის ამოუღებლად დატოვა. მისი გასვლა და კაბინეტიდან თედოს გამოსვლა ერთი იყო.

— რაო, რაო? რატომ გინოდა ულმობელი? სადმე დაგპატიჟა და უარი უთხარი? — ვითომ უინტერესოდ იკითხა დირექტორმა.

ჰმ... თურმე რამხელა ყურები გვქონია! როგორც ჩანს, კარი არ იყო მჭიდროდ მიხურული, რადგან ჩვენს საუბარს ყური მოჰყრა.

— როგორც ვატყობ, თაყვანისმცემლების გრძელი რიგი დაგიდგა, — სერიოზული ტონით გააგრძელა თედომ, — შენს ადგილას სიას ჩამოვწერდი, რომელ დღეს ვის და რომელ საათზე უნდა შეხვდე, რომ არ აგერიოს.

— რით დავიმსახურე ასეთი სიტყვები? ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რისი თქმა გინდა... იქნებ ციტირება მოგეხდინა, რომ საქმის არსს უკეთ ჩავენდე? — ამრეზით ახედე.

მამაკაცს ტუჩები უცნაურად შეერხა, მერე უცებ მოიღუშა. მომეჩვენა, რომ რალაცით უკმაყოფილო და, ამავდროულად, აფორიაქებული იყო.

— ერთ საათში შეგიძლია სახლში წახვიდე, — მითხრა და თვალი თვალში გამიყარა.

— რატომ? — ფაფითრებულმა ძლივს ჩავიჩურჩულე, მეგონა, სამსახურიდან მათავისუფლებდა.

— ზემოდან ასე მიბრძანეს. შენ და მეტრეველი ხომ შეხვედრახე მიიჩქარით საღამოს! — ისეთი სარკაზმი ჩააქსოვა თავის ნათქვამში, ყურებამდე გავნითლდი.

იგი ჩემს პასუხს არ დალოდებია, სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

გული უცნაურად მიცემდა. ესე იგი, ნიკამ დაურეკა და უთხრა, ადრე გაათავისუფლებო? გამოდის, ჩვენი შეხვედრა არ გადაიდო? რა კარგიაააა! ლამის მთიულური დავუარე!

ახლა უკვე ვეღარ დავუდე სამუშაოს გული. მთელი არსებით მოსალოდნელ საღამოზე ვფიქრობდი, ფანტაზიას ფანტაზიაზე ვაგებდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები და რით დამთავრდებოდა ლამის პაემანი.

უეცრად ქალაქის ტელეფონი აწკრილდა. პირველსავე ხარზე დავწვდი ყურმილს.

— გისმენთ! — ხალისიანად ჩავძახე.

— ბონჯორნო, ბელლა რაგაზა, — ვილაც მამაკაცი იტალიურად მომესალმა ანუ, გამარჯობა, ლამაზო გოგონაო, მითხრა.

— ბონჯორნო, — გაკვირვებულმა ვუბასახე.

— კომე ვა (როგორ არის საქმე)?

— მოლტო ბენე (ძალიან კარგად), — ვბასუბოდი, თან ვხვდებოდი, რომ უცნობი იტალიურს ძლივს ამტვრევდა, — ჩე ტი? — რომელი ხარ-მეთქი, ვკითხე.

— ლა ტუა ფან, — შენი ფანი ვარო.

— მართლა? — ქართულზე გადავედი, თან მეცინებოდა, მართლდა უცნობის იტალიური.

— ე ილ ტუო სკვადრო ინნოჩენტე ინ მეცცო ალლა ჯენტე ლა ფელიჩიტა, — დაპარცვლით „ჩაარაკრაკა“ უზარმაზარი წინადადება, რაც ნიშნავდა: „ბედნიერება — ეს შენი საოცარი მზერაა ბრბოში“, — ფრაზა ალ ბანოსა და რომინა პაუერის სიმღერიდან იყო... რამ გაახსენა... ხმამალალი სიცილი ამიტყდა.

— ხომ მაგარი იტალიური „ვხიე“? — ისიც ამყვა.

— არ მეტყვი, ვინ ხარ? — ხმა გავიმკაცრე.

— ნიკა ვარ, რა დაგემართა.

— ნიკა-ა? — გაოცებისგან პირი დავაღე, მისი ხმა პირველად მესმოდა ტელეფონში.

— შენი მობილური ტელეფონის ნომერი არ ვიცოდი და აქ დაგირეკე... ისე, ჩვენში დარჩეს და... რატომ არ მომეცი შენი ნომერი?

— არ გითხოვია და იმიტომ.

— ჰოდა, ახლა გთხოვ.

— ჰოდა, ახლა ჩაინერე, — მის მხიარულ ტონს მეც მხიარულად ვბასუსობდი.

ნომერი ვუკარნახე.

— შენ თურმე იტალიური გცოდნია, მე კი მხოლოდ დღეს გავიგე ამის შესახებ. ამას მიმალავდი?

— შენ არც ეს გიკითხავს.

— კიდევ რას მიმალავ, ლამაზო? რა არის ისეთი, რაც მე არ ვიცი?

„მიყვარხარ“, — გავიფიქრე, ხმამალლა კი ვუთხარი, — ბევრი რამ.

— აჰააა, და ყვავებია... არა უშავს, მოვა დრო და ვველაფერში გავერკვევი, იმედია... შენ რას იტყვი?

— არ ვიცი, ვნახოთ.

— იტალიური სად ისწავლე?

— იტალიაში, — გავიხუმრე.

— ინგლისური — ინგლისში, არა?

— ასე გამოდის.

— აი, აიიიი! რა ეშმაკუნა ჰყავხარ დედიკოს და მამიკოკოს! კარგი, ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ... სახლში როდის მიდიხარ?

— ნახევარ საათში.

— რატომ, დრო დაგინესა ვინმემ?

— კი... თედომ.

— ოხ, თედო, თედო... კარგი, მაშინ საათ-ნახევარში შენთან ვარ, კაბა შევარჩიოთ.

— იქნებ... — მინდოდა, მეთქვა, იქნებ ცოტა მოგვიანებით მოხვიდე, რომ თავის მონესრიგება მოვასწრო-მეთქი, მაგრამ არ დამაცადა.

— მე მხოლოდ კაბას შეგირჩევ, მერე ნავალ და როცა მზად იქნები, მაშინ მოვალ.

— კარგი, ეგრე იყოს.

— არივედერჩი, ლამაზო ქალო, — დამემშვიდობა.

— არივედერჩი, — ნაზად ვუბასახე და ყურმილი დავკიდე...

დავკიდე და დავრჩი ასე, ყურებამდე გალიმებული. გონს როდის-როდის მოვეგე, კომპიუტერი გამოვრთე და მაგიდის მილაგებას შევუდექი. ახლა მუშაობის განწყობილებზე სულაც არ ვიყავი. ჯანდაბამდის გზა ჰქონია თედოსაც და მის ხელშეკრულებებსაც. მე ნიკასთან მიმეჩქარებოდა!

მის მოლოდინში ისე ვნერვიულობდი, ვერაფერი გავაკეთე. ოთახიდან ოთახში გიჟივით ბოლთას ვცემდი. საბაზანოშიც ვერ გავებედე შესვლა, სწორედ მაშინ არ დამადგეს თავზე-მეთქი. ის კი მართლაც საათ-ნახევარში მოვიდა. გულიც ამითრთოლ-





და და სულიც, როცა კარი გავალე. გამჭოლი მზერა მესროლა.

— შენ რა, არ ეშხადები? — მკითხა და შემოპატიჟებას არც დალოდებია, ისე შემოვიდა.

ისეთი სიმპათიური იყო, ლამის გონება დამებინდა. შავი, უსახელო მაისურის ფონზე მზემოკიდებული სხეული სასიამოვნოდ ულაპლაპებდა, ხოლო ნაცრისფერი თვალები კიდევ უფრო უბრწყინავდა, ვიდრე სხვა დროს.

— აბა, სად არის შენი განთქმული კაბები? — ღიმილი გადაეფინა სახეზე, დონიჯი შემოიყარა და ირგვლივ მიმოიხედა.

— აქ არის, — პირველად ამოვიღე ხმა, საძინებელში შევუქეხი და გარდერობი გამოვალე.

რამდენიმე, სულ ახალთახალი საღამოს კაბა გამოვიღე, რომელთაგან ორი ჯერ არც კი მცმია და რიგრიგობით სანოლზე გადავფინე. ვაითუ ოთხივე დამიწუნოს, მერე? დამიწუნებს და საერთოდ არ წავალ... ყველაზე მარტივი გამოსავალია. აბა, ახლა საიდან მოვუტანო მისი მონონებული კაბა, ხომ არ დაეუხატავ?

ჯერ შორიდან შეავლო ყველას თვალი, მერე ახლოს მივიდა და შავი ფერის თხელი ატლასის, თავისივე ფოთლებით მოჩითული გრძელი კაბა შეარჩია, რომელიც ბებიამ გამომიგზავნა დაბადების დღეზე და რომელიც ერთხელაც არ ჩამიცვამს.

ნიკამ საკიდარს ხელი დაავლო და მასზე ჩამოცმული სამოსი სახესთან ისე ახლოს მომიტანა, ხელის ზურგით ლოყაზე შემეხო. ჟრუანტელმა დამიარა. შეხება იმდენად სასიამოვნო აღმოჩნდა, მუხლებში სისუსტე ვიგრძენი.

— როგორ ფიქრობ, ლოლა, ამ საღამოს ეს სილამაზე რომ ჩაიცვა, რა ხასიათზე დადგებიან იქ მყოფი ნახევრად გახდილი ქალები?

— ე-ეს? — დავიბუნე. — არ ვიცი... შავს იშვიათად ვიცვამ და ამიტომ...

— ჰოდა, სცადე. შენი თმის ფერს ძალიან მოუხდება. დამიჯერე, შენი სხეულისთვის ზედგამოჭრილია... უზადო სხეულისთვის, — დამარცვლით დააყოლა.

— კარგი. — თუ არ ჩაიცვამდი, რატომ იყიდე? — მოულოდნელად დაინტერესდა.

— მე არ მიყიდა, დაბადების დღეზე მაჩუქეს...

— ვინ, თუ საიდუმლო არ არის? — ბებიამ.

— ოოო! ყოჩაღ, ბებოს! არაჩვეულებრივი გემოვნება ჰქონია! უფრო სწორად, მე და ბებიამენს ერთნაირი გემოვნება გვქონია, — ხმაშაღლა გაიცინა.

მის სიცილს ღიმილი შევავებე. — რამდენი დრო დაგჭირდება მოსამზადებლად?

— ერთი საათი ალბათ.

— ოცი წუთი!

— რას ამბობ! ოც წუთში რას მოვასწრებ?! თმაც დასავარცხნი მატქს.

— შეეშვი თმას, აინე და დაიმავგრე, სულაც არ სჭირდება დავარცხნა. ვერაფერში ვენინაალმდეგებოდი. დაპროგრამებულივით ყველაფერში ვეთანხმებოდი, რასაც მოითხოვდა. სანამ რამეს მოვიმოქმედებდი, უეცრად მომეჭრა, წელზე ხელი მძლავრად მომხვია და ისე ახლოს მიმიზიდა, დავინახე, როგორ უფეთქავდა ყელზე ძარღვი. ნიკას სხეულის სიმბურვალე და ძვირად ღირებული სუნამოს არომატი ცხვირში გამაბრუნებლად მილიტინებდა. მისი გამუქებული ნაცრისფერი თვალები დაუინებით სწავლობდნენ ჩემს სახეს.

— მაშინ გავიშრობ მაინც... — ნერწყვამშრალმა რის ვაი-ვაგლახით ჩავილულულე.

შეუმჩნევლად ჩაიღიმა, ნელა, ძალიან ნელა. მეორე ხელი თმაში შემიცურა და ჩემი აბრეშუმის რბილი კულულები თითებშუა გაატარა. სულმოუთქმელად ველოდებოდი, როდის მავოცებდა, მაგრამ ამჯერად ეს სიამოვნება არ მომანიჭა, თუმცა მისი ხორხის „აღმავლ-დაღმავალ“ მოძრაობას რომ დავაკვირდი, აშკარად შევნიშნე, უზარმაზარი ნერწყვი როგორ გადააგორა.

— კარგი, ეგრე იყოს. მეც წავალ, გამოვიცვლი და ორმოც წუთში აქ ვიქნები.

თავი დაუქეჩე.

— რატომ ხარ უხასიათოდ? — სანამ გავიდოდა, მომიტრიალდა.

— არ ვარ უხასიათოდ.

— ხარ... მე რას გამომაპარებ!

— ალბათ სასმელმა მანყინა, — თვალი ავარიდე.

— ნაბახუსევი ხარ? — სიცილი აუტყდა. — ტონა კონიაკი დალიე და აბა, რა მოგივიდოდა, — გამეხუმრა.

— ნუ დამცინი, — ტუჩი ავიბზუე, — და საერთოდ, დღეიდან სასმელი არ შემომთავაზო, ერთი წვეთიც კი. გასაგებია? წვენი დამაძალე მხოლოდ, როგორც არასრულწლოვანს, — ახლა მე „გავეცი განკარგულება“, რამაც კარგ ხასიათზე დამაყენა.

— დავიმასსოვრებ, — მორჩილად დამიქნია თავი, — ახლა კი გავალ, თორემ საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ, — თითი დამიქნია, ზღურბლს გადააბიჯა და სანამ კარს გაიხურავდა, ჩემთვის მწველი მზერა არ მოუშორებია.

მთელი სისწრაფით ავიმოქმედდი. ვიბანავე, თმა გავიშრე, ავინე და კეფაზე ლამაზად დავიმავგრე. იცის ბიჭმა, რა მიხდება. ისეთი მაღალი ყელი მატქს, აწეული თმა ნეფერტიტივით კისერს მიჩენს. ეტყობა, როგორი განაფულიცაა ქალებში, ყველა ნიუანსს წამში

ამჩნევს. როცა ყველაფერს მოვრჩი და ჯერი კაბის ჩაცმაზე მიდგა, შემოსასვლელის კარი გაიღო და ვილაცამ ჰოლში უბოდნოდ შემოალაჯა. შიშისგან ელეთმელეთი დაემართა და ის იყო, უნდა მეყვირა, რომ გარედან ნიკას ხმა შემომემსა:

— უკვე ორჯერ ოცი წუთი გავიდა. რა ხანია, შენი რეგლამენტი ამოინურა.

— ხუთი წუთი... მხოლოდ... კაბას ჩავიცვამ და მზად ვარ, — გავძახე სიხარულისგან აფორიაქებულმა. თან მიხაროდა, ჩემს სახლში ასე შინაურულად რომ გრძნობდა თავს.

— გელოდები!

ხალათი სანოლზე მოვისროლე და ჩაცმას შევუდექი. კაბას წავავლე ხელი, სარკის წინ დავექე და სწორედ ისე მივიტანე სახესთან, როგორც ეს ცოტა ხნის წინ ნიკამ გააკეთა. ცოტათი გავეწვლე ჩაცმის პროცესი, რადგან კარი ნახევრად ღია იყო, იქნებ გულმა არ მოუთმინოს და შემოვიდეს-მეთქი, მაგრამ ამის მცდელობაც არ ჰქონია. მოთმინებით იდგა შემოსასვლელში და მელოდა. მაკიაჟს ვერას დიდებით ვერ მოვასწრებდი. სხვა გზა არ მქონდა, სახის შელამაზება უნდა დამევიწყებინა. შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩავიცვი, რომელიც იტალიაში მქონდა ნაყიდი, მერე ვერცხლისფერი საყურე გავიკეთე და ყელზე ვერცხლის მოკლე ძეწკვი ჩამოვიკიდე, რომელიც დედამ მაჩუქა, როცა ათი წლის გავხდი. მიყვარდა ეს სამკაული.

სარკეში ჩავიხედე და გავშტერდი. საოცრად მიხდებოდა შავი კაბა, იგი სხეულზე იყო მოტმასნილი და ჩემი თქოების მოყვანილობას უსვამდა ხაზს. სამოსი ერთობ სექსუალურს მაჩენდა... საინტერესოა, ნიკაზე როგორ შთაბეჭდილებას მოვასდენ? მოვეწონები კი? სარკის წინ კიდევ ერთხელ დავტრიალდი და მივხვდი, რომ უფრო დიდი ვჩანდი... თითქოს ასაკი მომემატა... თითქოს გავიზარდე... „ნეტავ, ორმოცის მაინც ვიყო“, — დანანებით გავიფიქრე.

როგორც იქნა, მოვრჩი, „შანელის“ ჩანთას ხელი დავავლე და გამოვედი. გული შემეძინდა, რომ დავინახე, ისეთ ფორმაში იყო. მაჯისცემა ამიჩქარდა. ნაცრისფერი პერანგი და შავი შარვალი ნამზურ კანზე საოცარ ეფექტს ახდენდა. თვალის ფერი ისევ გალიავებოდა.

შემომხედა და გასმედა.

— ჯანდაბას! — ხმადაბლა შესძახა. როგორც ჩანს, უმაკიაჟოდაც ეფექტური ვიყავი, ისეთი აღფრთოვანებული მიყურებდა.

ვითომ ვერ მივუხვდი.

— ცუდად გამოვიყურები? — გულუბრყვილო სახე მივიღე და ტანზე დავიხედე.

— ცუდად მე გამოვიყურები შენი შეხედვარე, — თავის ქნვეთ მომიგო, — ულამაზესი ხარ, ქალღმერთივით



შეუდარებელი... და ხედები ალბათ, რომ ერთადერთი ხარ, რომელსაც შეუძლია, მალოდინოს, — დაიტრიაბასა.

— ეს დიდი პატივია ჩემთვის, — ირონიულად შევნიშნე.

— მიუხედავად იმისა, რომ შენს ირონიას საზღვარი არ აქვს, ეს მაინც სიმართლეა... რა ვქნა, სხვა გზა არ მაქვს, ასეთი „დაუნდობელი“ სილამაზის პატრონს უნდა გაპატიო და გვიანება.

— მაგრამ უმაკიაჟოდ...

— უმაკიაჟოდ, — გამანყვეტინა, — არ მიყვარს შეითხნილი ქალები, თუმცა შენ გადაჭარბებულად არასდროს ხარ დახატული.

— მე კი მგონია, რომ რაღაც მაკლია, — მინდოდა, კიდევ ეთქვა რამე „გამაჟურჟოლებელი“.

— კავალერი და ეკიპაჟი, ლედი... და ამ ნუთიდან ორივე თქვენს განკარგულებაშია, — თეატრალურად წარმოთქვა და იდაყვი მოხრილი მკლავი გამოიმინოდა.

ხელკავი გავუკეთე. სიამოვნებისაგან თავბრუდახვეული მივაბიჯებდი მის გვერდით და თავი ნამდვილი პრინცესა მეგონა.

— იცი? — იღუმალი ხმით მითხრა, სანამ კიბეზე ჩავდიოდით, — როცა კაბას იცვამდი, თვალში მომხვდა, როგორი მომაჯადოებელი ფეხები გქონია... არა მარტო მუხლამდე... მუხლს ზემოთაც... ამისთანა ფეხების დანახვისას, ჩვეულებრივ, მამაკაცებს თავბრუ ეხვევათ. და თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ როცა კარს აღებ, ტანთ არაფერი გაცვია, გარდა სიფრიფანა კომონოსი, ხომ საერთოდ... ცოცხალი რომ დავრჩი, უნდა მიხაროდეს.

ვიგრძეინი, როგორ გამიხურდა ღანვები.

— ძალიან სასაცილოა, — ვუკბინე.

— სასაცილო?

— მშვენიერი პატარა ხუმრობა გამოგივიდა.

— სულაც არ ვხუმრობ, — იუკადრისა.

— მერე? არ გრცხვენია, რომ მითვალთვალედი?

— მრცხვენია? პირიქით, მეამყება, რომ მე მომეცა ამის საშუალება და არა სხვას. ძალიან მაცდური ჭურჭრუტანა აქვს შენი საძინებლის კარს, მინდა იცოდეს! გამიჭირდა გვერდის ავლა, — დამაინტრიგებელი ტონით მითხრა და იდაყვი თითებზე ოდნავ წამიჭირა.

ეზოში ჩავდივით თუ არა, ოდნავ წინ გამისწრო, მანქანის კარი გამოაღო და რევერანსით მითხრა:

— თქვენი ეტლი მზადაა, პრინცესა! კონკიას მეჯლისზე ელოდებიან!

— ჩემი ტიტული უკვე გავიგე, მაგრამ თავად ვინ იქნები, მომხიბვლელი პრინცი? — ლიმილით ავხედე.

— ეჰ... პრინციობა როდის მეღირსება, არავინ იცის. ჯერჯერობით ისევ

გომბეზოდ ვრჩები, ვილაც-ვილაცებს კი სულაც არ ვეცოდები.

— სად მივდივართ? — სიტყვა ბანზე ავუგდე.

— იქ, სადაც პრინცესას ეკადრება.

— არ მითხრა ახლა, მართლა მეჯლისზე გეპატივებო.

— ნუუუუუ... დაახლოებით ასეა, რესტორანში მივდივართ. უნდა გაქვივო, მერე კი გაცეკვო, სანამ შენს ფეხსაცმელს ძირი არ გაუცვდება... მერე როგორ არის იმ ზღაპარში?

— რომელ ზღაპარში?

— მოჯადოებული პრინცესა ლამაზობით მინისქვეშეთში რომ მიიპარება საცეკვაოდ. ორმოცი წყვილი ფეხსაცმელი მოგაქვს?

სიცხილი ამიტყდა.

— არა, არ მომაქვს, ამიტომაც, როგორც კი გაცვდება, ეგრევე უკან ვბრუნდებით!

— როგორც მიბრძანებთ, ბელა დონა!

— ჩაუიტალიურა ნიკამ და წელი სვლით გაუყვა გზას.

ყურადღებით ვაკვირდებოდი მის სახეს, სანამ ოფიცინანტს შეკვეთას აძლევდა. ჩემთვის უცხო დასახელების კერძების გარდა, ნიკამ მანგოს წვენი (ჩემთვის) და მარტინი (თავისთვის) შეუკვეთა.

გაკვირვების ნიშნად წარბები ავზიდე.

— რა იყო, არ მოგწონს? — მკითხა, ჩემი გამოხედვა რომ დაიჭირა, — შენ თვითონ არ მითხარი, დღეიდან ალკოჰოლი არ შემომთავაზო? მე კი პირობას არასდროს ვარღვევ.

არაფერი ვუპასუხე იქამდე, სანამ მიმტანმა სასმელი არ შემოდგა მაგიდაზე, მერე კი დავიქოქე.

— იცი? ეს კაბა რომ ჩავიცვი, მივხვდი, რომ გავიზარდე, უფრო ასაკოვანი გავხდი ანუ სულაც არ ვარ არასრულწლოვანი და მცირე დოზით ალკოჰოლი ჩემთვისაც შეიძლება, — ჩემს ნათქვამში მსუბუქი გაღიზიანება შეინიშნებოდა, რითაც ვაგრძობინე, რომ ერთი რიგითი ქალი არ ვიყავი და მისგან არასერიოზულ მიდგომას არ მივიღებდი.

— ძალიანაც კარგი... მაშინ, შენი ნებართვით, მოცემულ პირობას დავარღვევ და სასმელსაც შემოგთავაზებ.

— მშვენიერი გადაწყვეტილებაა.

— ხედავ, როგორი შურით სავეთვალეებით მოგჩერებიან ქალები? რას

გეუბნებოდი! — ხელების ფშვინებით მითხრა.

ირგვლივ მიმოვიხედე, თუმცა შურით დაბრმავებული ვერავინ შევამჩნიე.



— შენ ასე გგონია? — ეჭვანრევი ხმით ვკითხე.

— გინდა, შევამოწმოთ? — მისი დანისლული თვალები დაჟინებით მომშტერებოდა, თითქოს ყველაზე იღუმალი აზრების ნაკითხვას ცდილობს.

— არა, არ მინდა, — კვლავ გადავაქინე თავი.

— მაშინ შევსვით... შენი ყველაზე გულითადი სურვილების ასრულებისა იყო, ლოლა! — თქვა, მომიჭახუნა და აუჩქარებლად დალია.

დიდხანს შევეყრებდი... მანამდე, სანამ ჭიქა არ დაცალა და ლუკმა არ მიაკოლა, შემდეგ კი ჩემი მანგოს წვენი ავიღე და მოვწრუპე.

— დიდი მადლობა, ნიკა.

— სულ ეს არის? — კოპები შეიკრა, — აკი... — მოულოდნელად მზერა გაქცა და სწრაფად შეეცვალა გამომეტყველება... დავინახე, შუბლი ოფლით ნელ-ნელა როგორ ეცვარებოდა.

მის მზერას თვალი გავაყოლე... დამცინავი იერით „პირდამშვენებული“, დაახლოებით ნიკას ხნის სიმპათიური მამაკაცი სწრაფად გვიახლოვდებოდა.

— როგორც ვხედავ, დროს უქმად არ კარგავ, ნიკა! — უსიამოვნოდ მომხვდა გულზე უცნობის ტონი... დაგროვილი ბოლმა ადვილად იკითხებოდა მის ხმაში...

— ჯერ გამარჯობა უნდა თქვა, ლადო, — კბილებში გამოცრა ნიკამ და ისეთი გამანადგურებელი მზერით ახედა თავს წამომდგარ მამაკაცს, რომ მივხვდი, სიტუაცია იძაბებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ყველაფერს თაზვიდან დავიწყებთ

მარი ჯაფარიძე

ანა სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა და კვამლთან ერთად ყავის ორთქლსაც ისუნთქავდა. ფიქრი იმის შესახებ, რომ ქმარი სხვა ქალთან ლალატობდა, მოსვენებას არ აძლევდა. ანა ლამაზი, ჭკვიანი და თავდაჯერებული ქალი გახლდათ. უძილობისგან თვალმდინათლეული ყავას წრუპავდა და შურისძიების გეგმას აწყობდა — ქალური შურისძიების გეგმას.

ზაზა ნელა მიუყვებოდა თბილისის ქუჩებს და მაღაზიის ვიტრინებს ათვალიერებდა. ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. ზაზა ხვდებოდა, რომ მის ცხოვრებაში ეს ყველაზე ცუდი გაზაფხული იქნებოდა, რადგანაც ანამ იცოდა, რომ მას საყვარელი ჰყავდა...

ვერს წარმოედგინა, როგორ მივიდა აქამდე... როგორ უღალატა საყვარელ ქალს... რატომ დადიოდა ასე ნელა თბილისის ქუჩებში შუალამისას, რატომ უკანკალებდა საჭეზე ჩავლებული თითები და რატომ ბრუნდებოდა ახლა საყვარელ ცოლთან იმ ქალისგან, რომელიც არ უყვარდა.

ანა პირველად 3 წლის წინ, ფილარმონიაში ნახა. საშუალო სიმაღლის, მოხდენილი, უბრალო, მაგრამ გემოვნებით შერჩეულ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. თავის ადგილს ეძებდა, აქეთ-იქით იყურებოდა და ენერგიულად მიაბიჯებდა. ქალმა მაშინვე მიიპყრო ზაზას ყურადღება, მაგრამ საქმიან მამაკაცს არ სურდა, „ვიღაც გოგოს“ გამო თავგზა არეოდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, მას ანტრაქტის დროს გასაუბრებოდა. ფიქრობდა, რომ პირველი შთაბეჭდილება გაუქარწყლდებოდა. იმედი ჰქონდა, რომ ქალს უსიამოვნო ხმა ექნებოდა, სისულელეებს ილაპარაკებდა ან თავის თავზე შეყვარებული ერთი ჩერჩეტი გოგო აღმოჩნდებოდა.

35 წლის მანძილზე ბევრჯერ ჰქონია ასეთი შემთხვევა — ქალი გარეგნულად მოეწონებოდა, გამოელაპარაკებოდა და მასთან ურთიერთობის სურვილი უქრებოდა. ეგონა, ამჯერადაც ასე იქნებოდა.

ქალის სუნამო მოტკბო სურნელს გამოსცემდა, თვითონ კი სასიამოვნო ხმა ჰქონდა — რბილი და ხავერდოვანი. ასეთ ხმას მამაკაცები სექსუალურს უწოდებენ. არც სულელი ჩანდა... საკუთარი თავის ფასი კარგად იცოდა და თავი ღირსეულად ეჭირა. ყველაზე მეტად ზაზა თავდაჯერებულობით მოხიბლა. ეს თვისება უცხო იყო იმ ქალებისთვის, რომლებთანაც ოდესმე კავშირი ჰქონია.

აღმოჩნდა, რომ ანა კონცერტზე მართო იყო მოსული, რაც იმით ახსნა, რომ თუ ოდესმე თეატრში, კინოში და

კონცერტზე წასვლა მოუწებდა, სულაც არაა საჭირო, ვინმეს ეხვეწოს, რომ მასთან ერთად დაესწროს წარმოდგენას; უბრალოდ, ბილეთს იყიდის და ისიამოვნებს.

ერთი სიტყვით, ზაზას იმედი არ გამართლდა — ამჯერად ქალით აღერთოვანებული დარჩა. ანა მასზე გაცილებით უმცროსი გახლდათ — ის მხოლოდ 22 წლის იყო. გაცნობიდან 1 თვის შემდეგ ზაზამ მას ცოლობა სთხოვა და ისინი დაქორწინდნენ. 1 წლის შემდეგ ანამ უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა და ერთ-ერთ სოლიდურ ფირმაში ადვოკატად მოეწყო. ზაზა კი თავის ბიზნესს წარმატებულად მართავდა და მოგებას მოგებაზე ნახულობდა.

ცოლ-ქმარს შორის ყველაფერი კარგად იყო. მცირე ხანსაც ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ. მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა...

ზაზა ბევრს ფიქრობდა და ვერ გაეგო, როდის გადააბიჯა ანას ერთგულების უხილავ ზღვარს. მას ხომ ცოლი ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა?! რატომ გადადგა ეს ნაბიჯი პირველად? რატომ წამოეგო ანკესზე?

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. მისი მდივანი, მადონა, რომელსაც ალბათ მდიდარი შეფის ხელში ჩაგდება ჰქონდა გადაწყვეტილი, მოკლე ქვედაბოლოთი და გამომწვევი, დეკოლტირებული მაისურით შეიჭრა კაბინეტში. ატირებულმა უამბო შეფს სულისშემძვრელი ამბავი იმის შესახებ, როგორ მიატოვა საყვარელმა მამაკაცმა. გულის გადასაშლელად მაინცდამაინც შეფი რატომ აირჩია, მადონას ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ზაზას შეეცოდა ქალი, წამოიგდა, მიუახლოვდა და მის დამშვიდებას შეეცადა. ქალმა მისი ხელი მკერდზე დაიდო, — ნახე, გული როგორ მიცემსო, — უთხრა და დაბნეულ მამაკაცს მოულოდნელად ტუჩებში აკოცა... ალბათ ნათელია, ამის შემდეგ რაც მოხდებოდა.

იმ დღეს ზაზამ პირველი ღამე გაათია სახლის გარეთ — სასწრაფო საქმე მოიმიზეზა. ის მადონასთან დიდხანს არ დარჩენილა, მაგრამ შინ იმის გამო არ მივიდა, რომ არ იცოდა, როგორ შეეხედა თვალეზო ანასთვის. რცხვენოდა, რომ წუთიერ გატაცებას და სისუსტეს აჰყავდა და ცოლს იმ ქალთან უღალატა, რომელიც სრულიად არ მოსწონდა და ანასთან მისი შედარებაც კი არ შეიძლებოდა.

ზაზა მთელი ღამე ქუჩაში დახეტიალებდა და კონიაკს ბოთლიდან წრუპავდა. შინ მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როდესაც ანა სამსახურში დაიგულა. მამაკაცი ღმერთს ევედრებოდა, რომ ცოლს ღალატის შესახებ არაფერი გაეგო.

ცოტა გამოიძინა და თვითონაც

ოფისში წავიდა. კაბინეტში შესვლისთანავე მადონა იხმო.

— სამსახურიდან გათავისუფლებული ხარ და შენი დანახვა აღარ მინდა, — მტკიცე ხმით უთხრა.

მადონა კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და შეფის ხელმეორედ შებმა შეძლო. მართალია, ეს ქალის მხრიდან ძალადობას ჰგავდა, მაგრამ მაინც მოახერხა... ამის შემდეგ მსგავსი ამბავი კიდევ რამდენჯერმე განმეორდა...

ზაზა ცოლის მიმართ გაცივდა. მის გვერდით აღარ წევებოდა. იმიტომ კი არა, რომ მისი ალერხი არ უნდოდა — უბრალოდ, ეჩვენებოდა, რომ თუ ცოლთან სექსი ექნებოდა, მას იმ ტალახით გასვრიდა, რომელშიც თვითონ იყო ყველამდე ჩაფლული. მადონა ეზიზღებოდა, რადგან ამ ქალმა მისი ბედნიერი ცხოვრება დაანგრია და გათელა; ანა ხომ მის გამო იტანჯებოდა. ქალმა იცოდა, რატომ ბრუნდებოდა ქმარი გვიან და რატომ იღლებოდა ასე „სამსახურში“. მადონაზე მეტად კი კაცს საკუთარი თავი ეზიზღებოდა, რადგან ამ აშარ ქალს არაფერი გამოუვიდოდა, მას რომ ნებისყოფა გამოეჩინა და საკუთარი თავის ხელში აყვანა შესძლებოდა. ყველაფერში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებდა.

ზაზამ მანქანა გზის პირას გააჩერა და სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა. გადაწყვიტა, ღამე მანქანაში გაეთენებინა.

ანამ გადაწყვეტილება მიიღო და შვევით ამოისუნთქა. დილის მზის სხივებმა ფანჯარაში შემოიჭყიტა და კედელზე ფანჯრის წინ მდგარი ხის ჩრდილი აათამაშა. სხვა დროს ქალი ამ სანახაობით დატკებოდა. ახლა კი ამისთვის არ ეცალა და არც მშვენიერების აღქმა შეეძლო; არც მზე ხიბლავდა, არც გაზაფხულის სითბო და კარგი ამინდი.

ქალი ქუჩაში მტკიცე ნაბიჯით მიაბიჯებდა და ფეხსაცმლის ნევეტიანი ქუსლით ასფალტზე ნაკვალევს ტოვებდა. ის ნაცნობ გამოძიებულთან მიდიოდა, რათა ქმარი „ჩაეშვა“.

ანამ იცოდა, რომ ზაზას „ლევია“ საბუთები და „შავი“ ბულალტერია ჰქონდა, რითაც საგადასახადოს შემოსავლებს უმაღლავდა. ამის გარეშე კონკურენტის ვერ გაუძლებდა. ქალმა იცოდა, სად ჰქონდა ზაზას ეს საბუთები და ინფორმაცია შენახული. მას ქმარი არ ებრალებოდა. მან ეს დაიმსახურა, მიიღებს კიდევ სამაგიეროს და ეს ცოტაც იქნება მოლაღატე ქმრისათვის...

ანას მამაკაცებში არასოდეს უმართლებდა. მათ შორის იყო მამამისიც. ის ლოთი იყო და შვილს თავისი საქციელით გამოუდმებით არცხვენდა. ამის გამო მამაკაცებს არ ენდობოდა და ცდილობდა, მხოლოდ საკუთარი

თავის იმედად ეცხოვრა. ყველაზე მეტად იმის ეშინოდა — თუ ვინმეს გულს გადაუშლიდა, ის უეჭველად გათელავდა და სულში ჩააფურთხებდა...

როდესაც ფილარმონიაში ზაზა გამოელაპარაკა, ის ერთ ჩვეულებრივ გამგებულად მიიჩნია. მაღალ, მშვენიერი გარეგნობის, ზრდილობიან მამაკაცს ანამ ტელეფონის ნომერი მისცა... შემდეგ მამაკაცმა რესტორანში დაპატიჟა, ცოტა ხანში — თეატრში, მერე კიდევ სადღაც და ქალი მიხვდა, რომ მას ზაზა სჭირდებოდა. მისთვის აუცილებელი გახდა ამ მამაკაცის შავი თვალების ყურება, ძლიერი ხელების შეგრძნება, ბოხი ხმის გაგონება, სათნო ღიმილისა და სიყვარულით სავსე მზერის ცქერა. თვითონაც ვერ შეინიშნა, როგორ მოიბოჟა ზაზამ მისი ნდობა. ის სხვებს არ ჰგავდა... ანასთვის ეს სიყვარულზე მეტი იყო.

ახლა კი ზაზამ მისი გრძნობა ფეხქვეშ გათელა, მის ნდობას უღალატა. „მან გაცილებით მკაცრი სასჯელი დაიმსახურა“, — ფიქრობდა ანა და სიბრაღის გრძნობას გულში იკლავდა. ქმარმა არ შეიბრალა და არც თვითონ აპირებდა მის შეცოდებას.

მაღე ის გამოძიებლის ოთახში, იმ ადამიანის პირისპირ იჯდა, რომელიც ქმარზე შურისძიების საქმეში უნდა დახმარებოდა. ქალმა ძველ ნაცნობს სიტუაცია მოკლედ და მარტივად აუხსნა. ბატონ რამაზს ზაზას დასჯაზე უარი არ უთქვამს, მით უმეტეს, რომ ამ საქმისთვის მას კარგად გადაუხდინენ. ქალისთვის არც უკითხავს, რა ამორბავებდა, რადგან იცოდა, რომ ანასგან პასუხს მაინც ვერ მიიღებდა...

ანა სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა და კვამლს ყავის ორთქლთან ერთად ისუნთქავდა. ცხელ ყავას წრუპავდა, თვალბრუნებისგან ნაბავდა, რადგან იცოდა, რომ შურისძიების მექანიზმი უკვე ამუშავდა.

...ზაზა მანქანაში უკვე მეორე ღამეს ათევდა — ახლა უკვე იმის გამო, რომ არ იცოდა, როგორ ეთქვა ანასთვის საშინელი სიახლე — მისი ფირმა გაკოტრდა.

დარწმუნებული იყო, რომ ვიღაცამ ჩაუშვა, რადგან შემომწება სწორედ იმ კომპიუტერიდან დაინყეს, სადაც „ლევი“ ინფორმაცია ინახებოდა. გაუფორმებელი საქონლის კონფისკაცია მოახდინეს და საქმე აღძრეს. გააფრთხილეს, რომ ქალაქიდან არ უნდა გასულიყო. უკეთეს შემთხვევაში, თუ არ დაიჭერდნენ, უზარმაზარი ჯარიმის გადახდა მოუწევდა.

საქმე, რომლის აწყობასაც წლები მონადლომა, თავზე ჩამოემხო...

დილის 10 საათზე ტელეფონის ზარმა გააღვიძა. ანა იყო. კარგა ხანს ყოყმანობდა, ეპასუხა თუ არა. ბოლოს მაინც უპასუხა და ძალიანაც ინანა.

— ყველაფერი ვიცი, რაც გულში შენს სამსახურში მოხდა, — ცივი ხმით აუწყა ქალმა.

— ვინ გითხრა?

— ყველაფერი ჩემი მოწყობილია, რადგან შურისძიება მინდოდა, გათელილი და ლაფში ამოსვრილი სიყვარულის გამო.

ზაზას სუნთქვა შეეკრა. ძლივს გადამოვიდა მანქანიდან და კაპოტზე დაემხო



— საყვარელმა ცოლმა, მისი სიცოცხლის აზრმა, ცივისხლიანი შურისძიება ჩაიდინა...

ანა ქალაქგარეთ, პარკში სეირნობდა და ტიროდა. თვალბრუნებებიდან ცრემლი სდიოდა და გულმკერდზე ენვეთებოდა. ერთი მხრივ, ქმარი ებრალებოდა — ახსენდებოდა, როგორ ბავშვურად უხაროდა, რომ მისი ბიზნესი ყვაოდა და როგორც იქნა, საქმე აწყობდა; მეორე მხრივ, საკუთარი თავი ეცოდებოდა — ახსენდებოდა ის ღამეები, როდესაც ზაზა შინ არ ბრუნდებოდა. ამიტომ ფიქრობდა, რომ სწორად მოიქცა, როცა მისი განადგურება გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, გული მაინც ძალიან სტიკოდა და შურისძიებით გამონეუული კმაყოფილება ამ ტკივილს ვერ უყუჩებდა.

ახლა მას უნდა გადაეწყვიტა, როგორ გააგრძელებდა ცხოვრებას. ქმრის სახლში ვერ გაჩერდებოდა... 2 საათში ტაქსი მოვიდოდა, მანამდე კი ბარგის ჩალაგება უნდა მოესწრო. ცოტა ხნით დედასთან გადავიდოდა, მერე კი რამეს მოიფიქრებდა.

ზაზა უაზროდ დაბორილებდა თბილისის გარეუბანში. აქ როგორ მოხვდა, არ ახსოვდა, თუმცა ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ მას სიცოცხლე აღარ სურდა. ვერ უძლებდა იმ ტკივილს, რომელიც საკუთარ თავს მიაყენა.

„მას ჰქონდა იმის უფლება, რაც გააკეთა, — ფიქრობდა ის, — საშინლად მოვექციე და დავიმსახურე ის, რაც მივიღე. ანა დამნაშავე არ არის. მატყუარა და მოღალატე მე ვარ“. უმძიმედა იმის გაზარება, რომ ბიზნესი განადგურებული იყო... უფრო მეტად კი იმას განიცდიდა, რომ იცოდა — ანა არ აპატიებდა. მან სამუდამოდ დაკარ-

გა ყველაზე ძვირფასი ადამიანი. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მამაკაცი პირველად ატირდა.

ანას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და ვერაფერს ხედავდა... უეცრად ფეხი რაღაცას წამოჰკრა და მიწაზე მძიმედ დაეცა. გონი დაკარგა...

ზაზამ მანქანა გააჩერა და გადმოვიდა. გადანყვიტა, ფეხით გაველო, — იქნებ ცოტა გულს მოშვებოდა და თავი სულ ოდნავ უკეთესად ეგრძნო... ახლა ყველაზე მეტად ანას ნახვა სურდა. უნდოდა, საყვარელი ქალი გულში ჩაეკრა და ეთქვა: „მიყვარხარ ყველაფრის მიუხედავად, დამნაშავე ვარ, უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, მოკვდები... მაპატიე... მოდი, ვაპატიოთ ერთმანეთს და ცხოვერება თავიდან დავიწყეთ. პირობას გაძლევ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება“.

...მაგრამ მას ამის გაკეთება არ შეეძლო, რადგან არ იცოდა, სად იყო ანა... მზით გამოტარ პარკში ფეხით მისეირნობდა, წარსულსა და გაურკვეველ მომავალზე ფიქრობდა...

შორიდანვე შენიშნა მიწაზე ნაქცეული ადამიანის სხეული. „ალბათ მთვრალია“, — გაიფიქრა მან და გადაწყვიტა, გვერდი აეველო, მაგრამ რომ მიუახლოვდა, ანას საგაზაფხულო პალტო იცნო და მისკენ სირბილით გაქანდა...

— დამშვიდდით, ყველაფერი კარგად იქნება, — ექიმმა შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა და ზაზას გაუღიმა. თქვენი მეუღლე 4 კვირის ფეხმძიმეა და ალბათ ამის გამო ნაუფიდა გული. სანერვიულო არაფერია, თუმცა სულზე მოუსწარით. კიდევ ცოტა ხანსაც რომ დარჩენილიყო ასეთ მდგომარეობაში, შვილსაც დაკარგავდით და ცოლსაც...

ზაზამ ის ღამეც მანქანაში გაათენა, ოღონდ ამჯერად — საავადმყოფოს ეზოში. უცნაური სიზმარი ნახა: საკუთარი ქორწილი იხილა, ოღონდ პატარძალს თეთრი კაბა კი არა, ჩვილი ბავშვის ტანისამოსი ეცვა...

დილით ექიმმა ანასთან შესვლის ნება დართო... ყვავილები იყიდა, მაგრამ პალატაში შესვლამდე თავიგული დერეფანში მდგარ მოხუც ქალბატონს შეაჩერა ხელში და პალატის კარი შეაღო...

ანამ კარის ხმაზე გამოიხედა. — მხოლოდ ბავშვის გამო გაპატიებ, — ისე ჩუმად თქვა, რომ ზაზამ ეს ტუჩების მოძრაობით ამოიკითხა.

— ყველაფერს თავიდან დავიწყებთ, — შუბლზე ეამბორო ცოლს და ცრემლის სველი კვალი დატოვა, — ოღონდ შენ... თქვენ მყავდეთ კარგად...



ინტერნეტსიკეთე

ინტერნეტთან ცოტა არ იყო და მწყალად ვიყავი. მიკვირდა, რა დარჩენილია ამ ხალხს ინტერნეტის ამ ჩახლართულ სივრცეში. ასე იყო, სანამ ერთი რამ არ მოხდა: მოკვლედი, ერთ გოგოსა და ბიჭს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. იყო შეხვედრები, შემდეგ ქორწილი, პირველი ვაჟის შეძენის სიხარული, შემდეგ — მეორე ვაჟის, მერე რალაც მოხდა, წყვილი ერთმანეთს დაშორდა. ოჯახებს შორის ეგრეთ ნოდებულმა შავმა კატამ გაირბინა, გოგო სხვა კაცზე გათხოვდა, ბიჭი სოფელში წავიდა, შემდეგ იყო ომი, არეულობა, ბიჭმა შვილების კვალი დაკარგა, იყო ბევრი რჩევა, ცოლი მოეყვანა, მაგრამ ის მაინც მარტო იყო, გულს შვილების ნახვის ნატვრა უხალისებდა მხოლოდ, პატარები კი იზრდებოდნენ და ეგონათ, მამას არ უყვარდა ისინი. ამასობაში 18 წელი გავიდა, ბიჭი ერთიანად გატყდა წელიწადში, საკუთარ დაბადების დღეზე დალია და ცრემლიანი თვალებით წავიდა თბილისისკენ, შვილების საძებნელად, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო ამდენ ტკივილს და დაიღუპა. შემდეგ? ბიჭს ძმისშვილი ჰყავდა. გოგონამ დაიფიცა, ბიძის გასვენებაში არ მივიდოდა, მისი შვილების გარეშე. არც პოლიციამ უშველა, არც ცნობათა ბიურომ, ხელი ჩაქნული ჰქონდა, ინტერნეტკაფე რომ მოჰპოვრა თავი. იქნებ „ოდნოკლასნიკებმა“ მიშველოსო, გაიფიქრა და შევიდა. აკრიბა ბიძაშვილის სახელი და გვარი. იპოვა და თანაც საიტზე იყო ბიჭი. გოგომ მისწერა, ბიჭმა კი დაბლოკა. გოგომ მის მეგობარს მისწერა, ნომერი მისცა და ეს ამბავი მოუყვა. ტელეფონზე ზარი გაისმა. „ის“ რეკავდა. გოგომ ტირილი დაიწყო, თვალცრემლიანი ესვენებდა მამის დაკრძალვაზე მისვლას. გოგოს ტირილმა მოალობო დაკარგული ბიძაშვილის გული და შეხვედრაზე დაითანხმა. გახარებული მოტრიალდა და დაინახა, რომ მთელი ინტერნეტკაფე თვალზე ცრემლმომდგარი შეპყურებდა. გოგო ბათუმშიდან თბილისში წავიდა, მთელი ღამე თეთრად გაათენა, დილით კი მატარებლის სადგურზე ნახა ბიძაშვილები. ჯერ იყო ცივი შეხვედრა. 2 უცხო ადამიანი უცქერდა გოგოს. სისხლმა თავისი ქნა, ტირილით ჩავევრნენ ერთმანეთს, გოგომ ბიძას პირობა შეუსრულა, შვილები მიუყვანა. გარდაცვლილის გვერდით იყვნენ მისი შვილები და ყოფილი ცოლი, ტიროდა ყველა. რამდენიმე კილომეტრი საკუთარი ხელით ატარეს მამის კუბო შვილებმა, მათ მიყარეს მინა და დამშვიდებული გაისტუმრეს საუკუნო სასუფეველში. ალბათ მიხვდით, ის გოგო მე ვიყავი, ის ბიჭები კი ჩემი სანატრელი ბიძაშვილები. შემდეგ? შემდეგ იყო ბევრჯერ გაშლილი სუფრა და ამ სუფრაზე ნათქვამი „ოდნოკლასნიკის“ შემქმნელის სადღეგრძელო. ინტერნეტსიკეთეში კარგი ამბებიც ხდება. გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს ამ გენიალურ ქმნილებას. სკარლეთი“.

შალახო

„ინტერნეტსიკეთის რა გითხრათ, მაგრამ ტელეფონით კი ნამდვილად გადაამხდა საოცრება: ერთ დღეს რადიოში მოვინდომე სურვილის ასრულება და რატომღაც „აჭარული“ გამახსენდა. სასწრაფოდ აკვრიბე ნომერი, კაცის ხმა გაისმა. მივესალმე და პირდაპირ ვაჯახე სურვილი — „აჭარული“ მინდა-მეთქი. ხმა შეწყდა და ყვირილი გაისმა, — „შალახო“ არ გინდააა?! დავიბენი, ვერ მიხვდები უცებ. თურმე ნომერი შემშლია. გავთიშე, გონს რომ მოვედი, ლამის შევწუხდი სიცილით. წყლის ჭავლი დამჭირდა, მოსასულიერებლად. გკოცნით. თქვენი კუსკუსია“.

უცხენო პრინცი

„თემას ცოტა გადაუხვებე და ინტერნეტსიკეთის რა ნაცვლად, ისევე ჩემი სიყვარულის ამბებს მოყვები, ხომ? მოკვლედი, ქვეყნად უკეთესს ვეძებდი და ქვეყნის გლახა შემხვდა ქმრად. ნუ, მოკვლედი (ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, ჩემს გათხოვებაზე ხდებოდა), ერთი სიყვარული ნ წლის წინ ვიპოვე, ვერ გაუფე და მივატოვე; მერე მეორე მივაგდე, მერე — მესამე და ასე შემდეგ. ჰოდა, გაგიკვირდებოდა, ამან გათხოვება როგორ გადაწყვიტა? სულ იოლად, ახლაც 2 თვეში გავკვიდე და დავინგრიე ცხოვრება. ახლა შვილებსაც ვზრდი. ძალიან მიჭირს, მაგრამ ყველა გასაქცევი გზა მოჭრილი მაქვს. ჰოდა, ამით მინდოდა მეთქვა, რომ სიყვარულის აღარ მჯერა. ინტერნეტსიკეთის რა ხომ საერთოდ არ არსებობს; „ვირტში“ ყველა მაგარია, აი „ლაივიში“ კი რა მოგახსენოთ. ამას იმიტომ გწერთ, რომ სიყვარულში არასდროს მიმართლებდა. თქვენ ყველას დიდ სიყვარულსა და ბედნიერებას გისურვებთ. გკოცნით. ბუტია“.

დაწუნებული კავალერი

„თემამ ჩემი ათი წლის წინანდელი თავსგადამხდარი ამბავი გამახსენა. „ჯეოსელის“ ჩათში ხშირად გჩათაობდი. გაცივანი ბიჭი, მთელი 6 თვე ვლაპარაკობდიო, უკვე ტელეფონით. ის ბათუმელი იყო. ერთ დღეს მითხრა, შენს ქალაქში საქმეზე მოვდივარ და გნახავო. ნუ, მე გავიპრანჭე, ჭკუაზე აღარ ვიყავი ან 15 წლის გოგოს რა ჭკუა მოეკითხება? მანქანა მყავდა (მართვის მოწმობა არ მქონდა) დახვებდი სადგურზე. ჯერ რომ დავინახე, ლამის გული გამისკდა. ეგ არაფერი, მაგრამ ყვესილები რომ მომართვა, სად წავსულიყავი, აღარ ვიცოდი. წარმოიდგინეთ მწვანე ცოცხზე დამაგრებული სამი პლასტმასის გვირილა. ენ. „ვენოკი“ იყო. ერთი საათი ვილაპარაკეთ, რალაც მოვიმიზეზე და გამოვხუჭურე, მაგრამ ამ „ვენოკისთვის“ რა მექნა, აღარ ვიცოდი. უცებ გონება გამინათდა: ბიცოლაჩემს მამა ჰყავდა გარდაცვლილი და სამძიმარზე უნდა მივსულიყავი. გავქანდი და ამ „ვენოკით“ ორი კურდღელი ერთად დავიჭირე. მე-

ორე დღესვე ტელეფონის ნომერი შევცვალე და ერთი კვირა ქალაქში აღარ გავდიოდი. არ მინდოდა იმ ბიჭთან შეხვედრა. გაკოცეთ. ნუკა“.

დაიკო

„მოგესალმები მარი, პირველად გერთ და თან არ ვიცი, რა თემა გაქვთ, რადგან ახლა ვკითხულობ „გზის“ ნომერს, არადა, ძველია... და ისე მომიხდა, ერთი კურსი რომ მომეყოლა თქვენთვის, რომ ტელეფონი მოვიმარჯვე და წერას შევუდექი. ერთ მშვენიერ დღეს, დაქალმა დამირეკა მოსკოვიდან და მითხრა, ფულს გიგზავნი და ბანკში მიდიო. მეც სასწრაფოდ ჩავიციე და მივადექი ერთ-ერთ ბანკს. იქ იმდენი ხალხი იყო რიგში?! ზოგი ვის წყევლიდა, ზოგი — ვის, რადგან ურიგოდ მიდიოდნენ. მეც რიგში ჩავდექი. როცა ჩემი დრო მოვიდა, უკან ვილაც მექანება. გავიხედე და მწ წლის ბაბუ მეუბნება, ახლა ჩემი რიგიაო და თან მეჩხუბება. ყველას გაუკვირდა, ეს გოგო კაი ხანია ბაბუ, აქ დგას, რადგომო. კარგი, ვიფიქრე, მოხუცია და დავუთმობ-მეთქი და გავატარე. იცით, რა მითხრა? დიდი მადლობა, დაიკოო... ნუ, იქ ამბავი ატყდა?! გაიგუდა ხალხი სიცილით. მე კი გახარებულმა წამოვიღე ნაჩუქარი ფული. ნათუშკები28“.

მეორე იმედგაცრუებული

„იმედგაცრუებულის ისტორიამ ჩემი თავი გამახსენა. გული მეტკინა. არ მეგონა, ჩემსავით სხვა თუ იტანჯებოდა. ერთი ბიჭი მიყვარდა სიყვარულზე, მაგრამ მას მხოლოდ გასართობად ვუნდოდი. მე ეს ვიცოდი, მაგრამ ოღონდ ჩემთან, ჩემს სიხალისეს ყოფილიყო და ყველაფერზე თანახმა ვიყავი. მერე, რომ დაფიქრდი, ვაი, ამას რას ვაკეთებ, ვიღუპები უკვე-მეთქი, ავდექი და გავთხოვდი. ის მე არასდროს მომიყვანდა ცოლად, ვიცოდი. მერე ისევე დამირეკა, მიყვარდი და რატომ გამითხოვდიო. მეც დაფუჯრე სულელივით მოვიქეცი და ქმარს ვუღალატე. მან კი თავისი მულამი რომ გაისწორა, რამდენიმე თვეში ცოლი მოიყვანა. ასე დამტოვა გამოყენებული და დამცირებული. ახლა მე ჩემს ქმარს მზრუნველობას და სიყვარულს არ ვაკლებ. მალე პატარაც შემეძინება, თუმცა ის დღემდე სიგიჟემდე მიყვარს. მიხვდით, ჩვენ, გათხოვილ ქალებს ლალატის უფლება არ გვაქვს. იმასაც მიხვდით, რომ მე თუ ვერასოდეს ვიქნები ბედნიერი მასთან, მე მაინც გაუბედნიერებ ჩემს ქმარს ჩემით. მაპატიე გულახდილობისთვის. ქალებო, ნურასოდეს გავაკეთებთ ისეთ რამეს, რაზეც შემდეგ მთელი ცხოვრება ვინანებთ. გკოცნით. ცოადვილი“.

წვიმს

„ყოველთვის მეცინებოდა ხოლმე ადამიანებზე, რომლებიც ამბობდნენ, რომ ინტერნეტმა ჩათორია, რომ ღამეებს ათენებენ და გიჟებს ჰგვანან, როცა „ინეტი“ ჭედავს...“



ამ ყველაფერს ნაბოძვარს ვეძახდი მანამ, სანამ... ლამებს ვათენებ... დამეთანხმებით, „ვირტში“ ყველაფერი უფრო ღია ფერებში გვეხატება და ხანდახან ყოველდღიური პრობლემებისგან დაღლილ-შენუხებულნი თავს ვაფარებთ სამყაროს, რომელიც არ არსებობს, მაგრამ გვინდა და ვიჯერებთ... სწორედ, ყოველდღიური პრობლემებისგან გაქცეულმა და „ვირტსახლში“ თავშეფარებულმა გავიცანი ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე გამილამაზა, რომელიც ისე შემიყვარდა, როგორც არავინ ამქვეყნად და რომელმაც ერთნაირი მიმოხერის შემდეგ, ძალიან უცნაური რამ მთხოვა: სოციალურ სააგენტოში დავინწყე მუშაობა, კახეთის ერთ-ერთ სოფელში მგზავნიან, გაჭირვებული ოჯახები უნდა მოვიზიარო, სარეიტინგო ქულები მივანიჭო და ჩემთან ერთად წამოდიო... მეც, გახარებული-აღტაცებული დავეთანხმდი. არასდროს დამავინწყდება ის დღე. ერთი სახლიდან ძაღლები გამოგვიცივდნენ, მეორედან — ძროხა... ჩვენც მივბრბოდით... წარმოვიდგენდით ხოლმე, რომ ეს ფილმი ია და გვიხაროდა. არ ვიცი რა, მაგრამ ძალიან გვიხაროდა ერთმანეთი... აუუ, რა მაგარი იყოო... ვაი, რომ იყო... წვიმს მარ, გარეთ მთვარე კამკამებს, ჩემთან წვიმს, გულში... არასდროს დამავინწყდება ემზიკო მარკოზაშვილი, ქალი, რომლის ძებნაშიც გავლიე თითქმის ერთი დღე. იცით, რა სასაცილო იყო? გზაზე ძალიან მთვრალი ბიჭი მოდიოდა, რომელმაც ემზიკოს მისამართი შემდეგნაირად გვასწავლა: აუხვიეთ, გაუხვიეთ და ხელმარცხნივ, მეოთხე სახლიაო... მეოთხე და მესამე სახლში, ძახილზე რეაგირების არქონის შემდეგ, მეორე სახლიდან „ახლავეს“ გაგონებამ ძალიან გაგვახარა... არა, გენაცვალე, ემზიკო პირველ სახლში ცხოვრობს, შეგშალათ, ოღონდ გენაცვალე, სახლში შედიეთ და ისე დაუძახეთ, ცოტა ყრუაო. მე ხომ ძალიან მიყვარდა... არა... მიყვარს! მერე გამოცდები ჰქონდა... ჩააბარა „უფასოზე“ მიყვარხარო, მომწერა... მერე აღარ მოუწერია... ვეღარ... მეზიზღება მანქანები, ვერ ვიტან... წყეული სასმელი... წამართვეს... ნეტავ, ღმერთმა თუ სასმელმა? ან რა აზრი აქვს? ის ხომ აღარ მოვა? მე წავალ მასთან, ოღონდ ჯერ არა... მთელი ჩემი არსება პებლად იქცა და მიფრინავს არარსებული ყვავილისკენ... მიყვ... ეჰ, რა აზრი აქვს... სული მიყვითლდება... შემოდგომა მოდის... დროებით მივიღივარ, ხალხო... ცოტა ხნით... რუისპირი (YELLOW)*.

გრძნობებზე მოთამაშე

„გამარჯობა, მარი, როგორ ბრძანდები? დიდი ხანია, თქვენს ყურნალს ვკითხულობ, მაგრამ პირველად გწერთ მესიჯს. მე ერთი თინეიჯერი შინაბებრა ვარ. რა ვქნა, ძალიან მიყვარს წერა. ჩემი ღრმა ბავშვობის ოცნება, ყურნალისტობა იყო, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა და მე ყურნალისტი ვერ გამოვედი. ყოველთვის ოცნება ვერ აგისდება. ასეთია ცხოვრების მწარე რეალობა. ერთი გულგატეხილი და იმედგაცრუებული შინაბებრა ვარ, ჩემს

უფლისწულს ველოდები, მაგრამ ის ძალიან იგვიანებს, ალბათ თეთრი რაში გაქცა გზაში და მის ძებნაში იგვიანებს, ასე ძალიან. ჩემი თავი კონკია მგონია. უფრო სწორად, სურვილი მაქვს, კონკია ვიყო. ძალიან, ძალიან დავიღალე უმიზნო, უაზრო ცხოვრებით და სამწუხაროდ, არც იმედი მაქვს, ჩემი უაზრო ცხოვრების გამორწორების. ჩემი იმედის სანთელი ჩაქრა. გამდლობ, რომ არსებობთ, მიყვარხართ. ბავშვობიდან დიდ, ლამაზ სიყვარულზე ვოცნებობდი, როგორიც რომეოსა და ჯულიეტას ჰქონდათ. ბევრი ადამიანი მომწონდა, მე კი მეგონა, ეს იყო სიყვარული, მაგრამ ვცდებოდი. 17 წლისამ გამოვცადე, ნამდვილი სიყვარული. ეს ღვთის მიერ ნაჩუქარი გრძნობა იყო. ბედნიერი ვარ, რომ გამოვცადე ეს გრძნობა და მინდა ყველას ვუთხრა, რომ არსებობს ნამდვილი სიყვარული, დაიჯერეთ და გნამდეთ, რომ თქვენც გენვევით აუცილებლად და თანაც, მოულოდნელად. სამწუხაროდ, ჩემი სიყვარული ტრაგიკულად დასრულდა — ჩემი შეყვარებულის გარდაცვალებით. ის მოკლეს, მე კი დავრჩი ამ უსასრულო სამყაროში მარტოდ, ჩემს გაუსაძლის ტკივილთან ერთად. სიტყვებით ვერ გამოვხატავ ჩემს ტკივილს და მწუხარებას, რაც მე განვიცადე მისი სიკვდილით. მე ის მაინც მიყვარდა. გადიოდა წლები და ჩემი ცხოვრება სასიკეთოდ არ იცვლებოდა. იმედგაცრუება, იმედგაცრუება... მერე იცით, რა მოხდა? შემყვარდა ერთი ადამიანი, რომელიც ჩემზე ასაკით პატარა იყო. მე არ მინდოდა ჩვენი მეგობრული ურთიერთობა გაგრძელებულიყო, მაგრამ ასე მოხდა, რომ მან თავი შემიყვარა, ჩემს გრძნობებზე ითამაშა და მერე კი წავიდა თავის საცოლესთან. მე ამას ვერ ვპატიობ, ტყუილს, არაფაქტურ საქციელს, მაგრამ ყველას გმირობას ვერ მოსთხოვ. სამწუხაროდ, ლაჩრებიც იბადებიან. თინეიჯერი შინაბებრა“.

ღიპუცა

„მოკლედ, ვირტუალურ სამყაროში ყველა ლამაზი, სიმპათიური, დახვეწილი, ფულიანი და დასაქმებულია. ერთი ასეთი, ყველანაირად „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული“ ბიჭი სუულ შემთხვევით გაციწო ჩემმა ნათესავმა. რა თქმა უნდა, ინტერნეტში. წავიდა ტყუილების რახარუხი. ბაჩოს ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პლუსების გარდა, გოგონების გამოსაჭერად ერთი, მეტად საჭირო იარაღი ჰქონდა — გულში ჩამწვდომი და საოცრად სასიამოვნო ხმა. ამ ჩემს ჭკუამხიარულ ნათესავსაც მეტი რა უნდა? ავშენდი და ევააო, გაიფიქრა და ბაჩოსთან ერთად მთლიანად ჩაიძირა ოცნებებში. მათ შორის მალე სიყვარულიც გაჩნდა. თანაც ძალიან სერიოზულად ფიქრობდნენ ერთად ცხოვრებაზე ანუ დაოჯახებაზე. ერთი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ერთმანეთის რეალურად გაცნობა გადაწყვიტეს, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც მარის ეგო-

ნა. ეს ჩვენი (ჩვენი რა, მარისი.) ბაჩუკი არც ისეთი სიმპათიური და დახვეწილი აღმოჩნდა... თურმე, იმხელა ღიპი აჯდა, კაცი ნედ ჩამოვდებოდა არხეინად. ამ ჩემს ხათესავს კიდეც, „ცა ქუდად არ მი-აჩნია და დედამინა ქალამინად“, სულ ნარჩევ-ნარჩევ ბიჭებთან აქვს საქმე და ამ ბურთივით დამრგვალებულ ბაჩოს ცოლად გაჰყვებოდა? თანაც, ეს რომ არაფერი, გაირკვა, რომ ვაუბატონი, როგორც მარის ეგონა, თბილისელი კი არა, რომელიღაც მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს, რომლის სახელიც ვერაფრით გაიხსენა. ეს კიდეც არაფერი, არიქა, „მარშრუტკა“ გამასწრებსო და ელვის სისწრაფით გაქცეულა (უფრო სწორად, გაძუნძულებულა) გაჩერებისკენ. მირბის თურმე და მისდევს მარი უკან. როგორც იქნა, „მარშრუტკაში“ ასულა, დამჯდარა და ცოცხალი თავით აღარ ამდგარა იქიდან, ადგილი არ წამართვანო და მალე წასულა კიდეც. მარი პირიდან ცეცხლს ჰყრიდა, ამ ყველაფერს რომ მიყვებოდა. ბაჩო დღემდე ურეკავს, მაგრამ უშედეგოდ. რას იზამ, ასეც ხდება. ლუნა“.

დასრულებული ბედნიერება, რომელიც ოჯახს სჭირდება

„არასდროს მიცდია თქვენთვის მომწერა, თუმცა „გზას“ ყოველთვის ვკითხულობ. თემამ გადაამაწყვეტინა, მოკლედ მოყვე ჩემი ამბავი: მე ის ერთ-ერთი საიტის მემწეობით გავიცანი, თავიდანვე შევეწყვეთ ერთმანეთს და არც ის დაუშალავს, რომ ცოლი ჰყავდა, რომელსაც ვერ უგებდა, თუმცა მიზეზთა გამო დაშორებას ვერ ახერხებდა. თავიდან სწორედ ამ საკითხზე გვექონდა მიმოწერა, ჩემი ჭკუით, ვარიგებდი, ვცდილობდი, მდგომარეობა გამოვილენინა, ასევე ვაცნობიერებდი, რომ ასე მიწერ-მოწერით ვწვივდი. მსიამოვნებდა მასთან ურთიერთობა, რადგან ლევანი ძალიან განათლებული და ჭკვიანი ადამიანია. მიკვირდა კიდეც, ასეთი ადამიანი კიდეც არსებობს-მეთქი? მერე ნელ-ნელა გავხდი მასზე დამოკიდებული. 8 თვე მხოლოდ ინტერნეტით გვექონდა ურთიერთობა და ფაქტობრივად ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. თან მხიბლავდა მისი მამაკაცურობა, აზრები, რაღა დავამალო და ფიზიკურადაც სწორედ ისეთი იყო, როგორც მე მომწონდა. ასევე იყო ისიც, თავისუფალ დროს და არათავისუფალსაც ჩემთან ჩათაობაში თუ მესიჯობაში ატარებდა. ორივე ვგრძნობდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა ან რაღაც ამგვარი და ამ გრძნობას კი მოგვიანებით დავარქვი სახელი. 8 თვის მერე შევხვდით. ის დღე არასდროს დამავინწყდება. ორივე მიგვაჩნდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა... 2 წელი ვხვდებოდით და ამ დროის მანძილზე მე მისი ოჯახი არც ერთხელ არ მიხსენებია. გვექონდა ძალიან ლამაზი ურთიერთობა და ამას არასდროს ვინანებ. თუმცა ახლა სულ 2 კვირაა, რაც დავშორდით, თან ისე, რომ არც არაფერი გვიოქვამს. აი, ასე! ბოლო შეხვედრის მერე... მართალია,

ახლა მიჭირს, მაგრამ გადავიტან და ჩემი ცხოვრების ეს 2 წელი ლამაზ მოგონებად დარჩება. ლევან, მეგონა მართლა მიყვარდი. ახლა მენატრები, მაგრამ შენ შენს ოჯახს სჭირდები ახლა... თათმზმზ.

„ძალიან“ მასწავლებელი

„ზოგ ადამიანს პური არ ექნება იმდენჯერ ნაჭამი, რაც მე ჩემი გონებაგაფანტულობის გამო სირცხვილი მაქვს ნაყლაპი. :) პატარაობიდან, ძალიან დამჯერი და ბუნწულა ბავშვი ვიყავი, ახლა რომ ვუფიქრდები, ხშირად უსარგებლიათ ჩემი გულკეთილობით. პირველიდან მე-10 კლასის ჩათვლით სკოლაში სოფლიდან მინევდა სიარული. ყოველდღე ქალაქში „ნიფთათაი“ დავდიოდი. ჩემი მეზობლები კი, რომელთათვისაც „მარშრუტკაში“ აბობლებდა და ბაზარში სიარული ჯოჯოხეთში გასაღების ტოლფასია, ხშირად მე მბარებდნენ ხოლმე, რაღაც-რაღაცებს. ერთ დღეს, ჩემი მეზობელი მოვიდა და აი, რა მთხოვა: შვილო, გიო, აჯიკის გაკეთება მინდა და წინაკა არა მაქვს, ფულს მოგცემ და ბაზრიდან 2 კგ წითელი ბულგარული მომიტანე, თან დილით იყიდე, სიფთა კლიენტს დაგიკლებენო. არ ვიცი, მოხუცის პატივისცემა მინდოდა თუ მორჩენილი ხურდის ჩუქების იმედ ჩამესახა მე-4 კლასის მოსწავლეს, მაგრამ ფაქტია, უარი არ მიმიტყვამს. სკოლაში 15 წუთის დაგვიანებით მივედი და კლასში შესულს, ჩემი მასწავლებლისა და კლასელების სიფათების დანახვისას იმ წინაკაზე წითელი ფერი დამედო, ხელს რომ მიმშვენიბდა. ჩემს ძველ სკოლაში, მათემატიკას ძალიან „ძერზვი“, ძალიან ამაყი, ძალიან მოვლილი, ძალიან ავი და ძალიან ბევრი „ძალიანის“ მქონე ქალი მასწავლიდა. შემოვიდოდა კლასში, ჩაატარებდა გაკვეთილს და მიდიოდა, ზედმეტი ლაპარაკისა და „თქვენ ყველაზე კარგები ხართ“ — გარეშე... 2008 წლის ზამთარი იყო, გაკვეთილების შემდეგ სახლში მივიჩქაროდი, როცა ნათელა „მასწავ“ დამიძახა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რადგან „ძალიან მასწავ“ გაკვეთილების შემდეგ არავის ეკონტაქტებოდა. გიო, გენაცვალე, რა მინდა გათხოვო: სკოლის წინ, ჩასასვლელი კიბე ისეა მოყინული, ვერ ჩავდივარ და ძალიან გათხოვ, ხელი მომიკიდე, თორემ თავპირს ჩავიმტვრევო. ახია თქვენზე-მეტი, კი გავიფიქრე, მაგრამ... კარგი მოთხილამურე-სავით ჩავიკდე ხელი ჩემს „მასწავ“ და გავემართე მოყინული ტერიტორიის ასათვისებელ-დასალაშქრად. :) ალბათ მიხვდით, ხომ? ფეხი ამიცურდა და იმის ნაცვლად, ჩემს იმედზე მყოფი ქალისთვის ხელი გამეშვა, უფრო მოვუჭირე და ისეთი სისწრაფით ჩაუსრიალდით, გამოცდილ მოციგურავეს შემურდებოდა. ის საცოდავი 7 ქულაც დაკვარე, რასაც ახლა უკვე, ნეკნდაუყოლი „ძალიანი“ მინერდა. ბათუმში, ერთ-ერთ შადრევანთან სურათის გადაღების დროს 2 ცალი, წყალში ჩავარდნილი ლარინი შევნიშე. ორდღიანი ყარაულობის, სჯა-ბაასის შემდეგ, გა-

დავწყვიტე, წყლიდან პოტენციური „ასი მესიჯი“ ამომედო. უამრავი გულშემატკივრის წყალობით, აწითლება-დაკომპლექსების გარეშე ჩავხტი შადრევანში და ხელში ცივი ლითონის დაჭერის შემდეგ ისეთი გაბადრული სიფათით ამოვედი, თითქოს მსოფლიო მნიშვნელობის თასი მეჭირა ხელში. სწორედ ეს გამომეტყველება შეცვალა, ხელში შერჩენილი, სომხური ათკაპიკიანის დანახვისას, სასონარკვეთილმა სიფათმა. :-) YELLOW (რუისპირი)“.

შოკა

• არა მგონია, იმაზე მეტად ხალისობდე, ვიდრე მე — შენზე. მისტერ-ჯან, რა არის, იცი? რაღაცნაირად გონებაჩამორჩენილის შთაბეჭდილებაა ტოვებ. :) რომ იცოდე, სწავლა დავამთავრე და ბანკში ვაკანსიების გამოჩენამდე შეგიძლია ბედნიერად შერაცხო თავი, რამე თუ ვაპირებ, შენ შემოგწირო ჩემი თავისუფალი საათები. მეგრე, 10-20 წლის შემდეგ, როცა საკუთარი რენჯ-როვერი მეყოლება, მე გატარებ ხოლმე ასათიანიდან მოხუცთა თავშესაფარამდე. ვინაიდანაც შენ, შენი ყავლ-გასული და შიგადაჩრდილი ხუმრობებით, არავის სჭირდება. იქნებ, მომავალზე თუ არა, ანმყოზე მაინც დააფიქრო შენი დეგრადირებული ტყინა და წნევაგამაღლებული თავი, რამე თუ როგორც ვარკვეთილიში, ერთ-ერთი კორპუსის შესასვლელში დიდი ასობით წერია: იცხოვრეთ ისე, თითქოს დღეს უკანასკნელად უყურებთ მზეს. ალბათ, მარკესის სიტყვების ვარკვეთილური ინტერპრეტაციაა. :) SWEET GIRL, დაწყნარდი ჩემო კარგო, აქ ყველა ჩვენს ჭიას ვახარებთ. მარია.

• მარ, კლასელი მყავს მარი ჯაფარიძე. ჰოდა, გოგონები სკოლიდან რომ მოვდიოდით, გზაში ბავშვებს დავემშვიდობებ და ვუთხარობ, მარი ჯაფარიძეს აუჯუბი და თემას ერთად დავენერ-მეთქი. ჰოდა, მოვდივარ და სადარბაზოსთან ვივლი ადევნებული ტიპი გამეჩითა (სიმპათიური იყო). მარი ჯაფარიძე ეს ის არის, „გზიდინა“? ბედნიერი სიფათით მკითხა. ვერ მოვწვი და გავიფიქრე, ასე კი ტიპი რამ გადარია-მეთქი და ისე ავვარდი კიბეზე, მგონი ამდენ იგივე იფიქრა. მეგრე კი მოვწვი, მაგრამ... რალა დროსი იყო. გაკოცეთ. გვანცა.

• ვერძო, მოკითხვა და შემეხმინე, რაააა, ძალიან გამიხარდება შენი გაცნობა. გაიხარეთ, მგზავნილებო... ფლამინგო.

• მინდა იცოდე, შენი მუზობით გავხდი მგოსანი, შენი მუზობით შემეყვარდა რითმების კონა და პოეზიის დედოფლობა მიხმობს ფრთოსანი, მე კი ნელი სველით მივაბიჯებ ამდენ ბრბო ხალხში. აუჩქარეო, მექაჩება უცნობი ძალა... მაინც ნელი სველით მივაბიჯებ... ვშფოთავ, განვიცდი, მე მეშინია დედოფლობის, რატომ? არ ვიცი! ალბათ იმიტომ, რომ ყოველ მუზას ძლიერ განვიცდი. იმდენად ახლოსაა პოეზიის ნაზი სურნელი, იქ არსებულიდან შეხების დროს, უცებ ვსუსტდები, ვსუსტდები გულით, გონით ვიფიქრებ. იქ ხომ ხარობენ, შენი მუზობით ნაზი რითმები. მინდა იცოდე, შენი მუზობით გავხდი მგოსანი, შენი მუზობით შემეყვარდა, რითმების კონა და პოეზიის დედოფლობა მიხმობს ფრთოსანი, მე კვლავ... ნელი სველით მივაბიჯებ, ამდენ ბრბო ხალხში... ლავანტი.

• იცი, რა არის ცაში აფრენა ფრთების გარეშე? ანდა დაშვება შერგნებებში სიხარულისა, როცა არაფერს ამ ქვეყანაზე უკვე არ ეძებ, რადგან იპოვე ნაწილი შენი სიყვარულისა. იცი, რა არის აღმადრენა დაღლილი სულის? მწუხარებაში სიხარულის მაინც გარჩევა, ამოსუნთქვა ნყურვილისა სიცოცხლის გულის, ერთადერთის საშუალოდ მხოლოდ არჩევა. იცი, რა არის, როცა გული ფეთქავს მალულად და ფიქრებში ყოველამე შენზე ლოცვაა, ჩემში ჩუმად სიყვარული გადამალულა, ყველაფერი ეს კი მხოლოდ შენთან ყოფნაა. ბელურას. კლეოპატრა.

• ყოველთვის მეგონა და ახლაც მიმაჩნია, რომ საიდუმლო წმინდაა წმინდაა და თუ ადამიანი მას განდობს, არ გაქვს მისი ღალატის უფლება. სხვის საიდუმლოს ბოლომდე ვინახავ, მაგრამ მგზავნილებისას რამდენიმე უსიამოვნო აღმოჩენა გვაკეთე. ამოჩენა №1. თურმე საიდუმლო შეიძლება იმისთვის გამოიყენო, რომ შეებრალო ადამიანს და ჟურნალის ფურცლებიდან სიყვარული და ერთგულება შემოგვიცოს. აღმოჩენა №2. სასონარკვეთილი სახით და იდუმალი ხმით გამჟღავნებული საიდუმლო შეიძლება სულაც არ იყოს საიდუმლო და პოპულარობის მაძიებელი, ახლად გამოჩენილი მგზავნილის ფანტაზიის ნაყოფი იყოს. აღმოჩენა №3. თურმე ზოგი საიდუმლოს იმიტომ აღიარებს, იმედი აქვს, გასცემ და მგზავნილებში ჭორაობით სანატრულ, იდუმალ იმიჯს შეიქმნის. ამ აღმოჩენების საფუძველზე ერთი ოქროს წესი შევიმუშავე: ყველაფერი მესმის, ყველაფერს ვხედავ, არაფერს ვამბობ. არადა, რამდენი მაქვს სათქმელი... მაგრამ ჩუმად ვარ. არა იმიტომ, რომ ვინმეში მეშინია, უბრალოდ, ინტრიგანი და იაფი რეკლამის კლიენტი არ ვარ. დებოუტანტ მგზავნილებს სიფრთხილეს, ძველებს კი დაფიქრებას გირჩევთ. ნუ გაიყვებით და ნუ გაყდით სხვებს. მაღლობა იმ ადამიანებს, ვინც თავიანთი ერთგულებით დღემდე ჩემ გვერდით არიან. მიყვარხართ. პარიჟანკა.

• მარ, ოდესმე გქონია შემთხვევა, როცა ყველასგან და ყველაფრისგან დასვენება მოგადომებოდა? მე ასეთი სურვილი გამიჩნდა და ერთი თვე ყველა ნაცნობი სახისა, მეგობრებისა და ნათესავისგან დავისვენე. ბევრმა თქვენგანმა ჩემი ნომერი წაშალა, ბევრი აღარ მწერს... მე ისევ ძველი გიო ვარ და თუ კვლავ გასურთ მეგობრობა...

P.S. მე, ეს მჭირდებოდა. რუსიპირი (YELLOW).

• ბოროტი ენები ამბობენ, მარის რუსიპირი იმ დონეზე არ მოწონა, რაც გაიცინო, აღარ გაახარა, :) სმს-ს აღარ უბეჭდავსო. :) მარ, თუ ახასაც არ დამიბეჭდავ, მართლა მასე ვიფიქრებ და ორი ექვსნახევრეტიანი აგურის იქით გზა აღარ მექნება. :) არ გამწირო, ქალოოო... :) რუსიპირი (YELLOW).

• SWEET GIRL-ს რალაც ეწყინა ჩემგან და მე ვერ ვხვდები, რა. მაპატიე... ფლამინგო მომენტატრა, თამრიკო სხვა თემაა... ჭრიჭიმ დამიკიდა, ფეშენამ ვერ მიცნო... ტერეზა შემეჭმება, ლიმონამ წამშალა... ჩუპი აღარ მწერს, ბათუმელები პასიურობენ! სწავლა დამეწყო, პარიჟანკა, ევჰ... : (მემემ დამპატიე, დაბავიო გაიქაჩა, CRAZY მომენტატრა თავის დითურთ, მისტერი აჯაზებს და კუტირინა სად არის? სოფი20 მაცინებს, „ოდნობი“ მატირებს, მარიამული მიყვარს, მემახის გრიზა. ნავედი... P.S. ახლა, ჩემი სმს რამ წავიკითხე, მისტერის ერთ-ერთ მესიჯს მივაშგავე. ეს ისე... რუსიპირი (yellow).

• სკარლეტ, მე მაქვს განდიდება მანია და შენ ანგელოზი ხარ, ხომ? მე და მესტროს რომ ათას ტყუილს გვეუბნობდი და ჩვენც ვიჯერებდით, ეგ თქვი შენ, სხვას რომ ცილს მწამებ იმ მიზეზით, გამარჯობას რომ არ გეუბნება. ანდა, რატომ გეტყვი? მატყუარა ხარ, თავს გვაცოდებდი, ხან კიბო გჭირდა, ხან უშვილობას რომ იწვევს, ისეთი დაავადება. შენს ტყუილებს საზღვარი არ ჰქონდა. ერთ-თან რომ ინებებო, ესეც ვთქვა? კარგად გაიკითხე ბათუმში, მე რა ადამიანი ვარ. ყურადღების მიპყრობას არასოდეს ვცდილობ. ჩემი შემოქმედების წყალობით არ მაკლია ყურადღება. ქვა იმან ისროლოს, ვინც უცოდველია. პირადში ხომ მითხარი? აქ რალატომ დაწერე? არ ვაპირებ „გზის“ მეშვეობით კამათს. განდიდება მანიაო, რომ იძახი, სიტყვის მინიშნელობა თუ იცი, საერთოდ? არა მგონია... სუპერსტარი.

• ჩემი საყვარელი ჟურნალი, მარი და მგზავნილები როგორაა? პატარა და უსაყვარლეს ჭრიჭინას და ასევე ქალცდუნებას ვულოცავ გაბედნიერებას; ნოსტოპს ვულოცავ პატარას დაბადებას; პო, კიდევ, ბავშვებს (და არა მარტო) ვულოცავ სწავლის დაწყებას! ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს და წარმატებებს გისურვებო! რუსიპირ, კუტირინ, სუფრისთარ, კონსონსტრა, მესტრო, SWEET GIRL, სკარლეტ და ილინ, ძალიან მიყვარხართ და მენტრეებით! ილონა777, სადამური ხარ? ლავანტს, ფიფიას, მარიას, ვერძს, ფლამინგოს, ჯეჯეს, ატარექსისას, დავიდს და ჯაყისმანელს გავიცნობდი... მარ, მაგრად მიყვარხარაა! გოცნით გაგუდვამდე! CRAZY GIRL.

• მარ, მისტერის გზავნილი ძლივს არ მომწონა? თან ძალიან! ყოჩაღ, ხომ შეგძლია? „წინა კაცის მაგალითი“ კარგი იყო, მართლაც. ლუნას, ენიგმას, ედეს, მანაველს, უზნელს, გრუზინკას, 9717-ს, გადავრულს, GREEN-ს, ოლეს, სევდიანს, იდუმალს, ლიმონას, ფეშენას, ნიკოლს, დუჩის, ჩუპის... მონატრებული მოკითხვა! CRAZY GIRL.

• გადავცქერი შემოდგომის სურათებს, ჩემ წინ არის გარინდული სამყარო. თითქოს დღემან ბუმბერაზი ვერხვები, იმ მთიდან კი მონაქროლ ქარს ვხეხვი. მდინარეც კი ჩუმად მიედინება, ეს ხომ



არის მონატრების ცრემლები, აღარ ხარ-
ობს არც ბერძნის ყლორტები, არც ჭიკ-
ჭიკის მოტრფილე მგოსნები. აქ სიცოცხ-
ლე თითქოს გარდაცვლილია, ჯოჯოხე-
თის დროშა აღმართულია... მხოლოდ არის
ღვთისმშობლის სანთელი და გმირულად
დაცემული ქართველი, მტკიცე ყველა სე-
დანი სურათი, ჩვენი ტაძრის დანგრეუ-
ლი გუმბათი. აქ ხომ ღმერთი არავინ არ
ინაბა, აქ ხომ ისმის ქართლის დედის გმ-
ინვალა, თუმცა არ ვხრთ თამარ მეფის
მახვილს და ცხრა ძმას ისევ ვეშველებით
მხარითა, არ ვთმობთ, ვერ ვთმობთ ჩვე-
ნი მინის სიმცირეს, წინაპართა დანატო-
ვარ სიმდიდრეს... ჩვენ ავაგოთ ჩვენი
ტაძრის გუმბათი, ყრიამშული გაგაცოცხ-
ლოთ სურათი... ლაკვასტი.

• გაიმე, სამსახურიდან გამათავისუფლეს
და იცით, რატომ? უფროსმა დამბარა
და მიტხრა, ცხრამეტა ჩვენი ხარ და
შენისთანები არ მჭირდებათ (იცით, რა
დონის უფროსი მყავდა? რუსული ასო
„ჟ“ თუ იყო, არ იცოდა). ჰოდა, დავრჩი
ასე უცხად უხელოვასოდ. სუთმანათს „გზის“
ფული რომ არ მქონდა, გაეკანდი, ოქროს
ბეჭედი დავალომბარდე და „გზა“ იმით
ვიყიდე. რა ცუდი ყოფილა უშუშევრობა.
მატიტელა.

• გამარჯობა მარი, ძვირფასო. მადლო-
ბა თქვენ ყველას, „გზის“ რედაქციას, აგვის-
ტოს ომის მონაწილე კუჭხიძის ოჯახი
რომ გაგვაცანით. ახლა ერთი მადლიც
გააკეთეთ. ქუთაისში, 8.93.27.29.77 დარე-
კოს, იკითხავს მარიკას და რადაცას გა-
დასცემენ. ამანათის მიღების დღეს
მარიკასთან დაადგენს. დიდი მადლობა.
თამარ.

• მარი როგორი ამინდები დაგემთხვა?
მე რომ ჩავედი ბათუმში და მზე დამემე-
ლა. ბოლოს ისეთი ჭექა-ქუხილი, ელვა,
ქარაშოტი და უდენობა იყო, რომ
სასწრაფოდ გამოვიქეცი. არადა, როგორ
მინდოდა ნანატრი შვებულებით დატკობა
ქათქათა ბათუმში, მაგრამ ნურას უკაც-
რავად. მოკლედ, შენ რომ ახსენე მზიანი,
თბილი შემოდგომა, გული მომეწურა,
მეც მინდოდა, მაგრამ შენ მაინც დაის-
ვენე, ჩემო მარიამო. გენაცვალე, ერ-
თად მაინც გვექონოდა შვებულებები, რა
მაგარი იქნებოდა! გადაეშვი ოცნებე-
ში. გააკოცე მარი. ელისო.

• მარი, სხვისი საიდუმლო? ნეტავ სულ
არ ვიცოდე ეს სხვისი საიდუმლოებები.
თანაც, მე ყველა ახლობელი მენდობა,
რადგან სამარე ვარ, სამარე! შენც ხომ
ასე ხარ, მარიამო? ვიცი მე მაგი, შენ
ხომ ჩემი მესაიდუმლე ხარ! გაიხარე.
ელისო.

• ოჰ, როგორ მიყვარს საღამო წყნარი,
როცა ზეცას ჰყავს ვარსკვლავთა ჯარი,
მთვარე ანკარა გენერლობს ცაში, ალაგ-
ალაგ კი მეფობს, იქ იხატება ქალი ან
რამი, შემდეგ ნიაგი თუ როგორ ნაშლის,
მერე სხვა მხარეს ხატავს ფიგურებს და
თითქოს გვიხმობს, თქვენ მე მიყურეთ.
შემდეგ სხვა მხარეს გადინაცვლებს და
იქ მოხატავს, ნაცნობ ფიგურებს... შემ-
დეგ ერთ ნაშში იშლება ისევ... თითქოს
ქვიშაში ნახატს მაგონებს, თუმცა ღრუბელი
ნაშებს ანდომებს... ოჰ, როგორ მიყვარს
ზეცასთან ყოფნა, ის ხომ არა მთხოსვს
არაფრის სსოვნას... ლაკვასტი.

• ჩემი მოკრძალებული საღამო პირველ
რიგში, ჩემს უსაყვარლეს მარი ჯაფარიძე-
ს. აღფრთოვანებული ვარ ყოველთვის
შენი რომანებითა თუ მინირომანებით,
იმდენად ვივსები ემოციისგან, რომ დიდხ-

ანს მყოფნის. :) გაიხარე, უფალი
გფარავდეს მარად და ყველგან... დიდი
სიყვარულითა და პატივისცემით მოვი-
კითხავ ჩემს უსაყვარლეს და მგზავნილებს,
მშვიდ და განონასწორებულ ფლამინგოს,
უნიჭიერეს, პოეზიის დედოფალს კლეო-
პატრას, პოეზიაში ღრმად ჩახედულ და
კახურკაიფიან 9717-ს, გადასარევ და გურ-
მან გადარეულს, ყველაზე მხიარულსა და
გაელვება ედელვასის, პირმშვენიერ, კეთილ
და სადილის უბადლო მკეთებელ ლუნას.
მე არ შემძლია, მოკრძალებითა და დიდი
პატივისცემით არ მოვიკითხო ქალბატო-
ნი ნანი დუმბაძე. ულევ სიხარულს, ჯანმ-
რთელობასა და ღვთის წყალობას ვუსურ-
ვებ... P.S. მაააარ, კიდევ მინდა დიდი
სიყვარულითა და პატივისცემით მოვი-
კითხო ლაგოდების რაიონის სოფ. ჭიაურ-
ის საჯარო სკოლის პედაგოგები. ვიცი,
რომ „გზას“ და „გზავნილებს“, „მოზილი-
ზახიას“ ყოველთვის კითხულობენ. ასევე
მათაც ვუსურვებ ღვთის წყალობასა და
ცელქი მოსწავლეების გაძლებას. :) უდიდე-
სი სიყვარულითა და პატივისცემით,
ლაკვასტი.

• გასულ კვირას დედაჩემმა პლასტიკური
ბარათი აიღო სამსახურში. ჰოდა, მეც იმ
საზუსტს მივაგვიწი, სადაც ბარათის კოდი
ენერა. ჰოდა, დღეის შემდეგ დედაჩემს
ფულს კი არა, პირდაპირ ბარათს გამო-
ვართმევ. რომის პაპი. კოზანოსტრა
(ბისკვიტი).



გილოცავ!

• ნათია არაბულს ვულოცავთ დაბადე-
ბის დღეს, 1-ელ ოქტომბერს. გისურვებთ
ბერე სიხარულს და ლამაზი დღეების სიმ-
რავლეს. შენი მამიკო და ძამიკო.

• ჩემს მონატრებულ დას, მარინას ვუ-
ლოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბე-
დნიერებას და მრავალ სიხარულს. ნაზი.

• ნუნუ ნარიშინიშვილს. დედა, გილო-
ცავ დაბადების დღეს. იცოცხლე დიდხ-
ანს, ჯანმრთელობა არ მოგაკლოს უფალ-
მა. მიყვარხარ, ნუ მეჩხუბები ხოლმე. შენი
შვილი, მზია.

• ნუნუ ბაბო, გილოცავთ დაბადების
დღეს, მრავალს დაეწნარი, შენისთანა კარ-
გი ბაბო არავის არ ჰყავს. შვილთაშვილე-
ბი, ნიკა სტურუა, ნათია სტურუა-ბინაძე,
ოჯახით.

• რუსთავეში 6 ნლის უნახავ და მონატრე-
ბულ ჩემს საყვარელ შვილს, გიორგი
გოგოლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს.
ჩემო ერთადერთო სიხარულო, გილოცავ
ამ ლამაზ დღეს, გისურვებ ჯანმრთელო-
ბას და გახარებას, შენს ლამაზ ცოლ-
შვილთან ერთად. წმინდა გიორგის ძალა
და მადლი გფარავდეს მუდამ, სულ მწვან-
ეზე გველოს, მთელი ცხოვრების მანძილზე.
ძალიან ენატრები შენს დედიკოს, იცოდე.
გკოცნი ბევრს, დე, გფარავდეს უფალი.
შენი დედიკო, დალი.

• ბაღდათში, ჩემს შვილიშვილს, გიორ-
გი გოგიაძეს ბებია, ნილი ულოცავს
დაბადების დღეს.

• თიანეთში ჩემს საყვარელ დედას,

დარიკო პატურაშვილს ვულოცავ დაბადე-
ბის დღეს. ყველაფერი საუკეთესოს გი-
სურვებ, ჩემო იმედო. მენატრები უზო-
მოდ, უზომოდ. გკოცნი. მზია.

• დროებით ათენში მცხოვრებ მზია გა-
ბედავას: ქალი და ნაზი არსება, რომელ-
იც იბრძვის ოჯახისა და შვილის კეთილ-
დღეობისთვის, მინდა მიველოცო 4 ოქ-
ტომბერი. ლამაზი დღე და ვუსურვო
ჩანაფიქრი ოცნების ასრულება და ნან-
ატრი ოცნებების ახდენა. მზია, გფარავდეს
ღმერთი, ამ უცხო ქვეყნის მინაზე. კეთილი
სურვილებით, ნესტანი.

• ფიქრია და მერაბ ჯანაშვილს ვულო-
ცავ ვაჟიშვილის, პატარა ალექსის შექმნას.
ჯანმრთელი და სასახელი შვილი
გაგვზარდოთ! დიდი მონატრებით, ნათელა.

• ჩემს უსაყვარლეს დაიკოს, უთბილეს და
ულამაზეს ძრიქნას ვულოცავ გაბედნიერე-
ბას. საყვარელი, უფლის წყალობა და მად-
ლი არ მოგკლებოდეს, შენს მეუღლესთან
და საყვარელ ადამიანებთან ერთად. მიყ-
ვარხარ, გენაცვალეეეეე. ფლამინგო.

• ჩემს უცნობ რძალს, დარეჯან ლიონ-
იძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურ-
ვებ ჯანმრთელობას და უღრუბლო ცას,
საყვარელ ქმართან და პატარა მაიკოსთან
ერთად. ღმერთი გფარავდეთ. უცნობი
დედათბილი.

• ჩემო მონატრებულ ანგელოზო,
სალომე ცხადაძე, გილოცავ დაბადების
დღეს, გისურვებ ყველაფერ ლამაზს და
საუკეთესოს, გფარავდეს უფალი და დედა
ღვთისმშობელი. ძალიან მიყვარხარ და
მენატრები, ჩემო ფერიკო.

ჩემს მონატრებულ და უცნობ შვილიშ-
ვილებს, დათუნასა და თამთა ხურციძეებს
ვულოცავ 23 სექტემბერს 2 ნლის შესრულე-
ბას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ლამაზ
ბავშვობას, ულევ სიხარულს, ნათელ და
ბედნიერ მომავალს. სასიხარულო ყოფილ-
იყოს თქვენთვის ყოველი დღე, წელი, თვე
და წუთი. უზომოდ მუნატრებით, ჩემო
ანგელოზებო, მინდა გულში ჩავიკრათ და
მოგეფეროთ ძალიან ბევრი. თქვენ შემო-
გველოთ თქვენი უცნობი ბებოკო, ჩემო
ანგელოზებო. წმინდა მარიამის კალთა
გფარავდეთ მუდამ, ბებოს სიხარულგებო.
თქვენზე მონატრებული ნარგიზა ბებო.
მიყვარხართ.

**„მოზილიზახიში“ ნომრის გა-
გების შესაძლებლობა დღისა და
ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ.
საამისოდ, მოზილური ტელეფონის
SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ
სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმ-
ბოლოს ადგილი, შემდეგ აკრი-
ბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის
ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე
8884. თქვენს ტელეფონზე ავ-
ტომატურად მიიღებთ სასურველ
ტელეფონის ნომერს. მაგალითად,
თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგ-
ოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნო-
მერი, მოზილური ტელეფონის SMS-
ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და
გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით
შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის
გაგება. ყურნალში არც ერთი
ტელეფონის ნომერი აღარ გა-
მოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია:
50 თეთრი.**



ტაიმ-აუზი

ტვინის უსაკლავლობა

* ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოკვლევისთვის 7 ათასი ადამიანის ტვინი ინახება.

* არქეოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ჩვენი წინაპრები ტვინის ოპერაციებს ჯერ კიდევ 2 ათასი წლის წინ აკეთებდნენ. თავის შიდაქალის წნევის დასაწევად ავადმყოფს თავს უხვრეტდნენ.

* მოსაზრება, თითქოს ადამიანი ტვინის მხოლოდ 10%-ს იყენებს, მცდარია.

* ადამიანის ტვინი საშუალოდ 1300 გრამს იწონის და სავარაუდოდ, 18 წლამდე იზრდება.

* აუტიზმით დაავადებულ დანიელ ტამეტს გონებაში რთული მათემატიკური ამოცანების ამოხსნა შეუ-

ძლია. იგი 7 ენას ფლობს და საკუთარიც გამოიგონა.

* კეიტ ჯარეტს (ცნობილი ჯაზ-მუსიკოსი) 3 წლის ასაკში შეეძლო აუღერებელი ნოტის ზუსტად გამოცნობა.

* ბენ პრიდმორი მახსოვრობის ჩემპიონია. მას 96 ისტორიული მოვლენის დამახსოვრება 5 წუთში შეუძლია.

* ბავშვებს, რომელთაც მშობლები და მასწავლებლები ზღაპრებს ხმამაღლა უკითხავენ და მის შინაარსს მათთან ერთად განიხილავენ, უფრო განვითარებული გონება აქვთ. თანატოლებზე მეტად განვითარებული არიან ის ბავშვები, რომლებიც 5 წლის ასაკში ორ ენაზე ლაპარაკობენ. ხოლო იმ პატარებს, რომლებსაც



მშობლები უხეშად ეცევიან, აზროვნება უქვეითდებათ და ახალი ინფორმაციის აღქმა უჭირთ.

* უძილობა მენსიერებას აქვეითებს.

* ადამიანი მუსიკის თანხლებით ინფორმაციას უკეთ იმახსოვრებს. ამიტომ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა სასურველია, სასიამოვნო მელოდიების ფონზე იმეცადინონ. ■



ურვეულო მსატკრები


ნიუ-იორკელი ჩაკაია ბიკერი ხელოვნების ნიმუშებს ავტომობილის ძველი საბურავებისგან ქმნის. აღსანიშნავია, რომ ჩაკაიას საბურავებისგან შეკერილი ტანსაცმელიც აცვია.

ტაილანდელი ხაბაზი კიტიავატი უნაროვანი თავისუფალ დროს პურის ცომისგან შედევრებს ქმნის.

ჯულიან ბივერს „ტროტუარის პიკასოს“ ეძახიან. ორგანზომილებიან ნახატებს ასფალტზე ის ფერადი ფანქრებით ხატავს.

იტალიელი გუიდო დანიელი თითებით ადამიანებს ხელებს უხატავს. სამწუხაროდ, ეს ნახატები დიდხანს ვერ ძლებს, მხოლოდ დაბანამდე მიჰყვებათ.

იტალიელი მაურიციო სავანი ქანდაკებებს საღებავი რეზინისგან აკეთებს. ■





საინტერესო ფაქტები ლუდზე

• ლუდის ყველაზე დიდი მუზეუმი აშშ-ში, კენტუკიში მდებარეობს. ექსპონატებს შორისაა მილიონზე მეტი საცობი, ქილა, ეტიკეტი. გარდა ამისა, მუზეუმში მდებარეობს 1000-ადგილიანი ლუდის ბარი.

• ამბობენ, აფრიკელი მძღოლები ნიგერიულ ლუდს საწვავის ნაცვლად იყენებენო.

• საბჭოთა წყობის დროს ანტარქტიდაში ლუდის სმა აკრძალული იყო, ახლა კი ნებადართულია.

• ჩეხეთისა და მიუნხენის ბარებში ლუდს მუსიკალური კატეგორიით მოგართმევენ. კათხის ხელში ალები-სას ქვეყნის ჰიმნი ისმის.

• ძველად, ინგლისში, პაბის მუდმივ კლიენტებს სასტვენთან, თიხის ლუდის კათხებს ურიგებდნენ (რადგან პაბებში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო და ოფიციალტს კლიენტის ხმა არ ესმოდა). ლუდის მორიგი ულუფის მოთხოვნისას, კლიენტი ოფიციალტს სასტვენით იხმობდა.

• ძველი ინგლისური წესის თანახმად, სტუდენტს გამოცდაზე ერთი კათხა ლუდი ეკუთვნის. ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტმა — ტომ ბოუდერმა სასმელი მოითხოვა და მიიღო, მაგრამ სხვა წესის დარღვევისთვის დაისაჯა: ძველი ინგლისური ტრადიციის თანახმად, სტუდენტი გამოცდაზე დაშნით უნდა გამოცხადდეს.

• ფილადელფიაში, პენსილვანიის მუზეუმში, ოქროს ჩხირი ინახება, რომლითაც მესოპოტამიელი მდიდარი ქალბატონი პუ-აბი ლუდს წრუპავდა.

• ძველ ბაბილონში ასეთი ტრადიცია არსებობდა: თაფლობის თვის გასკვლის შემდეგ ახალდაქორწინებულ სიძეს სიმამრი ლუდის თვეს უწყობდა. მას მთელი თვის მანძილზე ლუდის სმა სიმამრის ხარჯზე შეეძლო.

• ფრანგული ლუდსახარშის მეპატრონეს — მიშელ დებუსს ლუდის ყვითელ-ოქროსფერი ფერი მოსაწყენი ეჩვენებოდა და სასმელი ნითლად და მწვანედ „გააფერადა“, მაგრამ ლუდის ექსპორტი გაძნელდა. მაგალითად, გერმანიამ საკუთარ ბაზარზე ფერადი ლუდი არ მიიღო.

• ლონდონის ერთ-ერთი ბარი ყოველწლიურად ლუდის მოყვარულ ადამიანს ირჩევს. 1991 წელს გამარჯვებული 73 წლის ინგლისელი ჰარიეტ ბრუქსი გახდა, რომელმაც განაცხადა, რომ 18 წლიდან ყოველდღიურად 1 ლიტრ ლუდს სვამს.

• XVI საუკუნეში ჩეხეთის ქალაქ ტრუტნოვაში ქალაქის კარიბჭეზე საათი ჩამოკიდეს. ის განსაზღვრულ

დროს რეკავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კლიენტებს ლუდსახარშები უნდა დაეტოვებინათ. ვინც წესს დაარღვევდა, ლუდსახარშში შესვლა 1 წლით ეკრძალებოდა.

• ბავარიის ქალაქ პასაუს ლუდის დარბაზში უჩვეულო წესი მოქმედებს: კლიენტებმა არ უნდა ისაუბრონ ფეხბურთზე და არ უყურონ საფეხბურთო მატჩებს. ჩემპიონატების დროს, როცა მთელი მსოფლიო ფეხბურთს უყურებს, ეს ადგილი ხსნაა მათთვის, ვისაც სპორტის ეს სახეობა არ უყვარს. თუ კლიენტებიდან ვინმე სიტყვა „ფეხბურთს“ ახსენებს, ლუდის დარბაზში ჩემპიონატის დასრულებამდე არ შეიშვება.



• ლუდზე შეყვარებულმა მუსიკის მასწავლებელმა — ჩეიჩერმა სასმელს „ლუდის სიმფონია“ უძღვნა. კომპოზიციაში ულერს, თუ როგორ ისმის მინის, თიხისა და რკინის კათხაში ჩასხმული სასმლის ხმა.

„სოფლიო დატაქტივების სიფი“
 ყოველ ორშაბათს! შურნალ „რეიტინგთან“ ერთად თითო პრიმიტალური საქმი!

სირილ ჰეირი
 შინდა ინგლისური მკვლელობა

27 სექტემბრიდან - 4 ოქტომბრამდე
ფრიდრიხ დიურენმატი
ავარიზა

ფასი 2 ლარი!
 (შურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოშვებული ნიგნები - საქმი №1-დან - №15-მდე (ჯამის კადლი ჩაიხი, პრეტარ კონან დოილი, სილანი ვალდონი, ანათა ჯარსტი, ჯალსონ ფილიპსი, როს მაქლონდი, ჯონ დიქსონ კარი, ჯო კორსი, დევილ კეპითი, ბორის აკუნინი, რარლზ კ.სონო, დიქ ფრანსისი, რაიმონდ ჩანდლერი და სირილ ჰეირი)
 შეიძინეთ ნიგნის მაღაზიებში

4 ოქტომბრიდან
ჟორჟ სიგენონი
 მკითხველი კადლი

„ყავის ფესტივალი“, ყავაზე „შეგჯდარი“ თბილისელები და უგებრილთა სითხის გავლენა ადამიანზე

ამ ცოტა ხნის წინ, თბილისში „ყავის ფესტივალი“ პირველად ჩატარდა. 2-დღიანი პროექტი დილით, ერთ-ერთ კაფეში დაიწყო, სადაც ცნობილმა ადამიანებმა ყავა დააგემოვნეს და შესაბამისად, დღე ენერჯიულად დაიწყეს:

— ათორ ყორღანაშვილი

ეთერ კაკუღია:

— ყავა მიყვარს, განსაკუთრებით — მაშინ, როცა მკითხავიცი თან მოჰყვება! ზოგი მათგანი ჭიქაში ისე კარგად „ხედავს“, რომ გაოგნებული ვარ!

— დღეში რამდენ ფინჯან ყავას მიირთმევთ?

— 2 ფინჯანს. ბალზაკი თხუთმეტს სვამდა და ადრე გარდაიცვალა! 102 წლის როცა ვიქნები და ჩემთან ინტერვიუსთვის მოხვალ, ფინჯანი ყავით ხელში დაგხვდები! ხსნადი ყავაც მიყვარს.



მასში ცოტა შავ ღვინოს ვურევ. იცი, როგორ არომატს აძლევს?! სხვათა შორის, ყავაში ცოტა კონიაკიც რომ ჩაასხათ, ისიც უგემრიელესი დასალევი იქნება! სპეციალურად ყავის ფესტივალისათვის თამრიკომ („მარი გოლდმა“) ყავისფერი (ყავის შესაფერისი) კაბა შემიკერა!

თამარ ნადირაძე:

— საფრანგეთიდან ახლახან დავბრუნდი — პარიზში ტექსტილის გამოფენაზე გახლდით. ეთომ შეგვიკვეთა: სასწრაფოდ თხელი შემოსაცმელი „გამიკეთეთ“, შარდენზე ყავა უნდა დავლიო (ილიმის)!

— ყავასთან როგორი „ერთიერთობა“ გაქვთ?

— ყავა ჯანმრთელობისთვის კარგია, მაგრამ მისი მიღება რძესთან ერთად — უკეთესი. დიდი რაოდენობით ყავის მიერთმევა ძვლების გამოფიტვას იწვევს. ამიტომ სასურველია, დღეში 1 ფინჯანი რძე მიირთვათ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ბოლო 2 წელია, ყავას ვეღარ ვსვამ, მაგრამ სტუდენტობისას ეს უნიკალური სითხე ჩემი

პირველი მეგობარი იყო!

ნუგზარ კვაშალი:

— ყავას ადრე უფრო ვეტანებოდი: კონცერტის წინ დიდი ფინჯნით მივირთმევდი ხოლმე — გადასარევი ეფექტი ჰქონდა! ახლაც ვსვამ, მაგრამ იმდენს — ვერა, რამდენსაც ჩემი ოჯახის წევრები: მეუღლე, რძალი, შვილები ტონობით ყავას მიირთმევენ! ჩემი შვილი-იშვილი ჯერ პატარაა, მაგრამ ალბათ, ყავის სმას ისიც მალე დაიწყებს (ილიმის)!

კაპა ამირეჯიბი:

— ყავის მოყვარული ვარ, მაგრამ

სალონური საღამოების აუცილებელ ატრიბუტად იქცა.

ლამაზად მორთულმა ავტობუსმა შარდენის ქუჩიდან გეზი თბილისის ცენტრალური ადგილებისკენ აიღო. მოსახლეობას ხარისხიანი ყავის დაგემოვნების საშუალება უფასოდ ჰქონდა. ფესტივალში ნიგერიელი პრაიან იდ-ოუს აქტიურად ჩაერთო:

— ამ ფესტივალის შესახებ ქალბატონმა ერნამ მითხრა. კარგად გავერთე, ძალიან ვისიამოვნე. სხვათა შორის, ყავას არ ვსვამ, მაგრამ ამ პროექტით კმაყოფილი ვარ და გადავწყვიტე, დღე-იდან ყავის სმა დავიწყო!..

მოსახლეობის მიერ ყავის დაგემოვნების შემდეგ, სადგურის მოედანზე კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: გივი სიხარულიძე, დონარა კინწურაშვილი, ეთერ კაკუღია (სპეციალურად ფესტივალისთვის ახალი სიმღერა შეასრულა). ანრი ჯოხაძე გოგი ცაბაძის სიმღერით („თბილისო“) წარდგა, ნუგზარ კვაშალმა ჯგუფ „W“-ს სოლისტებთან ერთად (ანი თაყაიშვილი, თაყო ბედიანაშვილი, ანი იანვარაშვილი) იმღერა; კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლები — „ფრესკა“ და გვირილა“, ასევე სტუმრები ნიგერიიდან და თურქეთიდან. საღამოს პროექტის ავტორი — ნინო ჩიხლაძე და ცნობილი კონკურსის — „სლავინსკი ბაზარის“ გამარჯვებული — ლაშა რამიშვილი უძღვებოდნენ.

ლაშა რამიშვილი:

— გუშინ საღამოს 5-ნ საათი იყო, ყავას რომ გეხვლით. ცოტა არ იყოს, მოთენთილი ვიყავი, მაგრამ როგორც კი მოესვი, მაშინვე „ენერჯიზე მოვდე“.

— ყავის მოყვარული ხარ?

— ძალიან მიყვარს! იშვიათია ადამიანი, დილას ყავით არ იწყებდეს.

ლამაზად „ყავის ფესტივალის“ ფარგლებში გამართულ კონცერტზე ის სიმღერებიც შეასრულა, რომლებიც საქართველო ბელორუსიაში ასახელა.

ნინო ჩიხლაძე:

— ალბათ, ამერიიდან „ყავის ფესტივალი“ ყოველ წელს, სექტემბრის ბოლო კვირას გაიმართება. პირადად მე ყავა ძალიან მიყვარს!

— პროექტის განხორციელება დილით დაიწყო. ცნობილი ადამიანების დათანხმება არ გაგიჭირდათ, დილაადრიან ფესტივალში აქტიურად რომ ჩართულიყვნენ?

— როცა გაიგეს, რომ გემრიელი, ხარისხიანი ყავას დააგემოვნებდნენ, პირიქით — სიამოვნებით მოვიდნენ! ეს სასმელი მიირთვეს და, რა თქმა უნდა, უკეთეს ხასიათზე დადგნენ! ვფიქრობ, დღეს ულამაზეს ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი.

ფესტივალის მონაწილეობა და დამსწრე საზოგადოებამ ყავის ტორტიც დააგემოვნეს. პროექტს საქველმოქმედო ხასიათიც ჰქონდა: მეორე დღეს ფესტივალის ორგანიზატორები მოხუცთა პანსიონატს ესტუმრნენ და მოხუცებს საჩუქრები გადასცეს.

მითვები და რამაღუება რაქანაეების ზესასეაზ!



რას ბამოიწვევს რაქანაეების ბათხოზა?

წყლის სიღრმეთა ურეუულუ ბინადრები!



ბაიბეთ უფრო მები !

27 სემეებრიდან - 4 მოძობრაგდა

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამბანოშილაიანი (3D) ბამოსასულაეები

შეძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ სელმწერია სეურადლეზოდ
წიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით „ელა.ჯი“-ს
ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმეეთ *

ეს სამსრპს * -ბაღ



სერია „ეს სამეაროა“-ს წიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6 და №7 იყიდება წიგნის მაღაზიებში!



წარმატებული გამოცდა ირუდიციაში ანუ ექსპერტი, რომლის მათემატიკაში მოიკოჭლავს

ექსპერტი კავკასიის საკითხებში — მამუკა არაშვიძე პროფესიით დრამის რეჟისორია. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე სპექტაკლი მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაუდგამს, შემდეგ კი ტელევიზიაში, ახალგაზრდული პროგრამების მთავარ რედაქტორად მიუწვევიათ. ვიდრე სამოქალაქო ომი დაიწყებოდა, ტელევიზიის კინორედაქციის მთავარი რეჟისრობაც მოუსწრია და პროგრამა „სალამო მშვიდობისას“ წამყვანობა და რეჟისრობაც. ერთხანს დეპუტატიც გახლდათ. შემდეგ, როდესაც ჟურნალისტობამ გაიტაცა, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ყველა ცხელი წერტილი მოიარა. ინდოჩინეთს, ლაოსსა და კამბოჯასაც კი გადასწვდა. მისი საყვარელი მწერლები არიან — ვაჟა-ფშაველა, ჭაბუა ამირეჯიბი და მარკესი. ამბობს, რომ მარკესის თითქმის ყველა ნაწარმოები აქვს წაკითხული, მაგრამ რუსულად...



სათუნა ბახტურიძე

კავკასიის აგიარ

— ბატონო მამუკა, წიგნებს ქართულად არ კითხულობთ?

— როგორ არა, მაგრამ ჩემი ყმანვილკაცობისას მარკესის ნაწარმოებების ქართული თარგმანი ძირითადად არ იშოვებოდა, ან ძალიან ცუდი ხარისხის თარგმანი იყო. ახლა გაცილებით უკეთ თარგმნიან, მაგრამ თავიდან ხომ არ წავიკითხავ?! სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ბაჩანა ბრეგვაძის ნათარგმნ „დონ კიხოტს“ გავეცანი და ძალიან მომეწონა, შესანიშნავი თარგმანია...

— კარგი, გადავიდეთ კითხვარზე. რომელ საუკუნეში შევიდა ჩვენში რუსეთის შემადგენლობაში?

— XIX საუკუნეში.

— ვინ იყვნენ უბიები?

— ჩრდილოდასავლური, კავკასიური ტომი. ენით, კულტურითა და ტრადიციებით აფხაზებსა და ჩერქეზებს ენათესავებოდნენ.

— ვისი „წყალობა“, დღეს ეს ხალხი რომ ალარ არსებობს?

— რუსების. 1884 წელს სტამბოლში გარდაიცვალა ბოლო უბი, რომელმაც უბიური ენა იცოდა.

— ისინი მიეკუთვნებიან იბეროკავკასიური რასის ვანასურ შტოს. უსოვარი დროიდან სახლობენ კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე. მათ მონანილეობა არ მიუღიათ 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მომხდარ შეირალებულ დაპირისპირებაში, რადგან უარი თქვეს „ქართველ ძმებზე“ ხელის აღმართვაზე.

— ინგუშები.

— რა ჰქვია უმაღლეს მეთაურთა და უფროსთა წოდებას არმიაში?

— გენერალი.

— „არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკების, მე საქართველოს გენერალი ვარ!“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— გიორგი მაზნიაშვილს.

— ნაპოლეონის ერთ-ერთი პირადი მცველი ქართველი იყო. თუ იცით მისი გვარი?

— რუსტამ მამელუქი.

— საქართველოს რომელი მეფე იყო რეგენად წოდებული?

— ბაგრატ I.

— რომელი ბაგრატ?

— ეგ აღარ მახსოვს.

— ბაგრატ II. „ყორღანებიდან გნოლი აფრინდა/ ყაბარდოს ველი გადაიარა,/ ისევ აღვსდექ, მუხრანის ბოლოს/ ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.../ ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— მირზა გელოვანი არ არის, ხომ?

— არა. ამ ლექსს „ყიფაღის პაემანი“ ჰქვია.

— გიორგი ლეონიძე.

— რომელი ციხის ალებისას მოკვდა გირშელი, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“?

— ის ყველისციხის პატრონი იყო, ე.ი. კლდეკარის ციხის ალებისას.

— არა, ის ქორსატეველას ციხის ალებას შეეწირა. რისი სახელებია — გორგასლიანი, დავითიანი, თამარანი?

— დროშების.

— თამარ მეფემ ყუთლუ არსლანის დასის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა ორი დიდგვაროვანი ქალბატონი. ხომ არ გახსოვთ მათი სახელები?

— ერთი კრავაი ჯაყელი იყო, მეორე აღარ მახსოვს.

— ხუაშაქ ცოქალი. დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი მცირეწლოვანი ძე — დემეტრე II ავიდა, ხოლო სამეფოს მისი მეურვე, სადუნ მანკაბერდელი განაგებდა. ოფიციალურად რა თანამდებობა ეკავა სადუნს?

— დიდვაჭარი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ კიდევ ვინ იყო, ამირსპარსალარი?

— დიას, ამირსპასალარი. საქართველოს ავტოკრაფიის გაუქმების შედეგ, 1814 წლამდე რომელი მხარის ეკლესია ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას?

— აფხაზეთის.

— რა ჰქვია ტერმინს, რომლითაც აღწერენ საკუთარი მიწის ან რეგიონის მმართველი ქვეყნისგან დამოუკიდებლობის ან გაყოფის მაძიებელთა მოტივაციას?

— სეპარატიზმი.

— დაასახელეთ ისტორიული მხარე XVIII საუკუნის საქართველოში, რომელიც ტერიტორიულად კავკასიონის



ქედის ცენტრალურ ნაწილს, დარიალის სეობასა და მამისონის უღელტეხილს მოიცავდა.

- დვალეთი.
- თქვენ ისიც გეცოდინებათ, დვალეთის მოურავი ვინ იყო.
- გიორგი სააკაძე.
- სად დაიბადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II?
- ვლადიკავკაზში.
- ვინ თქვა ეს სიტყვები — „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,/ თუ არს ქართული გვარისა“?
- ვაჟა-ფშაველამ.
- რა ჰქვია ადამიანთა ჯგუფის ან ერთი ადამიანის მოგზაურობას მეცნიერული მიზნით?
- ექსპედიცია.
- დაასახელეთ ისტორიული ციხე-ქალაქი, რომელიც დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ, ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირშია?
- პეტრა.
- დაალაგეთ რანგის მიხედვით დიპლომატიური ხარისხები: ატაშე, ელჩი, დესპანი.
- ატაშე, დესპანი, ელჩი.
- რომელ მწერალს ეწვია ორი ქორწინების შემდეგ მესამე, დიდი სიყვარული 80 წლის ასაკში?
- გოეთეს?
- არა, ის ქართველი იყო.
- რობაქიძეს?
- დიას, გრიგოლ რობაქიძეს. რა უწოდეს მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებულ ებრაელების მასობრივ გენოციდს?
- ჰოლოკოსტი.
- რა ნაშთი მიიღება, თუ უმცირეს კენტ ოთხნიშნა ნატურალურ რიცხვს გავყოფთ 5-ზე?
- ვაი, მათემატიკაში ყოველთვის მოვიკოჭლებდი (ფიქრობს). არ ვიცი.
- სწორი პასუხია 1. აბა, ვნახოთ, ზოოლოგიაშიც ხომ არ მოიკოჭლებთ: რა ეწოდება მეცნიერებას, რომელიც ცხოველთა ქცევას შეისწავლის?
- (ფიქრობს) მოდი, პირველი ასო მითხარიო.
- ე-
- არ ვიცი.
- ეტოლოგია. ახლა გეოგრაფიაზე გადავიდეთ. რამდენი ქვეყანა ესაზღვრება აზერბაიჯანს?
- აზერბაიჯანს 5 ქვეყანა ესაზღვრება — საქართველო, რუსეთი, სომხეთი, ირანი და თურქეთი.
- ამჯერად მედიცინაში უნდა გამოგცადოთ.
- რას მერჩი?
- არაფერს, ბატონო მამუკა. წუთში რამდენჯერ იკუმშება ჯანმრთელი ადამიანის გული?
- 60-80-ჯერ.
- თითქმის გამოიცანით, 70-80-ჯერ.
- თითქმის კი არა, გამოვიცანი, ხომ ვთქვი, 60-80-ჯერ-მეთქი; მაგაში 70-იც შედის.
- მართალი ხართ. რამდენ კილომეტრზე გრძელდება მდინარე მტკვარი?
- მტკვარი იწყება თურქეთში და მთავრდება კასპიის ზღვაში. ე.ი. უნდა ვინაგარიშოთ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორია... დაახლოებით, 1400 კმ-ზე.
- ოდნავ გადააჭარბეთ. მტკვარი 1364 კმ-ია.
- თუ მდინარის მიხრა-მოხრასაც გავითვალისწინებთ, ავა 1400 კმ-მდე (იცინის).
- სადაური სიტყვაა „სტადიონი“?
- ბერძნული.
- დაასრულეთ კანტის გამონათქვამი — „გაიძვერას თავგამოდებული გამბედაობა უაღრესად...“

- არ ვიცი.
- ვერსიებს შემოგთავაზებთ: სასაცილოა, ამაზრზენია, სახიფათოა.
- სახიფათოა.
- კი, ბატონო. როგორ ითარგმნება არაბულიდან სიტყვა — „ბედუნი“?
- უდაბნოში მომთაბარე.
- რომელი ეპოქის კომპოზიტორია იოჰან სებასტიან ბახი — ბაროკოსი, როკოკოსი, რენესანსისა თუ ნეოკლასიციზმის?
- ნეოკლასიციზმის?
- არა, ბაროკოსი... დაასრულეთ ერნესტ ჰემინგუეის ეს გამონათქვამი — „არ იმსჯელოთ ადამიანზე მისი მეგობრების მიხედვით, გახსოვდეთ...“
- არ ვიცი.
- „იუდასაც უზადო მეგობრები ჰყავდა“. რა ეწოდება მმართველობის იმ ფორმას, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება სამღვედლოებას ეკუთვნის?
- ვერ ვხვდები, მოიცა (ფიქრობს), ე.ი. რა ჰქვია მეცნიერებას, რომელიც ღვთისმეტყველებას სწავლობს?..
- მაგას თეოლოგია ჰქვია, მაგრამ...
- იმას კიდევ თეოკრატია.
- მართალი ხართ. დაასახელეთ მსოფლიოში ამჟამად არსებული ყველაზე დიდი მონარქია.
- ეს მათხოვრები არ იქნებიან, არც — ისინი...
- მათხოვრებში ვის გულისხმობთ?
- ესპანეთის ბურბონებს და ინგლისის უინძორებს, მერე ჰოლანდიელებს, სკანდინავიელებს... მოდი, მიმანიშნე, მხოლოდ ევროპაზეა ლაპარაკი თუ მთელ მსოფლიოზე?
- მთელ მსოფლიოზე.
- მაშინ იაპონია.
- კი ბატონო. ისიც ხომ არ იცით, ამ ქვეყნის სახელწოდება ქართულად როგორ ითარგმნება?
- რა თქმა უნდა, ვიცი, — „ამომავალი მზის ქვეყანა“.

ჩემი ყმაწვილკაცობისას მარკესის ნაწარმოებების ქართული თარგმანი ძირითადად არ იშოვებოდა, ან ძალიან ცუდი ხარისხის თარგმანი იყო

- დაასახელეთ რუსი მეფე, რომელიც ნარცისოზით იყო შეპყრობილი და შვილი მოკლა.
- ივანე მრისხანე?
- მოდი, ასე გკითხავთ — ვინ იყო მეფე, რომელმაც შვილი მოაკვლევინა?
- პეტრე I. ივანე მრისხანემ თავისი ხელით მოკლა, უფრო სწორად, შემოაკვდა.
- მართალი ხართ, ვერ შეგედავებით. რამდენი პოლონელი სამხედრო დახვრატეს რუსებმა კატინში?
- 300.
- არა — 4000. რა ჰქვია სუთკუთხედი ფორმის შენობას, რომელიც ამერიკაში, კერძოდ, არლინგტონის შტატში მდებარეობს?
- პენტაგონი.
- კითხვები ამონწურულია. გამადლობთ საინტერესო საუბრისთვის.



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(აითხვები)**

ქვემოთ მოცემული კითხვები უფროსად „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

1. დარტანიანი 18 წლის იყო, როცა ათოსი, პორტოსი და არამისი გაიცნო. პორტოსი იმ დროს ოცდახუთი წლის გახლდათ, არამისი — ოცდასამის. რამდენი წლის იყო ათოსი?
2. რა ბედი ეწია სვარაზმის შაჰის, ჯალალ-ედ-დინის 7 წლის შვილს, რომელიც ჩინგიზ ყაენს ტყვედ ჩაუვარდა?
3. დაასრულეთ რედიარდ კიპლინგის სიტყვები: „აღამი ღმერთის მებაღე იყო. ამიტომაც, რომ ბალის სამუშაოების მეტ ნილს...“
4. ეს მონუმენტი 1743 წელს, ვერსალში გაჩნდა. ლუდოვიკო XV-ისი დახმარებით თავისი ფავორიტის, მაღამ დე შატორუს საძინებელ ოთახში ხედებოდა. რა ჰქვია ამ მუქანის თანამედროვე ვარიანტს?
5. მოსკოვში, „ელექტროლუქსის“ ფირმის მაცივრებით მოვაჭრე მალაზიაში, კლიენტის სიახლოვეს მდგარი გამყიდველი სპეციალურად ასანთს გაკრავს ხოლმე. რისთვის?
6. დაასრულეთ ნანყვეტი თალმუდიდან: „ცრუ მონწენი იმითაც სძულთ, ვინც მათ...“
7. ფრიდრიხ ბარბაროსას, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ სულთან სალადინსა და სარკინოზებს, ჯვაროსნული ლაშქრობის დროს თურქეთის ტერიტორიაზე მდინარის გადაღაჰვისას გულის შეტევა მოუვიდა, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. მეფის ამაღამ მისი ცხედარი ძმარში მოხარშა, ძვლები გააცალკევა და შეინახა. რა მიზნით?
8. ამ მწერლის ნამდვილი გვარი გოლიკოვია. იგი მოხალისედ წავიდა წითელ არმიას და 16 წლის ასაკში უკვე პოლკს მეთაურობდა. დაასახელეთ იგი.
9. სპორტის რომელ სახეობაში ასპარეზობდა მერილინ მონროს უკანასკნელი ქმარი — ჯო დიმაჯიო?
10. რომელ დიქტატორს ეკუთვნის სიტყვები: „არ არის საჭირო ბევრი წიგნის კითხვა“?

ანექლოცენი

* * *

კახელი და ოსი ერთ საკანში სხედან. კახელი დონიჯემოყრილი დააბიჯებს და ამბობს:

— მე კახეთის მეფე ვარ!

— მე — ოსეთის მეფე ვარ! — არ ჩამორჩა ოსი. კახელმა ოსი ნისლქვეშ გაიგდო.

გათენდა მეორე დღე. კახელი ისევ დონიჯემოყრილი დააბიჯებს:

— მე კახეთის მეფე ვარ!

— მე კი — კახეთის დედოფალი!



* * *

ორი ზღარბი ტყეში ხის ძირას ზის. უცებ ტარზანის ხმა შემოესმათ.

— ეს იდიოტი კიდეც მხეცებს აფრთხოვს?!

— არა მგონია!.. ეტყობა, კიდევე ვერ მოზომა მანძილი ლიანებიდან კაქტუსებამდე!

* * *

დირექტორი კლასში შედის. ხედავს, რომ ნახევარი კლასი ტირის, ნახევარი იცინის.

— რა გაცინებთ? — ეკითხება დირექტორი.

— ქიმიის მასწავლებელი ფანჯრიდან გადავარდა.

— თქვენ რაღა გატირებთ? — მიუბრუნდა მოტირობს.

— ვერ მოვასწარი დანახვაააა!

* * *

ქალები პურის რიგში დგანან. ერთი ეუბნება დანარჩენებს:

— ფეხმძიმედ ვარ, იქნებ ურიგოდ გამიშვათ.

— კი, ბატონო, მიბრძანდით! ისე, ორსულობის თქვენ არაფერი გეტყ-

ობათ და წუხანდელი ნასიამოვნები ჩვენც კი ვართ!

* * *

— რას უჩივით? — ეკითხება ფსიქიატრი პაციენტს.

— სულ მეჩვენება, რომ ვილაც მომდევს!

— დიდი ხანია?

— მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიპარე!

* * *

— ექიმო, ჩემთვის სექსი შეიძლება?

— რა სექსი, შენ შემოგველე, რა სექსი?

— არა, ახლა კი არა, მომავალში.

— რომელ მომავალში, გენაცვალე, რომელ მომავალში?

* * *

— თუ გსურთ, ეს მელოდია თქვენს მობილურზე ჩანეროთ, გაგზავნეთ შეტყობინება ნომერზე — 111. სვანების საყურადღებოდ: თუ არ გინდათ ეს მელოდია, მაშინ 222-ზე დაგვიმეცხიჯეთ.

* * *

შვილი მამას ეკითხება:

— როცა პატარა იყავი, სკოლაში დადიოდი?

— აბა, რა! თანაც, არც ერთ გაკვეთილს არ ვაცდენდი.

— აი, ხომ გითხარი, დედა, სკოლაში სიარულს აზრი არა აქვს-მეთქი...

* * *

აფთიაქში შედის კაცი:

— თუ შეიძლება, სიხარბის ნაშალი მომეცით!.. მეტი!.. კიდევე უფრო მეტი!..





დიאלოგი სექსუოფში:

— რეზინის ტვინი თუ გაქვთ?
— რა ბრძანეთ?

— იცით, ჩვენი დირექტორი დასასვენებლად მიდის და თან გვინდა გავატანოთ, გზაში რომ არ მოიწყინოს.

ოსი მივიდა ექიმთან:

— ექიმო, გახსოვს, სარსანნი რომ მითხარი, რევმატიზმი გაქვს და სინესტეს ვერდიეო?

— მახსოვს. ახლა რამ შეგანუხა?

— ეს მითხარი, ბანაობა თუ სეიდლება?

ლუკრის დათვალეერებისას ამერიკელი დაიღალა და სკამზე ჩამოჯდა.

— სერ, — მორიდებით მიმართავს მუზეუმის მეთვალყურე, — ეს ლუდოვიკო XIV-ის სავარძელია.

— რა მოხდა მერე, მოვა ეგ შენი ლუდოვიკო და ავდგები.

საყვარლები ლოგინში ნებივრობენ. კარზე ზარია. შეშფოთებული ქალი ამბობს:

— ვაიმე, ჩემი ქმარი მოვიდა.

— მადლობა ღმერთს, — შევებით ამოისუნთქა ქანცგანყვეტილმა კაცმა.

თანამშრომელი შეფს მიმართავს:

— შეფ, ძალიან არ მომწონს, ჩემს ცოლთან რომ წევხართ.

— რა უცნაური ოჯახი გაქვთ: ერთს მოსწონს, მეორეს — არა. მოდი, რა, მოილაპარაკეთ.



გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ოცდაათის.
2. „ჩვენი მტრის ჯიშში უნდა ამოვარდე! ასეთი მამაცი მუსლიმანის შვილი ყვლებს დასჭრის ჩემს შვილიშვილებს!“ — განაცხადა მონღოლთა მბრძანებელმა და ბრძანება გასცა, ბავშვისთვის გული ამოეგლიჯათ და მისი მწვერებისათვის ეჭმიათ.
3. „მუხლებზე დამდგარნი ვასრულებთ“.
4. ლიფტი.
5. იმის დემონსტრირებისათვის, თუ რა უხმაუროდ მუშაობს მათი მაცივრები.
6. „ქირაობს“.
7. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დიდი მონარქის ძეგლებს იერუსალიმის ალბისთანავე წმინდა ქალაქში დაკრძალავდნენ.
8. არკადი გაიდარი.
9. იგი ბუისბოლისტი გახლდათ.
10. მაო ძედუნს.


რუბრიკა მოამზადა თამარ ივანიძემ



ქართული პრესის საგანმეურნეო

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, უფროდ „გზაში“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართული მწერლების თითო ტომი



ტომი №31
ნუგზარ შატაიძე

ნუგზარ შატაიძე
„გალობა საბერი“

31

წიგნის ფასი **3** ლარი!

30- სექტემბრიდან - 7 ოქტომბრამდე!



უკვე გამოსული ტომები შეიძინეთ შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

- | | |
|-----------------------------|--------------------------------------|
| №1 ზურაბ დონაშვილი | №17 ლევან მითვა |
| №2 მიხეილ ჯავახიშვილი | №18 პას მორჩილაძე |
| №3 ნუგზარ ფუხაძე | №19 ვასილ გარეშვი |
| №4 ილია ჭავჭავაძე | №20 თამაზ ბიჭიშვილი |
| №5 ზურაბ რამელიშვილი | №21 რევაზ ნინაშვილი |
| №6 მამა-ფშავაძე | №22 ნიკო ლომოური |
| №7 რეზო ქვიციანი | №23 ზურაბ ფანავიძე |
| №8 პაპი ნეკრელი | №24 კონსტანტინე ზამსახურაძე (პირი-1) |
| №9 ზურაბ თბილისი | №25 კონსტანტინე ზამსახურაძე (პირი-2) |
| №10 ფანიო კალაშვილი | №26 კონსტანტინე ზამსახურაძე (პირი-3) |
| №11 ოტია იოსელიანი | №27 ვიქტორ მირიანე |
| №12 გრიგოლ აბაშიძე (მხნე-1) | №28 ლაშქარაძე ვარაზიანი |
| №13 გრიგოლ აბაშიძე (მხნე-2) | №29 ვიკატე ოლიუჩიანი |
| №14 არჩილ სულაბაძე | |
| №15 ნიკო ლომოური | |
| №16 გიორგი მონღი | |

გამოიწერეთ **გზა** და საგანმეურნეო ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**ელვაჯი**“ ბელ: 38 26 73; 38 26 74



ჰოროსკოპი

30 სექტემბერი - 5 ოქტომბერი

ვიზუი

საკუთარ თავთან მარტო დარჩენა საშუალებას მოგცემთ, გააანალიზოთ წარსული და დაგეგმოთ მომავალი. გავლენიანი პირები დაგეხმარებიან.

კუჩრი

შემოსავალი გაგეზრდებათ და ბინის პრობლემას მოაგვარებთ. საკუთარ იდეებს სხვებს ნუ გაანდობთ.

ტყუპი

შემოქმედებითი საქმიანობისთვის ხელსაყრელი პერიოდია. რომანტიკული ურთიერთობა შესაძლოა, ქორწინებით დაგვირგვინდეს.

კიჩბხი

ახალი იდეების განსახორციელებლად ხელსაყრელი პერიოდია. ახალგაზრდებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება მოგიწევთ.

ღიმი

გარისკეთ და გაიმარჯვებთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისა და უცხოელებთან ურთიერთობისთვის. დასვენების დღეები ოჯახთან ერთად გაატარეთ.

ქაფხუდი

საქმიანი და პირადი პრობლემები პარტნიორთან ერთად მოაგვარეთ. ფინანსურ საკითხებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

სახსი

უამრავი საქმის მოგვარებას დაგვალებენ, რაც გამოცდილებას შეგძენთ. თუ საყვარელი ადამიანის მიმართ სიბოძასა და მზრუნველობას გამოიჩინოთ, ბედნიერი იქნებით.

ფიცი

მთელი კვირა მხიარულებასა და გართობაში ჩაივლის. საქმეების შესრულებისას ნუ აჩქარდებით. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას.

ფიცი

თქვენ სასიკეთოდ მოაგვარებთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხს. თუ არ გსურთ მეგობრის დაკარგვა, ნუ ეცდებით მასთან სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებას.

თხი

საქმიანი შეხვედრებით დატვირთული კვირა გელით. ძალების აღსადგენად და ენერჯის მოსამატებლად, თავისუფალი დრო სუფთა ჰაერზე გაატარეთ.

ფიცი

კვირის დასაწყისში მატერიალურ გასამრჯელოს მიიღებთ, რაც სურვილების ასრულების საშუალებას მოგცემთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ უცნობებთან.

თფხი

კარგი პერიოდია ცოდნისა და ინტელექტის ასამაღლებლად. მეგობრებთან უფულობის გამო ნუ იწუწუნებთ.

გამოვიცნოთ მოგვალე მანობრეთა მეთოდით

ანუ მარჩიელობა ჯამათლით

მომავლის გამოსაცნობად 1 კამათელი დაგჭირდება. ქვა ოთხჯერ გააგორე. ლუნ რიცხვზე X დაინერე; კენტზე — 0.

იხილე შედეგები:

XXXX — კითხვა სწორად არაა დასმული. ასეთი კომბინაცია პასუხს არ იძლევა. მარჩიელობა ცოტა ხნის შემდეგ გააგრძელე.

XXX0 — მართალია, რთული დღეები დაგიდგა, მაგრამ მომავლის იმედს ნუ დაკარგავ.

XX0X — მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროა. პრობლემების მოგვარება დროებით გადადე.

X0XX — აქტიურად იმოქმედე. იყავი გაბედული, თამამად იმოქმედე, ფორტუნა შენ მხარეზეა.

0XXX — სიხარული, წარმატება და ბედნიერება გელის. ყველაფერი კარგად იქნება.

XX00 — შესრულებული საქმეები წარმატებას მოგიტანს. შენც კმაყოფილი დარჩები და გარშემო მყოფებიც.

00XX — ღრუბლებში ნუ დაფრინავ, თორემ მალეა ასული, მი-



ნაზე მწარედ დაეცევი.

X0X0 — ფინანსური წარმატება გელის.

0X0X — სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდები. კარგად დაფიქრდი, სანამ გადაწყვეტილებებს მიიღებ.

X00X — ცვლილებებისთვის მოემზადე. ისეთ ადამიანს შეხვედები, რომელიც შენს ცხოვრებაში სერიოზულ როლს ითამაშებს.

0XX0 — სირთულეები გელის. ვიღაც შენს ჩაძირვას ცდილობს. თუ საკუთარ თავში დარწმუნებული არ ხარ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებ.

X000 — ყველა საქმე, რასაც წამოიწყებ, წარმატებასა და ბედნიერებას მოგიტანს.



0X00 — მშვიდად იყავი. ვერავინ დაგამარცხებს. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩაიფიქრებ.

00X0 — ნუ იქნები პასიური, იბრძოლე საკუთარი ბედნიერებისთვის.

000X — მტრები შენ გარშემო ინტრიგებს ხლართავენ. გადამწყვეტი ბრძოლისთვის ძალები მოიკრიბე.

0000 — ცოტა ხანში ცხოვრების კარდინალურად შეცვლა მოგიწევს.






		1. ზღვის კომბოსტო	2. ღაწლი	3. რომის იმპერატორი	4. საარჩევნო ყუთი	5. აბონური არაფი	
							6. ვეტერანი ქართველი მოკრევე
			7. ქვეყანა აფრიკაში			8. მტაცებელი ფრინველი	9. შვის ამოსვლა
			10. გაქმენდილი ნატეხი შაქარი	11. თურქეთის ღვინო			
12. უპირო წინდა	13. რაიონული ცენტრი აფხაზეთში	14. ციური სხეულის სამომარო გზა					
					15. დროშა, ბაიბალი	16. არაბული ზღაპრების გმირი	
	17. დანელიას ფილმი	18. უბანი თბილისში	19. ტროპიკული ხილი				
			20. ლორდის მეუღლე			21. ვაშლის ღვინო	
	22. ქართველი ლიტერატურათმცოდნე		23. ინდიელთა ტომი	24. ისტორიული მხარე დას. საქართველოში			
			25. ქართული ჟურნალი				
		26. ველი, მინდორი		27. თხის ხმიანობა			
28. საკაფი იარაღი			29. თხელი ტალახი, ლაფი	30. მოკილი თევზის კონა			
		31. ოფიცრის წოდება					
				32. ამერიკის მტატი			
		33. პერუს ღვინო		34. სუსტი ქარი			
	35. ჯუჯა ქვეყანა ვეროპაში	36. ბოლი					
			37. იფევა, რაც მტის სახელი	38. ფეხის კვრა, ფეხის ჩართვა			
							

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. შამპანური; 2. მოწმე; 3. სააკაძე; 4. ნიუ; 5. სიმონია; 6. ლამპა; 7. მარიამობა; 8. ძხვე; 9. პერუ; 10. პომპა; 11. ფირუზი; 12. ერი; 13. აველეტონი; 14. რუმინეთი; 15. აკირა; 16. მე; 17. დავრიში; 18. ნამქერი; 19. წვიმა; 20. ტრანსფერი; 21. ნატამალი; 22. ბარაქა; 23. იღვა; 24. უშიშარი; 25. პოლიცია; 26. პლატინი; 27. სატირა; 28. სისინი; 29. სატეგარი; 30. საგა; 31. მი; 32. ფინტი; 33. მუხა; 34. ვერსია; 35. მხედრონი; 36. ბიბლია.

სურათებზე: 1. შარლიზ ტერონი; 2. ჯოსპარტენტი

ფოტოკუჩიოზები



ბ 30/38

პერსენ ფორტე

კატაპალასა, პიტნა, გარამბო

სიზუვიდა თქვენს ხელშია!



პერსენ ფორტე მოგიხსნით ნერვულ დაძაბულობას, გაღიზიანებას, მოგიწესრიგებთ ძილს და დაგეხმარებათ უინარჯუნოთ აქტიური და ჰარმონიული ცხოვრების რიტმი

SANDOZ

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS

ნოვარტისი, შვეიცარია

გ. ტაბიძის ქ. №18 ტელ.: 98 27 30; 98 27 50